აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli State University

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Business, Law and Social Sciences

XXXII სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია
XXXII Student Scientific Conference

თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები - 2022
Economic, Legal and Social problems of Developments - 2022

კონფერენციის მასალები
Conference proccedings

10 ივნისი, 2022
10 june, 2022

ქუთაისი, Kutaisi

კონფერენციის პროგრამა

დრო	მოვლენა	ადგილი
10:00-11:00	**რეგისტრაცია**	საბიბლიოთეკო - XXII კორპუსის ფოიე
11:00-11:30	**მისალმება**	საკონფერენციო დარბაზი; აუდ. №22208
11:30-12:00	**პლენარული სხდომა**	საკონფერენციო დარბაზი; აუდ. №22208
	სექციური მუშაობა:	
12:00-14:00	**I სექცია** „თანამედროვე ბიზნეს და სამართლებრივი ურთიერთობები“	აუდიტორია №22403
12:00-14:00	**II სექცია** „თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობები“	აუდიტორია №22208

კონფერენციის გახსნა - **ნანა შონია**
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

მისალმება

როლანდ კოპალიანი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

შალვა კირთაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი

კონფერენციის გახსნა

საჯარო მოხსენება:

1. **თემის დასახელება:** **სტუდენტთა ცოდნის კონტროლის ფორმები და მეთოდები**

სტუდენტები:	**დენოსაშვილი მარიამი**
სამაგისტრო პროგრამა:	ბიზნესის ადმინისტრირება, IV კურსი, აწსუ
ხელმძღვანელი:	**ლუხუტაშვილი ნანა**, აწსუ-ს ასისტ. პროფესორი

Student Evaluation is an integral part of the educational process as it shows to what extent students achieved learning outcomes of curriculum and each course. There are two main methods to assess student knowledge: diagnostic assessment paired with summative assessments. Summative assessment examples are midterm and final exams, which are usually held in different forms (oral, written, and objective tests) in accordance with course content. The article describes the results of a survey conducted to reveal the advantages and disadvantages of student assessment methods and forms.

საკვანძო სიტყვები: შეფასება; სტუდენტთა ცოდნის შეფასება; ზეპირი გამოცდა; წერითი გამოცდა; ტესტირება;

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სტუდენტების ცოდნის შეფასება, აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, განათლების შესაბამისი დონის შენარჩუნება და ხელისშემწყობი, საგანმანათლებლო გარემოს შექმნა ძალზედ მნიშვნელოვანია. შესაბამისად, თანამედროვე სასწავლო პროცესის აუცილებელი კომპონენტია ცოდნის კონტროლისა და შეფასების მეთოდები და ფორმები.

აკრედიტაციის სახელმძღვანელოს მიხედვით, სტუდენტთა შეფასების მიზანია გაირკვეს თუ რამდენად არის მიღწეული კურიკულუმითა და თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრული შედეგი. შეფასება უნდა იყოს მრავალკომპონენტიანი და ეფუძნებოდეს 4 ძირითად პრინციპს: [1]

- **ობიექტურობა** - ამ პრინციპის მიხედვით, შეფასების შედეგი არ არის დამოკიდებული ლექტორის პირად მოსაზრებასა და დამოკიდებულებაზე. ობიექტურობის დასაცავად შეფასების კრიტერიუმები წინასწარ უნდა იყოს შემუშავებული და შეთანხმებული;
- **სანდოობა** - აღნიშნული პრინციპით, შეფასების შედეგები არ იცვლება იმის მიუხედავად, თუ ვინ და როგორ აფასებს სტუდენტის ცოდნასა და უნარებს. სანდოობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია კონკრეტულად ჩამოყალიბებული შეფასების კრიტერიუმების გამოყენება;
- **ვალიდურობა** - ნიშნავს შეფასების მიზნებთან შესაბამისობას, ანუ ლექტორი აფასებს ზუსტად იმას, რასაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისახავდა მიზნად;
- **გამჭვირვალობა** - გულისხმობს, რომ როგორც სტუდენტების, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის წინასწარ ცნობილი უნდა იყოს შეფასების მექანიზმები და კრიტერიუმები.

შეფასებისათვის გამოიყენება ორი ტიპის- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ყოველთვის „ფორმალურია“ და მიზნად ისახავს სტუდენტის მიღწევის ზუსტ შეფასებას. თავის მხრივ გამოყოფენ მიმდინარე/შუალედურ და შემაჯამებელ/დასკვნით განმსაზღვრელ შეფასებას. როგორც წესი სასწავლო კურსი ფასდება რამდენიმე კომპონენტით - შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება, რომელთა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ან ზოგ შემთხვევაში შეფასებების ხვედრითი წილი წინასწარაა განსაზღვრული.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისევე როგორც სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის გამოიყენება ცოდნის შეფასების სხვადასხვა ფორმა და კრიტერიუმი. შეფასების კრიტერიუმებიდან (აქტივობა, შუალედური და დასკვნითი გამოცდა) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შუალედური და დასკვნითი გამოცდები, რომელთა ორგანიზება სხვადასხვა სასწავლო კურსის ფარგლებში განსხვავებულად ხდება. ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ძირითადად გამოიყენება **ტრადიციული** (ზეპირი, წერითი გამოცდა), და **არატრადიციული** (ტესტირება, კომბინირებული გამოცდა) სტუდენტთა ცოდნის შეფასების მეთოდები. სწორედ ამიტომაც გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა გამოკითხვა და გაგვეგო თუ როგორია სტუდენტთა დამოკიდებულება ცოდნის შეფასების მეთოდებისადმი.

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა ტრადიციული (ზეპირი, წერითი გამოცდა) და არატრადიციული (ტესტირება) მეთოდებით სტუდენტთა ცოდნის შეფასების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესწავლა. სამიზნე ჯგუფად შეირჩა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ

მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები. რესპონდენტებთან კომუნიკაცია დავამყარეთ ვიზუალური, თვითშევსებადი (კორპორაციული და პირადი ელექტრონული ფოსტის, ინტერნეტით) მეთოდით. შეკითხვები იმგვარად იყო ფორმულირებული, რომ სტუდენტებს შეეძლოთ მათზე ზუსტად გაეცათ პასუხი.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 71 პირმა, რომელთაგან 70% (50) მდედრობითი, ხოლო 30% (21) მამრობითი სქესის წარმომადგენელია. რაც შეეხება სწავლების საფეხურს, გამოკითხულთა 82% (58) ბაკალავრიატის, ხოლო 18% (13) მაგისტრატურის სტუდენტია.

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს პასუხი უნდა გაეცათ 6 მრავალარჩევნიანი შეკითხვისათვის (თითოეულზე შესაძლებელი იყო მაქსიმუმ 3 პასუხის შემოხაზვა), რომლებიც დაკავშირებული იყო წერითი, ზეპირი გამოცდებისა და ტესტების დადებით და უარყოფით მხარეებთან. მიმოვიხილოთ უშუალოდ **ანკეტა**:

პირველი შეკითხვაზე - წერითი გამოცდის უარყოფითი მხარეები - პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. **მოითხოვს გაცილებით მეტ დროს საგნის მოსამზადებლად,** რადგან მაღალი შეფასების მისაღებად საკითხი ტექსტთან ძალიან ახლოს უნდა იყოს. (35)
2. **არ იძლევა სტუდენტის მთელი კურსის ცოდნის შეფასების** შესაძლებლობას, რადგან ბილეთის აღებისას მოქმედებს გამართლების ან არგამართლების ელემენტი. (33)
3. **საგამოცდო დროში შეზღუდულობა.** (27)
4. **საგამოცდო ნაშრომების გასწორებას სჭირდება დიდი დრო.** (26)
5. **ლექტორის არყოფნის ან ავადმყოფობის შემთხვევაში მათი სხვა ლექტორით ჩანაცვლება,** რამაც შეიძლება გამოიწვიოს სტუდენტის ცოდნის სუბიექტური შეფასება (გამომცდელს განსხვავებული ინტერპრეტაცია და აღქმა გააჩნია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.) (16)
6. **სუბიექტური ფაქტორი** - ლექტორსა და სტუდენტს შორის პირადი ურთიერთობები, მასწავლებლების მოთხოვნების განსხვავება, მიკერძოება და სხვა. (11)



მეორე კითხვა ეხებოდა **ზეპირი გამოცდის უარყოფით მხარეებს:**

1. **გამოცდა დროში იწელება "სტუდენტისთვის რთულია გათვალოს კონკრეტულად როდის მოუწევს გამოცდაზე შესვლა".** (35)
2. თითქმის შეუძლებელია **ისეთი ბილეთების შემუშავება,** რომლებიც მთლიანობაში შეაფასებს თითოეული სტუდენტის ცოდნას მთელ საგანში. (25)
3. **არ იძლევა სტუდენტის მთელი კურსის ცოდნის შეფასების შესაძლებლობას,** რადგან ბილეთის აღებისას მოქმედებს გამართლების ან არგამართლების ელემენტი. (23)
4. **მეტია ლექტორის მხრიდან სუბიექტურობის გამოვლინების შესაძლებლობა.** (23)
5. **ლექტორი დროთა განმავლობაში იღლება,** ბოლო გამოსაკითხი სტუდენტები (1/3) შედარებით იოლად იღებენ შეფასებებს და ადვილია საკითხის გადაწერის ალბათობაც იმატებს. (23)
6. **მოითხოვს გაცილებით მეტ დროს საგნის მოსამზადებლად.** (12)
7. **სტუდენტები ხშირად სარგებლობენ ლექტორის გულმოწყალებითა და ჰუმანურობით.** (10)
8. **გამოცდისას მეტია ლექტორსა და სტუდენტს შორის კონფლიქტის წარმოშობის ალბათობა.** (9)



მესამე კითხვა ეხებოდა **ზეპირი გამოცდის დადებით მხარეებს:**

1. **„ცოცხალი“ ურთიერთობა სტუდენტთან.** (47)
2. **შესაძლებელია სტუდენტის მომზადების ზოგადი დონის შეფასება.** (37)
3. **შეაფასოს ლოგიკური აზროვნების უნარის შეფასება.** (37)
4. **დამატებით კითხვებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა.** (31)
5. **ბილეთის შეცვლის შესაძლებლობა ქულის დაკლების სანაცვლოდ.** (12)



მეოთხე კითხვა მოიცავდა ტესტირების უარყოფით მხარეებს, რომელთა შესახებაც რესპონდენტებმა დააფიქსირეს შემდეგნაირი მოსაზრება:

1. **ზოგიერთი კითხვა შეიძლება იყოს ორაზროვანი, იწვევდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციასა და უზუსტობას; (55)**
2. **არსებობს ტექნიკური ხარვეზის რისკი- ელექტროენერგიის გათიშვა, პროგრამული გაუმართაობა; (32)**
3. **საგამოცდო დრო შეზღუდულია-დაწესებულია დროის ლიმიტი; (28)**
4. **მცირეა აპელაციის შესაძლებლობა. (12)**



მეხუთე შეკითხვაზე - ტესტირების დადებითი მხარეები- პასუხები ამგვარად გადანაწილდა:

1. **სტუდენტი შეფასებას იღებს გამოცდის დასრულებისთანავე;** (58)
2. **მცირეა ან საერთოდ არ აქვს ადგილი ლექტორის მხრიდან სუბიექტურ შეფასებას;** (36)
3. **ტესტები ეფუძნება უნივერსალურობის პრინციპს- შესაძლებელია სტუდენტის მთელი კურსის ცოდნის დონის ობიექტური შეფასება;** (33)
4. **ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით ნაკლები დრო სჭირდება საგნის მომზადებას;** (18)
5. **დროში შეზღუდულობის გამო ნაკლებია გადაწერისა და ურთიერთდახმარების შანსი;** (15)
6. **გამოცდას სჭირება ნაკლები დრო;** (14)



ანკეტის დასასრულს რესპონდენტებს ვთხოვეთ ჩამოთვლილი ცოდნის შეფასების მეთოდებიდან აერჩიათ ის მეთოდი, რომელსაც თავად ანიჭებდნენ უპირატესობას. როგორც დიაგრამიდან ჩანს გამოკითხულთა 44%-მა დაასახელა **ტესტირება**:



დაფიქრისებული შედეგი მოსალოდნელი იყო, რამდენადაც თანამედროვე პერიოდში ტექნიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად პოპულარულია ტესტირების საშუალებით

ცოდნის შეფასება. გარდა ამისა, ტესტირებას ზეპირ, წერით ან კომბინირებული ფორმით ჩატარებულ გამოცდებთან შედარებით უფრო მეტი უპირატესობა გააჩნია:

- შეფასება მაქსიმალურად ემყარება ძირითად პრინციპებს- ობიექტურობა, ვალიდურობა, სანდოობა და გამჭვირვალობა;
- ტესტირებისათვის გამოიყენება სპეციალური პროგრამები, რაც განაპირობებს საგამოცდო პროცესში ლექტორის ნაკლებ ჩართულობასა და სუბიექტური ფაქტორის გამორიცხვას;
- სტუდენტის შეფასებას სჭირდება მცირე დრო და ხდება წინასწარ შექმნილი ალგორითმების მიხედვით (მაგალითად, კომპიუტერის საშუალებით);
- შესაძლებელია განვლილი სასწავლო კურსის ფარგლებში მიღებული ცოდნის დონის სრულად შეფასება;
- შესაძლებელია ჩატარდეს როგორც ადგილზე, ასევე დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში;
- ნაკლებად ითხოვს სტუდენტის წერითი უნარების დემონსტრირებას, შეიძლება გამოვიყენოთ აკადემიური უნარების ფართო სპექტრის შესაფასებლად; [2]
- მარტივია მიღებული შედეგების ანალიზი, მათ შორის სასწავლო მასალის შემდგომი დახვეწის მიზნით (კურსის რომელი თემები წარმოადგენს სირთულეს სტუდენტებისთვის).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო;
2. https://www.sba.edu.ge/wp-content/uploads/2016/02/studentis-saxelmdzgvanelo.pdf

2.	**თემის დასახელება**	**თანამედროვე ანტირუსული სანქციები და მისი ეფექტიანობა**
	სტუდენტი	**ლომაია სუსანა**
	სამაგისტრო პროგრამა	„საერთაშორისო ურთიერთობები“, I კურსი, აწსუ
	ხელმძღვანელი	**ბუცხრიკიძე ავთანდილი**

სექციური მუშაობა

სექცია I: „თანამედროვე ბიზნეს და სამართლებრივი ურთიერთობები“

ხელმძღვანელი: **ნარგიზა ქარქაშაძე,** ასოცირებული პროფესორი
თანახელმძღვანელი: **მახარეიშვილი თამარი**
საბაკალავრო პროგრამა: „სამართალი“, III კურსი

1	თემის დასახელება	**ეროვნული ვალუტის კურსის გავლენა ბიზნესზე**
	სტუდენტი	**იმედაძე ნესტანი**
	სამაგისტრო პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება, I კურსი, აწსუ
	ხელმძღვანელი	**გუგეშაშვილი თინათინი**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი

Business development is influenced by many factors,but the most important is the change in the exchange rate.The main purpose of our research is to study the impact of the national currency exchange rate on business.The change in the national currency affects the volume of exports and imports.Factors affecting the GEL exchange rate can be divided into: short-term, medium and long-term factors.Due to the high level of consumption of imported products in the country, the increase in the dollar exchange rate puts a heavy burden on both the economy and society.According to today's data, the exchange rate is relatively strong, but changes are expected again and the current rate is still unstable.The current trend of the exchange rate has a positive effect on the export sectors, as their products become cheaper and more competitive in foreign markets.As a rule, the depreciation of the current exchange rate should have a positive impact on tourism, although it should be noted that the lifting of regulations caused by the pandemic has aggravated the political situation in the region, we mean the Russia-Ukraine war, which really changed the overall background.

The exchange rate is an important factor when traveling to international visitors, they attach great importance to the expected costs in dollars when deciding to travel to Georgia, which is reduced in terms of a strengthened dollar. Positively affects the country's revenues.The survey showed that the pandemic has significantly hampered the development of the tourism sector, although it is still difficult to accurately determine the damage caused by exchange rate volatility.State support programs were also negatively assessed, as they do not focus on the staff retention mechanism in the sector.Finally, in a short period of time, such a significant change in the exchange rate of the national currency had a huge impact on business. Unfortunately, many businesses could not continue to operate at all.

საკვანძო სიტყვები:ტურიზმი,ინფლაცია,რეფინანსირება,ვალუტა,კურსი,ბიზნესი

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში დიდია ბიზნესის როლი და მნიშვნელობა.ბიზნესის განვითარებას განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის დონე.ამდენად საქართველოს ეკონომიკის შემადგენელი ხდება ბიზნესიც,რომლის განვითარებაზეც გავლენას ახდენს უამრავი ფაქტორი,მათ შორის კი მნიშვნელოვანია სავალუტო კურსის ცვლილება. ცნობილია,რომ მსოფლიოში ყველა დამოიკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს აქვს საკუთარი ეროვნული ფული-ვალუტა,რომელიც გამოიყენება საქონლის ღირებულების(იგივე ფასის) სიდიდის გასაზომად.ეროვნული ვალუტა სუვერენული სახელწიფოს ფულადი სისტემის საფუძველია,რომლითაც ხორციელდება საშინაო და საგარეო ანგარიშსწორება.ვალუტის სააღრიცხვო და საანგარისსწორებო საშუალებად გამოყენება კანონმდებლობით სავალდებულოა ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე,რის გამოც მისი სიმყარე და სტაბილურობა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ-ქვეყნის ცენტრალური ბანკის მეშვეობით,რადგან ის სახელწიფოს სუვერენულობის ისეთივე ატრიბუტია,როგორც დროშა,ჰიმნი და ღერბი.სავალუტო კურსი,იგივე გაცვლითი კურსი არის ქვეყნის ფულადი ერთეული გამოსახული სხვა ქვეყნის ფულად ერთეულებში ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების დროს.სიმარტივისთვის სავალუტო კურსის აღსანისნავად გამოიყენება სამ ასოიანი აბრევიატურები,რომლებიც აღნიშნავს ვალუტისა და მისი ემიტენტი ქვეყნის სახელს.მაგალითად,საქართველოს ლარი-GEL,ხოლო USD ნიშნავს აშშ დოლარს. ლარის გაცვლიტი კურსი შეიძლება მრავალი ვალუტით(აშს დოლარი,ევრო,იენი,მანათი) გამოისახოს,ცვეულებრივ,ლარის კურსი დგინდება აშშ დოლარის მიმართ,რადგან ეს უკანასკნელი,ფაქტობრივად,გამოდის მსოფლიო ფულის როლში.აქვე აღსანიშნავია,რომ თუ ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი ყოველწლიურად იზრდება ეს ნიშნავს,რომ ქვეყანას ეზრდება საგარეო ვალი და დგება დეფოლტის საშიშროება,ასევე საფრთხე წარმოიშვება გადახდის უნარიანობის,კრედიტუნარიანობისა და გაკოტრების საშიშროების კუთხით.

ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანია ეროვნული ვალუტის კურსის გავლენის შესწავლა ბიზნესზე და აქედან გამომდინარე,მნიშვნელოვანია განვიხილოთ მისი გავლენა ექსპორტზე.დიახ,ეროვნული ვალუტის ცვლილება გავლენას ახდენს ექსპორტისა და იმპორტის მოცულობაზე,თუმცა,აქ გასათვალისწინებელია თუ როგორ იცვლება ამ დროს ფასები საქართველოსა და მის ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში.

თვალსაჩინოებისათვის მაგალითად ავიღოთ საქართველო და უკრაინა,რომელიც,როგორც ვიცით,მიმდინარე წლის 24 თებერვლიდან ჩართულია რუსეთთან ომში,რის გამოც შეიცვალა მისი დამოკიდებულება სავაჭრო პარტნიორებთან.თუ ლარის გაცვლითი კურსი უკრაინული გრინვას მიმართ სტაბილურია და ფასების დონე საქართველოში უფრო მაღალი ტემპით იზრდება,ვიდრე უკრაინაში ასეთ პირობებში ქართული პროდუქტები უკრაინისთვის ძვირდება და პირიქით,თუ ლარის კურსი მყარდება უკრაინული გრინვას მიმართ,ხოლო ფასები უკრაინაში საქართველოსთან შედარებით უფრო სწრაფად იზრდება და არემატება ლარის გამყარების ტემპებს,მაშინ ქართული პროდუქტი უფრო ხელმისაწვდომი გახდება უკრაინელი მომხმარებლებისათვის და შესაბამისად,გაიზრდება ქართული ექსპორტი.

აქვე აღსანისნავია,რომ 2022 წლის იანვარში საქართველოში საგარეო სავაწრო ბრუნვამ 1 110.5 მლნ.აშშ დოლარი შეადგინა,რაც წინა წლების შესაბამის პერიოდთან შედარებით 41.2 პროცენტით მეტია,აქედან ექსპორტი 331.3 მლნ.აშშ დოლარს შეადგენდა,ხოლო იმპორტი 779.1 მლნ.აშშ დოლარი იყო.სამწუხაროდ,უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა ამავე პერიოდში 447.8 აშშ დოლარი შეადგინა,რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.3 პროცენტია.[1]

ლარის კურსზე მოქმედი ფაქტორები შეგვიძლია დავყოთ: მოკლევადიან,საშუალო და გრძელვადიან ფაქტორებად.

მოკლევადიან ფაქტორებში მთვარ როლს თამაშობს:განწყობები,მოლოდინები,სხვადასხვა ტიპის ინფორმაციები,ჯგუფური ქცევები,მსხვილი სავალუტო ტრანზაქციები,სპეკულაციები,სავალუტო ბაზარზე კურსის ცვლილებები და ა.შ

საშუალო და გრძელვადიან პერიოდში გაცვლით კურსზე გავლენას ახდენს ფუნდამენტური ფაქტორები,რომელიც მოიცავს არამარტო შიდა,არამედ გლობალურად მიმდინარე ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პროცესებს.ესენია: ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა.ეკონომიკური ზრდა და ექსპორტ/იმპორტის დინამიკა.ფულადი გზავნილები,პირდაპირი უცხოური ინვესტიციები,დეპოზიტები,მთლიანი საგარეო ვალი და ტურიზმი.

იმის გათვალისწინებით,რომ საკვლევი თემის შინაარსი ძალიან მრავალფეროვანია და ბევრ ნიუანსს მოიცავს,ჩვენი კვლევა დავიყვანეთ ტურიზმის ბიზნესზე,რომელზეც მნიშველოვან გავლენას ახდენს ვალუტის გაცვლითი კურსი.ქვეყანაში არსებული იმპორტირებული პროდუქციის მოხმარების მაღალი დონის გამო დოლარის გაცვლითი კურსის მატება მძიმე ტვირთად აწვება როგორც ეკონომიკას,ისე საზოგადოებას.

ვალუტის კურსის დინამიკა 2001-2022 წლებში

[1] https://www.geostat.ge/ka



დიაგრამა 1[2]

ვალუტის კურსის დინამიკა გვიჩვენებს თუ რამდენად გაუფასურდა ლარის კურსი ბოლო 4 წლის მანძილზე,განსაკუთრებით კი პიკს მიაღწია 2021 წელს. დღევანდელი მონაცემებით შედარებით გამყარებულია ვალუტის კურსი,თუმცა ცვლილებები ისევ და ისევ მოსალოდნელია და ჯერჯერობით დღეს არსებული მაჩვენებელიც არასტაბილურია(USD ოფიციალური კურსი-2.9634ლ)

გარდა ამისა,სოციალურ ფონს ამძიმებს დოლარში არებული კრედიტების გაძვირება,რადგანაც შეიცვალა ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების განაკვეთი[3] (2020 წლის 30 მარტს ეროვნული ბანკის მონეტარული კომიტეტის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი გაიზარდა 0.5 პპ-ით,შეადგენს 11.0 პროცენტს)

ვალუტის კურსის მნიშვნელოვანი გაუფასურება მოიცავს ინფლაციის საფრთხეებსაც,თუმცა მეორეს მხრივ კურსის მიმდინარე ტენდენცია დადებითად მოქმედებს საექსპორტო დარგებზე,რადგან მათი პროდუქცია უფრო იაფი და კონკურენტუნარიანი ხდება გარე ბაზრებზე. როგორც ვიცით,ვალუტის გაუფასურება ექსპორტს ასტიმულირებს და ამ მხრივ ტურიზმი საექსპორტო დარგად შეიძლება მოვიზაროთ.წესით,მიმდინარე ვალუტის კურსის გაუფასურება დადებითი გავლენის მქონე უნდა იყოს ტურიზმზე,თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც,რომ პანდემიით გამოწვეული რეგულაციების მოხსნის პარალელურად დაიძაბა პოლიტიკური მდგომარეობა რეგიონში,ვგულისხმობთ,რუსეთ-უკრაინის ომს,რამაც ნამდვილად შეცვალა საერთო ფონი. საერთაშორისო ვიზიტორებისათვის მოგზაურობისას გაცვლითი კურსი მნიშვნელოვანი ფაქტორია,ისინი საქართველოში მოგზაურობის გადაწყვეტილების მიღების დროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსალოდნელ დანახარჯებს დოლარში,რაც გამყარებული დოლარის პირობებში შემცირებულია.ეს ფაქტორი მასტიმულირებელია მათთვის და შესაბამისად იწვევს ვიზიტორთა რაოდენობის ზრდას.მეტი საერთაშორისო მოგზაური კი ნიშნავს მეტი უცხოური ვალუტის შემოდინებას ქვეყანაში,რაც დადებითად აისახება ქვეყნის შემოსავლებზე.

[2] https://www.geostat.ge/ka

[3] https://nbg.gov.ge/



დიაგრამა 2[4]

2012 წლამდე და მას შემდეგ ტურისტების რაოდენობა ყოველ წელს იზრდებოდა.ყველაზე დაბალი ტემპით 2014 წელს გაიზარდა-2,7 %-ით,როდესაც საქართველოს მთავრობამ სავიზო რეჟიმი გაამკაცრა,თუმცა მალევე მიხვდა ტავის სეცდომას და ისევ გაამარტივა,რასაც სედეგად მოყვა ტურიზმის სწრაფი ზრდა.2019 წელს 2012 წელთან შედარებით ქვეყანაში სემოვიდა 2-ჯერ მეტი ვიზიტორი,პანდემიის გამო 2020 წლის მარტიდან მატი რაოდენობა 95%-ით შემცირდა. ვალუტის მყიდველუნარიანობის განსაზღვრის დროს მნიშვნელოვანია ინფლაციის გათვალისწინება,შესაძლოა უცხოელი ვიზიტორებისათვის ვალუტის გაუფასურების დადებითი ეფექტი შეასუსტოს ან უფრო მეტიც გადაფაროს ადგილობრივ ბაზარზე ფასების ზრდამ.საბოლოო ეფექტი უკეთესად ჩანს რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის დინამიკაში,სადაც გათვალისწინებულია როგორც ვალუტის კურსის,ასევე ფასების დონის ცვლილება.ეს ფაქტორები გვიჩვენებს,რომ გაცვლითი კურსისა და ფასების დონის ბოლო პერიოდის დინამიკის გავლენით საქართველო,როგორც ტურისტული დესტინაცია[5] გახდა უფრო იაფი და კონკურენტული,რაც თავის მხრივ მასტიმულირებელია ვიზიტორთა რაოდენობის და შესაბამისად,ქვეყანაში საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების.

საკვლევი თემის ანალიზისათვის ტურიზმის სექტორში დასაქმებული ბიზნესებისთვის ჩავატარეთ გამოკითხვა(ანკეტა,დანართი1)
რომელმაც ნათლად აჩვენა,რომ პანდემიამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ტურიზმის სექტორის განვითარება,თუმცა ვალუტის კურსის არასტაბილურობით გამოწვეული ზარალის ზუსტად განსაზღვრა ჯერ კიდევ რთულია და გაურკვევლობა,რომელიც დღემდე ახასიათებს ვალუტის კურსს,თავის მხრივ,ცალკე საფრთხეს წარმოადგენს ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის.აქვე აღსანიშნავია,რომ რიგი ეკონომიკური საქმიანობებისა და ავიამიმოსვლების შეჩერება/შეწყვეტამ დიდი დარტყმა მიაყენა როგორც საერთაშორისო,ისე შიდა ტურიზმს.
ჩვენს მიერ გამოკითხული რესპოდენტების კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ შიდა ტურიზმზე ორიენტირებით ტურიზმის სექტორის წარმომადგენლების მიმდინარე გამოწვევები ვერ მოგვარდება და შიდა ტურიზმი ვერ შეძლებს საერთაშორისო ტურიზმის დანაკარგების ჩანაცვლებას.ეს ერთი მხრივ განპირობებულია უცხოელ ტურისტებთან შედარებით შიდა ტურიზმის მასშტაბის მკვეთრი სიმცირით,ხოლო მეორე მხრივ,სექტორის მხრიდან შიდა ტურიზმისთვის გასაწევი ალტერნატიული დანახარჯების დიდი რაოდენობით,ვიდრე სჭირდება მიღებულ შედეგებს.

[4] საქსტატი

[5] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=16438–დესტინაცია ნიშნავს დანიშნულებას, გამიზნულობას.

შიდა ტურიზმის განვითარება გრძელვადიანი სამომავლო პერსპექტივაა,რომლისთვისაც საჭიროა გამართული სტატისტიკური მონაცემები,მზაობა ტურიზმის სექტორის წარმომადგენლების მხრიდან,სახელმწიფოსა და სექტორის წარმომადგენლებს შორის მჭიდრო კომუნიკაცია და რიგი თანმდევი პროცესების ანალიზი.
ტურიზმის დახმარების მიმართულებით უნდა ითქვას რომ სფეროს სუბიექტები 2020 წელს სრულად გათავისუფლდნენ ქონების გადასახადისგან,მოხდა ტურისტული კომპანიებისა და გიდების დაფინანსება,გარდა ამისა,ტურიზმის სუბიექტებს გადაუვადდათ ქონებისა და საშემოსავლო გადასახადები,ხოლო მცირე სასტუმროებს დაუფინანსდათ 6 თვის საბანკო კრედიტის 80 პროცენტი,თუმცა,მიუხედავად ამისა უარყოფითად შეფასდა სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამები,რადგან ისინი არ არიან მიმართული სექტორში თანამშრომელთა შენარჩუნების მექანიზმზე,რაც ბიზნესებს არ უტოვებს გადარჩენის შანსს,უფრო მეტიც,დახმარების ძირითადი ვექტორი მიმართული იყო სასტუმროების ბიზნესზე და ტურიზმის სხვა დანარჩენი სფეროები იყო უგულველყოფილი.
და ბოლოს,მოკლე პერიოდში ეროვნული ვალუტის კურსის ასეთმა მნიშვნელოვანმა ცვლილებამ უდიდესი გავლენა მოახდინა ბიზნესზე,სამწუხაროდ,ბევრმა ბიზნესმა საერთოდ ვეღარ გააგრძელა ფუნქციონირება,ასევვე ეროვნული ვალუტის კურსის გავლენით გაიზარდა მათი მიწოდებული პროდუქციისა და მომსახურების ფასი,რაც უარყოფითად აისახა,როგორც ტურიზმზე,ისე მთლიანად საქართველოს ეკონომიკაზე.

ანკეტა,დანართი 1

1.სქესი
ა)მდედრობითი
ბ)მამრობითი

2.ასაკი
ა)18-25 წლამდე
ბ)25-დან 35 წლამდე
გ)36-დან 45 წლამდე
დ)46-დან 55 წლამდე
ე)56-დან 65 წლამდე
ვ)65 წელზე მეტი

3.ტურისტულ ინდუსტრიაში მოღვაწეობის პერიოდი
ა) 1-3 წელი ბ)3-5 წელი გ)5-10 წელი დ)10 წელზე მეტი

4.ტურიზმის სექტორის რომელ სფეროს წარმოადგენთ?
ა) სასტუმრო სექტორი ბ)რესტორნის სექტორი გ) ტუროპერატორული/ტურსააგენტო დ) სხვა

5.მიუთითეთ თქვენი საქმიანობის ფორმა
ა)დამოუკიდებელი მეწარმე /თვითდასაქმებული
ბ)მეწარმე - კომპანიის მფლობელი გ)დაქირავებული (კერძო კომპანია)
დ)სხვა _____

6.როგორ შეაფასებდით 2020-21 წლის ტურისტულ სეზონს? რამდენად იმოქმედა არსებულმა სიტუაციას თქვენს ბიზნესზე?

7.თქვენი შემოსავლების /
კლიენტურის რა წილი მოდიოდა საერთაშორისო ტურიზმზე?
ა)0-20%
ბ)21-40 %
გ)41-60 %
დ)61-80 %
ე)81-100 %
8.როგორი იყო ფინანსური შედეგები პანდემიამდე და მას შემდეგ?

9.არსებული პანდემიისა და ვალუტის გაუფასურების პირობებში, 2020-21 წლის ტურისტულ სეზონზე თქვენი შეფასებით, როგორი შეიცვალა შიდა ტურისტული ნაკადები წინა წლებთან შედარებით?
ა)მნიშვნელოვნად შემცირდა
ბ)უმნიშვნელოდ შემცირდა
გ)არ შეცვლილა
დ)უმნიშნველოდ გაიზარდა
ე)მნიშვნელოვნად გაიზარდა

10.რამდენად რთული იყო პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების შესრულება თქვენი კომპანიისთვის?(ფინანსური თვალსაზრისით)
ა) არ იყო რთული
ბ) იყო ნორმალური სირთულის
გ) ძალიან რთული იყო

11.რა გავლენა მოახდინა ვალუტის კურსის არასტაბილურობამ თქვენს ბიზნესზე?

12.თქვენი აზრით რა დრო იქნება საჭირო ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების პანდემიამდე არსებულ დონეზე დაბრუნებისათვის?
ა) 1 წელი ბ) 2 წელი გ) 3 წელი დ) 3 წელზე მეტი

13.როგორ ფიქრობთ,რამდენად შესაძლებელია შიდა ტურიზმზე აქცენტირება მომდევნო უახლოეს წლებში და რამდენადაა მოსალოდნელი მისი ზრდა?
ა)სავსებით შესაძლებელია /მოსალოდნელია - შიდა ტურიზმის გააქტიურება და გაზრდა
ბ)შიდა ტურიზმი დარჩება იმავე დონეზე რაც იყო პანდემიამდე
გ)შიდა ტურიზმიც შემცირდება
დ)რთულია პროგნოზირება

14.გისარგებლიათ თუ არა სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის მხარდაჭერის რომელიმე პროგრამით?კონკრეტულად რომლით? და რა სარგებელი მოგცათ მან?

2	თემის დასახელება	**საჯარო მოხელის და მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები**
	სტუდენტი	**ქათამაძე ლიკა**
	საბაკალავრო პროგრამა	სოციალური მეცნიერებები, IVკურსი, აწსუ
	ხელმძღვანელი	**გამსახურდია თამაზი**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი

Შ ე ს ა ვ ა ლ ი

პროფესია არის ცოდნის, უნარ-ჩვევათა და კომპეტენციათა ერთობლიობა, რომელთა ფლობა აუცილებელია გარკვეულ სფეროში შრომითი საქმიანობისათვის და რომელთა შეძენა შესაძლებელია სწავლის ან/და შესაბამის სფეროში საქმიანობის შედეგად. პროფესია არის ის საქმიანობა რომელიც ჩვენი ინტერესის სფეროა, მის დაუფლებას ბევრი შრომა სჭირდება . პროფესია ეს „ ჩემი მომავალია“ და ყველა ადამიანმა უნდა გაითავისოს პირველ რიგში თავად ის თუ რა არის მათი ინტერესის სფერო და რა შესაძლებლობები გააჩნია, ყველა ვერ იქნება ექიმი და თუნდაც ხელოსანი. ნათქვამია რომ პური პურის მცხობელმა უნდა აცხოს რატომ? იმიტომ რომ ეს საქმე მას აინტერესებს და მისი შესრულების უნარიც გააჩნია წინააღმდეგ შემთხვევაში მისი პროფესია იქნებოდა სხვა. დღესდღეობით მრავალი პროფესია არსებობს თუმცა ზოგი ნაკლებ პოპულარულია ზოგი მეტად პოპულარული, ზოგიც მაღალ შემოსავლიანი ან დაბალ შემოსავლიანი, მთავარია ახლოს იყოს პროფესია შენთან და გიყვარდეს ის შინაგანად მოდიოდეს მისი სიყვარული და ერთვოდეს უნარებიც თუმცა არის შემთხვევა რომ ადამიანს აინტერესებს რაღაც სფერო და სურს თავისი თავი იქ იმ სფეროში ნახოს სამომავლოდ თუმცა გარკვეული უნარები არა აქვს რაც მისი ინტერესის სფეროს ჭირდება მაგრამ აქვს მონდომება რომესლაც დიდი მნიშვნელობა აქვს რადგან ადამიანი ამ მონდომებით აღწევს შედეგს და დროთა განმავლობაში იძენს უნარებს და ყალიბდება კარგ სპეციალისტად. პროფესია მენეჯერი ეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროფესიაა და ამის მიზეზი მარტივია, კარგი მენეჯერი დასაქმების ბაზარზე ყოველთვის მოთხოვნადია და მათ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ სოლიდური შემოსავალიც. საჯარო მოხელის პროფესიას ასევე ძალიან პოპულარულია დრესდღეობით თუმცა მას გარკვეული ხარვეზები გაჩნია მაგალითად ნეპოტიზმი მნიშვნელოვან პრობლემას წარმოდგენს განსაკუთრებით მაშინ როცა საქმე ეხება თანამშრომლის აყვანას სამსახურში ან თუნდაც დაწინაურებას, იყო საჯარო მოხელე ნიშნავს გიყვარდეს

შენი ხალხი. ასევე მრავალი პროფესიები გვხვდება რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობს თუმცა ჩვენ შევაჩეროთ ყურადღება ჩემი აზრით და ალბათ ბევრის ისეთ პროფესიებზე როგორიცაა მენეჯერი და საჯარო მოხელე, გავარკვიოთ ვინ არის მენეჯერი და ვინ საჯარო მოხელე, და ზოგადა რა ხდება ამ სფეროებში რა კავშირი შეიძლება დავამყაროთ ამ ორ პროფესიას შორის, საჯარო მოხელეთა ფუნქცია მოვალეობები და ასევე მენეჯერთა ფუნქცია მოვალეობები. საქართველოში მიღებულ იქნა 1997 წლის 31 ოქტომბერს პირველი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელმაც მოაწესრიგა საჯარო სამსახურის ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლები, დაარეგულირა საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები და განსაზღვრა მოსამსახურის სამართლებრივი მდგომარეობა. ამის შემედ აღნიშნულმა კანონმა მრავალი ცვლილება განიცადა. მნიშვნელოვანია ასევე მენჯერი რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს როგორც კერძო ისე საჯარო სექტორში. გადავიდეთ თემაზე რომელიც წარმოდგენას შეგვიქმნის ორ პროფესიაზე რომელიც განსხვავდება თუმცა ამავდროულად გავს და ავსებს ერთმანეთს.
საჯარო მოხელის და მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები

ნებისმიერ ქვეყანას წინსვლისა და განვითარებისთვის სჭირდება როგორც კერძო ასევე საჯარო სექტორის მყარად დგომა,რაც ქვეყანას წარმატებისკენ წარმართავს ე.ი იკვეთება ორი სექტორი საჯარო და კერძო რომელშიც ადამიანები არიან დასაქმებული თავიანთი სტატუსის მიხედვით. კერძო სექტორი მოიცავს ბიზნესს, რომელსაც ფლობენ, მართავენ და აკონტროლებენ ფიზიკური პირები ხოლო საჯარო სექტორი არის სახელმწიფო ინსტიტუტების მთლიანი შემადგენლობა რომლებიც მიზნად ისახავს ქვეყანაში პოლიტიკის, კანონებისა და პროგრამების განხორციელებას რათა უზრუნველყონ მისი სათანადო განვითარება. კერძო სექტორის ძირითადი მიზანია მოგების მიღება ხოლო საჯარო სექტორის ქვეყნის მოქალაქეების მომსახურება.
დღესდღეობით აქტუალურია როგორც საჯარო მოხელეობა ასევე მენეჯერობა. განვმარტოთ თითოეული. საჯარო მოხელე არის პირი რომელიც საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მიხედვით ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას საჯარო სამსახურში, ის ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების (სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის) საშტატო თანამდებობაზე. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ „ განმარტავს საჯარო სამსახურს რომელშიც საჯარო მოხელეები არიან დასაქმებული. საჯარო სამსახური – სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა (გარდა ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი
პუნქტით განსაზღვრული პირების მიერ განხორციელებული საქმიანობისა), მუნიციპალიტეტის ორგანოებში (დაწესებულებებში) საქმიანობა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობა
(გარდა კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო და რელიგიურ, წევრობაზე დაფუძნებულ და ამ კანონითა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კატეგორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობისა).
საჯარო სამსახურად ითვლება აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოების აპარატებში, საქართველოს ეროვნული ბანკის აპარატში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატში, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიების აპარატებში, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში საქმიანობა;

მენეჯერი - ხელმძღვანელი პირი საკუთარი კაპიტალის გარეშე, ის არის ადამიანი რომელიც რესურსებს ანაწილებს ისე რომ კომპანიამ მიიღოს მაქსიმალური შემოსავალი. ტერმინი მენეჯერი მომდინარეობს ინგლისურიდან და ნიშნავს მართო, იყო პასუხისმგებელი .
საჯარო მოხელემ უნდა დაიცვას კანონით გათვალისწინებული საჯარო სამსახურის პრინციპები როგორიცაა: მუხლი 7. კანონიერება
საჯარო მოსამსახურე უნდა მოქმედებდეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. საჯარო მოსამსახურის ნებისმიერი ქმედება კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის პრინციპებს უნდა ემყარებოდეს.
მუხლი 8. ერთგულება
საჯარო მოსამსახურე ვალდებულია თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება საჯარო სამსახურის პრინციპებისა და საჯარო ინტერესების დაცვის საფუძველზე განახორციელოს.
მუხლი 9. კანონის წინაშე თანასწორობა

ყველა საჯარო მოსამსახურე თანასწორია კანონის წინაშე. დაუშვებელია სამოხელეო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის კანონიერი უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ან
საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის,
პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

მუხლი 10. ეკონომიურობა და ეფექტიანობა

საჯარო მოსამსახურე ვალდებულია რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ხარჯვით ეფექტიანად, სწორად და კოორდინირებულად წარმართოს საჯარო სამსახურში ორგანიზაციული
პროცესი ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად და ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

მუხლი 11. დამსახურებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახური

მოხელის სამსახურში მიღების შესახებ გადაწყვეტილება და მის კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილება მიუკერძოებლად უნდა იქნეს მიღებული და უნდა ეფუძნებოდეს მოხელის კომპეტენციისა და სამუშაოს შესრულების უნარის სამართლიან და გამჭვირვალე შეფასებას, რომლის მიზანია საუკეთესო კანდიდატის შერჩევა.

მუხლი 12. მიუკერძოებლობა

საჯარო მოსამსახურე თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას
მიუკერძოებელი უნდა იყოს და უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ საჯარო ინტერესებით. მას ეკრძალება პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობა.

მუხლი 13. საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა

საქართველოს ყველა მოქალაქისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჯარო სამსახურში შესვლის თანაბარი შესაძლებლობა, მათი უნარის, კვალიფიკაციისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად.

მუხლი 14. ანგარიშვალდებულება

საჯარო მოსამსახურე თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული
საქმიანობისთვის პირადად აგებს პასუხს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. პოლიტიკური ნეიტრალიტეტი

საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა პარტიული (პოლიტიკური) მიზნებისათვის ან/და ინტერესებისათვის გამოიყენოს. საჯარო მოსამსახურეს ასევე უფლება არა აქვს, სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას
მონაწილეობა მიიღოს აგიტაციასა და წინასაარჩევნო კამპანიაში. საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერი ან საწინააღმდეგო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება.

მუხლი 16. კარიერული განვითარება

საჯარო სამსახურში კარიერული განვითარება ემყარება შეფასების სამართლიან სისტემას და სხვა
მექანიზმებზე დაფუძნებულ პროფესიულ განვითარებას.

მუხლი 17. გამჭვირვალობა და ღიაობა

საჯარო სამსახური ხორციელდება გამჭვირვალედ და ღიად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 18. მოხელის სოციალური და სამართლებრივი დაცვა

ხალხისა და სახელმწიფოს ერთგულების პრინციპის დაცვის ხელშესაწყობად საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვრება მოხელის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები. საჯარო მოხელე უნდა იყოს ასევე კომუნიკაბელური მას უნდა უყვარდეს ხალხთან ურთიერთობა და მათი დახმარება, ხალხის კეთილდღეობისკენ მიმართული, საჯარო ინტერესებზე უნდა იყოს ორიენტირებული და არა კერძო, საზოგადოება უნდა გიყვარდეს, კრეატიული სადაც შეიძლება გაჩნდეს იდეები მაგალითად საზოგადოების ტრანსპორტებტან დაკავშირებით, ნდობა უნდა გაზარდოს საზოგადოების მათ მიმართ, დაიცვას ყველა ის პრინციპი აგრეთვე რაც კანონით გათვალისწინებულია და ა.შ. რაც შეეხება კარგ მენეჯერს ის უნდა იყოს შრომისუნარიანი და შედეგზე ორიენტირებული, მეგობრულ ურთიერთობაში უნდა იყოს მის თანამშრომლებთან, მას უნდა უყვარდეს მისი თანამშრომლები, ნდობა უნდა გაზარდოს და თანამშრომლები დააყენოს მთავარ ღირებულებად რაც თანამშრომელთა ნდობს ქმნის, კომუნიკაციის უნარი უნდა ქონდეს, საუკეთესო მენეჯერები საუკეთესო

მსმენელები არიან და სწორედ ეს თვისება ეხმარება მათ გაიგოს რა უჭირს და რა ულხინს საკუთარ გუნდს, ისინი უნდა იყვნენ გადაწყვეტილების კარგი მიმღებნი და არა იმპულსურები, ორგანიზაციული უნარები ეხმარება მას შექმნას და შეინარჩუნოს გუნდში მტკიცე, კეთილსინდისიერი დისციპლინა რომლის გარეშეც საწარმო ვერ იფუნქციონირებს ნორმალურად, შირად უნდა წაახალისოს თანამშრომლები ამით მათ მისცეს მოტივაცია, ის უნდა იყოს მიზანდასახული, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა ტექნოლოგიების, ეკონომიკის, წარმოების ორგანიზაციისა და მენეჯმენტის სფეროში, მას უნდა ჰქონდეს ხელმძღვანელობის უნარი რომ თანამშრომლებს უხელმძღვანელოს, მას უნდა შეეძლოს მომავლის განჭვრეტა , მუდმივად უნდა დასვას ახალი ამოცანები ორგანიზაციის საქმიანობის განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის, სწრაფად უნდა მოძებნოს და გადაჭრას პრობლემები, კონფლიქტებისგან თავის დაღწევის უნარი , კომპრომისზე წასვლა, ადამიანებთან მიდგომის უნარი, ზრდილობიანი, ლიდერი უნდა იყოს სხვებისგან გამორჩეული, ანალიტიკური თვისებები, პასუხისმგებლობით სავსე, კეთილსინდისიერი, დავალებათა გადანაწილება უნდა შეძლოს დელეგირებას ანუ ქვეშევრდომებისთვის სამუშაოს გადაბარებას ორი უპირატესობა აქვს მენეჯერი დროს ზოგავს და ავითარებს პერსონალის უნარებს, ემოციური სტაბილურობა, შეცდომების აღიარების უნარი, მაღალი ადამიანური თვისებები, უნდა იყოს თავისი საქმის სპეციალისტი, თავდაჯერებული, ენერგიული, მომთხხოვნი, რათქმაუნდა ის არაა მხლოდ ლიდერი ის იმ კომპანიის წარმომადგენელი და სახეა რომელშიც ის მუშაობს, იუმორის გრძნობა, დისციპლინის დამცველი, უნდა შექმნას მუშაობისთვის სასიამოვნო გარემო და სხვა...

მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) იცის სახელმწიფო ენა;

ბ) მიაღწია 18 წელს;

გ) აქვს ამ კანონით გათვალისწინებული მოხელის სერტიფიკატი. ხოლო პიროვნება მენეჯერად შეიძლება ჩაითვალოს თუ ის ზემოაღნიშნულ უნარ-თვისებებს ფლობს და ესმის თავისი საქმის არსი და არის პროფესიონალი , მის გარეშე კომპანია ვერ იარსებებს.

გადავიდეთ უშუალოდ საკითხზე თუ რა ფუნქცია-მოვალეობები აქვს საჯარო მოხელეს და მენეჯერს. საჯარო მოხელეს შემდეგი ფუნქცია-მოვალეობები აქვს:

მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება და სამართლებრივი

აქტების მოთხოვნების დაცვის ვალდებულება- ეს მუხლი ეხება რომ

1. მოხელე ვალდებულია დაიცვას ამ კანონით განსაზღვრული საჯარო სამსახურის პრინციპები და თავი შეიკავოს ისეთი ქმედებისაგან, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საჯარო სამსახურის რეპუტაციას.

2. მოხელე ვალდებულია სპეციალური მითითების გარეშე შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობა, დაიცვას სამართლებრივი აქტების მოთხოვნები და ნაკისრი ვალდებულების შესრულების დროს იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობით და მის მიერ დაკავებული თანამდებობისათვის დადგენილი სამუშაო აღწერილობით.

3. მოხელე ვალდებულია პატივი სცეს საქართველოს კონსტიტუციას, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ემსახუროს ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს.

4. მოხელეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებისთვის.

მოხელის მიერ განკარგულების შესრულების ვალდებულება - რაშიც იგულისხმება რომ მოხელე ვალდებულია შეასრულოს უშუალო ხელმძღვანელის განკარგულება, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, იმ შემთხვევაშიც, თუ ასეთი განკარგულების შესრულება არ განეკუთვნება მის ფუნქციებს და მისი შესრულება, საჯარო დაწესებულების ფუნქციონირების ინტერესების გათვალისწინებით, აუცილებელია სტიქიური უბედურებისა და უბედური შემთხვევის

თავიდან დროულად ასაცილებლად, ქონების დაღუპვისა და გაფუჭებისაგან დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი განკარგულების შესრულება საზიანოა მოხელის ჯანმრთელობისათვის ან აშკარად აღემატება მის შესაძლებლობებს. მოხელის მიერ გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპის დაცვის ვალდებულება - მოხელე ვალდებულია: ა) საქმიანობა გამჭვირვალედ და ღიად განახორციელოს;

ბ) უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის დაინტერესებულ პირზე გაცემა ან/და ხელი შეუწყოს მის გაცემას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) გამჟღავნებისგან დაიცვას სხვისი პერსონალური მონაცემები, სახელმწიფო, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებები, რომლებიც მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გახდა ცნობილი;

დ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაცია მხოლოდ კანონით განსაზღვრული მიზნით გამოიყენოს.

მოხელის მიერ საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ვალდებულება - რაშიც იგულისხმება მოხელე ვალდებულია როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, ისე სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ არ გაავრცელოს სახელმწიფო, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებები, სხვა პირის ოჯახურ და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, აგრეთვე სხვა ინფორმაცია რომლებიც მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან
დაკავშირებით გახდა ცნობილი.
მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ეკონომიურად და ეფექტიანად განხორციელება - რაშიც იგულისხმება 1. მოხელე ვალდებულია სამსახურებრივი უფლებამოსილება რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ხარჯვით განახორციელოს და რაციონალურად გამოიყენოს საჯარო დაწესებულების
ქონება, რომელიც დაწესებულების გამართულ საქმიანობას ემსახურება.
2. მოხელე ვალდებულია შვებულებაში გასვლამდე, აგრეთვე თანამდებობიდან გათავისუფლებამდე სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით მისთვის მინდობილი საჯარო დაწესებულების ქონების დასაბრუნებლად მიმართოს საამისოდ უფლებამოსილ პირს,
რომელიც ვალდებულია ჩაიბაროს ქონება.
3. მოხელე ვალდებულია სამუშაო დრო ეფექტიანად და მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოიყენოს.
4. მოხელის მიერ საჯარო დაწესებულების ქონებისა და სხვა რესურსების პირადი მიზნით გამოყენება დაუშვებელია.
მოხელის სხვა უფლებები და ვალდებულებები- 1. მოხელის მიერ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისა და
წარდგენის ვალდებულება, ინტერესთა შეუთავსებლობის, თანამდებობრივი შეუთავსებლობისა და გარიგების დადების შეზღუდვის საკითხები წესრიგდება შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით.„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა
მოხელის შეკრებასა და მანიფესტაციაში მონაწილეობის საკითხი წესრიგდება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით. მოხელის მიერ ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დაცვის ვალდებულება განისაზღვრება „მოხელის მიერ ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დაცვის ვალდებულება განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით. მოხელეს ეკისრება ამ კანონით გათვალისწინებული სხვა მოვალეობების შესრულების
ვალდებულება. მოხელისათვის საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება განისაზღვროს როგორც სხვა, დამატებითი უფლებები და გარანტიები, ისე სხვა მოვალეობები და შეზღუდვები. აგრეთვე პასუხისმგებლობა ხალხის მიმართ
რაც შეეხება მენეჯერთა ფუნქცია-მოვალეობებს, ექსპერტები გამოყოფენ მენეჯერის მუშაობის 5 მთავარ ფუნქციას დაგეგმვა, ორგანიზაცია, მეურვეობა ანუ თავისი გადაწყვეტილებების ქვეშევრდომებისთვის გადაცემის პროცესი, მოტივაცია ანუ მენეჯერი ცდილობს შექმნას პირობები რაც წაახალისებს თანამშრომლებს კარგად შეასრულონ თავისი საქმე; კონტროლი რაშიც იგულისხმება რომ სამუშაო პროცესის მჭიდრო მონიტორინგი, დროის კონტროლი და ასევე ორგანიზაციის თანამშრომლების შეცდომების დროული გამოსწორება, მისი მთავარი მოვალეობაა კომპანიის. მენეჯერის ფუნქციებში ასევე შედის: უპირველეს ყოვლისა მენეჯერი განსაზღვრავს მიზანს, ის საბოლოო შედეგია რომელსაც უნდა მიაღწიო, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, დასახოს გეგმა მიზნის მისაღწევად, ის პასუხისმგებელია ორგანიზაციის სათანადო სტრუქტურის საქმიანობაზე, მან უნდა მოიზიდოს რესურსები და გამოიყენოს ის სათანადოდ ამ რესურსებში შედის სამუშაო ძალა, ტექნიკა, ინფორმაციას. მან მუდმივად უნდა იმუშავოს რათა გააუმჯობესოს წარმოების ტექნოლოგია და ორგანიზაცია, საქონლის ხარისხი და მომსახურება. დანახარჯების შემცირება და ასევე ფირმის მოგების მაქსიმალური ზრდა, მის მოვალეობებშია აგრეთვე კომპანიის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება, კომპანიის პრენდის პოპულარიზაცია ბაზარზე, ფუნქცია ეს არის მოვალეობა თუ რა ევალება და რას აკეთებს მენეჯერი. უნდა აღინიშნოს რომ მენეჯერის მნიშვნელოვანი ფუნქციაა თანამშრომლებთან ურთიერთობა, მათი მართვა. ანრი ფეიოლმა ცამოაყალიბა ხუთი ძირითადი ფუნქცია-მოვალეობა: დაგეგმვა, ორგანიზება, პერსონალის შერჩევა, ხელმზღვანელობა და კონროლი. ანუ საბოლოოდ მენეჯერმა უნდა შეასრულოს ის ფუნქციები რომ თანამსრომლებს შორის გაანაწილოს ფუნქციები, მიაწოდოს მათ დავალების შესრულების ალგორითმები და გააკონტროლოს ორგანიზაციაში არსებული ყველა პროცესი. ხოლო რაც შეეხება პროფესიული მოვალეობების ჩამონათვალს მოიცავს : ორგანიზაციის მუშაობის დაწყება, შენარჩუნება და კონტროლი მისი უწყვეტი და ეფექტური ფუნქციონირების შესანარჩუნებლად; სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა და ამოცანების განხორციელების გეგმიების შედგენა; გაფორმებული ხელშეკრულების რისკის შეფასება და მათი

დებულებების დაცვა; პერსონალის სექტორში კომპანიის საქმიანობის ანალიზი, პერსონალის მუშაობის შეფასება, თანამშრომელთა მოტივაციის და წახალისების გეგმების სემუსავება; ბიზნესს პარტნიორებთან ნაყოფიერი კომუნიკაციის შენარჩუნება; ბაზრის ანალიზი სპეციალიზირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მოთხოვნის გამოვლენის მიზნით; მესამე მხარის ექსპერტების ჩართვა უმაღლესი მენეჯმენტის მიერ დასახული ამოცანების გადაჭრაში. საქმე იმაშია თუ რამდენად ეფექტურად და ზედმიწევნით ასრულებენ მენეჯერები თუ საჯარო მოხელეები თავიანთ ფუნქცია-მოვალეობებს და რა ხდებ დღეს ორივე კონკრეტულ შემთხვევაში მაგალითად საჯარო სამსახურში დიდი აქტუალობით სარგებლობს ნეპოტიზმის ფაქტები, ზოგიერთი მოხელე თავის თანამდებობას ბოროტად იყენებს ზოგი საკუტარი ოჯახის წევრებს ნიშნავს თანამდებობზეზე ზოგიც მეგობრებს და ა.შ ამას ემატება თანხების არამიზნობრივად გამოყენება ან საკუთარ ჟიბეში ცადება და თაღლითობა. ვფიქრობ კანონი მხოლოდ ფურცელზე არუნდა იწერებოდეს და მას ყველა მოხელე უნდა ასრულებდეს კანონის ფარგლებში მაგრამ ჩვენი კანონი ფურცელზე რჩება. ვფიქრობ უნდა დაიხვეწოს კანონიც და ასევე არსანისნავია ისიც რომ ზოგ საჯარო მოხელეს საერთოდ არააქვს მისთვის მიის სამსახურისთვის შესაბამისის თვისებები ასეთი ხალხი უნდა იყოს იქ სადაც გამოიყენებენ თავიან შესაძლებლობებს თუ თვისებებს, კორუფციული გარიგებებიც მაგალითად ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილემა გიორგი შინჯიკაშვილმა 8სართულიანი კორპუსი ნებართვის გარეშე ააშენა როგორ მოახერა მან მშენებლობის დაწყება, დასრულება და ბინების გაყიდვა ისე რომ თბილისის მერიას ნებართვა არ გაუცია სრულიად გაუგებარი და ბუნდოვანია ამიტომ ხელისუფლების ოპონენტები კორუფციულ გარიგებასა და ნეპოტიზმზე მიანიშნებენ . მენეჯერთა უმრავლესობა ნაკლებ კომუნიკაბელურია, ამას გარდა გარკვეული პრობლემებია ამ სფეროშიც თანამშრომლებს არ უსახავენ მკაფიო მიზნებსა და მოლოდინებს, დელეგირების უუნარობა რაც შემდგომში მარცხს იწვევს ყველა საქმეს თქვენ ვერ გააკეტებთ ეს არ იქნება მენეჯერის დროის და ნიჭის ეფექტური გამოყენება, არ აძლევენ თანამშრომლებს მოტივაციას, ნაკლებად ურთიერთობენ თანამშრომლებთან და ა.შ.

ჩემი აზრით ორივე პროფესია როგორც მენეჯერი ასევე საჯარო მოხელე ავსებს ერთმანეთს, საჯარო მოხელეს ნამდვილად სჭირდება ის თვისებები რაც მენეჯერს გააჩნია რათა უკეთ და ეფექტურად შეასრულოს მისის საქმე ჩემი აზრით ყველა საჯარო მოხელეს უნდა ჰქონდეს მენეჯერისთვის დამახასიათებელი თვისებები, გამოდის რომ მენეჯერებს ვხვდებით როგორც კერძო ასევე საჯარო სექტორში, მენეჯერი ეს ხომ ხელმძღვანელია ლიდერია და სწორედ ასეთი ხალხი უნდა იყოს დრეს საჯარო სამსახურებში, ვთვლი რომ მოხელე უნდა იკოს ხალხზე ორიენტირებული ანუ საჯარო და არა კერძო ინტერესებზე საჯარო სამსახური დაკავშირებულია ხალხთან და მათ კეთილდღეობასთან რაზეც უნდა იზრუნოს ყველა საჯარო მოხელემ და გამოამჟღავნოს ის ეფექტური თვისებები რაც მენეჯერს აქვს და რაც დაეხმარება სწორ დროს და ადგილას დაინახოს შესაძლებლობები და რაც მთავარია გამოიყენოს ეს შესაძლებლობები იმისთვის რომ სარგებელი მოუტანოს ხალხლს თუმცა განსხვავება ისა რომ მენეჯერიც იგივენაირად იქნება თუმცა ის უფრო ორიენტირებულია საკუთარ თავზე და კომპანიაზე თუმცა უნდა ვაღიაროთ რომ ის თვისებები რაც მენეჯერს გააჩნია დღეს ნამდვილად სჭირდება საჯარო მოხელეს ამიტომ სწორი მენეჯმენტი ნაყოფიერი იქნება არა მარტო კარიერაში არამედ ცხოვრებაშიც რომელიც წარმატების მიღწევის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. ორივეს კი საერთო აქვთ რომ ორივე ხალხთან ურთიერთობს, მართვა და თანაც სწორი მართვა რომელიც მენეჯერობის სპეციალისტებს გვეხმარება სწორ მართვაში სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში რაც ეფექტური და წარმატების მომტანია დღევანდელ საქართველოში ამიტომ ორივე სფერო უნდა იყოს ქმედითი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1)სამოქალაქო განათლების ლექსიკონი
2)საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“
3) ვიკიპედია
4) azrovnebisakademia.ge “კარგი მენეჯერის თვისებები“
5) provines.ru , რა არის მენეჯერი, 25.06.2021
6) intermedia.ge, სალომე ყელიაშვილი, როგორი უნდა იყოს კარგი მენეჯერი, 9.02.2017
7) delovyelyudi.ru , რა არის განმარტება მენეჯერი
8)insource.ge, მენეჯერი ფუნქცია-მოვალეობების ტრანსფორმაციები.

3	თემის დასახელება	**ტრენინგების სისტემის ორგანიზაცია და მართვა**
	სტუდენტი	**ნიქაბაძე ანა**

საბაკალავრო პროგრამა	საჯარო მმართველობა, IVკურსი, აწსუ
ხელმძღვანელი	**გამსახურდია თამაზი**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი

4	თემის დასახელება	**ვირტუალური ვალუტა, როგორც თანამედროვე ბიზნესის გამოწვევა**
	სტუდენტი	**ჩაგანავა თამთა**
	საბაკალავრო პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება, I კურსი, აწსუ
	ხელმძღვანელი	**ქარქაშაძე ნარგიზა,** აწსუ-ს ასოც. პროფესორი

დღეს სულ უფრო ხშირად გვესმის ისეთი ახალი სიტყვები, როგორიცაა „კრიპტოვალუტა“, „ციფრული ფული“, „ვირტუალური ვალუტა“, „ელექტრონული ფული“, „ბიტკოინები“, „ელექტრონული საფულეები“, „ბლოკჩეინები“, „ალტერნატიული ფული“, „ქსელური ფული“ და ა.შ. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ მსგავსი ლექსიკონით სარგებლობდა ადამიანთა ძალიან ვიწრო წრე _ მათემატიკოსები, პროგრამისტები, საგადახდო და საკომუნიკაციო სისტემის სპეციალისტები, გამშიფრველები ბანკებიდან და სპეცსამსახურებიდან.

მიღებულია ნ ახალ კრიპტო ინსტრუმენტებს ეწოდოს „ვალუტა“, „ფული“. მაგრამ ეს აშკარად გადაჭარბებაა. ნებისმიერი ფულის ძირითადი ფუნქცია „ღირებულების საზომის“ ფუნქციაა, ფულის დახმარებით განისაზღვრება ფასები საქონელზე, მომსახურებაზე, აქტივებზე, სამუშაო ძალაზე და ა.შ.. თვით თანამედროვე ოფიციალური ვალუტები ცუდად ასრულებს ამ ფუნქციებს, რადგანაც მსოფლიოში ჩამოყალიბდა ქაღალდის ფულის სტანდარტი, ხოლო ვალუტების კურსი მკვეთრი რყევებით ხასიათდება. მით უფრო მერყეობით ხასიათდება კრიპტოვალუტების კურსიც.

საკვანძო სიტყვები: ალტერნატიული ფული, კრიპტოვალუტა, ვირტუალური ვალუტა, ელექტრონული ფული, ბიტკოინები.

მიუხედავად იმისა, რომ ფულადი მასა, რომელიც ემიტირებულია ცენტრალური ბანკების მიერ (ნაღდი ფული) და კომერციული ბანკების მიერ (უნაღდო ანგარიშსწორება, დეპოზიტური ფული), სწრაფად იზრდება, მსოფლიო მაინც განიცდის უსერიოზულეს ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის (საბ) მონაცემებით, მთელი მსოფლიოს ქვეყნების ფულადი მასის ერთობლივი მოცულობა, რომელიც გამოხატულია M2 აგრეგატით (ნაღდი ფული+უნაღდო ფული ბანკების დეპოზიტებზე), 2010 წლისათვის შეადგენდა 50 ტრლნ დოლარზე ოდნავ მეტს. გასული წლის დასაწყისისათვის ფულადმა მასამ გადააჭარბა 71 ტრლნ დოლარს. ნაზრდმა შეადგინა 20 ტრლნ დოლარზე მეტი. თუმცა ბანკების „საბეჭდი მანქანის“ მუშაობას მსოფლიო ეკონომიკისათვის შვება არ მოუტანია

საზოგადოებისა და მეწარმეთა იმ ნაწილის რეაქცია, რომლებიც არ განეკუთვნებიან „ფულის გამგებლების“ წრეს, წარმოადგენს მოქმედებას, რომელიც მიმართულია ოფიციალურ ფულზე დამოკიდებულების შემცირებისკენ. ასეთ მოქმედებას, სხვათა შორის, განეკუთვნება ახალი სახის ფულის გამოშვების სხვადასხვა პროექტები. ლიტერატურაში ასეთ ფულს უწოდებენ სხვადასხვანაირად: ალტერნატიული, სხვა, დამატებითი, პარალელური. ყველა ეს სახელწოდება ხაზს უსვამს იმ მომენტს, რომ ეს არის ფული, რომელიც განსხვავდება ოფიციალური ფულისგან. შეიძლება ასევე შევხვდეთ ალტერნატიული ფულის შემდეგ სახელწოდებას: კერძო, ადგილობრივი, რეგიონული, კოოპერატიული, თავისუფალი, ბარტერული, ვირტუალური. მსგავსი განსაზღვრება ყურადღებას ამახვილებს ალტერნატიული ფულის ამა თუ იმ მხარეზე.

ერთ-ერთი მთავარი ავტორიტეტი ალტერნატიული ფულის პრობლემებზე, თანამედროვე ბელგიელი ეკონომისტი ბერნარდ ლიეტერია, რომელიც თავის დროზე იყო ევროს პროექტის შემმუშავებელი. ლიეტერის შეფასებით, დღეისათვის მსოფლიოში მინიმუმ 2500 ალტერნატიული ფულადი სისტემა არსებობს.

ყველაზე ხშირად ავტორები, რომლებიც აღწერენ ალტერნატიული ფულის სამყაროს, მათ უწოდებენ „კერძო ფულს“. ალბათ, ასეთი სახელწოდების არჩევაზე ძლიერი გავლენა მოახდინა ცნობილი დასავლელი (ავსტრიელი) ეკონომისტის, ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის (1899-19992) ნაშრომმა „კერძო ფული“, რომელმაც დღის სინათლე 1976 წელს იხილა. მასში ავტორმა სრულიად მართებულად გააკრიტიკა ოფიციალური ფულადი სისტემები. მაგრამ მათი არასრულყოფილების მიზეზს ის ხედავდა იმაში, რომ ისინი ემყარებოდა იმ ფულს, რომელიც გამოიშვება სახელმწიფოს მიერ. აქ ფ. ფონ ჰაიეკი აშკარად ცდებოდა, რადგანაც მთელი რიგი ცენტრალური ბანკები, რომლებიც უშვებენ ნაღდ ფულს, თავიანთი სტატუსით იყვნენ და არიან არასახელმწიფო ინსტიტუტები. უპირველეს ყოვლისა, ესაა აშშ-ის

ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომელიც აწარმოებს აშშ-ის დოლარების ემისიას. გარდა ამისა, უნაღდო ანუ სადეპოზიტო ფულის მასის დიდი ნაწილის ემისია ხდება კომერციული ბანკების მიერ, რომლებიც, მცირედი გამონაკლისის გარდა, წარმოადგენენ კერძო ორგანიზაციებს. ამიტომ სახელწოდება, რომელიც წარმოიშვა ფ. ფონ ჰაიეკის გავლენით („კერძო ფული"), წარუმატებლად შეიძლება ჩავთვალოთ. ფაქტობრივად ის საუბრობდა ფულზე, რომელიც იქნებოდა მსოფლიო ფინანსური ოლიგარქიის მიერ ემიტირებული ფულის ალტერნატივა. ავსტრიელი ეკონომისტი ფულს განიხილავდა, როგორც ჩვეულებრივ „საბაზრო საქონელს", იბრძოდა და მხარს უჭერდა დეცენტრალიზებული ფულადი ემისიის სისტემას და ცალკეული სახის კერძო ფულს შორის კონკურენციის კულტივირებას.

საკმაოდ ხშირად, ალტერნალიული ფულის მთავარ სახეს უწოდებენ „თავისუფალ ფულს". ბრუნვაში ეს ტერმინი შემოღებულ იქნა გერმანელი ეკონომისტისა და მეწარმის, სილვიო ჰეზელის მიერ (1862-1930), რომელიც ავტორია თეორიისა „თავისუფალი ეკონომიკა". ჰეზელის თეორიის „მარილს" წარმოადგენს „თავისუფალი ფული" (გერმ. Freigeld). მის ქვეშ იგულისხმება ფული, რომელიც „თავისუფალია პროცენტებისგან". უფრო მეტიც, ამ ფულს შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი პროცენტები, რაც მკვეთრად ამაღლებს მათ უნარიანობას, შეასრულოს მიმოქცევის ფუნქცია და ხელს უშლის მის გადაქცევას განძად, უმოქმედო კაპიტალად.

„თავისუფალი ფულის" იდეის პრაქტიკული რეალიზაცია დაიწყო უკვე გერმანელი ეკონომისტის გარდაცვალების შემდეგ. ამას ხელი შეუწყო დაწყებულმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა. პირველ საკმაოდ მსხვილ ექსპერიმენტს „თავისუფალი ფულის" დანერგვის შესახებ ადგილი ჰქონდა 1932 წელს ავსტრიის პატარა ქალაქში ვიორგლში. ექსპერიმენტის შედეგად, ქალაქში აიგო ხიდი, გაუმჯობესდა გზების მდგომარეობა, გაიზარდა კაპიტალდაბანდებები საზოგადოებრივ მომსახურებაში. სწორედ იმ დროს, როცა ევროპის მრავალი ქვეყანა იძულებული იყო ებრძოლა მზარდი უმუშევრობის წინააღმდეგ, უმუშევრობის დონე ვიორგლში შემცირდა ერთ წელიწადში 25 პროცენტით. როდესაც ავსტრიის 200 თემზე მეტი დაინტერესდა მოცემული მოდელით, ავსტრიის ეროვნულმა ბანკმა ამაში დაინახა თავისი მონოპოლიის მიმართ საფრთხე და აკრძალა თავისუფალი ადგილობრივი ფულის დაბეჭდვა. თუმცა, ვიორგლის ექსპერიმენტის შესახებ ცნობილი გახდა სხვა ქვეყნებში, „თავისუფალი ფული" გაჩნდა მთელ მსოფლიოში, როგორც წესი, ცალკე აღებული ქალაქის და რაიონების დონეზე. „თავისუფალი ფული" სხვადასხვა ვარიაციებით არსებობს ამჟამადაც. მათი გამოყენების სრულ მასშტაბზე ინფორმაცია არ არსებობს, რადგანაც პროექტების ავტორებს არ სურთ ამის მეტისმეტად გამომზეურება, შიშობენ რა ცენტრალური ბანკების მხრიდან აკრძალვების შემოღებას.

სხვათა შორის, ადგილობრივი ფული უკვე მიმოიქცევა აშშ-ის მრავალ საკმაოდ მსხვილ ქალაქში (კალიფორნიაში, ვისკონსინში, ორეგონში, პენსილვანიაში, მიჩიგანსა და მასაჩუსეტსში). მაგალითად, ბერკშირში (მასაჩუსეტსის შტატი), სადაც ცხოვრობს 130 ათასზე მეტი ადამიანი, 2006 წელს შემოღებულ იქნა ფულადი ერთეული სახელწოდებით BerkShares. პროექტში მონაწილეობს ბერკშირის დაახლოებით 350 ორგანიზაცია. BerkShares-ის ადგილობრივი ვალუტა შეიძლება გაიცვალოს ოფიციალურ ვალუტაზე კურსით: 0,95 აშშ-ის დოლარი 100 BerkShares-ზე. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი ვალუტის პროექტის რეალიზაციაში ჩართულია ხუთი ბანკი, მათ 12 განყოფილებაში შესაძლებელია ვალუტის გაცვლა.

არანაკლები პოპულარობით სარგებლობს ალტერნატიული ფული, რომელმაც მიიღო „იტაკას საათის" (Ithaca hour) სახელწოდება. ამასთან, ამ ვალუტას მარტივად უწოდებენ: საათი. ეს ადგილობრივი ვალუტაა, რომელიც შეიქმნა 1991 წელს ამერიკულ ქალაქ იტაკაში (ნიუ-იორკის შტატი). მისი დამაარსებელია პოლ გლოვერი. ახალი ვალუტის შემოღების შემდეგ ადგილი ჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობის მსყიდველობითნარიანობის ამაღლებას, რაიონში გამოცოცხლდა სოფლის მეურნეობა, რადგანაც დაიწყეს ადგილობრივი პროდუქციის უფრო მეტად ყიდვა. გლოვერის ვალუტა წარმოადგენს „შრომითი ფულის" სახესხვაობას, რომლის მსყიდველობითუნარიანობა დამოკიდებულია მხოლოდ ადამიანის შრომითი დანახარჯის სიდიდეზე. გლოვერის სისტემაში შრომითი დანახარჯები განისაზღვრება დროით. ადგილობრივი ფულის მრავალი სისტემისგან განსხვავებით, რომელიც ეფუძნება მხოლოდ კომპიუტერებში ჩანაწერებს (ელექტრონული ფულის მრავალგვარობას), იტაკას ვალუტა წარმოადგენს ნაღდ ფულს და მაღალი ხარისხის ქაღალდის ნიშნებს, რომელიც გაყალბებისგან კარგადაა დაცული. თავდაპირველად სისტემის თითოეულმა წევრმა მიიღო კუპიურა 4 საათის თანხით (40 დოლარის ეკვივალენტით). მოგვიანებით გამოჩნდა კუპიურები სხვა ნომინალებით. დადგინდა გაცვლითი კურსი: ერთი იტაკას საათი=10 ამერიკული დოლარი. იტაკას საათის მაგალითზე შეიქმნა მსგავსი სისტემები ამერიკულ ქალაქებში მადისონსა (ვისკონსინი) და კორვალისში (ორეგონა). ანალოგები არსებობს სხვა ქვეყნებშიც. იოლია შევამჩნიოთ, რომ იტაკას ვალუტას გააჩნია მსგავსება ჩვენს

ქვეყანაში კარგად ცნობილ შრომადღესთან _ კოლმეურნეობებში 1930-1966 წლებში შრომის რაოდენობისა და ხარისხის შეფასებასთან და აღრიცხვის ფორმასთან.

თავდაპირველად შიდა ვალუტა WIR-ს გააჩნდა ჰეზელის ფულის ნიშნები, ე.ი. მას ტვირთად აწვა უარყოფითი პროცენტები. ამასთან, ვალუტა WIR-მა მიიღო ასევე ოფიციალური სტატუსი კოდით CHW. ამ ალტერნატიულ ვალუტას გააჩნია მკაცრი საკურსო მიბმა შვეიცარიულ ფრანკთან (1:1). 1952 წელს კოოპერატივმა უარი განაცხადა ჰეზელის გადასახადის ამოღებისგან თავის ვალუტაზე WIR. კოოპერატივის მუდმივი წევრებისათვის ვალუტა WIR უწინდებურად რჩება უპროცენტო ფულად. ვალუტა WIR შვეიცარიულ ფრანკში და სხვა ვალუტებში არ კონვერტირდება. თუ ბანკის კრედიტები გაიცემა WIR-ის ფულად ერთეულებში, მაშინ ვალის დაფარვაც უნდა მოხდეს იმავე ვალუტაში. დღეს WIR Bank იქცა შვეიცარიის უმსხვილეს ფინანსურ დაწესებულება. დაახლოებით 65 ათასი მცირე და საშუალო საწარმო _ ქვეყნის ყველა საწარმოსა და ფირმის მეოთხედი, წარმოადგენს ამ გაერთიანების წევრს. მასში შედის ქვეყნის მცირე ბიზნესის საწარმოთა 99,7%, რომლებზეც მოდის შვეიცარიის ეკონომიკაში დასაქმებულთა 2/3. WIR-ის ვალუტის ყოველწლიური ბრუნვა შეადგენს საშუალოდ 2 მლრდ შვეიცარიული ფრანკის ეკვივალენტს. ამასთან, ბანკის საქმიანობას ვერ ვუწოდებთ თანაბარს და სტაბილურს. მისთვის დამახასიათებელია პარადოქსული კანონზომიერება: ბანკის ბრუნვა და სხვა მაჩვენებლები იწყებს გაუმჯობესებას სწორედ იმ დროს, როცა ჩვეულებრივი ბანკები შედიან კრიზისის ფაზაში.

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს მრავალი მასმედია ალტერნატიული ფულის სახით პირველ პლანზე აყენებს ე.წ. *კრიპტოვალუტებს.* ამ ვალუტებიდან ყველაზე ცნობილია *ბიტკოინები.* ზოგიერთი ავტორები ასეთ ვალუტებს უწინასწარმეტყველებენ დიდ მომავალს იმის გათვალისწინებით, რომ დროთა განმავლობაში მათ ექნებათ უნარი, გამოდევნონ ოფიციალური ფული. მაგრამ, ბიტკოინებსა და სხვა სახის კრიპტოვალუტებს მცირე საერთო რამ გააჩნიათ ფულთან, რომელიც უნარიანია, შეასრულოს ღირებულების საზომისა და სხვა ეკონომიკური ფუნქციები. კრიპტოვალუტებს ახასიათებთ სპეკულაციური ოპერაციებისა და აზარტული თამაშების ინსტრუმენტის აშკარად გამოხატული ნიშნები.

დღეს სულ უფრო ხშირად გვესმის ისეთი ახალი სიტყვები, როგორიცაა „კრიპტოვალუტა“, „ციფრული ფული“, „ვირტუალური ვალუტა“, „ელექტრონული ფული“, „ბიტკოინები“, „ელექტრონული საფულეები“, „ბლოკჩეინები“, „ალტერნატიული ფული“, „ქსელური ფული“ და ა.შ. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ მსგავსი ლექსიკონით სარგებლობდა ადამიანთა ძალიან ვიწრო წრე _ მათემატიკოსები, პროგრამისტები, საგადახდო და საკომუნიკაციო სისტემის სპეციალისტები, გამშიფრველები ბანკებიდან და სპეცსამსახურებიდან.

დღეისათვის კრიპტოვალუტებზე, ბიტკოინებსა და სხვა აბსტრაქტულ საგნებზე უკვე მსჯელობენ ცენტრალური ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების ხელმძღვანელები, უმაღლესი დონის პოლიტიკური მოღვაწეები. მაგალითად, ბოლო საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე დავოსში კრიპტოვალუტებზე, ბლოკჩეინებსა და ბიტკოინებზე თემა მრავალი მონაწილის ყურადღების ცენტრში მოექცა. ამ თემაზე დავოსში თავისი აზრი გამოხატა *კრისტინა ლაგარდმაც,* საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებელმა. ზემოჩამოთვლილი ტერმინები აღწერს ნოვაციებს, რომლებმაც მოიცვა ფინანსების სამყარო XXI საუკუნეში. საუბარი ეხება ფინანსური ბაზრის უახლეს „ალტერნატიულ“ ოპერაციებსა და ინსტრუმენტებს. ტერმინოლოგია ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა, ამიტომ ზოგჯერ დისკუსიის მონაწილეებს უჭირთ ერთმანეთის გაგება. არანაკლებ რთულია ფინანსების სამყაროში მიმდინარე ცვლილებების შეფასება სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის, რომლებიც გამოსცემენ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს, ასევე სახელმწიფო ორგანოებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ზედამხედველობას ფინანსურ სექტორზე და ფინანსურ ბაზრებზე. იზრდება ინტერესი „ალტერნატიული“ ინტერესებისა და „ალტერნატიული“ ოპერაციების მიმართ ფინანსურ ბაზრებზე ტრადიციული კერძო ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან, აგრეთვე მილიონობით ჩვეულებრივი მოქალაქეების მხრიდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

მთელ ამ ნოვაციებში გარკვევა მარტივი არაა პროგრამისტების, მათემატიკოსების, კომუნიკაციის სპეციალისტების საკმაოდ რთული, პროფესიული ენის გამოყენების გამო. მაგალითად, ვიკიპედიაში, რომელიც, პრინციპში, გათვლილია ფართო აუდიტორიაზე, ჩვენ ვპოულობთ ერთ-ერთი საკვანო ტერმინის, „კრიპტოვალუტის“ შემდეგ განმარტებას: კრიპტოვალუტა _ ციფრული ვალუტის სახეა, რომლის ემისია და აღრიცხვა ეფუძნება დაცვის სხვადასხვა კრიპტოგრაფიული მეთოდების, როგორიცაა Proof-of-Work და/ან Proof-of-Stake ასიმეტრიულ დაშიფრასა და გამოყენებას. სისტემის ფუნქციონირება ხდება დეცენტრალიზებულად განაწილებულ კომპიუტერულ ქსელში“.

მარტივად რომ ავხსნათ, კრიპტოვალუტა, იმ პირთა გაგებით, რომლებმაც შექმნეს ეს ვალუტა და სარგებლობენ ამით, ფულის ახალი სახეა, რომელიც არსებობს პარალელურად ტრადიციულ (ნაღდ და უნაღდო) ფულთან ერთად, მაგრამ მათგან არსებითად განსხვავდება.

პირველი, ასეთი „ალტერნატიული“ ფულით ოპერაციებს გააჩნიათ კარგი (ზოგიერთის მტკიცებით, 100-პროცენტიანი) ინფორმაციული დაცვა. აქედან მომდინარეობს ვალუტის სახელწოდებაც (ბერძნული სიტყვა „კრიპტო“ ნიშნავს ფარულს, საიდუმლოს).

მეორე, კრიპტოვალუტა - მხოლოდ და მხოლოდ კერძო ფულია (ე.ი., ის იქმნება და ეკუთვნის კერძო პირებს). ასეთი ფული სრულად „ემანსიპირებულია“ სახელმწიფოსგან, ამ უკანასკნელის მარეგულირებელი და საზედამხედველო ფუნქციებისგან.

მესამე, ის იქმნება და მიმოიქცევა დეცენტრალიზებულ სისტემაში. იგულისხმება, რომ ასეთი სისტემა წარმოადგენს მაქსიმალურად „დემოკრატიულს“, სისტემის რომელიმე მონაწილეს არ აძლევს საშუალებას დაეუფლოს სისტემას ან დააწესოს მასზე თავისი ერთპიროვნული კონტროლი.

ზოგიერთები ერთმანეთში ურევენ ოპერაციებს, რომლებიც ემყარება კრიპტოვალუტას, ინტერნეტ-ბენკინგთან (ელექტრონულ ბენკინგთან). მეორე შემთხვევაში გამოიყენება ჩვეულებრივი ვალუტები, ხოლო ოპერაციების დაცულობის ხარისხი უფრო დაბალია, რამდენადაც იქ სუსტ რგოლად იქცევა საბოლოო მოსარგებლეები; ასევე თვალთახედვიდან არ უნდა გამოგვრჩეს რისკები არაკეთილსინდისიერი შემმუშავებლის სახით. კრიპტოვალუტის მომხრეები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ფულის ეს ახალი სახე ადამიანებს უზრუნველყოფს მაქსიმალური თავისუფლებით. ისინი გამოდიან სახელმწიფოს მეურვეობიდან. ცენტრალურ ბანკებსა და ფინანსური ზედამხედველობის სხვა ინსტიტუტებს, რომლებიც ეჭვით ადევნებენ თვალყურს იმას, რომ არავინ ხელყოს საბანკო მონოპოლია ფულის ემისიის საქმეში, არ ძალუძთ გააკონტროლონ კრიპტოვალუტებთან დაკავშირებული ოპერაციები. კრიპტოვალუტებმა არ იციან ეროვნული საზღვრები, მათი გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევებშიც კი, როცა სახელმწიფოს შემოაქვს შეზღუდვები და აკრძალვები საერთაშორისო ანგარიშსწორებაზე. ფაქტობრივად, ესაა უახლესი, ელექტრონული ვერსია მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებული სისტემისა „ხავალა“ _ არაფორმალური საფინანსო-საანგარიშწორებო სისტემისა, რომელიც გამოიყენებოდა უპირატესად აღმოსავლეთში, აფრიკასა და აზიაში (ეს სისტემა საშუალებას იძლევა, გვერდი ავუაროთ ჩვეულებრივ ნაღდი ფულისა და უნაღდო ფულის საზღვარზე გადაადგილებას).

განსაკუთრებით დაკმაყოფილებულნი არიან კრიპტოვალუტის გამოჩენით ავსტრიული ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლები, ლიბერტარიანელები. ისინი მთელი XX საუკუნის განმავლობაში დაჟინებით იბრძოდნენ ცენტრალური ბანკების მონოპოლიის წინააღმდეგ ფულადი ემისიის საქმეში, მხარს უჭერდნენ კერძო ფულზე გადასვლას (ამ სკოლის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლებია: *მიზესი, ჰაიეკი, როტბარდტი*).

დღეისათვის ყველაზე ცნობილი კრიპტოვალუტა ბიტკოინია (BitCoin). ხშირად ის აღინიშნება ინგლისური აბრევიატურით BTC. ეს არის ვირტუალური ფული, რომელიც შექმნილია კერძო პირების მიერ, ამასთან, ასეთი ფულის ემიტენტი შეიძლება იყოს ძალიან ბევრი. BTC-ის შექმნისას გამოიყენება გარკვეული ალგორითმები და პროგრამები, რომლებიც მოწყობილია ისეთნაირად, რომ მაქსიმალური რაოდენობა ბიტკოინებისა, რომლის შექმნაც შესაძლებელია, შეადგენს 21 მილიონს. BTC-ის გაერთიანების ყოველ ახალ წევრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს არა მხოლოდ ახალი ვალუტის გამოყენებაში, არამედ მის შექმნაშიც (ასეთ შექმნას ეწოდება „მაინინგი“ _ ოქროს მოპოვების ანალოგიით). ადგილი აქვს BTC-ის მორიგი ბლოკის შექმნას, რომელიც აგრძელებს ბლოკების ჯაჭვის („ბლოკ-ჩეინების“) აგებას. BTC-ის რაოდენობა, ამ ფულადი ერთეულის შემმუშავებელთა ჩანაფიქრით, არ შეიძლება უსასრულოდ იზრდებოდეს. ბიტკოინი ამ თვალსაზრისით გვაგონებს ოქროს _ ლითონის ფულს, რომელიც ხასიათდება შეზღუდული მარაგით ბუნებაში. BTC-ის შემმუშავებლები, როგორც ჩანს, საიდუმლოდ იმედოვნებენ, რომ ახალი ვალუტა მოემსახურება საქონლისა და მომსახურების ვაჭრობის დიდ ბრუნვას და წინდახედულად არიდებენ თავს შესაძლო ინფლაციურ ეფექტებს, დებენ რა მასში BTC-ის დეფიციტს. მიუხედავად იმისა, რომ BTC ვირტუალური ფულადი ერთეულია, მას უწოდებენ მონეტას და თვალსაჩინოებისათვის სარეკლამო მასალებში გამოსახავენ ოქროს წრის სახით.

BTC ჯერ კიდევ თავის პირველ ნაბიჯებს დგამს. ახალი ვალუტის შესახებ ადამიანებმა პირველად გაიგეს 2008 წლის 31 დეკემბერს, როდესაც სამყაროს მოევლინა დოკუმენტი BTC-ის აღწერით, რომელსაც ჰქონდა პროექტის ავტორის, *სატოში ნაკამოტოს* (*Satoshi Nakamoto*) ხელმოწერა. მრავალი ვარაუდობს, რომ ეს არის ფსევდონიმი, რომლის მიღმა იმალება სხვა ადამიანი ან შემმუშავებელთა ჯგუფიც კი. ამ

წლების განმავლობაში განხორციელდა მრავალი ჟურნალისტური კვლევა, მაგრამ ვერავინ შეძლო ენახა საკუთარი თვალით იდუმალი დამმუშავებელი სატოში ნაკომოტო. პროექტი დაიწყო 2009 წლის 3 იანვარს, როდესაც შეიქმნა პირველი ბლოკი BTC-ს ქსელში (ე.წ. გენეზის-ბლოკი). ეს დღე ითვლება ბიტკოინის დაბადების დღედ და BTC-ის გაერთიანების მიერ აღინიშნება მთელ მსოფლიოში.

დღეს უკვე მრავალ ქვეყანაში ჩამოყალიბდა BTC-ის სისტემის მონაწილეთა საკმაოდ ფართო ქსელი (BTC-ის საზოგადოება), რომელიც მოიცავს ე.წ. „მაინერებს“ (მათ, რომლებიც ქმნიან ვირტუალურ ფულს ბლოკების სახით), რიგით მოსარგებლეებს (რომლებიც აგროვებენ BTC-ს თავიანთ „ელექტრონულ საფულეებში“ და ხარჯავენ მას), რომლებიც სპეციალიზებულნი არიან ბირჟებზე. დასავლეთის ზოგიერთ ქვეყნებში გაჩნდა POS-ტერმინალები მაღაზიებში ბიტკოინებით ანგარიშსწორებისათვის, ბანკომატები კრიპტოვალუტებისათვის, აპარატული „საფულეები“ ბიტკოინისათვის. BTC-ის გაერთიანება ითვლის მილიონობით წევრს. სისტემა შეიძლება წარმოვადგინოთ დეცენტრალიზებული გამომთვლელი ქსელის სახით, რომლის მწარმოებლურობა რვაჯერ და უფრო მეტად აღემატება მსოფლიოში „სუპერკომპიუტერის“ კლასის ყველა მანქანის ჯამურ გამოთვლით სიმძლავრეს.

BTC-ს ხშირად უწოდებენ ოქროს ელექტრონულ ანალოგს. ბიტკოინი - „მაინინგის“ - გამომთვლელი ოპერაციების პროდუქტია, რომელიც უზრუნველყოფს ტრანზაქციების გადაცემას ბლოკების ჯაჭვით. ადგილი აქვს ერთ ბლოკში ყველა ტრანზაქციის ჩაწერას, რომელიც შესრულებულია ქსელში წინა ბლოკის გამოშვების მომენტიდან (საშუალოდ, ბლოკების შექმნას შორის ინტერვალი შეადგენს დაახლოებით 10 წუთს), და ხდება მასზე „ბეჭდის დადება“ რთული კრიპტოგრაფიული ხელმოწერით. შემდეგი ბლოკი გამოითვლება წინამორბედის გამოწერის საფუძველზე. ყოველი მომდევნო ბლოკის „მოპოვების“ შრომატევადობა იზრდება. დასაწყისში 2009 წლის შემოდგომაზე ყველაფერი იყო ძალიან მარტივად და იოლად. 1 ერთეული BTC-ს ყიდვა შესაძლებელი იყო ერთ ცენტზე უფრო იაფად. მაგრამ BTC-ს ერთეულის „მოპოვების“ შრომატევადობა და მსყიდველობითუნარიანობა სწრაფად იზრდებოდა. BTC-ს გამოყენება დაიწყეს თავდაპირველად ყველაზე უბრალო საქონლის (მაგალითად, ფინჯანი ყავის და პიცების) საყიდლად, შემდეგ ის გამოიყენებოდა ფიჭური ტელეფონებისა და კომპიუტერების საყიდლად. წარმოიშვა სპეციალიზებული ბირჟები, სადაც ვაჭრობდნენ BTC-ის „მონეტებით“ ჩვეულებრივ ვალუტაზე. იყო მომენტი, როცა BTC-ის საბირჟო კურსმა მიაღწია 1000 აშშ-ის დოლარს.

ამასთან, BTC - არ წარმოადგენს ერთადერთ კრიპტოვალუტას მსოფლიოში. ზოგიერთი შეფასებით, არსებობს ათასზე მეტი მსგავსი ვირტუალური ვალუტა. მათგან ნაწილი წარმოებულია BTC-სგან, სხვები სრულიად ავტონომიურია, შექმნილი არიან „ნულიდან“. კრიპტოვალუტების საერთო მოცულობა, რომლებიც გამოშვებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, დღეისათვის ითვლის თანხას, რომელიც რამდენიმე მილიარდი დოლარის ეკვივალენტურია. ჯერჯერობით ესაა ზღვაში წვეთი. მაგრამ, ვირტუალური ვალუტის მომხრეები არ დუნდებიან. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ კრიპტოვალუტების ემისიის მოცულობა სწრაფად გაიზრდება, რადგანაც კრიპტოვალუტებს უდავო უპირატესობა გააჩნია ჩვეულებრივ ფულთან შედარებით. გარდა ამისა, BTC და სხვა ვირტუალური ფული ხასიათდება დეფლაციური ეფექტით, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი დღევანდელი მასაც კი გაზრდის თავის მყიდველობითუნარიანობას.

ზემოთ ჩვენ ძირითადად აღვწერეთ ის, თუ რა შეიძლება წავიკითხოთ კრიპტოვალუტაზე გამოცემებში, რომლებიც მიდრეკილნი არიან სენსაციებისადმი, ან პუბლიკაციებში, რომლებიც ფარულად ახდენენ ახალი ვალუტის რეკლამირებას. ეს, ასე ვთქვათ, კრიპტოვალუტის „ნათელი მხარეა“. მაგრამ არსებობს „ჩრდილოვანი მხარეც“. ის მასმედიაში გაცილებით ნაკლებად შუქდება. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ BTC პოტენციურად იდეალური ინსტრუმენტია ტერორიზმისა და სხვადასხვა სახის ფარული ოპერაციების, მათ შორის, „ნარინჯისფერი რევოლუციების“ დასაფინანსებლად. გარდა ამისა, ზოგიერთი ქვეყნის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ოფშორული იურისდიქციის გამოყენების პირობების გამკაცრების დროს კრიპტოვალუტამ შეიძლება დახმარება გაუწიოს მათ ახალი შეზღუდვების თავიდან აცილებაში. არსებობს ვერსია, რომ BTC ჩაისახა დასავლეთის სპეცსამსახურების წიაღში. ხოლო BTC-ის ზემოთ ნახსენები შემმუშავებელი სატოში ნაკამოტო _ უბრალოდ ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის „საფარია“. სწორედ დასავლური სპეცსამსახურები ენერგიულად ახდენენ BTC-ის პროპაგანდასა და მის დაწინაურებას მთელ მსოფლიოში.

გასული წლიდან დაწყებული, ბიტკოინების მიმართ საკმაოდ „ტოლერანტული“ დამოკიდებულების დემონსტრირება მოახდინა ჩინეთის სახალხო ბანკმა. კრიპტოვალუტისადმი ხელისუფლების დამოკიდებულის ფორმულა დაახლოებით ასეთია: „ჩვენ არ ვკრძალავთ კრიპტოვალუტების გამოყენებას ოფიციალური ფულად-საკრედიტო სისტემის ფარგლებს გარეთ, მაგრამ, ამ დროს, ნებას არ ვრთავთ ალტერნატიული ვალუტებით განხორციელდეს ოპერაციები ბანკებითა და არასაბანკო

ფინანსური ორგანიზაციებით. ჩვენ პასუხს არ ვაგებთ იმ რისკებზე, რომლებიც წარმოექმნებათ კრიპტოვალუტებით ოპერაციების მონაწილეებს, ეს მათი ნებაყოფლობითი არჩევანია". კრიპტოვალუტების სამართლებრივი სტატუსი ქვეყნების უმრავლესობაში აქამდე არ არის განსაზღვრული. ბიტკოინებისა და სხვა კრიპტოვალუტების გამოყენება ემყარება პრინციპს: ის, რაც არ არის აკრძალული, ნებადართულია. ამასთან, არსებობენ ქვეყნები, რომლებიც ყოველგვარი პირობის გარეშე კრძალავენ კრიპტოვალუტებს. მაგრამ მათ შორის არ არის წამყვანი ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები. ძირითადად, ესაა მცირეზომის ქვეყნები ბოლივიისა და ეკვადორის ტიპის. რუსეთში კრიპტოვალუტების მიმართ დამოკიდებულება უკიდურესად თავშეკავებულია. შეიძლება ითქვას, რომ ნეგატიურია. რუსეთის ბანკმა 2014 წლის იანვარში გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც კრიპტოვალუტები „ფულადი სუროგატების" ნაირსახეობაა, რომლებიც იკრძალება 27-ე მუხლის მიხედვით ფედერალური კანონით „რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის შესახებ".

მიღებულია ახალ კრიპტოინსტრუმენტებს ეწოდოს „ვალუტა", „ფული". მაგრამ ეს აშკარად გადაჭარბებაა. ნებისმიერი ფულის ძირითადი ფუნქცია „ღირებულების საზომის" ფუნქციაა, ფულის დახმარებით განისაზღვრება ფასები საქონელზე, მომსახურებაზე, აქტივებზე, სამუშაო ძალაზე და ა.შ.. თვით თანამედროვე ოფიციალური ვალუტები ცუდად ასრულებს ამ ფუნქციებს, რადგანაც მსოფლიოში ჩამოყალიბდა ქაღალდის ფულის სტანდარტი, ხოლო ვალუტების კურსი მკვეთრი რყევებით ხასიათდება. მით უფრო მერყეობით ხასიათდება კრიპტოვალუტების კურსიც. სპეციალიზებულ ბირჟაზე, სადაც ვაჭრობენ ბიტკოინებით, ამ ვალუტის კურსები ერთი საოპრეციო დღის განმავლობაში შეიძლება იცვლებოდეს ამა თუ იმ მიმართულებით 20 და უფრო მეტი პროცენტით. მაგალითად, ტიპურია სურათი, როცა ვაჭრობის დაწყებამდე 1 ბიტკოინი იცვლება 500 დოლარზე, ხოლო ვაჭრობის ბოლოს - 400 ან 300 დოლარზეც კი და პირიქით.

ზუსტად ასევე საეჭვოა, რომ კრიპტოვალუტები ასრულებდეს ფულის ზუსტად ისეთ ფუნქციას, როგორიცაა „გაცვლის საშუალებისა" და „გადახდის საშუალების" ფუნქციები. მრავალრიცხოვანი მაგალითი იმისა, თუ როგორ გამოიყენება კრიპტოვალუტები საქონლისა და მომსახურების საყიდლად - რეკლამების კატეგორიებიდანაა. კრიპტოვალუტების გამოყენებით ყველა ოპერაციის ლომის წილი, ესაა სხვა ვალუტებზე გაცვლა. თუ გავითვალისწინებთ კრიპტოვალუტების კურსის მკვეთრ რყევებს, შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ ესაა მარტოოდენ სპეკულაციური ხასიათის ოპერაციები. მაშასადამე, კრიპტოვალუტები ფული არაა, არამედ აზარტული თამაშების ინსტრუმენტი ე.წ. რულეტკის ან სათამაშო კარტის მსგავსი. მოთამაშეებს შორის ურთიერთობების რეგულირებისათვის კი გამოიყენება ჩვეულებრივი ვალუტები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Margrit Kennedy: Ineterest and Inflation Free Money, Published by Seva International, 1995.
2. Silvio Gesell. "The Natural Economic Order". Translated by Philip Pye M.A. 2010.
3. www.geldreform.de
4. http://www.wir.ch/

5	თემის დასახელება	**McDonald's-ს საერთაშორისო ბიზნეს სტრატეგია**
	სტუდენტი	**დენოსაშვილი მარიამი**
	საბაკალავრო პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება, IV კურსი, აწსუ
	ხელმძღვანელი	**შანიძე გოდერძი**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი

In the era of globalization, creating a successful international business requires not merely quality products and services but also a knowledge of the market, their preferences, customs, and sensibilities. To maintain its success as the biggest restaurant chain in the world, McDonald's employs effective global branding strategies: product innovation, affordable pricing, strategic market segmentation, cultural awareness, and adaptability. However, the key factor is an international strategy that allows the brand to practice standard operations while adapting to the local and global culture.

საკვანძო სიტყვები: McDonal's, საერთაშორისო ბიზნეს სტრატეგია, განსხვავებულ კულტურებთან ადაპტირება, გლობალიზაციის და ლოკალიზაციის სტრატეგია

გლობალიზაციის პირობებში წარმატებული საერთაშორისო ბიზნესის შექმნისათვის მხოლოდ ხარისხიანი პროდუქტისა და მომსახურების შეთავაზება როდი არის საკმარისი. კომპანიები აქტიურად ცდილობენ შეისწავლონ თითოეული ბაზარი, მომხმარებელთა ფსიქოლოგიური, პიროვნული,

სოციალური, კულტურული მახასიათებლები, რათა კონკურენტული უპირატესობა მოიპოვონ და მიაღწიონ წარმატებას. ამის ნათელი მაგალითია 1940 წელს დაარსებული საოჯახო რესტორნების ქსელი მაკდონალდსი, რომელიც დღეს შემოსავლების თვალსაზრისით მსოფლიოში ყველაზე დიდ რესტორნების ქსელად, სწრაფი კვების ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და მრავალეროვნულ ფრანჩაიზად, გლობალურ ფენომენად იქცა.

McDonald's მრავალი წლის შრომა და სტრატეგიული დაგეგმვა დასჭირდა, რათა მსოფლიო ბაზარზე კვების ინდუსტრიის ლიდერი გამხდარიყო: 2021 წლის მონაცემებით კომპანია წარმოდგენილია მსოფლიოს 120-ზე მეტ ქვეყანაში 40 031 რესტორნითა და 1,9 მლნ-ზე მეტი დასაქმებულით, რომლებიც 70 მილიონზე მეტ ადამიანს ემსახურებიან. მისი წლიური შემოსავალი შეადგენს 23,2 მილიარდ დოლარს. [1] ამასთან, იგი მსოფლიოს მასშტაბით მე-9 ადგილს იკავებს ბრენდის ღირებულებით.

აღსანიშნავია, რომ მაკდონალდსის, როგორც ბრენდის წარმატება რამდენიმე ფაქტორთანაა დაკავშირებული: სასიამოვნო გარემო, ხელმისაწვდომი საკვები, სწრაფი სერვისი, მრავალფეროვანი მენიუ და სტრატეგიული მარკეტინგი. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს მისი საერთაშორისო ბიზნეს სტრატეგიაც, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა ადგილობრივი სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას სპეციალურად ამ ბაზრისათვის შექმნილი უნიკალური მენიუს შეთავაზებით. Forbes-ის მიხედვით, Mc Donald's-ის გლობალური წარმატება მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული მრავალფეროვანი სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად დემოგრაფიული, ეკონომიკური და ადგილობრივი ფაქტორების გათვალისწინებით ახალი პროდუქტებისა და სერვისების შექმნასთან.[2]

მართლაც, კომპანიამ სწრაფი და დაბალფასიანი მენიუთი უპასუხა აშშ-ს ადგილობრივ ბაზარზე განვითარებული ისეთ მოვლენებს, როგორიცაა 1960-იანი წლების ბეიბი-ბუმი, თინეიჯერების რიგების მატება და ქალთა სამუშაო ძალის ჩართულობის ზრდა. 1970-იან და 1980-იან წლებში გლობალიზაციამ მაკდონალდს საშუალება მისცა უკვე საერთაშორისო დონეზე გაეყიდა "ამერიკული ოცნება". ამისათვის მან გამოიყენა თითოეული ქვეყნის სოციალურ კონტექსტთან ადაპტაცია და ფრანჩაიზინგის მოდელი-ადგილობრივ მეწარმეებზე ფრენჩაიზინგის გაცემით ახალი ბიზნეს შესაძლებლობების აღმოჩენასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული რისკები და ჯილდოები გადანაწილდა ფრენჩაიზის წევრებს, მენეჯმენტსა და აქციონერებს შორის. ფაქტობრივად, გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის გზით მაკდონალდსმა შეძლო ისეთი მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავება, რომელიც სხვადასხვა რეგიონის კულტურული და ეროვნული ვარიაციების შესაბამისად მოემსახურებოდა კონკრეტულ სამიზნე ბაზრებს.

კომპანიის გლობალური წარმატების გასაღები არის მისი ბიზნეს მანტრა: „იფიქრე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად“. რესტორნების გახსნამდე მაკდონალდსი იკვლევს პოტენციურ რეგიონებსა და ბაზრებს, საფუძვლიანად აანალიზებს მომხმარებელთა გემოვნებასა და პრეფერენციებს და მხოლოდ ამის შემდეგ ანვითარებს საკვებს, რათა თავიდან აიცილოს ადგილობრივ კულტურათა შეურაცხყოფა.

გლობალური წარმატების სტრატეგიებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- **პროდუქტის ინოვაცია-** სწრაფი კვების ქსელი მომხმარებლებს პროდუქტის მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს დაწყებული არომატული ბურგერებიდან და კარტოფილიდან, ცივი და ცხელი სასმელებით დამთავრებული. იმისთვის, რომ მაკდონალდსის საკვები ხელმისაწვდომი გახდეს მომხმარებელთა დიდი აუდიტორიისათვის, იგი აქტიურად მიჰყვება უახლეს ტენდენციებსა და მოთხოვნებს. მაგალითად, როდესაც ჯანმრთელობის ტენდენციამ მოიცვა შეერთებული შტატები, მაკდონალდსმა მათ მენიუში დაამატა უფრო ჯანსაღი ვარიანტები, როგორიცაა სალათები და ხილი. [3]
- **ფასი-** მაკდონალდსი ძირითადად იყენებს დაბალი ფასებისა და პაკეტის ფასების სტრატეგიებს. პირველი სტრატეგია გამოიყენება, რათა გაიზარდოს მოთხოვნა და დაკავებული ბაზრის წილი, ხოლო მეორე გაყიდვებისა და მომგებიანობის გასაზრდელად. პროდუქტებზე ფასების დადგენისას კომპანია ითვალისწინებს მდებარეობასა და შემოსავლებს.
- **ერთგვაროვნებაა -** რომელ ქვეყანაშიც არ უნდა ეწვიოთ მაკდონალდსს, გარანტირებული ხართ იგივე ხარისხით, გამოცდილებითა და საკვებით.
- **პრომოცია-** სტიმულირებისათვის გამოიყენება უკვე ყველასათვის კარგად ცნობილი სიმბოლოები, როგორიცაა ოქროს თაღები, კლოუნი სახელად რონალდ მაკდონალდსი; დასამახსოვრებელი სლოგანები და მესიჯები, როგორიცაა „აი, რა მიყვარს“; სხვა ბრენდებთან თანამშრომლობა, მაგალითად, კოკა-კოლა, ბარბი და ა.შ.; ისეთ ცნობილ ადამიანებთან თანამშრომლობა, როგორებიცაა მაიკლ ჯორდანი, ტრევის სკოტი, BTS და სხვანი. [4]
- **ბაზრის სტრატეგიული სეგმენტაცია-** მაკდონალდსმა იცის, რომელი სეგმენტი არის მათი ყველაზე დიდი მომხმარებელი და ცდილობს მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მაგალითად, აშშ-ში ბრენდის უდიდესი ბაზარი ბავშვებია, რომელთაც სთავაზობენ მუდმივად

განახლებად "Happy Meals", სათამაშო ქინძისთავებს, რესტორანში დაბადების დღის გადახდის შესაძლებლობას.

- **კულტურული ცნობიერება და ადაპტირება-** უცხოურ ბაზარზე შესვლამდე მაკდონალდსი ყოველთვის ატარებს კვლევას და ქმნის ადგილობრივი მომხმარებლების სურვილების, კულტურული ტენდენციების შესაფერის დანამატებს. შესაბამისად, ადაპტირების უნარი კომპანიას საშუალებას აძლევს განვითარდეს, როგორც გლობალური ბრენდი. მაგალითად, ტაილანდში მაკდონალდსი გთავაზობთ "სამურაის ღორის ბურგერს", რომელიც უნიკალურია ამ რეგიონისთვის; ინდოეთში - „Mc Aloo Tikki“ ბურგერს, იაპონიაში - მწვანე ჩაის ნაყინს და ა.შ. [5]
- **საერთაშორისო სტრატეგია-** მაკდონალდსის საერთაშორისო სტრატეგიას ხშირად მოიხსენიებენ როგორც გლოსალიზაციის სტრატეგიას. გლოსალიზაციის სტრატეგია გულისხმობს გლობალურ და ლოკალურ ინტეგრაციას. ამ მოდელმა საშუალება მისცა ბრენდს ემუშავა სტანდარტული ოპერაციებით ადგილობრივ და გლობალურ კულტურასთან ადაპტაციის დროს.

გლობალიზაციის სტრატეგიითაა გამოწვეული ცვლილებები მარკეტინგულ სტრატეგიებში. ბრენდის მარკეტინგული სტრატეგიები განსხვავდება კულტურისა და ქვეყნის მიხედვით, მაგალითად, საფრანგეთში რეკლამა ფოკუსირებულია ფრანგულ კულტურულ ღირებულებებზე, აღმოსავლეთ აზიაში ძირითადი ბაზარი ახალგაზრდა თაობაა, რომელთა მოსაზიდად გამოიყენება სატელევიზიო რეკლამა; ჩინეთში ძირითადად მიმართავენ რეკლამებს გაზეთებსა და ჟურნალებში სატელევიზიო რეკლამა მცირე გავლენის გამო. [6]

რაც შეეხება ლოკალიზაციის სტრატეგიას, იგი ძირითადად ეფუძნება კულტურულ განსხვავებებს. სწორედ ამიტომაც მაკდონალდსი თავისი პროდუქტების დიფერენცირებას ახდენს ამ ფაქტორის გათვალისწინებით. ამით იგი პატივს სცემს კულტურათა შორის სხვაობას, იცავს ქვეყნის პოლიტიკას მენიუში იმ ტერიტორიისათვის დამახასიათებელი ელემენტების დამატებით. გარდა ამისა კომპანია ადგილობრივ ტენდენციებსა და მომხმარებელთა შორის პროდუქტის პოპულარობაზე დაკვირვების საფუძველზე პერიოდულად მოდიფიცირებას უკეთებს მენიუს. რასაკვირველია, ბრენდის სახელი და შეფუთვა, შემოთავაზებული პროდუქციის ფიზიკური მახასიათებლები სხვადასხვა ბაზრისათვის იგივეა.

მაკდონალდსის ოფიციალური საიტის მიხედვით სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მენიუს არსებობის მიზეზი კომპანიის მიდგომაა: „ჩვენ ვცდილობთ ჩვენი მენიუ მორგებული იყოს სხვადასხვა გემოვნებასა და ადგილობრივ ტრადიციებზე ყველა იმ ქვეყნისთვის, სადაც რესტორნები გვაქვს განთავსებული. ჩვენ მივისწრაფვით პატივი ვცეთ კულტურულ განსხვავებებს და სწორედ ამიტომაც ყველა ქვეყანას მენიუს ელემენტების განვითარების საკუთარი პოლიტიკა აქვს. რასაკვირველია, მსოფლიოს რომელ წერტილშიც არ უნდა იყოთ, თქვენ კვლავ შეძლებთ ჩვენს მენიუში ყველაზე საკულტო საკვების შეძენას, როგორიცაა Big Mac®. ჩვენი თითოეული რესტორანი აკმაყოფილებს იმ მაღალი ხარისხის სტანდარტებს, რომლითაც ვამაყობთ“.

განვიხილოთ რამდენიმე ქვეყნის მაგალითი: [7]

- **ამერიკის შეერთებულ შტატებში** მაკდონალდსი ხარჯავს თავისი ბიუჯეტის ყველაზე დიდ ნაწილს. კომპანია ხშირად ცდის ახალ პროდუქტებსა და ინოვაციას თავის ქვეყანაში, სადაც მას ყველაზე დიდი აუდიტორია და რესტორნების ქსელი აქვს. კომპანიის რეკლამა, როგორც წესი, მიმართულია ბავშვებისთვის. ამერიკის ზოგიერთ შტატის მენიუში ხელმისაწვდომია სხვადასხვა საკვები, როგორიცაა: მაკ ლობსტერი; ორცხობილა და გრავი; ჰაუპიას ღვეზელი; საიმინი; კრაბის სენდვიჩი (ჩრდილო-აღმოსავლეთ მაკდონალდსებში); THE HOMESTYLE BURGER; BBQ RANCH BURGER; The Johnsonville bratwurst; სტეიკი და კვერცხის ბურიტო; მაკ პიცა და პრემიუმ სალათები.
- **გერმანია** მაკდონალდსის ყველაზე დიდი ევროპული ბაზარია, სადაც კლასიკურ მენიუს ელემენტებთან ერთად ლუდის შეკვეთაც კი შესაძლებელია. აქაურ რესტორნებში ბურგერის უამრავი უნიკალური ვარიანტია, რომელთაც ამერიკაში ვერ შეხვდებით. მენიუში არის Surf n'Turf (რომელიც შეიცავს გამომცხვარ კრევეტებს, ავოკადოს კრემს და ბეკონს) და Salsa Avocado Burger; McDouble Chili Cheeseburger; ვეგანებისა და ვეგეტარიანელებისთვის სოიისა და ხორბლისგან დამზადებული Big Vegan Burger; ვეგანური ბურგერი; Deutschland-ის საუზმის მენიუში არსებული პურის რამდენიმე ვარიანტი, McToasts; McToast Ham; ტრადიციული მაკმაფინების ადგილობრივი ვარიაციები, როგორიცაა შემწვარი ქათმისა და სტანდარტული ბეკონის, კვერცხისა და ყველის სენდვიჩის ვერსია საქონლის ხორცის ფენით. [8]
- **გაერთიანებულ სამეფოშიც** მენიუ ადაპტირებულია ადგილობრივ ბაზარზე და მოიცავს ისეთ საინტერესო კერძებს, რომლებიც შეგიძლიათ მხოლოდ აქ დააგემოვნოთ. [9] კერძოდ, ესენია: „თევზის თითები“- ტრადიციული თევზი და ჩიფსები; ცხარე ნაჩოს ყველის ვეჯი არაჟანთან და ხახვთან ერთად; შოტლანდიური არაალკოჰოლური გაზიანი სასმელი Irn-bru მწარე გემოთი;

ბანანის მილკშეიქი; ბეკონის როლი; The Cheesy Bacon flatbread ბეკონით და ჩედარის ყველით; შოკოლადის დონატი; სენდვიჩი ქათმის ლეგენდა; ვეგეტარიანული და ვეგანური ბურგერი-ცხარე ბოსტნეულის ლუქსი.

- **ჩინეთი** მაკდონალდსისთვის დიდი ბაზარია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მას აქ 2700 რესტორანი აქვს. რასაკვირველია, ჩინური ბაზრის მენიუც ადაპტირებულია ადგილობრივ გემოვნებასა და პრეფერენციებზე: ქათმის ბურგერებში ქათმის მკერდის ხორცის ნაცვლად გამოიყენება ადგილობრივი მოსახლეობის საყვარელი ქათმის ბარკლის ხორცი; ჩინურ ახალ წელს კლიენტებს უმასპინძლდებიან შემწვარი ქათმის ბურგერით, რგოლის ფორმის კარტოფილითა და ჩინური ჰოროსკოპის 12 ცხოველის ნიშნით წითელ კონვერტთან ერთად . გარდა ჩვეულებრივი სოუსებისა: Honey Mustard, Sweet and Sour და BBQ, McDonald's ჩინეთის ქათმის McNuggets ასევე შეიცავს ჩილის ნივრის სოუსს. 2001 წელს მენიუს დაემატა სუპები, როგორიცაა სიმინდის წვნიანი, ბოსტნეულის და ზღვის პროდუქტების წვნიანი.
- **იაპონური** სამზარეულო ძალიან განსხვავდება დანარჩენი მსოფლიოსგან. იაპონიაში საწყის ეტაპზე წარმოდგენილი იყო აშშ-ს ბაზარზე არსებული მენიუ, რომელსაც ნელ-ნელა დამატა და ჩაენაცვლა ახალი ელემენტები ადგილობრივების პრეფერენციების გათვალისწინებით. კომპანიამ წარმოადგინა მწვანე ჩაის ნაყინი, რაის ბურგერი, ზღვის მცენარეების შეკერი და ტერიაკი ბურგერი; კრევეტების ბურგერები, კრევეტების ნაგეტსები, მწვანე ჩაის არომატიზებული რძის კოქტეილი; საუზმე ჰოთ დოგებით, მდოგვით, კეტჩუპით და ტკბილეულით. იმის გამო, რომ იაპონელების მადა განსხვავდება ამერიკელებისგან, იაპონიაში ბურგერების, კარტოფილის და სასმელების პორციული ზომები უფრო მცირეა. გარდა ამისა, იაპონური რეკლამები უნიკალურია ადგილობრივი კულტურისთვის და ორიენტირებულია როგორც მოზრდილებზე, ასევე ბავშვებზე.
- **ინდოეთში** მომხმარებელთა დიდი რაოდენობაა, რომელთაც სპეციფიკური გემოვნება და უპირატესობები გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, ბრენდმა მენიუში სერიოზული ცვლილებების შეიტანა: მოდიფიცირდა საკვების დასახელებები; ჰამბურგერის დასამზადებლად საქონლის ხორცი შეიცვალა ქათმის ხორცით, ბოსტნეულითა და თევზით; სპეციალურად ინდური ბაზრისათვის შექმნეს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბურგერის Big-Mac-ის ადგილობრივი ვერსია Maharaja-Mac, რომელიც საქონლის ხორცის ნაცვლად ქათმის და კარის სოუსისგან მზადდება. 2013 წელს კომპანიამ ადგილობრივი ვეგეტარიანელი მომხმარებლებისთვის გახსნა პირველი ვეგეტარიანული რესტორანი, სადაც სთავაზობენ Masala Grilled Veggie Burger-ს, McAllo Tikki-ს და McVeggie-ს.
- **მალაიზიაში** ყველა მაკდონალდსი იცავს ისლამურ-დიეტურ კანონს (halal) მალაიზიის ისლამური განვითარების დეპარტამენტის ზედამხედველობის ქვეშ. ამასთან ქვეყნის მიერ დანიშნულია ორი Syarie ექსპერტი საკვების მოსამზადებლად რჩევების გასაცემად. ამრიგად, ხორცს კლავენ ჰალალის ტექნიკით, ხოლო ღორის ხორცი და ბეკონი აქაურ მენიუში არ არის. ადგილობრივ ბესტსელერებს შორისაა შემწვარი ქათმი Ayam Goreng McD Chicken- ორი ჩვეულებრივი და ცხარე ვარიანტით; Bubur Ayam McD; Spicy Chicken McDeluxe-ს; GCB ("Grilled Chicken Burger"), Nasi Ayam McD; ცივი Milo სასმელი; ადგილობრივი დილის ფავორიტები, როგორიცაა Teh Tarik სასმელი და Cakoi შემწვარი პური. 2015 წლიდან მუსლიმთა წმინდა თვე რამადანის დროს, ქსელი თავის მომხმარებლებს სთავაზობს Foldover-ის ქათმისა და საქონლის ხორცის ვარიანტებს.
- **ისრაელი** ერთადერთი მთლიანად კოშერ მაკდონალდსი გვხვდება ისრაელსა და არგენტინაში. ამ ადგილებში ღვეზელები შემწვარზე მეტად დანახშირებულია. ზოგიერთი კოშერის ლოკაცია ემსახურება რძეზე დამზადებულ დესერტებს, მაგრამ ცალკეულ ჯიხურებში, რაც საშუალებას იძლევა სრულად გაიმიჯნოს რძისა და ხორცის პროდუქტების საკვების მომზადების ადგილებში. მიუხედავად ამისა, ისრაელის ყველა რესტორანში არ არის კოშერის სერვისი, რადგან იყიდება ჩიზბურგერებიც- რძისა და ხორცპროდუქტების ნაზავი. ისრაელის მაკდონალდსის სპეციალიზებულ მენიუს ელემენტებს მიეკუთვნება მაკ-შაურმა და მაკ-ქაბაბი. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მათ დაემატა ვეგეტარიანული ვარიანტი- სიმინდის ჩხირები. [10]

ამრიგად, როგორც ზემოაღნიშნული მაგალითებიდან ჩანს, მაკდონალდსი მის ხელთ არსებულ მატერიალურ და არამატერიალურ რესურსებს არ იშურებს, რათა ბრენდის ძირითად ფასეულობებზე დაყრდნობით თითოეულ ბაზარსა და მომხმარებელზე ადაპტირებული გარემო შექმნას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ბრენდის უცვლელი წარმატების მიზეზი სწორედ კომპანიის საერთაშორისო ბიზნეს სტრატეგიაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. McDonalds Statistics, Restaurant Counts, Facts & News (2022), https://expandedramblings.com/index.php/mcdonalds-statistics/ (29.03.2022)
2. Rinie Wilson, McDonald's Marketing Strategy That Has Made it a Global Success, https://www.marketingmind.in/mcdonalds-marketing-strategy-that-has-made-it-a-global-success/ (29.03.2022)
3. Charu Dwivedi, Marketing Strategy of McDonald's that makes you "loving it", https://thestrategystory.com/2021/08/04/mcdonalds-marketing-branding-strategy-mix/ (29.03.2022)
4. Natalie Filice, Katie Kirk, & McKenna McVicker, "The World's Lovin' It": The Global Brand Success of McDonald's, https://globalmarketingprofessor.com/the-worlds-lovin-it-the-global-brand-success-of-mcdonalds/ (29.03.2022)
5. International Management of McDonald's https://www.ukessays.com/assignments/international-management-of-mcdonalds-2021.php (29.03.2022)
6. Bernadine Racoma, McDonald's International Strategy: Adapting Around the World, https://www.daytranslations.com/blog/mcdonalds-international-strategy-adapting-around-the-world/ (29.03.2022)
7. Global Strategy: The Case of McDonald's, https://qa.ulster.ac.uk/blog/global-strategy-the-case-of-mcdonalds/ (29.03.2022)
8. Amanda Tarlinton, How American McDonald's Burgers Differ from Germany's https://www.mashed.com/297465/how-american-mcdonalds-burgers-differ-from-germanys/ (29.03.2022)
9. Aida Cisse, 10 Awesome McDonalds Food You Can Only Get In The UK, https://www.thetravel.com/uk-mcdonalds-foods-exclusive-menu/ (29.03.2022)
10. International availability of McDonald's products https://en.wikipedia.org/wiki/International_availability_of_McDonald%27s_products (29.03.2022)

6	თემის დასახელება	**ქართული და უცხოური რეკლამების ეფექტურობის შედარებითი ანალიზი**
	სტუდენტი	**კვერნაძე ბიძინა, გოდერიძე სალომე**
	საბაკალავრო პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება, I კურსი, აწსუ
	ხელმძღვანელი	**ქარქაშაძე ნარგიზა,** აწსუ-ს ასოც. პროფესორი
7	თემის დასახელება	**COVID – 19 და დროებითი შემწეობა**
	სტუდენტი	**ჭითანავა გიორგი**
	საბაკალავრო პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება, II კურსი, აწსუ
	ხელმძღვანელი	**ბენიძე ნანა**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი
8	თემის დასახელება	**კომპანიის ეფექტიანობის გაზრდა - მენეჯერის მთავარი ამოცანა**
	სტუდენტი	**კუბლაშვილი ელენე**
	საბაკალავრო პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება, IV კურსი, აწსუ
	ხელმძღვანელი	**ქიქოძე ნუნუ**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი
9	თემის დასახელება	**კონკურენტები და მომავლის მართვის გეგმა**
	სტუდენტები	**ჭითანავა გიორგი, ახვლედიანი ანა**
	საბაკალავრო პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება, II კურსი, აწსუ
	ხელმძღვანელი	**უკლება შურა**, აწსუ-ს მოწვეული სპეციალისტი
10	თემის დასახელება	**მოტივაციის როლი ადამიანური რესურსების ეფექტურ მართვაში** (აწსუ-ს მაალითზე)
	სტუდენტი	**ფურცხვანიძე სოფიო**
	საბაკალავრო პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება, II კურსი, აწსუ
	ხელმძღვანელი	**მიქაბაძე სიფიო**, აწსუ-ს ასისტ. პროფესორი
11	თემის დასახელება	**ტურიზმი და მისი გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე**

სტუდენტები	**კენჭაძე ნია, სტურუა მარიამი**
საბაკალავრო პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება, II კურსი, აწსუ
ხელმძღვანელი	**ბენიძე ნანა**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი

Tourism is a major business and economic sector in the world today, this sector is always expanding rapidly as it adapts rapidly to new markets and innovations, and its growth is driven by strong political pursuits, also, the analysts of impact on the economy of the tourism gives very important information: It evaluates tourism activities in the region and country economics. Therefore it is constantly interesting to talk and to research.

ტურიზმი მეტად პოპულარული და გლობალური საქმიანობაა. ის დასვენებისთვის ან თავისუფალი დროის სხვა გარემოში გატარების მიზნით მოგზაურობას (არა უმეტეს 1 წელი) ნიშნავს. ტურიზმი არის საქმიანობის ის სახე, რომელიც უმთავრესად ითვალისწინებს სხვადასხვა ტურისტული მოთხოვნებისა და მომსახურების მიწოდებას ადამიანისთვის. მისი მიზანია ტურისტული პროდუქტის წარმოება და იმ ადამიანებისათვის მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომლებსაც საცხოვრებელი ადგილიდან დრობითი გადაადგილება სურთ. ტურიზმის დარგი სხვდასხვა დამოუკიდებელს დერგებს აერთიანებს, როგორიცაა სამგზავრო ინფრასტრუქტურა, რომელიც სატრანსპორტო დარგს მიეკუთვნება. ასე რომ ტურიზმის განხილვა მისი შემადგენელი ნაწილებიდან მხოლოდ ერთ-ერთით შეუძლებელია, იმიტომ რომ ყოველ მათგანს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ტურიზმის დარგი მსოფლიო ეკონომიკაში აღიარებულ სექტორს წარმოადგენს და ლიდერობს კიდეც. ამ დარგის ფუნქციონირების ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციულ ანალიზს, მის განვითარებასა და წინსვლას ეროვნულ ეკონომიკასა და ბიზნესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ტურიზმმა როგორც სოციალურმა მოვლენამ დღევანდელ მსოფლიოში, ისევე როგორც საქართველოში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. მისი წყალობით არსებობს მრავალრიცხოვანი საწარმოები და ახალი სამუშაო ადგილები. საქართველო კი ერთ-ერთი უძველესია ტურისტულ ქვეყნებს შორის. მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო წლების განმავლობაში უამრავ მოგზაურსა თუ ვაჭარს უწევდა საქართელოში თუ მისი გავლით გადაადგილება და ზუსტად ამ დროირდან დაიწყო ტურიზმის განვითარება საქართველოში. ჩვენს ქვეყანას უამრავი რამის შეთავაზება შეუძლია მისი ვიზიტორებისათვის, ესენია: მრავალფეროვანი ბუნება და ლანდშაფტები, შავი ზღვის თვალწარმტაცი ზონა, ჩვენი მდინარეები, ჩანჩქერები და ტბები, ისტორიული ძეგლები, სამკურნალო წყლები და კურორტები, ტრადიციული ქართული სამზარეულო და ყველა ერისგან გამორჩეული სტუმართმოყვარეობა. ამიტომაც საქართველოს გაცნობა მუდმივად მიმზიდველი და საინტერესოა მისი ყველა სტუმრისათვის. ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტი სფეროა და მისი განვითარების დინამიკა კი ბოლო წლებში არსებითად შეიცვალა და მიუხედავად იმისა რომ საქართველომ ჯერ მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე საპატიო ადგილი ვერ დაიკავა მოგზაურთა საერთო რიცხვში ქვეყანას საპატიო ადგილი აქვს დაკავებული. მისი განვითარებისათვის კი მთავარს ქვეყანა ტურისტულ მიმზიდველობასა და კონკურენტიანობის სტრატეგიას საჭიროებს, რომლის რეალიზაციაც ხელს შეუწყობს ტურისტული რესუსრსის გამოყენებას.

დანართი N1. უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა ქვეყნების მიხედვი. ათასი

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოში ჩამოსული საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მოქალაქეობის ქვეყნების მიხედვით, ათასი											
	საქართველო*	სომხეთი	აზერბაიჯანი	რუსეთის ფედერაცია	თურქეთი	უკრაინა	ირანი	ისრაელი	ევროკავშირის წევრი ქვეყნები	სხვა ქვეყნები	**სულ**
2015 წელი	30.2	74.7	70.7	52.1	61.0	9.3	1.6	4.4	15.9	15.9	335.8
2016 წელი	29.5	71.3	65.8	59.5	55.4	11.2	9.9	6.9	17.4	23.3	350.1
2017 წელი	31.4	79.1	80.6	79.7	56.1	12.6	21.8	9.3	21.5	34.5	426.5
2018 წელი	32.5	76.7	88.2	100.4	63.6	13.3	22.4	12.8	29.6	39.9	479.3
2019 წელი	33.0	80.5	92.9	101.9	66.9	15.7	10.8	16.6	37.2	50.4	506.0
2020 წელი	9.5	13.6	17.7	13.8	16.5	3.2	1.3	2.1	5.6	8.6	91.8
2021 წელი	11.4	8.0	4.2	15.4	17.4	11.7	1.2	8.2	11.1	30.1	118.6

რაც შეეება ტურისტულ ბაზარს, ის მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის გამოვლენილი ურთიერთობის ადგილია. ტურისტულ ბაზარს სამი ფუნქცია აქვს: უზრუნველყოს ტურისტული პაკეტების შექმნა და რეალიზაცია, უზრუნველყოს მომხმარებლებისათვის ტურისტული პროდუქტის ხელმისაწვდომობა და მოგების მიღება. ტურისტული ბაზრის კონიუქტურაზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სამეცნიერო ტექნიკური. ბაზრის შესაძლო ზრდის გამომწვევი მიზეზები კი შემდეგია: სიცოცხლის ხანგრძლივობის ზდა, მოქნილი სამუშაო საათები, მოგზაურობის გაადვილება, ხანმოკლე მოგზაურობების ხშირი ტენდენცია და ცხოვრების დონის გაუმჯობესება. რაც შეეხება ტურიზმის ინდუსტრიას, ის დარგთაშორისი კომპლექსია, რომელიც გამიზნული არის ტურისტული პროდიქტის წარმოებისთვის და იმ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის, რომელიცი ადამიანებს უჩნდებათ საცხოვრებელი ადგილიდან სხვა დროებითი დანიშნულების ადგილამდე გადაადგილებისას. ტურიზმის ინდუსტრია ყველაზე დინამიური ინდუსტრია გახდა დღევანდელი მსოფლიოს მასშტაბით, რადგანაც ის ერგება პროდუქტის ინოვაციებს, ცვლილებებს და ახალ ბაზრებს. მისი ინდუსტრიის ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრი კი მდგრადი ტურიზმის მართვაა.

შევეხოთ თემას თუ რა სარგებელი მოაქვს ტურიზმს ბიზნესსა და ეკონომიკაში უამრავ ქვეყანაში პრობლემას ის ფაქტი წარმოადგენს, რომ ადმინისტრატორებსა და კანონმდებლებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა ტურიზმის ინდუსტრიის შესახებ. ტურიზმის დადებითი ბიზნეს-ეკონომიკური გავლენა კი არის პოლიტიკოსებისთვის პრაქტიკოსების მიერ წარმოდგენილი საუკეთესო არგუმენტი, როდესაც მათ დაფინანსების გაზრდა სურთ. ამავდროულად ტურიზმის ეკონომიკური და ბიზნეს გავლენის შესახებ ლოგიკური, დოკუმენტირებული კვლევა გვეხმარება უკეთესი საჯარო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. როგორც ვიცით, ტურისტული გადაწყვეტილებები უპირველესად ორიენტირებული არის ტურიზმის ბიზნეს-ეკონომიკურ სარგებელზე. ტურიზმის განვითარება ჰარმონიაში უნდა იყოს მასპინძელი საზოგადოების როგორც სოციალურ-კულტურულ, ეკოლოგიურ, ტრადიციების მიზნებთან, ასევე მათ ღირებულებებსა და მისწრაფებებთან. ყველა ასეთი საზოგადოების საქმიანობა კი გათვალისწინებული უნდა იქნეს ბიზნეს-ეკონომიკურ მიზნებთან ერთად, რადგან სტიმულირდეს დაინტერესებულ მხარეებთა მხრიდან მონაწილეობა. ტურიზმი ასევე დიდ შესაძლებლობებს აძლევს მასპინძელ საზოგადოებას, რომ მონაწილეობა მიიღონ
კულტურულ და ისტორიულ მოვლენებში. ამ დროს კი ტურიზმის ინდუსტრიაში ადგილობრივი მეწარმეების და დასაქმებული თანამშრომლების მიღებულ პირდაპირ ბიზნეს-ეკონომიკურ

სარგებელთან ერთად მკაფიოდ იგრძნობა სიამაყე საკუთარი და ქვეყნის ღირსების და ადგილობრივი

ქვეყნები	*შემოსავლები*
აშშ	103.5 მლნ $
ესპანეთი	52.2 მლნ $
საფრანგეთი	56.3 მლნ $
ჩინეთი	45.8 მლნ $
იტალია	38.8 მლნ $
გერმანია	47.7 მლნ $
გერთიანებული სამეფო	30.4 მლნ $
ავსტრალია	30.1 მლნ $
ჰონკონგი	23 მლნ $
თურქეთი	20.8 მლნ $

მემკვიდრეობისა და კულტურის მსოფლიოსთვის გაზიარებისა.

ტურიზმში დასაქმება და ის რომ ტურიზმი ინტენსიური სამუშაო ძალაა არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა თუ რატომ არის ბიზნეს-ეკონომიკური თვალსაზრისით ტურიზმის დარგი ასეთი მნიშვნელოვანი. ტურიზმში დასაქმება საქონლის წარმოების სექტორზე მეტად კონცენტრირებულია მომსახურეობის სფეროზე. მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში ტურიზმი ყველაზე დიდი დამსაქმებელია, დამქირავებელი, სამუშაოს გამცემი, რადგან ბოლო წლების მაჩვენებელით ამერიკას $171,1 მილიარდზე მეტი თანხა აქვს მისი თანამშრომლებისათვის გადახდილი ტურიზმიდან მიღებული შემოსავლისგან. ტურიზმი ასევე ეროვნული შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა. რადგან მისი სექტორი ძალიან მრავალფეროვანია. უცხოელი ვიზიტორები დიდი რაოდენობით ფულს დებენ სხვადასხვა საქონელსა თუ მმსახურეობაზე და სწორედ ეს განაპირობებს ტურიზმში შემოსავლების მნიშვნელოვან ზრდას. მომხმარებლები დაინტერესებლნი არიან მაღალხარისხიანი საქონლის შეძენით, ღირსშესანიშნაობების დათვალიერებით და კულტურულ ღონისძიებებში ჩართვით, რაც უმთავრესად წარმოადგენს უცხოური ვალუტის ფულადი შემოსავლების მნიშვნელვან წყაროს. მასაშადამე ტურიზმი ფართო გაგებით ყველა საჭირო საქონელსა და მომსახურეობას მოიცავს მოგზაურთათვის.

დანართი N2. ტურიზმიდან დიდი შემოსავლების მქონე ქვეყნები

მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე მე-20 საუკუნეში ტურისტულ პროდუქტებზე მოთხოვნის მხრივ შესამჩნევი ცვლილება მოხდა, ეს ცვლილება მოიცავდა მიდგომის შეცვლას თავისუფალი დროის გამოყენებისადმი, კერძოდ კი ამაღლდა ცხოვრების ხარისხის ტენდენციები, რაც შესაბამისად აისახა ტურისტული პროდუქტის მოთხოვნაზე. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრების დონის ამაღლება დასაქმებულთა საშვებულებო დონის ზრდას განაპირობებს. ეს და სხვა ისეთი მრავალი ფაქტორი როგორიცაა დემოგრაფიული და სოციალური ცვლილებები კი იწვევს მოგზაურობებზე ადამიანთა სურვილის ზრდას მსოფლიოში. ზოგადად კი, ტურიზმის გავნელა ქვეყნის ბიზნეს-ეკონომიკურ სარგებელზე გამოიხატება ტურიზმიდან შემოსავლებით, მისი ხვედრითი წილით

ექსპორტში, ქვეყნის ბიუჯეტში შემოსავლებითა და ტურიზმის განვითარებით მიღებული ახალი სამუშაო ადგილების ზრდით.

ტურიზმში ტურისტების შემოყვანა მთლიანად ამუშავებს ქვეყნის შიდა ბაზრის გაფართოვებას, სწორედ აქიდან გამომდინარე ტურიზმი მჭიდრო შეხებაშია ბიზნესისა და ეკონომიკის მრავალ დარგთან და ხელს უწყობს მის სწრაფად განვითარებას. ტურიზმის ინდუსტრია ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესის დარგებისა და წარმოებების ერთობლიობას გამოხატავს. ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება მოიცავს გზების, სასტუმრო და საკურორტე კომპლექსების მშენებლობას რომელიც მოითხოვს დიდ კაპიტალს რასაც სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები აფინანსებენ. შესაბამისად ტურიზმში წარმოების ზრდა გავლენას ახდენს ბიზნეს-ეკონომიკის სხვადასხვა დარგებზე, მაგალითად - მატულობს კაპიტალდაბანდებები, ფართოვდება ვაჭრობა, იქმნება უფრო მეტი სამუშაო ადგილები და აქიდან გამომდინარე იზრდება შემოსავლებიც. ზოგადად კი ტურიზმის ეკონომიკის მიზანია - "დეფიციტური რესურსების, სამუშაო ძალის, კაპიტალის, მიწისა და გარემოს რესურსების გამოყენება საქონლისა და ტურიზმის საწარმოებლად და ამ საქონლის განაწილება სხვადასხვა მომხმარებელს შორის." (მაიკლ სინკლერი, 1991).

დანართი N3. ტურიზმის წილი მშპ-ში:



ტურიზმს ჩვენი ქვეყნის განვითარებაში საპატიოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ტურისტულ ქვეყნებში ტურიზმის მეშვეობით მომსახურეობისა და ვაჭრობის სფეროები ვითარდება, რაც თავის მხივ ხელს უწყობს დასაქმებას და სავალუტო შემოსავლებს ზრდის. შესაბამისად, ტურიზმი საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტებს შორისაცაა. ჩვენი პატარა ქვეყანა, მცირე ტერიტორიის მიუხედავად განსხვავებულად იზიდავს ვიზიტორებს მისი უნიკალური ლანდშაფტით და ნოტიო სუბტროპიკული ჰავით. ასევე მრავლადაა სამკურნალო-მინერალური წყლები, რომელთაგაც დღესდღეობით 2400 ბუნებრივი წყაროა აღრიცხული. ეს და სხვა მრავალი ნიშან-თვისება წინაპირობაა ჩვენი ქვეყნის ტურისტებისათვის მიმზიდველობისა. საქართველოში ტურიზმი ეროვნული ბიზნეს-ეკონომიკის განვითარებაში პრიორიტეტია და ის ქვეყნის ეკონომიკაში აუცილებელი მიმართულებაა. საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის სტრატეგია ჩვენი აზრით აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდეგ პრინციპებს: უნდა მოხდეს უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფა, აქტიურად

დაინერგოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინოვაციები, გამოყენებულ იქნას ყველა რესურსები რაციონაურად და მთავარი უნდა ამაღლდეს ზასოგადოების ბიზნეს-ეკონომიკური და ეკოლოგიური პასუხისმგებლობა.

დანართი N4. შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (ათასი აშშ დოლარი)



საქართველოსა და მსოფლიოში ტურიზმი ეროვნული ბიზნეს-ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტია. დღეისათვის საქართველოს სამრეწველო პროდუქციისთვის გარე ბაზარი არაა ბოლომდე ათვისებული, შესაბამისად შიდა ბაზრის გაფართოება და ექსპორტი მეტწილად პრობლემურია. ჩვენი ქვეყანაში სხვა დარგებთან შედარებით, ტურიზმს შიდა ბაზრის პრობლემები არ გააჩნია, იმიტომ რომ იმპორტ/ექსპორტი მის გაფათოებაზეა მორგებული და მიმართული. ტურიზმის განვითარება შეუძლებელი გვეჩვენება იმ ქვეყნებში სადაც არ არსებობს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, სადაც არ არის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მდგრადი და სადაც ის ვერ საზრდოობს. ასეთ პირობებში ტურიზმის სფეროს უფრო მეტად განვითარებისათვის კი უპირველესყოვლისა ჩვენს ქვეყანაში საჭიროა გამართული ინფრასტრუქტურა, უსაფრთხო გარემო ვიზიტორებისათვის, სოფლის მეურნეობის განვითარება, კავშირგაბმულობისა და მომსახურეობის სფეროთა მოწესრიგება და სრულყოფილი საბანკო-სადაზღვეო სისტემა. საქართველოში ტურიზმის დარგის განვითარებისთვის აუცილებლად მიგვაჩნია:

- მოქნილი სადაზღვეო პაკეტები;
- ტურიზმის ხელშემწყობი ორგნიზაციული სტრუქტურების შექმნა და მათი მოწესრიგება;
- იმ კანონმდებლობებისა და აქტების სრულყოფილება, რაც არეგულირების ტურიზმის დარგის ფუნქიონირებას, ლიცენზირებული სასტუმროები და სააგენტოები;
- მომსახურე პერსონალისათვის აუცილებელი მორგებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- სერიოზული პროფესიული გადამზადება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის რაც შემდეგ უზრუნველყოფს მეტად ხარისხიან მომსახურებას;
- სუფთა ეკოლოგიური გარემო, საინტერესო მარშრუტები ტურისტებისათვის;
- ადგილობრივი მოსახლეობის ტურიზმის სფეროთი დაინტერესებ
- ისტორიული ძეგლებისა და ტურისტული ღირსშესანიშნაობების ძირფესვიანად შესწავლა და მათი პოპულარიზაცია;

მოცემული რეკომენდაციების საფუძველზე ვთვლით, რომ შესაბამისად, ქვეყნისთვის ამ დარგის შეცნობა და მისი როლის განსაზღვრაა აუცილებელი, რაც შექმნის და აამაღლებს ქვეყნის ტურისტულ იმიჯს, რადგანაც ჩვენი ქვეყანის ლანდშაფტს, კლიმატს, მემკვიდრეობას, ნამდვილად აქვს რესურსი გაუწიოს კონკურენცია მძლავრ ტურისტულ ქვეყნებს ეს კი შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და გააძლიერებს როგორც ბიზნესს, ისე საბოლოო ჯამში გაზრდის ეკონომიკასაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/mgavasheli.pdf
2. http://dl.sangu.edu.ge/pdf/programs/ba_tourbiz.pdf
3. https://tsu.ge/assets/media/files/7/biblioteka/vako.pdfhttps://ka.wikipedia.org/wiki/ტურიზმი
4. https://www.slideshare.net/saocreba201222/ss-32748211
5. https://gnta.ge/wp-content/uploads/2021/12/GEO-Print-2020.pdf
6. https://geostat.ge/media/45086/vizitorebi-moqalaqeobis-mixedviT.xlsx
7. https://www.unwto.org/
8. https://police.ge/
9. https://nbg.gov.ge/
10. https://www.geostat.ge/ka

12	თემის დასახელება	**ტურის მარკეტინგული გზა**
	სტუდენტები	**გახარია ლიკა, მჭედლიძე ლუკა**
	საბაკალავრო პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება, I კურსი, აწსუ
	ხელმძღვანელი	**ქარქაშაძე ნარგიზა,** აწსუ-ს ასოც. პროფესორი

13	თემის დასახელება	**მსოფლიო „კრიპტო-სავალუტო“ კრიზისი და მისის განვითა-რების სავარაუდო სცენარები**
	სტუდენტი	**მჭედლიშვილი თამუნა**
	სამაგისტრო პროგრამა	საბანკო საქმე, I კურსი, სეუ
	ხელმძღვანელი	**მოსიაშვილი ვალერი**, სეუ-ს პროფესორი

14	თემის დასახელება	**მომხმარებლის როლი კომპანიის წარმატებები**
	სტუდენტები	**დოღონაძე მარიამი, ანანო ლორია**
	საბაკალავრო პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება, III კურსი, აწსუ
	ხელმძღვანელი	**ქარქაშაძე ნარგიზა,** აწსუ-ს ასოც. პროფესორი

It's been a long time since the focus of modern marketing has shifted from product to customer. Such a reality determines the maximum orientation of the company to meet the customer and its needs. Today's reality allows us to discuss the companies that have lost their market position due to big mistakes. Or conversely, consider the experience of large firms in how they have achieved success. Facts like these are the best lesson for companies that do not yet know how to manage to get customer focus and then maintain their rightful place in the market space, among competitors. The paper allows us to understand who the real consumers are, why they buy products and by what criteria they choose the goods. It also presents what customers want and why it is important for the company to satisfy and maintain them.

The article presents the results of our research, which shows that customer orientation should be the main mission of the company. Most of the people surveyed also believe that introducing innovations can be one of the

best ways for a firm to succeed. Finally, recommendations on improving the quality of service and retaining customers are offered.

საკვანძო ფრაზები: მომხმარებელთა კმაყოფილება, ინოვაციურობა, მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე ორიენტირებული კომპანია.

შესავალი

დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომპანიის წარმატების საწინდარი სხვადასხვა მიზეზთა ერთობლიობა შეიძლება იყოს: ხარისხიანი პროდუქტი, ხელსაყრელი ფასი, კომპანიის გამჭირვალობა და გულწრფელობა მომხმარებელთან, მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მაქსიმიზაცია და სხვა. ერთი შეხედვით საკმაოდ მარტივად ჟღერს წარმატებული კომპანიის არსი, თუმცა ორმაგად რთულია გახდე კონკურენტუნარიანი, მიიღო მუდმივად ცვალებადი გამოწვევები, დანერგო ინოვაციები, შეიქმნა სანდო იმიჯი და დაიმსახურო მომხმარებელთა ერთგულება. ეს უკანასკნელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და წამყვანი კომპონენტია კომპანიისთვის წარმატების მისაღწევად.

ტექნოლოგიების ეპოქაში ცვლილებები გარდაუვალია და მათი სიხშირეც გაცილებით სწრაფია. ცვალებადი გარემო კი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების შეცვლას განაპირობებს. მსგავსი ფაქტორების გათვალისწინება აუცილებელია კომპანიების მიერ, ვინაიდან ბაზრის მოთხოვნის გაცნობიერება მთავარი გასაღებია მომხმარებელთა ინტერესების გასაგებად და მათთვის სწორი პროდუქტების შესათავაზებლად. მათ, ვინც ვერ შეძლეს ისეთი გამოწვევების წინაშე გამკლავება, როგორებიცაა ინოვაციურობა და მომხმარებელზე ორიენტირება, გაყიდვები საგრძნობლად შეუმცირდათ და მოწინავე ადგილებიდან ნელ-ნელა უკან გადაინაცვლეს ან თითქმის სრულად გავიდნენ ბაზრებიდან და შეწყვიტეს წარმოება.

მსგავსი პრობლემები და კომპანიების მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნა, საკმაოდ ხშირია და ეს საკითხი აქტუალურობასაც არ კარგავს, ვინაიდან დღევანდელი სასტიკი კონკურენციის პირობებში მომხმარებლის მნიშვნელობა და მასთან მუშაობა წარმოადგენს ფუნდამენტს ბაზარზე წარმატებული ასპარეზისათვის. დღესდღეობით მომხმარებელთა ქცევის გაგება და მათი მოთხოვნილებების გათვალისწინება პროდუქტის შექმნისას არის არა არჩევანი, არამედ კომპანიის გადარჩენისა და სამომავლო წარმატების აუცილებელი წინაპირობა.

ამ სტატიაში წარმოგიდგენთ კომპანიის წარმატებას, საერთაშორისო დონის ფირმების მაგალითზე, თუ როგორ შეძლეს მათ მოეპოვებინათ პირველი ადგილი ბაზარზე. ასევე განხილული იქნება ის მსხვილი კომპანიები, რომლებიც დღეს ბაზარზე ნაკლებად გვხვდებიან რიგი შეცდომების გამო და გაგაცნობთ კვლევის შედეგებს, რომელიც ჩატარებულია ქართულ რეალობაში და ასახავს ბოლოდროინდელ სიტუაციას ჩვენი ქვეყნის მაგალითზე. ნაშრომში განიხილება მომხმარებლების გავლენა კომპანიის წარმატებაში და სხვადასხვა მკვლევრისა თუ მარკეტოლოგის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

პირველ რიგში განვიხილოთ ვინ არიან მომხმარებლები?

საერთაშორისო განმარტებით მომხმარებელი არის ფიზიკური პირი, რომელიც პირადი, ოჯახის ან შინამეურნეობის მოხმარებისათვის იძენს პროდუქტს ან მომსახურებას, ან სარგებლობს პროდუქტითა და მომსახურებით. მომხმარებელი ყიდულობს საქონელს, როცა თვლის, რომ საქონლის უნარი, გადაწყვიტოს მისი პრობლემა, უფრო ფასეულია, ვიდრე მის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპანიის მთავარი მიზანი სწორედ მომხარებლის პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულობას უნდა წარმოადგენდეს.

დღეს ხშირია, როდესაც კომპანია კონკრეტულ პროდუქტს ქმნის და ცდილობს მას მოარგოს მომხარებელი, თუმცა სინამდვილეში უფრო მომგებიანია თუ ფირმა ეცდება შეისწავლოს ბაზარი, გამოიკვლიოს მომხმარებელთა პრობლემები და შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება წარმოების შესახებ, აქედან გამომდინარეობს, რომ სწორედ პროდუქტი უნდა იყოს მორგებული მომხმარებელზე და არა პირიქით.

და მაინც, რა სურთ მომხმარებლებს და რა კრიტერიუმებით აფასებენ საქონელს? ყველა ადამიანს განსხვავებული მოთხოვნილებები და საჭიროებები შეიძლება გააჩნდეს, თითოეული მათგანი განიცდის

რაღაცის ნაკლებობას. უმრავლეს შემთხვევაში მთავარი მოთხოვნა პროდუქტის ხელსაყრელი ფასი ან/და ხარისხია. ამასთან, სერვისი, მომსახურება, უტყუარობა, ინფორმირებულობა, ეს ის მცირე ჩამონათვალია, რაზეც ნებისმიერი ადამიანი ამახვილებს ყურადღებას, რადგან თითოეული პროდუქტის შეძენა რისკებთანაა დაკავშირებული. მათ უნდა იგრძნონ რომ შეძენიდან მიღებული სარგებელი გადააჭარბებს დანახარჯებს.

თითოეული კომპანიისათვის მომხმარებელთა ქცევის შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია. რაც უფრო მეტი ინფორმაცია ექნებათ მომხმარებელზე, მით უფრო შესაბამის პროდუქტს შესთავაზებენ მათ. ისეთი კომპანიები, რომლებიც კონკრეტულ კლიენტებზე მორგებულ მარკეტინგულ კამპანიებს არ აწარმოებენ, რეალურად მათი დაკარგვის რისკებს დრო და დრო უფრო ზრდიან.

რატომ არის კომპანიისთვის მნიშვნელოვანი მომხმარებლის კმაყოფილება და მათი შენარჩუნება?

მომხმარებელთა ძალაუფლება გაუზომავია და ნეისმიერი ფირმის სურვილი, გაუგოს მომხმარებელს - უდიდესია. წარმატებული მეწარმეები გადმოგვცემენ თუ რამდენად ძვირი და ძნელია მოიზიდო ახალი მყიდველები; ამიტომ უკანასკნელ წლებში ყურადღება ეთმობა მომხმარებელთა შენარჩუნებას. მთელს მსოფლიოში საუკეთესო საცალო გამყიდველების სტრატეგია მდგომარეობს მყიდველთან ისეთი ურთიერთკავშირის შექმნაში, რომ ისინი არც კი ფიქრობდნენ „მიმართონ კიდევ სხვას“. (უკლება & ქარქაშაძე, 2019) [1]

კვლევები აჩვენებს, რომ მომხმარებლების შენარჩუნება უფრო ღირებულია, ვიდრე ახლის შეძენა. საკონსულტაციო გლობალური კომპანია Bain & Co-ს დამფუძნებლების მიხედვით, მომხმარებლების შენარჩუნების 5%-იანი ზრდა იწვევს მოგების 25%-იან ზრდას.

ლოალური მომხმარებლები კომპანიის ყველაზე დიდი პრომოუტერები(მხარდამჭერები) არიან, რადგან სწორედ ისინი იზიდავენ ახალ მომხმარებლებს რეკომენდაციებით. ხოლო რეკომენდაციისათვის აუცილებელია ჯერ თავად იყოს მომსახურებით კმაყოფილი. ნებისმიერი დადებითი მიმოხილვა ან კომენტარი სოციალურ მედიაში სასარგებლოა სხვა ადამიანებისთვის. Nielsen-ის კვლევის თანახმად (Nielsen არის გლობალური ლიდერი აუდიტორიის გაზომვის, მონაცემებისა და ანალიტიკის სფეროში, რომელიც აყალიბებს მედიის მომავალს), მომხმარებელთა 92%-ს სჯერა მეგობრებისა და ოჯახის წევრების რეკომენდაციის. 70% ენდობა იმ მოსაზრებებს, რომელთაც ინტერნეტში პოულობს. (Szyndlar, 2021) [2]

კომპანია უნდა ხვდებოდეს, რომ მყიდველის დაკარგვა უფრო მეტია, ვიდრე ერთი გაყიდვის დაკარგვა. ეს ნიშნავს იმ გაყიდვების ნაკადის დაკარგვას, რომელსაც მომხმარებელი განახორციელებდა თავისი ცხოვრების განმავლობაში. (კოტლერი & არმსტრონგი, 2013)[3]

მყიდველებთან ურთიერთობის დამყარებისა და მათთვის ფასეულობის შექმნისაკენ ლტოლვა არაერთი საერთაშორისო კომპანიის მაგალითზე შეგვიძლია განვიხილოთ. Amazon.com, ეს კომპანიაა, რომელსაც მომხმარებელზე ყველაზე მეტად ორიენტირებული კომპანია ეწოდება მთელს მსოფლიოში. თუ მანამდე ჯეფ ბეზოსის (კომპანიის დამფუძნებელი) მიზანი უბრალოდ მეწარმეობა იყო, ახლა მისი მთავარი მისია მომხმარებელზე ორიენტირებულობაა.

Apple კომპანიაა, რომელიც თავისი მომხმარებლების კერპად იქცა. იგი როგორღაც ახერხებს ახალი სული შთაბეროს ყველა იმ კატეგორიის პროდუქტს, რომელსაც სთავაზობს ბაზარს. კომპანიამ შეძლო კლიენტების წარმოსახვაში შეეღწია და დაედგინა, რა მოხიბლავდა მათ. იგი დაუღალავად ფიქრობს, როგორ მოახდინოს მომხმარებელზე წარუშლელი შთაბეჭდილება. ეფლის მხრიდან მომხმარებელთა ქცევის შესწავლა მყიდველს ლოიალურად განაწყობს კომპანიისადმი. ამ სიყვარულის შედეგად კი მისი გაყიდვები და მოგება მნიშვნელოვნად მაღალია. (კოტლერი & არმსტრონგი, 2013)[4]

მომხმარებელზე ორიენტირებულობით გამოირჩევა ასევე კომპანიები: IN.N.OUT BURGER, McDonald’s, Zappos, Nike, Google, Microsoft და სხვები.

როგორც აღვნიშნეთ, მყიდველთა მოთხოვნილებების გააზრება და მათი დაკმაყოფილება ერთ-ერთი მთავარი გასაღებია კომპანიის წარმატებისათვის. იყო კლიენტზე ორიენტირებული, გულისხმობს ფირმის ყველა რესურსის კონცენტრაციას მომხმარებელთა კმაყოფილებასა და მომსახურებაზე. მასში მოიაზრება ახლის წარმოება ან სრულყოფა ძველი პროდუქტებისა, ასევე, მარკეტინგის მეთოდების განვითარება, ფოკუსირებული ძირითად, მაგრამ ზოგჯერ ცვალებად, მიზნობრივ საბაზრო ობიექტებზე.

რა უნდა გააკეთოს ფირმამ მომხმარებლის მოთხოვნილებებზე მაქსიმალური ორიენტაციისათვის? საწყისი ეტაპი ბაზრის სეგმენტაციით იწყება. კომპანიას უნდა ესმოდეს, რომ ის ვერ დააკმაყოფილებს ნებისმიერი კლიენტის მოთხოვნას, შესაბამისად უნდა შეძლოს მიზნობრივი ბაზრის შერჩევა, რომელსაც მოამარაგებს ისეთი პროდუქტებით, რომლებიც მის მომხმარებლებზე იქნება მორგებული.

დროსთან ერთად შეიცვალა მომხმარებლის სურვილებიც და ეს განაპირობა ტექნოლოგიურმა განვითარებამ. ამიტომ აუცილებელია მუდმივად და უწყვეტად მოხდეს ბაზრების შესწავლა და კომპანიებს არ გამორჩეთ სიახლეები. ინოვაციურობა და ნოვატორობა მათ დაეხმარებათ კლიენტთა ყურადღების შენარჩუნებაში.

კვლევა

სტატიაში წარმოგიდგენთ ქართულ რეალობაში ჩატარებულ კვლევას, რომელშიც 50 ადამიანი იღებდა მონაწილეობას. ჩვენს მიერ გამოკითხული ადამიანების 68% მდედრობითი, ხოლო 32% მამრობითი სქესის წარმომადგენლები იყვნენ.

რაც შეეხება ასაკს, 56% 18-დან 25 წლამდე, 14% 26-დან 36 წლამდე, 18% 37-დან 50 წლამდე, ხოლო დარჩენილი 12% 50 წელს გადაცილებული ადამიანები იყვნენ.

კითხვაზე პასუხი, თუ რომელი უცხოური კომპანია არის ორიენტირებული მომხმარებლებისა და მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: ყველაზე მეტი ხმა Amazon-მა მიიღო, შემდეგ მოდიან კომპანიები - Apple, Microsoft ,Tesla, Alibaba, Meta და Netflix. ეს კონკრეტული კითხვა ადასტურებს, რომ ქართულ რეალობაშიც ამაზონი ინარჩუნებს მოწინავე ადგილს იმ კომპანიებს შორის, რომლებიც ყველაზე მეტად ორიენტირებულნი არიან მომხმარებელზე.



ჩვენ ასევე გვაინტერესებდა ქართული ფირმებიდან რომელი იყო ყველაზე მეტად მორგებული მომხარებლის საჭიროებებზე და ჩამოთვლილი ცნობილი კომპანიებიდან ყველაზე მეტი ხმა მიიღო საქართველოს ბანკმა, შემდეგ მას მოსდევს თიბისი ბანკი, ბორჯომი, ნატახტარი, კულა, საფერავი და სხვები. აქედან ჩანს, რომ ქართველი საზოგადოების აზრით, მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე ყველაზე მეტად ორიენტირებული კომპანია საქართველოს ბანკია.



პროდუქტის შეძენის დროს გამოკითხულთა უმეტესობა ყველაზე დიდ ყურადღებას აქცევს ხარისხს, ფასს და ასევე მის მოთხოვნილებებს. შედარებით ნაკლები კი ფიქრობს, რომ უპირატესია ვიზუარური მხარე და მომსახურეობა. ხოლო რაც შეეხება ბრენდის იმიჯსს, შედარებით ნაკლები ადამიანისთვისაა იგი მნიშვნელოვანი.



გამოკითხული ადამიანებიდან უმეტესობა ფიქრობს, რომ კომპანიის წარმატებაზე ყველაზე მეტად მოქმედებს მომხმარებელთა სურვილების გაცნობიერება და მათი დაკმაყოფილება. შემდეგ მოდის მომხმარებელთა ნდობის შენარჩუნება, ინოვაციების დანერგვა და კონკურენტუნარიანობა. ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ კომპანიის წარმატებაზე მოქმედებს სრულყოფილი პროდუქტის მიწოდება ბაზარზე. ყველაზე ნაკლებად კი მიიჩნევენ, რომ მოგებაზე ორიენტირებულობა მოუტანს ორგანიზაციას წარმატებას.



გამოკითხული ადამიანებიდან 76% რამდენიმე ცუდი გამოცდილების, ხოლო 24% ერთი ცუდის გამოცდილების შემდეგ წყვეტს იმ კომპანიასთან ურთიერთობას, რომელიც უყვარს. ეს იმის მაჩვენებელლია, რომ თუკი კომპანია რამდენჯერმე გაუცრუებს იმედს მყიდველს, საერთოდ დაკარგავს მას, ხოლო თუ ეს ერთხელ მოხდება და შესაბამისად, კომპანია გამოასწორებს დაშვებულ შეცდომას, მომხმარებელი მაინც გააგრძელებს მასთან ურთიერთობას. აქედან გამომდინარე, თუ კომპანიის მიზანი მყიდველის შენარჩუნება და მისი კმაყოფილებაა, ის უნდა ცდილობდეს ხარვეზების გამოსწორებასა და პროდუქტისა თუ მომსახურების მაქსიმალურად დახვეწას.



ჩვენს მიერ გამოკითხული ადამიანებიდან, კითხვაზე, თუ რას ნიშნავს, მათი აზრით, იყო ორგანიზაცია ორიენტირებული მომხმარებელზე, არაერთი აზრი დაფიქსირდა. უმრავლესობა ფიქრობს, რომ ეს იგივეა, რაც კომპანიამ დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნილებები, ასევე მათი ფასეულობების, სურვილების, ინტერესების, გათვალისწინება. თვლიან, რომ მისი მნიშვნელობა მომხმარებლის შესწავლაა. დაფიქსირდა ის აზრიც, რომ ორიენტაცია მომხმარებელზე გულისხმობს ხარისხსა და ადეკვატურ ფასს პროდუქტზე.

რაც შეეხება კითხვას, რა უნდა გააკეთონ კომპანიებმა მომხმარებლის მოთხოვნილებებზე მაქსიმალური ორიენტაციისათვის, რამდენიმე ვარაუდი გამოითქვა. ნაწილი ფიქრობს, რომ:

- მნიშვნელოვანია შეისწავლონ ბაზარი და გაიგონ რა სიახლეები ვრცელდება, ეცადონ არ მოადუნონ ყურადღება მომხმარებლების საჭიროებების მიმართ და დანერგონ ინოვაციები.

- ასევე ფიქრობენ, რომ ის ხარვეზები, რომლებიც მომხმარებელს დისკომფორტს უქმნის, მყისიერად უნდა იქნეს აღმოფხვრილი და მომსახურეობის პირობები მაქსიმალურად გამართული. მათი აზრით, კომპანიამ უნდა აწარმოოს სწორი მარკეტინგული კამპანია თავისი პროდუქტის რეკლამირებისათვის.
- საზოგადოება ასევე ფიქრობს, რომკომპანიებმა უნდა აწარმოონ ისეთი პროდუქტი, რომელის ხარისხი შეესაბამება ფასს.

დასკვნა

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპანია ვერ იარსებებს მომხმარებლის გარეშე. რადგან „მომხმარებელი მეფეა და მხოლოდ მას შეუძლია ყველა განგვათავისუფლოს სამსახურიდან". დღეს მთელი მსოფლიოს ბიზნესმენები აცნობიერებენ, რომ მომხმარებელთა ძალაუფლება გაუზომავია. მათ იციან, თუ რამდენად ძვირია მოიზიდო ახალი მყიდველები. ამიტომ უკანასკნელ წლებში მთავარი ყურადღება ეთმობა მომხმარებელთა შენარჩუნებას.

განხილული საკითხებიდან გამომდინარე, კომპანია არ უნდა იყოს გადართული მხოლოდ თავისი პროდუქტის თვისებების სრულყოფაზე, რადგან ასე ისინი მხედველობიდან კარგავენ მყიდველთა მოთხოვნილებებს. მსხვილი კომპანიების მაგალითზე, მომხმარებლებზე ორიენტირება, ფირმის წარმატების მთავარი გასაღებია. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიც ცხადყოფს, რომ ორგანიზაციის წარმატება და მსხვილმასშტაბურობა დამოკიდებულია მომხმარებელთა სურველების გაცნობიერებასა და მათ დაკმაყოფილებაზე, ამავე დროს, ინოვაციების დანერგვასა და მყიდველთა ნდობის შენარჩუნებაზე. დღევანდელი სასტიკი კონკურენციის პირობებში, გაიმარჯვებს ის კომპანია, რომელიც ყველაზე მეტად ეცდება მყიდველის საჭიროებებზე მორგებას და ისეთი პროდუქტის შეთავაზებას, რომელიც მაქსიმალურად გადაჭრის მათ პრობლემას. კმაყოფილი მყიდველი კი კომპანიის ერთგული მხარდამჭერი და ახალი მომხმარებლების მოზიდვის წყაროა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. (n.d.). Retrieved from https://act-global.com/: https://act-global.com/ka/georgia/product/business-function/consumer-insights-research
2. Khadka, K., & Maharjan, S. (2017). *CUSTOMER SATISFACTION AND CUSTOMER LOYALTY.*
3. Szyndlar, M. (2021, დეკემბერი). Retrieved from https://survicate.com/: https://survicate.com/customer-satisfaction/importance-customer-satisfaction/
4. კოტლერი, ფ., & არმსტრონგი, გ. (2013). *მარკეტინგის საფუძვლები.*
5. უკლება, შ., & ქარქაშაძე, ნ. (2019). *მომხმარებელთა ქცევა.* ქუთაისი.

15	თემის დასახელება	**სამოქალაქო საზოგადოების როლი საქართველოში**
	სტუდენტი	**კაშია მარიამი**
	საბაკალავრო პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება, II კურსი, აწსუ
	ხელმძღვანელი	**კუხიანიძე ქეთევანი**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი

Abstract

The article discusses the role of civil society in Georgia in the past and present. The role of civil society dates back to the middle ages, when people realized what civil society is and how important their involvement in the state is. With the development to technology, along with public self-awareness, the level of education has increased and we have a better understanding of what civil society is and how important our role is in civil society. One of **our responsibilities is to be a civil society and to better see our role in that society.**

საკვანძო სიტყვები: სამოქალაქო საზოგადოება, საზოგადოების როლი, სამოქალაქო სექტორი,

საქართველოში თანამედროვე ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე საუბარი მე-19 საუკუნის შუახანებამდე შეიძლება დავიწყოთ. ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახი უკვე შუა საუკუნეებიდან ქალაქ თბილისში ხელოსანთა და ვაჭართა

გილდიების არსებობით უნდა დავიწყოთ,რომელთა ტრადიცია საბჭოთა სისტემის ჩამოყალიბებამდე მოქმედებდა და ხელს უწყობდა სამოქალაქო მონაწილეობის შედარებით მაღალ დონეს. ისტორიულად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის ფიგურა, სწორედ ამ პერიოდში ჩნდება საზოგადოებში არსებული საჭირბოროტო პრობლემების განხილვის ფორუმი. ჩნდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიც, რომელთაგან ნიშანდობლია, მაგ: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. თუ პირველი სამოქალაქო გაერთიანებები თავის საქმიანობის წესით და მიზნებით ძირითადად პოლიტიკური ორგანიზაციების განვითარებაც იწყება.

თანამედროვე ეპოქა მუდმივად ქმნის ახალ ტენდეციების და გვაყენებს ახალი გამოწვევების წინაშე. ეს თემა განსაკუთრებულად აქტუალური და სენსიტიურია პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისათვის, რადგან საბჭოთა კავშირმა თავისებური, ღრმა დაღი დასვა სამოქალაქო აქტივობას და ინდივიდი აქცია დიდი მექანიზმის ერთ, პატარა, უმნიშვნელო დეტალად.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიგოთ თუ რა არის სამოქალაქო საზოგადოება, რა არის მისი როლი მოქალაქეებში და გავიაზროთ თვითონ ამ ტერმინების ცნება და გადმოვიტანოთ პრაქტიკაში მინდა თავიდან განმარტების სახით ვთქვა, რომ სამოქალაქო საზოგადოება მოიცავს ორგანიზაციებს, ასოციაციებს და ჯგუფებს, ჩვენ თითოეულ ადამიანს გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ვიყოთ სამოქალაქო საზოგადოება, ვისწავლოთ როგორ ვიყოთ აქტიური მოქალაქეები, დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია, ჩვენი კვალი დავატყოთ ქალაქს და შევცვალოთ ქალაქი.

პირველად ტერმინი - სამოქალაქო საზოგადოება, დიდი მოაზროვნის, ფილოსოფოსისა და სწავლულის არისტოტელეს ნაშრომებში გამოიკვეთა. არისტოტელე თავის ნაშრომში ,,პოლიტიკა" გამოთქვამდა მოსაზრებას სახელმწიფოს შესახებ. მისი აზრით სახელმწიფოს წარმოშობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ადამიანებს გააჩნია მიდრეკილება თანაცხოვრებისკენ, რომ ადამიანი პოლიტიკური არსებაა. ადამიანთა ასეთ მიდრეკილებას მივყავართ ოჯახის წარმოშობამდე, ხოლო ოჯახისგან წარმოიშობა სოფელი, სოფლისგან-სახელმწიფო. არისტოტელემ ასევე შემოგვთავაზა სახელმწიფოს შემდეგი განმარტებას: ,,სახელმწიფო არის ოჯახებისა და გვარების კავშირი შექმნილი ბედნიერი, სრულყოფილი და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა მოქალაქეთა ერთობლიობა. მოქალაქე არის ის, ვინც სახელმწიფოს პოლიტიკურ მოღვაწეობაში იღებს მონაწილეობას და სახელმწიფო, პოლისი და სამოქალაქო საზოგადოება ერთმანეთის სინონიმია, ხოლო მათი საფუძველი მოქალაქეა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მოქალაქეები ვქნით სამოქალაქო საზოგადოებას და სახელმწიფოს.

არასამთავრობო ორგანიზაციებში ადამიანებს შეეძლოთ ეთქვათ და დაეწერათ ის რასაც ფიქრობდნენ, არ იგრძნობოდა და იოლად შეიძლებოდა საკუთარი უნარების რეალიზაცია. თუ კი გადავხედავთ სტატისტიკურ მონაცემებს დავინახავთ რომ:

1992-1998 წლებში 1500 ორგანიზაცია შეიქმნა, 1992-2002 წლებში 1500, ხოლო 2002-2003 წლის მონაცემებით 3000-მდე, 2003-2009 წლებში კი ორგანიზაციის ნიშნულმა 10000 მიაღწია.

დღეს საქართველოში სულ 10,000 არასამთვარობო ორგანიზაცია არის, რომელიც გაერთიანებულია საერთო მიზნების, ფასეულობებისა და ინტერესების გარშემო. ეს ორგანიზაციები ცდილობენ თავისი შესაძლებლობიდან გამომდინარე თავისი მოქალაქეებამდე მიიტანონ სწორი აზრი. მინდა მაგალითად მოვიყვანო ორგანიზაცია ,, Positive virus" რომლის მიზანია მოქალაქეებში აამაღლოს სამოქალაქო საზოგადოების როლი და დაანახოს, რომ თითოეულ ადამიანს დაანახოს საკუთარი მოვალეობა ქვეყნის წინაშე. ორგანიზაცია ჯერ კიდევ დაარსდა 2000 წლებში, რომლის დამფუძნებელი რუსეთში სწავლოდა და იქედანვე ჩაისახე იდეა, ოფიციალურად სანამ დარეგისტრირდებოდა ორგანიზაცია მანამდეც იყო აქცია კონცერტები და ბევრი სასარგებლო პროექტები,ხოლო ოფიციალურად კი დაარსდა 2012 წელს. ოფიციალურად და ამ დღიდან აქტიურად განაგრძობენ დიდი მასშტაბის პროექტები, აქცია-კონცერტები, ტრენინგები, ასევე პროექტი ,,დაატყვე ნაკვალევი ქალაქს", რომლის მიზანია ჩვენ თითოეულმა მოქალაქემ დავატყოთ საკუთარი ნაკვალევი ქალაქს და შევცვალოთ საკუთარი ქალაქი და ქვეყანა.

კვლევის ფარგლებში ჩავატარეთ თვისებრივი კვლევა, კონკრეტულად კი ჩაღრმავებული ინტერვიუ რესპოდენტთან რომელმაც საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდა სამოქალაქო საზოგადოების როლზე. ჩვენი რესპოდენტი მარიამ ერაძე, რომელიც პოზიტიური ვირუსის ერთ-ერთი ლიდერია", გაიმარჯვა Intel ISEF - ამერიკის სამეცნიერო გამოფენაში - UWC Adriatic ib program და ორი წლით წავიდა იტალიაში სასწავლებლად,ხოლო მოგვიანებით კი სრული დაფინანსება მოიპოვა ამერიკის უნივერსიტეტში (CWRU). მარიამთან გასაუბრების შემდეგ ირკვევა, რომ სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის, ამ პროცესში კი, რა თქმა უნდა, მონაწილეობას იღებს ხელისუფლება, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები, მაგრამ სახელმწიფოს შეადგენს მოქალაქეები და ვთვლი,რომ ეს პრობლემა დგას საქართველოში დღეს, ეს კი გამოსაცოცხლებელია და ისინი მხოლოდ თავისი საკუთრებით არ შემოიფარგლებიან და მათი

პასუხისმგებლობა გადის მათ ქვეყანაზე და ქალაქზე და უნდა გააქტიურდეს სამოქალაქო სექტორი. დღეს მცირეა ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც მართლა აკეთებენ ისეთ პროექტებს, რომლებიც სასარგებლოა ქვეყნისთვის, მარიამს ორგანიზაცია“ პოზიტიური ვირუსი“ დაეხმარა და ასწავლა მის გარშემო მყოფ ადამიანებზე ზრუნვა და მასწავლა როგორ გახადოს მისი ქვეყანა უკეთესი. რეალურად როცა ხედავდა თუ მის პროექტებს მოქონდა თავისი დადებითი შედეგები, როცა ვარ სკოლის მოსწავლე და არ გამაჩნია სხვა რესურსი, ამ ორგანიზაციამ ასწავლა მისი ნიჭების აღმოჩენა,რომ პოზიტიურმა ვირუსი რომ არა მე ესეთი წარმატებული ვერ ვიქნებოდი, რადგან მან გამაცნო სამოქალაქო სექტტორი, მასწავლა სამაქალაქო საზოგადოების როლი, რამდენად მნიშველოვანია ჩემი როლი ქვეყანაში და ამ მხრივ მან დამაფიქრა და გამომაცოცხლა, ვიცით რომ ჩვენს ქალაქში აასეთი ორგანიზაციების და ასეთი სამოქალაქო სიმწირის გამო და იმის გამო რომ ბევრი ადგილი ჩემს ფასეულობებს და ხედვებს არ უთავსდება, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში ვარ მაინც ვერთვები გადაწყვეტილების მიღებაში,არდადეგებზე კი მოვიჩქარი პოზიტიური ვირუსისკენ, რადგან ვხედავ ამ ორგანიზაციის პოტენციალს და იმას თუ რამდენად დიდია მისი როლი ამ ქვეყანაში,'' ეს იყო მარიამის პატარა ინტერვიუ თუ რამდენად მნიშველოვანია მის ცხოვრებაში სამოქალაქო საზოგადოება და ჩვენ არ უნდა ველოდოთ სხვას როდის გააკეთებს და შეცვლის ამ ქვეყანას.ჩვენი თითოეული მოქალაქის ვალია ვიზრუნოთ ჩვენს ქვეყანაზე.

თუმცა, საქართველოში დღეს არსებული ტენდეციებით, ადამიანების უმეტესობას სურვილი არ უჩნდება მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში, ისინი თვლიან, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები, მარტო გრანტებისთვის იწუხებენ თავს და სინამდვილეში კი არ არიან მიმართული ქვეყნის ამშენებლობისთვის, ეს სტატისტიკა და ეს აზროვნება კი შესაცვლელია, რადგან არსებობს ბევრი ორგანიზაცია, რომელიც ბევრ სასარგებლო პროექტებს გეგმავს სამოქალაქო საზოგადოებისთვის.

მეორე დიდი პრობლემა, რომელიც დგას დღეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე, ეს არის ორგანიზაციებს შორის მჭიდრო კავშირის არარსებობა. იმისათვის, რომ მოხდეს საერთო მიზნის ირგვლივ გაერთიანება, ორგანიზაციებმა უნდა შექმნან კოალიცია რათა შეძლონ ხელისუფლებაზე ძლიერი გავლენის მოხდენა, რისი ჩანასახიც დღეს საქართველოში არსებობს და საჭიროებს გააქტიურებას.

და ბოლოს, სამოქალაქო საზოგადოების წინაშე დგას უმნიშველოვანესი გამოწვევა- იყოს მუდმივად ღია, გახსნილი ჩართული ქვეყნის განვითარებაში და გამოხატავდეს მოსახლეობა თავის აზრსდა სახელმწიფოს მხრიდანაც უნდა იყოს თანადგომა.

სამოქალაქო საზოგადოების როლში ეს არის დონორები, რადგან ორგანიზაციების უამრავი არის დონორებზე დაფუძნებული, რადგან, რომ არა მათი მხარდაჭერა ორგანიზაციები ვერც თავის აზრს ვერ დაიცავდენ. დონორებსა და მათ მიერ დაფინანსებულ ორგანიზაციათა შორის, როგორც ყველგან, ინტერესთა ერტობაცაა და განსხვავებაც. ინტერესთა ერთობა, უპირველეს ყოვლისა, საქმიანობის ზოგად მიზნებისა და ღირებულებებს შეეხება.

სწრაფი შედეგების მიღწევის ფისოლოფიასთანაა დაკავშირებული დონორთა მხრიდან პრიორიტეტების ხშირი ცვლაც,რომელიც შეიძლება შეესაბამებოდეს ან არც ისე შეესაბამებოდეს ადგილობრივ მოქმედ პირთა წარმოდგენებს იმაზე, თუ პირველ რიგში რა ამოცანები უდგას მაგ ქვეყანას. ასეთი ცვალებადობა წაახალისებს ოპორტუნისტულ განწყობებს ადგილობრივ ორგანიზაციებში, რომლებიც მზად არიან ადვილად გადაინაცვლონ ერთ ამოცანის შესრულებიდან მეორეზე.

მედალს ყოველთვის ორი მხარე აქვს, აქედან გამომდინარე დონორებსაც აქვს უარყოფითი მხარე, დონორებისა და სსო-ების ურთიერთობაში ისაა,რომ დონორების დიდი უმრავლესობა, თუმცა, გამონაკლისებიც არსებობს, მისი კონკრეტული პროექტების განხორციელებაზეა ორიენტირებული და ნაკლებ აინტერესებს მთლიანად ორგანიზაციის მდგრადობა, არასაკმარისად სცემს პატივს ორგანიზაციის ინსტიტუციურ საჭიროებებს და შიდა რეგულაციებს, რომლებიც შეუძლებელია ყველა დონორის მოთხოვნებს თანაბრად მოერგოს. ყველა დონორს ანგარიშგების თავისი წესი აქვს, ფინანსური ანგარიშგების ნაწილში ბევრი მათგანი ითხოვს, რომ მის პროექტზე გაწეული ხარჯები სრულიად იზოლირებული იყოს ორგანიზაციის სხვა საქმიანობისგან. მხოლოდ ზოგიერთი დონორი ცნობს ორგანიზაციების უფლებას, პროექტის ბიუჯეტის ნაწილი ადმინისტრაციულ ხარჯებს მიაწეროს პროექტის საჭიროებებთან კონკრეტული მიბმის გარეშე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ტექნოლოგიურმა განვითარებამ მნიშველოვანი მისია შეიტანა ადამიანიც სამოქალაქო საზოგადოების როლში, დღესდღეობიტ უმეტესი ადამიანი ცდილობს რომ თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა ქვეყნის წინაშე შეასრულოს, ხოლო წინამდებარე ნაშრომის მიზანია

წარმოაჩინოს სამოქალაქო საზოგადოების როლი და მის წინაშე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის კუთხით დღეს არსებული გამოწვევები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სამოქალაქო საზოგადოების როლი და ჩართულობა პოლიტიკის ფორმირებაში https://openscience.ge/bitstream/1/402/1/samagistro%20takidze.pdf?fbclid=IwAR321-WExakFApym1pi1azcDcS7CnT2Cu7kEq37Dzqoiov2bJANnVIsFn6x4
2. სამოქალაქო განათლება საქართველოში: მიღწევები და პერსპექტივები http://cela.ge/ge/system/files/conference_paper.pdf?fbclid=IwAR2bQ22Yoa0-XzfVls6PK04zBB4rmTLRlG2Fh9pz2GuCFy8mFyAUZieSo73c
3. სამოქალაქო აქტივიზმი საქართველოში http://cela.ge/ge/system/files/conference_papers._tk.pdf?fbclid=IwAR2-thpynXyYkcGvIhBa6pU2klYaT-1uQ0ttft-a-KXkZI6aCTfVONGK8LCU
4. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების შეფასება. https://www.cipdd.org/upload/files/sivikusi.pdf?fbclid=IwAR0gHhS-uliO_Za4FQyrle0fh2hqQQFeMuH9QloakXkKzUnt2XRLol_UMYw
5. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები http://www.cipdd.org/upload/files/POLICY.PDF?fbclid=IwAR1g-fbBqRtxduYXE084oG1j0mJ2q5-333a2ss2Iz7bl_JCBIGLtpd8C7lo

16	თემის დასახელება	**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმების მოქმედების შეჩერების ზღვარი მესამე პირთა და საზოგადოებრივ უნტერესთა შეზღუდვის მიმართ**
	სტუდენტი	**ხუჯაძე საბა**
	საბაკალავრო პროგრამა	სამართალი, IV კურსი
	ხელმძღვანელი	**ჭარბაძე თამარი,** აწუს-ს მოწვეული სპეციალისტი

Abstract

The primary purpose of this paper is to discuss the scope of the jurisdiction of the Constitutional Court of Georgia to suspend the validity of the disputed norm in cases provided by law and for a specified period. The present paper will seek to demonstrate the dangers that might accompany the application of the above mechanism against 'unjustified' restrictions on third parties and the public interest, taking into account the case law. Ultimately, the paper will address the issue of setting a constitutional threshold within the framework of the constitutional regulations and the practice of the Constitutional Court concerning the suspension of the norm.

საკვანძო სიტყვები: ნორმის მოქმედების შეჩერება; გამოუსწორებელი შედეგი; მესამე პირთა და საზოგადოებრივი ინტერესი; გადაწყვეტილების გადასინჯვა.

1. ნორმის მოქმედების შეჩერება

თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტული ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილე ერთ-ერთი მხარისთვის გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, შეუძლია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უფრო ნაკლები ვადით შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება. თუმცა, ამავდროულად იგი უფლებამოსილია საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხარეთა შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით გადასინჯოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების თაობაზე, იმ შემთხვევაში, თუ აღარ არსებობს ის გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო მსგავს გადაწყვეტილებას. აღნიშნულის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლო გამოსცემს საოქმო ჩანაწერს, რომლის გამოქვეყნების მომენტიდან უქმდება გადაწყვეტილება აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების თაობაზე.[6]

ამგვარად, კანონმდებლობით დადგენილია საკონსტიტუციო სამართალწარმოების უმნიშვნელოვანესი მექანიზმი, რომელიც პრევენციის სახით უზრუნველყოფს მოსარჩელის უფლებების დაცვას, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფრთხე, რომ სადავო ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს მისთვის გამოუსწორებელი ზიანი. აღნიშნულთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გამოუსწორებელი შედეგის დადგომა ნიშნავს ისეთ ვითარებას, როდესაც ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს უფლების შეუქცევადი დარღვევა და დამდგარი შედეგის გამოსწორება შეუძლებელი იქნება

[6] ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., „საკონსტიტუციო მართლმსაჯულება“, 2021, თბილისი, 406.

ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი. ამასთან, პირს ასეთი შედეგის თავიდან აცილების სხვა სამართლებრივი შესაძლებლობა არ გააჩნია“.[7]

საგულისხმოა, რომ სადავო აქტის მოქმედების შეჩერების მექანიზმი იცავს მოსარჩელეს უფლების გარდაუვალი დარღვევისაგან და ხელს უწყობს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ეფექტურობას. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლო მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში აჩერებს აქტის მოქმედებას, კერძოდ მხოლოდ მაშინ, როცა „მხარისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების საფრთხე აშკარაა და არ არსებობს მესამე პირებისა და საზოგადოებრივი ინტერესების გაუმართლებელი შეზღუდვის რისკები“.[8]

ამგვარად, მეტად მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება შეაჩეროს სადავო აქტის მოქმედება. საკითხის უკეთ გაანალიზების მიზნით განხილული იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა: „საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

i. საქმის არსობრივი გარემოებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 6 ნოემბერს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუამ. კონსტიტუციურ სარჩელში მან სადავოდ გახადა და მოითხოვა, „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მოქმედების შეჩერება, რომელიც ადგენს იმ წინაპირობებს, რომელთა დაკმაყოფილება სავალდებულოა ცოცხალი დონორისაგან ორგანოს აღების შემთხვევაში. სადავო ნორმის „ბ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს ცოცხალ დონორთა წრეს და ასეთად მიიჩნევს: „ბ.ა. რეციპიენტის გენეტიკურ ნათესავს; ბ.ბ. რეციპიენტის მეუღლეს, თუ ქორწინების რეგისტრაციიდან გასულია არანაკლებ 1 წელი; ბ.გ. რეციპიენტის მეუღლის შვილს, დედას (დედამთილს/სიდედრს), მამას (მამამთილს/სიმამრს), შვილიშვილს, ბებიას, პაპას და (მულს/ცოლისდას) ძმას (მაზლს/ცოლისძმას), შვილის მეუღლეს (რძალს/სიძეს), შვილიშვილის მეუღლეს (რძალს/სიძეს), დის მეუღლეს (სიძეს), ძმის მეუღლეს (რძალს), თუ ქორწინების რეგისტრაციიდან გასულია არანაკლებ 2 წელი“.[9]

კონსტიტუციური სარჩელისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ მოსარჩელე დაავადებულია „ბადი ქიარის“ სინდრომით. ამასთან, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა და პროგრესირების გამო საჭიროებს მოკლე ვადაში ღვიძლის ტრანსპლანტაციას, რათა თავიდან იქნეს აცილებული სიცოცხლისთვის საშიში შედეგები. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული ოპერაციის ჩატარება საქართველოს საზღვრებს გარეთ დაკავშირებულია დიდ თანხებთან, რომელიც მას არ გააჩნია, ხოლო საქართველოში ღვიძლის გადანერგვის ორი გზა არსებობს, გვამური დონაცია და ორგანოს აღება ცოცხალი დონორისაგან. თუმცა, ტექნიკური თუ ლოჯისტიკური პრობლემების გამო, საქართველოში არ ტარდება გვამური დონაციის ოპერაციები, რის გამოც, მისთვის სიცოცხლის შენარჩუნების ერთადერთ გზას, ცოცხალი დონორისაგან, მათ შორის, მასთან ემოციური კავშირის მქონე პირისაგან ორგანოს გადანერგვა წარმოადგენს.[10]

ii. მოსარჩელის პოზიცია საჯარო წესრიგთან მიმართებით

მოსარჩელე მხარემ საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაზე. თუმცა, განსახილველი თემის ფარგლებში მართებულად მიმაჩნია, მოვიხმო მოსარჩელის შემდეგი არგუმენტაცია: „...სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება არ დაარღვევს საჯარო წესრიგს, ვინაიდან ის ეხება პირთა ვიწრო წრეს, ამასთან, ნორმის მოქმედების შეჩერება მიმართული იქნება ადამიანის სიცოცხლის დაცვისა და შენარჩუნებისკენ. სახელმწიფოს მიერ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის პრევენციის და დანაშაულის აღკვეთის ლეგიტიმური მიზნის მიღწევა არ უნდა განხორციელდეს ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის გაუმართლებელი შეზღუდვის ხარჯზე, როგორსაც ადამიანის სიცოცხლე წარმოადგენს. დასახელებული ლეგიტიმური მიზანი სადავო ნორმის არარსებობის პირობებშიც მიღწევადია. სადავო ნორმით ხდება მხოლოდ პოტენციურ დონორთა წრის შეზღუდვა, თუმცა

---

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 19 თებერვლის N1/1/569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II - 10.

[8] გადაწყვეტილება N577, II – 34.

[9] საქართველოს კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“, მუხლი 18, 2000.

[10] კონსტიტუციური სარჩელი N682 საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 6 ნოემბერი, 2015.

კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს, თავად ამ წრის შიგნით ნათესავთა ფინანსური დაინტერესების გამორიცხვას.“[11]

iii. მოპასუხისა და ექსპერტის პოზიცია

მოპასუხე მხარის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ნათელია მოსარჩელისთვის შესაძლო გამოუსწორებელი ზიანის დადგომის რეალური საშიშროება და ის, გარემოება, რომ კანონი მოსარჩელის მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირებს არ სთავაზობს რაიმე ალტერნატიულ გამოსავალს, მიიჩნევს, რომ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებამ შესაძლოა გამოიწვიოს ტრეფიკინგის დანაშაულის ზრდა.

მოპასუხემ ასევე განმარტა, რომ სადავო ნორმის არარსებობის პირობებში, ამომწურავად აღარ იქნება განსაზღვრული შესაძლო დონორთა წრე, შესაბამისად, არ იარსებებს არანაირი კრიტერიუმი იმის დასადგენად, თუ ვინ შეიძლება იყოს დონორი ღვიძლის ორგანოს ტრანსპლანტაციისთვის. ამავდროულად, ტრანსპლანტაციის საბჭოს არ ექნება ის სახელმძღვანელო პრინციპები და კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც უფლებამოსილი იქნება გასცეს თანხმობა ცოცხალი ადამიანისაგან ორგანოს დონაციაზე. ასევე, მოსარჩელის მიერ ემოციური კავშირის არსებობის დოკუმენტაციით დადგენა შეუძლებელია, რაც ზრდის სისხლის სამართლებრივი დანაშაულის რისკს. მოპასუხემ დამატებით აღნიშნა, რომ, მართალია, თავად სადავო ნორმით განსაზღვრულ პირთა შორისაც არსებობს კომერციალიზაციის საფრთხე, თუმცა ამ პირთა ურთიერთობის სპეციფიკა ნაკლები რისკის შემცველია ორგანოთა ტრეფიკინგის მიზნებისათვის.

მოპასუხის პოზიციას თავის მხრივ ამყავრებს ექსპერტის მოსაზრება, რომლის მიხედვით, იგი „არ გამორიცხავს სადავო ნორმით განსაზღვრულ ნათესავებს შორის ფინანსური გარიგების არსებობის შესაძლებლობას, თუმცა მისი მითითებით, კანონმდებლობით შეზღუდვის დაწესება უკავშირდებოდა დონორთა შორის ფინანსური დაინტერესების რისკს, რაც სადავო ნორმის შემთხვევაში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ამ წრის უსაზღვროდ გაფართოების შემთხვევაში. შესაბამისად, სადავო ნორმით განსაზღვრული რეგულაცია მხოლოდ ამცირებს ტრეფიკინგის ალბათობას, მაგრამ აბსოლუტურად ვერ გამორიცხავს მას. მეტიც, ექსპერტი აღნიშნავს, რომ ტრანსპლანტაციის საბჭო შესაძლოა ადვილად მოტყუვდეს იმ საკითხის გადაწყვეტისას, მართლაც არსებობს თუ არა რეციპიენტსა და შესაძლო დონორს შორის ემოციური კავშირი, რა დროსაც არსებობს მაღალი ალბათობა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას გამორჩენილი იქნება ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიც ფინანსური დაინტერესების არსებობაა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ არსებობს თავად საბჭოს წევრთა მხრიდან არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების საფრთხეც“.[12]

iv. საკონსტიტუციო სასამართლოს ანალიზი

სასამართლომ მოისმინა რა მოსარჩელის, მოპასუხისა და ექსპერტის პოზიცია, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეაჩერა ნორმის მოქმედება და მიუთითა, რომ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება არ იწვევს ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის ლეგალიზებას და მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის პრევენციის არაერთ სხვა მექანიზმს. სასამართლომ პოზიციის გამყარების მიზნით გადამატებით აღნიშნა: „მოსარჩელე ითხოვს არა მთლიანად სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებას, არამედ სადავო ნორმის მხოლოდ იმ ნორმატიული შინაარსის შეჩერებას, რომელსაც გააჩნია რეციპიენტთან ნათესაური ან ემოციური კავშირი“.[13]

სასამართლომ აგრეთვე მიუთითა, რომ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება, შესაძლოა ქმნიდეს ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის საფრთხეს და აღნიშნულ საფრთხესთან ბრძოლის მიმართებით საჭიროებდეს სახელმწიფოს მეტ ძალისხმევას, თუმცა მოქმედი კანონმდებლობა აღნიშნულ საფრთხესთან ბრძოლის სხვა ქმედით მექანიზმებსაც ითვალისწინებს, მაგ.; ტრანსპლანტაციის საბჭო და ტრანსპლანტაციის საინფორმაციო ცენტრი, როგორც პროცესის მართლზომიერების მაკონტროლებელ ორგანოები.

3. კრიტიკა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებისა

მოსარჩელე მხარე ითხოვს „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მოქმედების შეჩერებას, რათა შეძლოს მასთან ემოციური კავშირის მქონე პირისგან ღვიძლის ტრანსპლანტაცია. მისი განმარტებით, ნორმის მოქმედების შეჩერების შემთხვევაში, იგი შეეხება პირთა

---

[11] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N 3/9/682 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N3/4/682 განჩინება საქმის „საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ შეწყვეტის შესახებ.

[13]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N 3/9/682 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ვიწრო წრეს, რომელშიდაც ის მოიაზრებს პოტენციურ დონორთა წრეს. თუმცა, აქვე მიუთითებს, რომ მსგავსი მიდგომა ვერ გამორიცხავს ნათესავთა ან/და მასთან ემოციური კავშირის მქონე პირთა ფინანსურ დაინტერესებას, თავად „ვიწრო წრის“ ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მოსარჩელე მხარე მართალია ცდილობს დაცვის ღირსი ინტერესის - საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას, თუმცა სრულებით ვერ გამორიცხავს სისხლის სამართლის დანაშაულებების ზრდის ალბათობას ნორმის მოქმედების შეჩერების შემთხვევაში.

ამავდროულად, მოპასუხე მხარისა და საქმის განხილვის ეტაპზე მოწვეული ექსპერტის დასკვნის საფუძველზე ირკვევა, რომ სავსებით შესაძლებელია სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მხრიდან დროულად ყოფილიყო გატარებული შესაბამისი ღონისძიებები, იმის უზრუნველსაყოფად, რომ კანონმდებლობაში არსებული ნორმა, სახელდობრ გვამური დონაცია, არ ყოფილიყო „უმოქმედო“ პრაქტიკული თვალსაზრისით. აღნიშნულ შემთხვევაში, სახელმწიფო სწორედ, რომ არ სთავაზობს ალტერნატიულ გამოსავალს არც მოსარჩელე მხარეს და არც საკონსტიტუციო სასამართლოს. მიმაჩნია, რომ სახელმწიფო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არ უნდა ცდილობდეს სამართლებრივ-პრაქტიკული თვალსაზრისით პრობლემატური ნორმების ირიბად, თუმცა ფაქტობრივად საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მინდობას. მეტიც, იგი რელევანტური მიდგომით ხელს შეუწყობს შესაბამის სამედიცინო სფეროს განვითარებას. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ, საქართველოს პარლამენტმა შეიტანა ცვლილება კანონში, თუმცა იმ თვალსაზრისით, რომ პოტენციურ დონორთა წრეს დაემატა პირთან ემოციური კავშირის მქონე ადამიანები. პრობლემა კი კვლავ სახეზეა, გვამური დონაციის გამოყენების სურვილის შემთხვევაშიც კი, მხარეს არ შეუძლია მისი პრაქტიკულად გამოყენება, სფეროს ნაკლებად განვითარების გამო.

ამავდროულად, მოპასუხე მხარის შემდეგი განმარტება: „ნორმის მოქმედების შეჩერება საფრთხის ქვეშ დააყენებს საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და მესამე პირთა უფლებას, დაცული იყვნენ ადამიანის ორგანოთა ტრეფიკინგისაგან“, ნამდვილად არ არის მოკლებული სამართლებრივ საფუძველს, ვინაიდან სასამართლოს მიერ ნორმის მოქმედების შეჩერების შემთხვევაში:

ამომწურავად აღარ იქნება განსაზღვრული შესაძლო დონორთა წრე, რაც ქმნის სამართალდარღვევის ზრდის ალბათობას, ვინაიდან მართალია არსებული რეგულაციების ფარგლებში ნათესავთა შორისაც სავსებით შესაძლებელია ფინანსური დაინტერესების არსებობა, თუმცა განსხვავება გახლავთ იმაში, რომ დონორთა წრის ემოციური კავშირის მქონე პირამდე გაზრდის შემთხვევაში ნორმას პრაქტიკულად აღარ ექნება ჩამკეტი ხასიათი, ვინაიდან მეტად გართულებული იქნება ტრანსპლანტაციის საბჭოს უფლებამოსილების განხორციელების პრეზუმფცია, გასცეს თანხმობა ტრანსპლანტაციის განხორციელების შესახებ პაციენტთან ემოციური კავშირის მქონე პირიდან ღვიძლის გადანერგვის თაობაზე, ვინაიდან მოსარჩელის მიერ აღნიშნული ემოციური კავშირის დოკუმენტაციითა თუ მის გარეშე დადგენა შეუძლებელი იქნება, უტყუარი, ხელმოწერილი „სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების“ გარეშე, რაც გარკვეული თვალსაზრისით ამორალურს ხდის ურთიერთობის კონკრეტულ შინაარსს. რაც მთავარია, ნების ნამდვილობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მხრიდან მნიშვნელოვან კონტროლს მოითხოვს.

ზემოაღნიშნულს ამყარებს საქმეზე მოწყეული ექსპერტის შეფასება, სადაც ის ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებაზე: ტრანსპლანტაციის საბჭო შეიძლება მარტივად მოტყუვდეს; ფინანსური დაინტერესების საფრთხე ასევე, ექსპერტის მოსაზრებით, ვერ იქნება გამორიცხული საბჭოს ამა თუ იმ წევრის მხრიდან. აღნიშნულ შემთხვევაში ვეთანხმები ექსპერტის მოსაზრებას, თუმცა ავღნიშნავ, რომ ყოველი კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინება კანონმდებლის მიერ პრაქტიკულად შეუძლებელია, თუმცა სახელმწიფოს „ნიჰილისტური“ მიდგომა ზემოაღნიშნულ პრობლემებთან მიმართებით მიუთითებს კანონმდებელს საჭიროებაზე, რომ შეიმუშაოს ისეთი კანონმდებლობა, სადაც შეძლებისდაგვარად ამომწურავად იქნება გათვალისწინებული ყოველი კონკრეტული შემთხვევა. თუმცა, კვლავ ვიმეორებ, რომ სახელმწიფოს შეეძლო მეტი ქმედითი მექანიზმების გატარება, ვიდრე ეს, პრობლემის მოგვარების საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მინდობაა.

საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან მიმართებით ზოგადსამართლებრივი თვალსაზრისით მსურს შემდეგი გარემოებების გამოყოფა:

მივიჩნევ, რომ საქმეზე საბალოო გადაწყვეტილების გამოტანამდე ნორმის მოქმედების შეჩერება, არის პრობლემატური საკითხი. ამ მხრივ, საყურადღებოა შემდეგი გარემოება: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 41 პუნქტი ადგენს, რომ „კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადა, თუ საკონსტიტუციო სასამართლო ამ სარჩელის/წარდგინების და ამ კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე შეაჩერებს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედებას, არ უნდა აღემატებოდეს შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 30

კალენდარულ დღეს. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქმის განმხილველი სასამართლოს დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, ამ ვადას, მის ამოწურვამდე არაუგვიანეს 5 დღისა, არაუმეტეს 15 კალენდარული დღით აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე".[14]

აღნიშნულთან დაკავშირებით დგინდება, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, შეაჩეროს აქტის მოქმედება არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადით (გაგრძელებადი არა უმეტეს 15 დღით), თუმცა სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს აღნიშნული ვადის მიღმა, სამართალწარმოების შესაბამისი ნორმებით განსაზღვრულ პერიოდში, რაც შესაძლოა აღემატებოდეს სადავო ნორმის შეჩერებისათვის დადგენილ ვადას. აქედან გამომდინარე, სადავო ნორმის მოქმედების განახლებამ გადაწყვეტილების გამოტანამდე შესაძლოა გამოიწვიოს გამოუსწორებელი შედეგები მოსარჩელისთვის, რაც, თავის მხრივ, სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას აზრს უკარგავს იმდენად, რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, საქმის მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვეტის შემთხვევაშიც კი, უკვე დამდგარი უარყოფითი შედეგების გამოსწორება შეუძლებელი ხდება. შესაბამისად, ცალსახაა თავად ნორმის მოქმედების შეჩერების მექანიზმის სამართლებრივი შინაარსის პრობლემატიკა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კანონმდებელმა უნდა შეძლოს ლოგიკურ ჩარჩოში მოაქციოს ამა თუ იმ იმპერატიული ნორმის შინაარსი და სამართლებრივი თვალსაზრისით მეტი მოქნილობა მიანიჭოს თავად საკონსტიტუციო სასამართლოს - შესაბამის შემთხვევაში გონივრული ვადით შეაჩეროს ნორმის მოქმედება.

საყურადღებოა ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგი განმარტება: „მოსარჩელე ითხოვს არა მთლიანად სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებას, არამედ სადავო ნორმის მხოლოდ იმ ნორმატიული შინაარსის შეჩერებას, რომელსაც გააჩნია რეციპიენტთან ნათესაური ან ემოციური კავშირი". აღნიშნული განმარტება სამართლებრივი მართლწესრიგის შენარჩუნების ჭრილში ბუნდოვნად მიმაჩნია, ვინაიდან თავად „სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსის შეჩერება" ქმნის მესამე პირთა და საზოგადოებრივ ინტერესთა მიმართ საშიშროებას. სასამართლოს მიერ გაჟღერებული ზემოაღნიშნული კონკრეტიკა მოიცავს სწორედ მოპასუხისა და ექსპერტის მხრიდან წარმოდგენილი არგუმენტაციის რეალურ შინაარს - „ემოციური კავშირის" ნორმატიულ აქტში დამატების სახით შეტანის პრობლემური ხასიათის შესახებ. უფრო კონკრეტულად, აღნიშნულ საქმესთან მიმართებით, ზღვარის გავლება მთლიანად სადაო ნორმის მოქმედების შეჩერებასა და მხოლოდ ნორმატიული შინაარსის შეჩერებას შორის არ არის რელევანტური. მოპასუხისა და ექსპერტის მიერ პრობლემა სწორედ რომ ნორმატიული შინაარსის შეჩერებაშია დანახული და არა მის ფართე გაგებაში.

დასკვნა

მოხმობილი საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის მიზანი გახლდათ, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების - შეაჩეროს აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება, ზოგადსამართლებრივი, როგორც დადებითი, ისე საფრთხისშემცველი ხასიათის წარმოჩენა; კანონმდებლობაში არსებული შესაძლო ხარვეზების შესახებ მითითება და მათი აღმოფხვრის მექანიზმების გაზგასმა.

ამავდროულად, ნაშრომი არ ისახავს მიზნად, კონკრეტულ შემთხვევებში ნორმის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების მექანიზმის უარყოფას, არამედ ხაზგასმით აღნიშნავს ამ უკანასკნელის მნიშვნელობას, თუმცა აქვე, მიუთითებს განხილული მექანიზმის გამოყენების სტანდარტის გაზრდის მნიშვნელობაზე. აგრეთვე, აღნიშნული თვალსაზრისით არ „აკისრებს პასუხისმგებლობას" მხოლოდ საკოსნტიტუციო სასამართლოს, არამედ მიუთითებს საჭიროებაზე - სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან გადახედილ იქნას მის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ხშირ შემთხვევაში ის პრობლემატური ხასიათი, რომელიც ლოგიკური თვალსაზრისით თავად ამავე აქტების მიღების დროს უნდა იქნას გათვალისწინებული. რაც საბოლოო ჯამში, მცირედით მაინც შეამცირებს საკონსტიტუციო სასამართლოს დატვირთვას.

გამოყენებული წყაროები:

1. ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., „საკონსტიტუციო მართლმსაჯულება", 2021, თბილისი;
2. კონსტიტუციური სარჩელი N682 საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 6 ნოემბერი, 2015;
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N577, II – 34;

[14] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ", მუხლი 22, 1996.

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 19 თებერვლის N1/1/569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II – 10;
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N 3/9/682 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N3/4/682 განჩინება საქმის „საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ შეწყვეტის შესახებ;
7. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 22, 1996, https://matsne.gov.ge/ka/document/view/32944%23?publication=29;
8. საქართველოს კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“, მუხლი 18, 2000, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16780?publication=11.

17	თემის დასახელება	**საქართველოს მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების თავისებურებანი**
	სტუდენტი	**დანელია ნუნუ**
	სამაგისტრო პროგრამა	სამართალი, I კურსი
	ხელმძღვანელი	**ხობელია დავითი**, აწსუ-ს მოწვეული
18	თემის დასახელება	**განრიდება და მედიაცია ქართულ სიისხლის სამართალში**
	სტუდენტები	**მახარეიშვილი თამარი, ნიშნიანიძე ნია**
	საბაკალავრო პროგრამა	სამართალი, III კურსი
	ხელმძღვანელი	**ჩხეიძე ია**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი

თემის პოპულარობა და აქტუალურობა გახლავთ მთავრი პირობა იმისა, რის გამოც გადავწყვიტეთ მოცემული საკითხი განგვეხილა. განრიდება / განრიდება-მედიაციის პროგრამა წარმოადგენს არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას , არამედ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმს, რომლის ფარგლებშიც განრიდებულ პირს უფორმდება განრიდება/განრიდება - მედიაციის ხელშეკრულება და ეკისრება გარკვეული ვალდებულება. აქ ჩემი აზრით მთავრი არის ის, რომ აღნიშნული პროგრამის გამოყენებით ხდება არა ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების „პატიება“, არამედ პროკურორის , ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკებისა და სხვა პროცესში ჩართული პირების მეშვეობით ხორციელდება არასრულწლოვნის დამხარება, კერძოდ გაიზაროს მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება. კანონმდებელი გამოდის და მოქმედებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად და ეხმარება მას ამ პროგრამის გამოყენებით რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციაში , რათა თავიდან იქნეს აცილებული განმეორებითი დანაშაული. განრიდება / მედიაცია გამოიყენება არასრულწლოვნებთან მიმართებაში მათ მიერ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხევაში ხოლო 2016 წლიდან კი აღნიშნული პროგრამა გავრცელდა 18- დან 21-წლამდე ასაკის პირებთან მიმართებაშიც. მინდა აღვნიშნო და ხაზი გავუსვა იმ ფაქტსაც, რომ დანაშულის ჩადენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ სწორედ ასაკი. ,,ასაკ-დანაშაულის მრუდის“ თეორიის თანახმად დანაშაული იზრდება ადრეულ ასაკში, დაახლოებით 14 წლის ასაკში და პიკს აღწევს 20 წლის ასაკში და შემდეგ მცირდება.1 ზოგადად ნებისმიერი მოზარდისთვის ცხოვრების ყოველი ახალი ეტაპი ძალზე სენსიტიური , მძაფრი და ზოგჯერ სამწუხაროდ დრამატულიცაა. ამ დროს ერთის მხრივ შესაძლებელია პიროვნებაში თავი იჩინოს ნეგატიურმა გამოვლინებებმა , როგორიცაა პიროვნების დისჰარმონია საკუთარ თავთან , საზოგადოებასთან , პროტესტის გამომხატველი ქცევები დ ქმედებები სწორედ ამიტომ ამ დროს დიდია ალბათობა იმისა, რომ არასრულწლოვანმა განახორციელოს კანონ საწინააღმდეგო ქმედება და ზიანი მიაყენოს, როგორც საზოგადოებას აგრეთვე საკუთარ თავს, არასრულწლოვნის დევიაციური ქცევისკენ მიდრეკილება უფრო ადრეულ ასაკში იჩენს თავს და ასაკის მატებასთან ერთად ქრება ანტისოციალური ქცევისადმი მიდრეკილება შესაბამისად ამ პერიოდში სახელმწიფოს მიერ არასრულწლოვნებთან შედარებით მსუბუქი სადამსჯელო ღონისძიებათა გამოყენება და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედება გახლავთ საუკეთესო ის რაც შეუძლია სახელმწიფოს გააკეთოს მომავალი თაობისთვის. განრიდება და მედიაციის როლი ქართულ რეალობაში არის სწორედ ის, რომ პირს, რომელიც ჩაიდენს ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულს შანსი აქვს , ისარგებლოს განრიდება და მედიაციის პროგრამით , გააქარწყლოს ნასამრთლობა და თავი აარიდოს ყველაზე მკაცრ სასჯელის ზომას „ციხის საზარელ ცივ კედლებს“. ეს პროგრამა ქართულ კანონმდებლობაში და არა მარტო ქართულ კანონმდებლობაში

,არამედ მთელ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში არასრულწლოვნებთან მიმართებაში დიდი ჰუმანურობის გამომხატველია. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ , რომ თემის აქტუალობას განაპირობებს სრულწლოვანთა და არასრულწლოვანთა , ქალთა და მამაკაცთა მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობა.

განრიდება და მედიაციის წარმოშობის და განვითარების ისტორია

მანამ, სანამ უშუალოდ განრიდების და მედიაციის წარმოშობასა და განვითარებაზე ვისაუბრებდეთ ვფიქრობ საჭიროა განვმარტოთ აღნიშნული ტერმინები. განრიდება - ეს არის არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ერთ-ერთი სახე და სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის გამოყენების შესაძლებლობაც გააჩნია პროკურორს2 , ხოლო რაც შეეხება მედიაციას- ეს გახლავთ კონტაქტის და ურთიერთობის ყველაზე მისაღები და სამართლებრივი საშუალება არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის , რომელსაც ხელმძღვანელობს მედიატორი. აღნიშნული დიალოგის მიზანია კონფლიქტის გადაწყვეტა , არასრულწლოვანისა და დაზარალებულის შერიგება. როგორც ჩვენთვის ცნობილია მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ხშირი იყო დანაშაულის ჩადენის ფაქტები, იმატა კრიმინალმა და დანაშაულის დონემ . რა თქმა უნდა ყოველივე ამას სახელმწიფოსა და კანონმდებლის მხრიდან მოჰყვა შესაბამისი რეაქცია, ამის გამოხატულება კი გახლდათ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გატარება და დანაშაულის ჩამდენთა მაქსიმალურად მკაცრად დასჯა. მას შემდეგ , რაც აღნიშნული პოლიტიკა წარმატებით გატარდა სახელმწიფოს მხრიდან , უკვე დრო იყო სახელმწიფო გადასულიყო იმ ეტაპზე , სადაც ადამიანის პიროვნული თავისუფლება არის ძირითადი პოლიტიკური ღირებულება ანუ დაწყებულიყო ლიბერალიზმის ეპოქა, რომლის ქვაკუთხედიც გახლავთ „ინდივიდის უფლებები“.3 სანამ აღნიშნული პროგრამა ჩამოყალიბდებოდა და განვითარდებოდა სამწუხაროდ არ არსებობდა არასრულწლოვნის საქმეებზე მომუშავე სასამართლოები, ბავშვებთან მომუშავე სპეციალიზებული პროფესიონალები, მათზე მორგებული სადამსჯელო დაწესებულებები და კომპეტენტური პირები , რომელებიც გამოიტანდნენ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის მიმართ დანაშაულის სიმძიმის პროპორციულ განაჩენს. სამწუხაროა , ის ფაქტი, რომ 2009 წლამდე არ არსებობდა ჩვენს ქვეყანაში არანაირი მექანიზმი , რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვს დაიცავდა და მისცემდა მას მეორე შანსს გაეგრძელებინა ცხოვრება ნასამართლეობის სტატუსის გარეშე. უკვე 2010 წლიდან ამოქმედდა განდიდებისა და მედიაციის მექანიზმი და ამავე წლის 19 ნოემბერს განრიდებული იქნა პირველი არასრულწლოვანი.4 საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განრიდება და მედიაცია ეფუძნება მართლმსაჯულების კონცეფციას , რომელიც ითვალისწინებს დამნაშავის, ასევე დაზარალებულის ინტერესებს , ორიენტირებულია დანაშაულის პრევენციაზე და აგრეთვე უზრუნველყოფს საზოგადოების , როგორც ერთი მთლიანობის გაჯანსაღებას და ბავშვების, როგორც სახელმწიფოს და ქვეყნის მომავლის დამხმარება- რესოციალიზაციას.

განრიდების და მედიაციის პროგრამის ძირითადი პრინციპები

ვფიქრობ, სანამ განდიდებისა და მედიაციის პრინციპებს განვიხილავდეთ მინდა განვმარტო ზოგადად ტერმინი პრინციპი - ეს გახლავთ ლათინური წარმოშობის სიტყვა და განმარტებულია, როგორც სახელმძღვანელო იდეა, რომელსაც ემყარება და აფუძნებს ადამიანი მის თითოეულ მოქმედებას. პრინციპების გარეშე შეუძლებელია ადამიანის არსებობა და მოქმედება. პრინციპები წარმოადგენენ ძირითად ღირებულებებს, რომლებიც საფუძვლად ედება ადამიანის ცხოვრების წესს, ამიტომ პრინციპებს განსაზღვრავს არა აუცილებლობა და ობიექტურობა, არამედ მათი უდიდესი მნიშვნელობა ადამიანისთვის. ახლა კი რაც შეეხება უკვე კონკრეტულად განრიდებისა და მედიაციის პრინციპებს, ეს მოცემული გვაქვს საქართველოს იუსტიციის მინისტრის N-216-ე ბრძანებაში,5 რომლის მიხედვითაც არსებობს 6 ძირითადი პრინციპი, უნდა გამოვყოთ თითოეული მათგანი. 1) ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა - ამ პრინციპის არსზე , რომ ვიმსჯელოთ თავად მისი მოცემულობიდან უნდა გამოვიდეთ „ალტერნატივა“ ეს სიტყვა მრავლისმთქმელია აღნიშნულ პრინციპში, რაც მიგვანიშნებს , იმაზე, რომ ჩადენილი დანაშაულისთვის კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული უნდა იქნას ალტერნატიული სასჯელი . იმისათვის , რომ ყოველივე ზემოთ აღნიშნული განხორციელდეს საჭიროა ხშირი და სწორი ინტენსივობით საქმის გადასინჯვა , რათა დადგინდეს შესაძლებელია თუ არა გამოყენებული იქნეს ალტერნატიული აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება კონკრეტულ პირთან მიმართებაში. მას ასევე უწოდებენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეალობას მორგებულ პრინციპს.6 2)შემდეგი პრინციპი გახლავთ ნებაყოფლობითობა - ეს პრინციპი არის დემოკრატიულობისა და არჩევნის თავისუფლების მაღალი დონის გამოხატულება. ამ დროს არასრულწლოვანზე და მის ნება-სურვილზეა დამოკიდებული აღიარებს თუ არა დანაშაულს და ჩაერთვება თუ არა განრიდება/მედიაციის პროცესში. ვინაიდან მოცემული პრინციპის მთავარ მიზანს კანონთა კონფლიქტში პირის რესოციალიზაცია - რეაბილიტაცია წარმოადგენს , აგრეთვე მის მიერ ჩადენილი ქმედების გააზრება და ხელახალი დანაშაულის თავიდან

აცილება. 3) პროპორციულობა - ესაა პრინციპი , რომელიც ითვალისწინებს ჩადენილი ქმედების შესაბამისი სასჯელის დანიშვნას და პროპორციული ვალდებულის დაკისრებას პირის მიერ განხორციელებული ქმედებასთან მიმართებაში. პროპორციულობის პრინციპი გახლავთ ანტონი მური მნიშვნელობის ინსტრუმენტი , რომელიც მოცემული გვაქვს პეკინურ წესებში 7„ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ანიჭებდეს არასრუწლოვანთა კეთილდღეობას და უნდა უზრუნველყოს , რომ არასრუწლოვანი სამართალდამრღვევის მიმართ გამოყენებული ნებისმიერი ღონისძიება ყოველთვის იყო სამართალდამრღვევის და სამართალდარღვევის თანაზომიერი. 4)კონფიდენციალურობა - ამ პრინციპის არსი მდგომარეობს, იმაში რომ განრიდება/ მედიაციის პროცესში მიღებული ნებისმიერ ინფორმაცია არის გასაიდუმლოებული და მათი გამჟღავნება დაუშვებელია. ეს პრინციპი არის გარანტია ,იმისა რომ თუ არასრუწლოვანი ჩაიდენს დანაშაულს ეს იქნება გასაიდუმლოებული , რაც შემდგომში გაამარტივებს საზოგადოებაში მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესს. 5) სტიგამტიზაციის დაუშვებლობა - იმისათვის, რომ ეს პრინციპი სწორად იყოს გაგებული საჭიროა ჯერ განვმარტოთ აღნიშნული ტერმინი . სტიგმა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ამოწვას ან ამოჭრას სხეულზე, რითაც ძველად გამოარჩევდნენ იმ ადამიანს , რომელიც მიუღებელი იყო საზოგადოებისათვის. მე-20 საუკუნიდან სტიგმამ შეიცვალა მნიშვნელობა ირვინ გოფმანმა ეს ტერმინი გამოიყენა დისკრიმინირებული პიროვნების აღსაწერად. ის სტიგმას უწოდებს „პროცესს, რომლის საშუალებითაც სხვების რეაქცია ამახინჯებს ნორმალურ იდენტობას“.8 გამომდინარე იქედან, რომ ეს ტერმინი ძალზედ მიუღებელი და არადემოკრატიულია დღევანდელ საუკუნეში და რეალობაში დაუშვებელია მისი გამოყენება, განხორციელება და ადამიანის დამნაშავედ სტიგმატიზაცია. 6)არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესი - ეს პრინციპი ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება , რომელსაც გამოიტანს პროკურორი აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. ამ დროს არასრულწლოვნის ინტერესები ყველაზე პრიორიტეტულია , რათა მან არ იგრძნოს თავი არასრულყოფილად და საზოგადოებიდან გარიყულად.

განრიდება და მედიაცია, როგორც ალტერნატიული მართლმსაჯულების ფორმა გერმანიაში

აღსანიშნავია, რომ მედიაციის საკითხებზე გერმანულმა კანონმდებლობა აქტიურად 80- იან წლებში დაინტერესდა, რაზეც დიდი გავლენა მოახდინა დადებითმა ამერიკულმა გამოცდილებამ. აქედან გამომდინარე, აქტიური დისკუსია გაჩაღდა სადამსჯელო პოლიტიკისა და ალტერნატიული სანქციების, განსაკუთრებით კი მედიაციასთან დაკავშირებული ინსტრუმენტების გამოყენების ირგვლივ. ხაზგასასმელია, რომ 90-იან წლებში განსაკუთრებით იმატა მედიაციის, როგორც კონფლიქტების ნებისმიერი სახეობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალების პოპულარობამ. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მრავალ საფუძველს ითვალისწინებს, რომელთა მიხედვითაც პროკურატურას უფლება აქვს უარი თქვას სისხლისსამართლებრივ დევნაზე და შეწყვიტოს საქმე. სისხლის სამართლის პროცესში სხვადასხვა სხვადასხვა სახის სამომრიგებლო ან საშუამავლო ინსტიტუტების შემოღების საყოველთაო ევროპული ტენდეციები თავის მხრივ გერმანიასაც შეეხო.9 ხაზგასასმელია, ისიც რომ გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში მოკვლევა სრულდება არა საჯარო ბრალდების აღძვრით ანუ კონკრეტული საქმის არა სასამართლოსთვის გადაცემით, არამედ საქმის შეწყვეტით. აღნიშნულის უმრავლესობა მედიაციით სრულდება, რომელსაც გერმანიაში ,,სამართალდამრღვევის და დაზარალებულის შერიგებას უწოდებენ“. აღსანიშნავია, რომ რესოციალიზაცია არასრულწლოვნებთან მიმართებით გერმანული სამართლებრივი სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია. დამნაშავისა და მსხვერპლის შერიგებას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. იუვენილურ იუსტიციაში რესტიტუცია ჯერ კიდევ 1923 წელს იქნა წარმოდგენილი, როგორც სპეციალური ვალდებულება, თუმცა ეს უკანასკნელი აღნიშნავდა ახალგაზრდა დამნაშავის მიერ ჩადენილი აქტის უსამართლობის აღიარების ნეგატიური შედეგების გაცნობიერებას.10 გერმანიაში მედიაციას სისხლის სამართლის საქმეებზე ეწოდება TOA - ეს უკანასკნელი აღდგენითი მართლმსაჯულების, დაზარალებულისა და სამართალდამრღვევის მედიაციის აღმნიშვნელი ნახევრად ოფიციალური გერმანული ტერმინია. აღნიშნული, 1990 წელს შემოიღეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში. პროკურატურას და თავის მხრივ სასამართლოს უფლება არ აქვს ვინმეს თავზე მოახვიოს TOA, რადგან ეს მხოლოდ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის განხილვისას განისაზღვრება.

გერმანიაში მედიაციას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა და მისი სწავლებაც სიღრმისეულია. მედიაციის ფედერალურმა ასოციაციამ შეიმუშავა ეთიკის კოდექსი მედიატორეებისთვის, ასევე ყურადღება გაამახვილეს იმ თემასთან დაკავშირებით, იყო თუ არა მედიატორი იურისტი. ასოციაციის მიერ გამოქვეყნებული დასკვნის თანახმად, არ იყო დოგმა, რომ მედიატორი აუცილებლად იურისტი უნდა ყოფილიყო და შესაძლებელი იყო აღნიშნული უფლება კონკრეტულ შემთხვევაში სხვა პროფესიის ადამიანებსაც განეხორციელებინათ და შეეთავსებინათ მედიატორის ფუნქციებიც. უნდა აღვნიშნო 2008

წლის ცვლილება, რომლის თანახმად, იმ პირებს, რომლებსაც იურიდიული განათლება არ გააჩნდათ, შესაძლებლობა ჰქონდათ შეეთავსებინათ მედიატორის ფუნქციები მხოლოდ კონკრეტულ საქმეებსა და კონკრეტულ პირებთან მიმართებით.11 იქედან გამომდინარე, რომ გერმანიაში მედიაციის გავრცელების მთავარი მოტივატორი სასამართლო ხარჯების შემცირება იყო, ლოგიკურია, რომ მედიაციის ინსტიტუტის დანერგვა მართლმსაჯულების სფეროში გატარებულ სხვა ეკონომიკურ რეფორმებთან ერთად განხორციელდა. ამის გამო მოსაზრებაც კი გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, რომ რაც უფრო დიდი იქნებოდა ბიუჯეტის დეფიციტი, მით უფრო აქტიურად შეუწყობდა გერმანიის ხელისუფლება ხელს მედიაციის ინსტიტუტის განვითარებას.

ქართული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, სადაც განრიდება-მედიაცია პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა, გერმანიაში პროკურორმა და მოსამართლემ ერთობლივად, შეთანხმებულად უნდა უნდა იმსჯელონ იმის თაობაზე, არის თუ არა საჭირო კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებულ იქნას მათ მიერ ალტერანტიული მართლმსაჯულების ინსტიტუტი. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ გერმანიისა და საქართველოს კანონმდებლობა არ მოდის ერთმანეთთან შესაბამისობაში იმ კონტექსტში, რომ თუ მაგალითად საქართველოს კანონმდებლობა განრიდების გამოყენებას მხოლოდ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში უშვებს, გერმანიის კანონმდებლობით კი აღნიშნულით გათვალისწინებულია ზოგადად ყველა დანაშაული და კონკრეტული სახის დანაშაული არ გამოყოფა, ანუ მისი გამოყენება ნებისმიერი დანაშაულის დროს შეიძლება, იქნება ეს მძიმე, ნაკლებად მძიმე თუ განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ გერმანიაში მედიაციის პროცესში მონაწილეობა უფრო პრიორიტეტულია სრულწლოვან პირებზე, მაშინ როდესაც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კერძოდ კი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე პრიმა მუხლი12 ითვალისწინებს მხოლოდ განრიდებასა და არა მედიაციას სრულწლოვან პირებზე, ხოლო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად მედიაცია, არასრულწლოვანთა და დაზარალებულთა შორის დიალოგის პროცესს წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, ამ ორ ქვეყანას შორის ძალიან დიდი განსხვავება არსებობს. საქართველოსგან განსხვავებით, რომელიც მიზანმიმართულია მხოლოდ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულთა კატეგორიაზე გამოიყენოს ალტერნატიული მექანიზმი, გერმანიაში კი პირიქით, რაც უფრო მძიმეა დანაშაული მით უფრო საჭიროა რომ გამოიყენონ ალტერნატიული მართლმსაჯულების ღონისძიება, კერძოდ კი მედიაცია.

ხაზგასასმელია, რომ განრიდება/მედიაციის პროგრამა არასრულწლოვანისათვის/ 21 წლამდე ასაკის სრულწლოვანისათვის არის ერთგვარი შანსი, გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ გააგრძელოს ცხოვრება, ნასამართლობის, სასჯელის გარეშე, დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება და გადადგას ნაბიჯი წარმატებული მომავლისკენ. პროგრამა ხელს უწყობს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მართლ შეგნების ამაღლებას, რესოციალიზაციას, რეაბილიტაციას და ასევე ითვალისწინებს დაზარალებულის ინტერესებს. აღსანიშნავია, რომ 2010 წლის ივლისში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება. ამ ცვლილებებთან ერთად ამოქმედდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების განრიდებისა და მედიაციის მექანიზმი. აღნიშნული საკანონმდებლოო ცვლილებების ბაზაზე პროგრამა ამოქმედდა 2010 წლის 15 ნოემბერს და ამავე წლის 19 ნოემბერს განრიდებული იქნა პირველი არასრულწლოვანი. 2014 წლის ნოემბრამდე კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის განრიდება/მედიაციის პროგრამაში ჩართვა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაული მიეკუთვნებოდა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს, ხოლო ამავე წლის 11 ნოემბრიდან პროგრამა გავრცელდა მძიმე დანაშაულის კატეგორიებზეც. 2016 წლის 1 იანვარს ამოქმედდა საქართველოს კანონი ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ რომლის მიხედვითაც ბევრ სხვა ნოვაციასთან ერთად, კიდევ უფრო დაიხვეწა და გაუმჯობესდა განრიდების მექანიზმი. კოდექსის მიხედვით განრიდება გახდა პრიორიტეტული და მტკიცებულებათა არსებობის შემთხვევაში, პროკურორი ვალდებულია პირველ რიგში განრიდების შესაძლებლობა განიხილოს და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს ფიქრი სისხლისსამართლებრივ დევნაზე. გარდა ამისა, პროკურორია ვალდებულია დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება განრიდების ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ.

დასკვნა

დასკვნის სახით რომ შევაჯამოთ ჩვენს მიერ ზემოთ განხილული საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ განრიდება/მედიაცია გახლავთ ახალი მიმართულება ქართულ კანონმდებლობაში და დიდი ხანი არ არის რაც ფეხს იკიდებს ქართული მართლმსაჯულების სივრცეში. საკმაოდ სწრაფი და ხარისხიანი ტემპით მიიწევს იმ პროცესებისაკენ, რომელიც გამოკვეთს და უპირატესობას ანიჭებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და მათ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას უზრუნველყოფს. თუმცა არსებობს კონკრეტული საკითხები, რაც მოცემულ შემთხვევაში დახვეწას საჭიროებს, რაც ლოგიკურიცაა, განსაკუთრებით დასახვეწია სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმა რათა თითოეული მათგანი არ იქნეს

გაგებული ორაზროვნად და არ დატოვოს შესაძლებლობა მისი არაერთგვაროვანი გაგების. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება არის ისეთი საკითხი, რომელზე საუბრისას არ შეიძლება ერთჯერადად შემოვიფარგლოთ, რადგან აღნიშნული საკითხის აქტუალობა ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში იყო გამოკვეთილი. მაგალითად, ნორვეგიის სისხლის სამართალში ვხვდებით ჩანაწერს სადაც ხაზგასმითაა მითითებული, რომ ქურდობისთვის სრულწლოვან პიროვნებას, ორივე ხელს აჭრიდნენ, ბავშვს კი მხოლოდ ერთს, რა თქმა უნდა, არცერთი შემთხვევა არ არის მისაღები და ჰუმანურობის გამომხატველი დღევანდელ ეპოქაში, თუმცა აქ კარგად ჩანს, რომ ძველ დროში ბავშვი უფრო მსუბუქად ისჯებოდა და აგებდა პასუხს, ვიდრე სრულწლოვანი.

ომ შევაჯამოთ, განრიდება/განრიდება-მედიაცია არის ქართული კანონმდებლობის თვალსაჩინო მარგალიტი, რომელიც იძლევა ბავშვებისთვის მეორე შანსს განაგრძონ ცხოვრება ნასამართლეობის სტატუსისა და დამნაშავის ,,იარლიყის" გარეშე, იყვნენ სრულუფლებიანი და კანონმორჩილი მოქალაქეები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნანული ქიმაძე, განრიდება და მედიაცია ქართულ სისხლის სამართალში, თბ. 2019
2. ალ. წულაძე, სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო- ამერიკულპრიზმაში, თბ. 2016
3. http://prevention.gov.ge/page/28/geo
4. https://pog.gov.ge/uploads/429f65a7-ganrideba-2019-weli-converted.pdf
5. https://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/arasrulw-martl- II.pdf
6. https://openscience.ge/bitstream/1/36/1/tutberidze.pdf
7. https://ka.wikipedia.org
9. http://diversion.ge/res/files/52/Diversion%20Report_2015.pdf
10. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1092540?publication=0
11. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/giorgi_cercaze.pdf
12. https://sdasu.edu.ge/media/1001542/2017/12/20/28062f3bb2d78ba94c4cd9a60f305075.pdf

19	თემის დასახელება	**მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაციისროლი საწარმოს ეფექტიანობის ამარლებაში**
	სტუდენტები	**მელაძე მირანდა**
	საბაკალავრო პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება, III კურსი
	ხელმძღვანელი	**დეზდემონა მაღლაკელიძე,** აწსუ-ს ასოც. პროფესორი

20	თემის დასახელება	**რას აღარ ვყიდულობთ-როგორ შეცვალა პანდემიამ მომხმარებელთა ქცევა**
	სტუდენტები	**ფრუიძე ნათია, ფცქიალაძე ნათია**
	საბაკალავრო პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება, I კურსი
	ხელმძღვანელი	**ახვლედიანი მაია,** აწსუ-ს ასოც. პროფესორი

ანოტაცია

პანდემიით გამოწვეული ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და გასაგები ტენდენცია ციფრული ტექნოლოგიების დაჩქარებული ათვისებაა, განსაკუთრებით ელექტრონული კომერციის სფეროში. თვითიზოლაციის პერიოდში ბევრი მომხმარებელი იძულებული გახდა ონლაინ მაღაზიებით ესარგებლა. ეს ჩვევად იქცა: ხალხი ხედავს, რამდენად მოსახერხებელია საჭირო საქონლისა და მომსახურების ონლაინ პოვნა.

ელექტრონული კომერციის განვითარების მაღალი ტემპი დაფიქსირდა აშშ - ი (3 თვეში ზრდა იგივე იყო, რაც 10 წელიწადში). საკმარისია ვიფიქროთ ყველაფერზე, რაც აკავშირებს ინტერნეტსა და "რეალურ სამყაროს" - უკონტაქტო გადახდები, შეკვეთები (გასულ გაზაფხულზე, ამ სერვისის საძიებო მოთხოვნების ზრდამ მსოფლიოში შეადგიმნა 3000% წელიწადში) სახლში დარჩენის აუცილებლობამ აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ონლაინ და ოფლაინ სამყაროს დაკავშირება. ჩვენ ვიცვლებით არა მხოლოდ იმიტომ, რომ გადავხედოთ ჩვენს ღირებულებებს, არამედ ფინანსური მიზეზების გამო. ეს ცვლილებები შემდგომ გავლენას ახდენს ჩვენს ყიდვის გადაწყვეტილებაზე და ბრენდების აღქმაზე. ამდენად, არ შეიძლება არ გვაინტერესებდეს სამომხმარებლო პროდუქტებისა შეთავაზებებზე მომხმარებელთა აზრი, რომლებიც წარმოიშვა ისტორიის გარდამტეხ მომენტში. ჩვენი კვლევის მიზანია მომხმარებელთა ქცევის თავისებურებების შესწავლა პანდემიის პირობებში. კვლევის ამოცანაა მომხმარებეთა ქცევის თავისებურებების კვლევა ანკეტური გამოკითხვის მეთოდით და კვლევის საფუძველზე საჭირო დასკვნებისა და წინადადებების შემუშავება.

საკვანძო სიტყვები : მომხმარებელთა ჩვევები, ახალი სავაჭრო წესები, პანდემია, COVID-19, მომხმარებლის გამოცდილება.
Keywords: Consumer habits, new trading rules, pandemic, COVID-19, user experience.

COVID-19-ის პანდემია, სავარაუდოდ უკანასკნელი წლების ერთ-ერთი განმსაზღვრელი მოვლენა იყო და მას შორს მიმავალი შედეგები მოჰყვა. ჩვეული ცხოვრების წესები შეიცვალა: ღონისძიებები ხალხის მასობრივი შეკრებით, შემცირდა. დიდ ქალაქებში რესტორნები, ბარები, კინოთეატრები და სპორტული დარბაზები დაიხურა. იმავდროულად, ბევრი ოფისის თანამშრომელი ყველგან აწყდება ახალ გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია სრულ განაკვეთზე დისტანციურ მუშაობასთან მიუხედავად ამისა, ჩვენ ყოველდღე გვიწევს ადაპტირება ახალ რეალობასთან და ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ვერც ერთი ჩვენგანი ვერ წარმოიდგენდა, რომ ჩვენი ჩვევები რადიკალურად შეიცვლებოდა სულ რაღაც 20 დღეში. ონლაინ და ოფლაინ შესყიდვებიდან ადამიანებმა დაიწყეს გადასვლა დაბალანსებულ მიდგომაზე, შედეგად, ბრენდები იძულებულნი არიან მოერგონ თავიანთი მომხმარებლების ცვალებად საჭიროებებს. ჩვენ გამოვიკვლიეთ რამოდენიმე ფაქტი იმის შესახებ, თუ როგორ იცვლება მომხმარებელთა ქცევა მთელ მსოფლიოში და საქართველოში, რომელ პროდუქტებს ყიდულობენ ისინი ყველაზე ხშირად. და ასევე, რომელი ინდუსტრიები არის ახლა ძლიერი ზეწოლის ქვეშ, რას აღარ ყიდულობენ[1].

მარკეტინგული კომპანიამ Valassis, ჩაატარა კვლევა აშშ-ი, ცატარებული კვლევის თანახმად 48% რჩება თავისი ნაცნობი/ნაცნობი ბრენდების ერთგული.21% ყიდულობს ჩვეულებრივი და ახალი ბრენდების ნაზავს. 13% „გამოიყენებს შესაძლებლობას აღმოაჩინოს ახალი ბრენდები“. 19% გრძნობს ნაკლებად ლოიალურ ბრენდს ყიდვით რაც არის ხელმისაწვდომი. ამ გამოცდილებამ შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული გრძელვადიანი ცვლილებები ყიდვის შაბლონებში.თუმცა, გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარმა (48%) განაცხადა, რომ არ ელოდნენ თავიანთი ქცევის შეცვლას კოროვირუსის გავრცელების შემდეგ. ამავდროულად, მარკეტინგული კომპანია Yotpo-მ ჩაატარა კვლევა, სადაც მათ გამოკითხეს 2000 მომხმარებელი აშშ-დან, კანადიდან და დიდი ბრიტანეთიდან 14-დან 73 წლამდე. ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ ნაცნობი მიმწოდებლის პროდუქციის არარსებობის შემთხვევაში, ბევრი მომხმარებელი ალტერნატივად მიმართავს ნაკლებად ნაცნობ ბრენდებს (40,55%). ზოგიერთმა თქვა, რომ დაელოდება მაღაზიის განახლებას ნაცნობი ბრენდებით (33,85%), ან რომ ისინი ეცდებიან ახალი მაღაზიების აღმოჩენას (28,75%) მათ მოსაძებნად[2].

ყიდვის პანიკა: როგორც კი COVID-19-ის ამბები გავრცელდა და მას შემდეგ რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ის ოფიციალურად გამოაცხადა პანდემიად, ხალხი პანიკურად რეაგირებდა, რადგან ისინი აღმოჩნდნენ გაურკვევლობისა და ქაოსის მდგომარეობაში. ვყიდულობთ მედიკამენტებს, ხელის სადეზინფექციო საშუალებებს, ნიღბებს და საყოფაცხოვრებო ნივთებს. როდესაც ვდგებით გაურკვეველი, სარისკო სიტუაციის წინაშე, რომელზეც ჩვენ არ გვაქვს კონტროლი, ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ ვიგრძნოთ, რომ გარკვეული კონტროლი გვაქვს. CNBC-ის პოლ მარსდენის, ლონდონის ხელოვნების უნივერსიტეტის ფსიქოლოგის თქმით, „პანიკა შოპინგი შეიძლება ჩაითვალოს, როგორც სამი ფუნდამენტური ფსიქოლოგიური მოთხოვნილების თამაში“[3]. ეს მოთხოვნილებებია ავტონომია (ან ჩვენი ქმედებების კონტროლის საჭიროება), ნათესაობა (მოთხოვნილება ვიგრძნოთ, რომ რაღაცას ვაკეთებთ ჩვენი ოჯახის სასარგებლოდ) და კომპეტენტურობა (აუცილებელია ვიგრძნოთ, რომ რაციონალურად ვმოქმედებთ). ეს ფსიქოლოგიური ფაქტორები არის იგივე მიზეზები, რის გამოც „საცალო თერაპია“ არის პასუხი სხვადასხვა სახის პიროვნულ კრიზისზე. ვინაიდან სოციალური დისტანცია პანდემიის გავრცელების შენელების ერთ-ერთი გზაა, ლოგიკურია, რომ ფიზიკურ მაღაზიებში შესყიდვების მოცულობა მინიმუმამდე შემცირდა. როგორც ჩანს, ამან უნდა გამოიწვიოს ონლაინ შესყიდვების რაოდენობის ზრდა, რადგან ხალხი უფრო მეტ დროს ატარებს სახლში. თუმცა თანამედროვე ეტაპზე ონლაინ გაყიდვები მნიშვნელოვნად დაეცა ბევრ სფეროში. ეს განსაკუთრებით ეხება საყოფაცხოვრებო საქონელსა და საკვებს.

საყიდლების ჩვევების შეცვლა: კვლევამ აჩვენა, თუ როგორ შეცვალა კორონავირუსმა მომხმარებელთა ქცევა სხვადასხვა სფეროებში. მნიშვნელოვნად გაიზარდა საყოფაცხოვრებო აქტივობების რაოდენობა, განსაკუთრებით სახლში საჭმლის მომზადება, ტელევიზორის ყურება, სოციალური მედიის ყურება და სახლში ვარჯიში. გარდა ამისა,ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მომხმარებელთა დიდი უმრავლესობა მომავალ წელს რეცესიას ელის, მაგრამ მაინც 30%-მდე მეტს ხარჯავს ონლაინ სასურსათო და არასასურსათო პროდუქტების საშუალებით[4].

ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ არის გასართობი ინდუსტრია დაუცველი გარე ფაქტორების მიმართ. მრავალი ღონისძიების ადგილი, მათ შორის კონცერტების, ფესტივალების და სხვა ღონისძიებების ორგანიზება, უბრალოდ არ იყო მზად მოვლენების ასეთი შემობრუნებისთვის. ისევე როგორც ზოგადად მომხმარებლები. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ ნაკადის პლატფორმები გაიზარდა. იმის გამო, რომ

გარე გართობა პრაქტიკულად შეზღუდულია და ხალხი უფრო მეტად სახლდება, ციფრული სტრიმინგის სერვისების ზრდა Netflix-დან, Amazon-დან, Hulu-დან და Disney+-დან გაიზარდა. საინტერესოა, რომ Spotify-ის აქციები მკვეთრად დაეცა კარანტინის დაწყების შემდეგ, 25%-ით. ზოგი ამას მიაწერს იმ ფაქტს, რომ მომხმარებლები უფრო ხშირად უსმენდნენ მუსიკას მგზავრობისას. და მას შემდეგ, რაც ახლა ბევრი კომპანია გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე, ისინი ნაკლებად გამოიყენებენ პლატფორმას[5].

ონლაინ მუშაობის აუცილებლობის გამო, გაიზარდა მოთხოვნა პროგრამებზე, რომლებიც აწყობენ დისტანციურ საკონფერენციო ზარებს: Zoom, Hangouts Meet Google-ისგან და სხვა. გაიზარდა სერვისების პოპულარობა, რომლებიც იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს დიდი რაოდენობით მონაცემებთან მუშაობისთვის (მაგალითად, Amazon Web Services).

ფუფუნების ნივთები: ფუფუნების საქონლის ინდუსტრია არც ისე ოპტიმისტურია. აშკარა ბიზნეს სექტორების გარდა, როგორიცაა გასართობი, რესტორნები და მოგზაურობა, ერთ-ერთი სფერო, რომელიც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან ზარალს განიცდის, არის ფუფუნების საქონლის ინდუსტრია. Vogue Business პროგნოზირებს პოტენციურ ზარალს $10 მილიარდამდე ამ ინდუსტრიაში 2020 წელს COVID-19-ის გამო. ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ ფუფუნების საქონელი დიდად არის დამოკიდებული აზიის ბაზრის მსყიდველუნარიანობაზე, სადაც პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მომხმარებლებზე.

როგორც არაერთმა გამოკითხვამ აჩვენა, გაიზარდა სოციალური ქსელების გამოყენებაც. ვალასისის თქმით, გამოკითხულთა 39%-მა გაზარდა სოციალური მედიის გამოყენება, ხოლო 7%-მა შეამცირა. ფეისბუქმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ ვირუსით, სერვისის გამოყენება 50%-მდე იზრდება. თუმცა კომპანიაში ასევე აცხადებენ, რომ სოციალურ ქსელში ტრაფიკის ზრდა არ ნიშნავს სარეკლამო ხარჯებისა და შემოსავლების შესაბამის ზრდას.

როგორ რეაგირებენ საცალო სავაჭრო საწარმოები COVID-19-ზე? იმის გამო, რომ ელექტრონული კომერციის ტრაფიკი არ ანაზღაურებს მაღაზიაში დაკარგულ გაყიდვებს, ბევრი საცალო ვაჭრობა ამცირებს შესყიდვაზე ორიენტირებულ მედია ბიუჯეტს, შენარჩუნებაზე ორიენტირებული მარკეტინგული ტაქტიკის სასარგებლოდ. ისეთ სიტუაციაში, როგორიც დღესაა, ადამიანები უფრო ხშირად ფიქრობენ საყიდლებზე, როცა საქმე ეხება საჭირო ნივთებს, და ასევე საქონლის შეძენის შესახებ იმ ბრენდებისგან, რომლებსაც ისინი ადრე იცნობდნენ.

თანამედროვე პირობებში ნათელი ხდება არის ის, რომ "ნორმალურობის" ცნებამ შესაძლოა ბევრისთვის ახალი მნიშვნელობა შეიძინოს. ბევრმა კომპანიამ შეიძლება აღმოაჩინოს, რომ სახლიდან მუშაობა საკმაოდ ეფექტურია კიდევ უფრო მეტი თანამშრომლისთვის. კიდევ უფრო მეტმა მომხმარებელმა შეიძლება გადაწყვიტოს, რომ დიდ ეკრანზე ფილმების ყურება მათ საცხოვრებელ ოთახებში ბევრჯერ უკეთესია, ვიდრე კინოში წასვლა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ჰოლივუდის ფილმების პრემიერები სულ უფრო ხშირად მიედინება პირდაპირ სტრიმინგ ადგილებში. ბევრი შეიძლება იმ დასკვნამდეც მივიდეს, რომ ონლაინ იოგას გაკვეთილები და ვარჯიშები სახლის დარბაზში რამდენჯერმე აღემატება სპორტდარბაზს. ან რომ სასურსათო პროდუქტების ონლაინ შეძენა - ან რაიმე სხვა - ბევრად უფრო მოსახერხებელია, ვიდრე მაღაზიაში წასვლა.

ნათელია, რომ პანდემია არის მთავარი მოვლენა საცალო ვაჭრობისა და ელექტრონული კომერციისთვის და რომ მომხმარებელთა გარკვეული ქცევა შეიცვლება (შესაძლოა მნიშვნელოვნად) გრძელვადიან პერსპექტივაში. მაგრამ უფრო შემაშფოთებელია რეცესიის მოლოდინი, რაც შეიძლება საკმაოდ რეალისტური იყოს არსებული გარემოებების შეფასების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Gao, G. *et al.* Preprint at Research Square https://doi.org/10.21203/rs.3.rs-1370392/v1 (2022).
2. Worobey, M. *et al.* Preprint at Zenodo https://doi.org/10.5281/zenodo.6299600 (2022).
3. Pekar, J. E. *et al.* Preprint at Zenodo https://doi.org/10.5281/zenodo.6291628 (2022).
4. He, W.-T. *et al. Cell* https://doi.org/10.1016/j.cell.2022.02.014 (2022).
5. Xiao, X., Newman, C., Buesching, C. D., Macdonald, D. W. & Zhou, Z.-M. *Sci. Rep.* 11, 11898 (2021).

21	თემის დასახელება	**მოტივაციის სისტემის უცხოური გამოცდილება**
	სტუდენტები	**სულამანიძე ეკა**
	საბაკალავრო პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება, III კურსი
	ხელმძღვანელი	**ქიქოძე ნუნუ,** აწსუ-ს ასოც. პროფესორი
22	თემის დასახელება	**ტელემარკეტინგი და მომხმარებელთა ქცევა**

სტუდენტები	**დენოსასვილი მარიამი**
საბაკალავრო პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება, III კურსი, აწსუ
ხელმძღვანელი	**ქარქაშაძე ნარგიზა,** აწსუ-ს ასოც. პროფესორი

Telemarketing and Consumer Behaviour

Telemarketing is a marketing strategy that involves connecting with a potential, new and existing customers over the telephone, e-mail, or through web-based video conferencing. Effective telemarketing generates interest, leads, and opportunities, provides information, factors customer feedback, helps organizations achieve improved results in different ways. However, some organizations have been known to use unethical and irritating methods of telemarketing that are looked upon negatively by consumers and lawmakers.

საკვანძო სიტყვები

პირდაპირი მარკეტინგი, ტელემარკეტინგი, ტელეგაყიდვები, ძველი და ახალი მომხმარებლები, მომხმარებელთა ქცევა.

ალექსანდრ ჰაიამი თავის წიგნში „მარკეტინგი მარტივად“ აღნიშნავს, რომ მარკეტინგი ნაწილობრივ მეცნიერება და ნაწილობრივ ხელოვნებაა. ზოგადად, მარკეტინგის მიზანია მომხმარებლების მოზიდვა და მისი იმაში დარწმუნება, რომ შეიძინოს კონკრეტული ნივთი, პროდუქცია ან მომსახურება, რომელიც ისე გაახალისებს მის ცხოვრებას, რომ კვლავაც მოუნდება მისი შესყიდვა.

მარკეტინგი ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად მუდამ ვითარდება, ჩნდება ახალი მიმართულებები და გამოწვევები, ტრადიციული მიდგომები ნაწილობრივ ან სრულიად იცვლება, თუმცა მთავარი მიზანი- მომხმარებელთა დაინტერესება და შეკვეთების სტიმულირება- მაინც იგივე რჩება.

მარკეტინგის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა **პირდაპირი მარკეტინგი.** იგი მოიცავს დაკვირვებით შერჩეულ სეგმენტთან ან ინდივიდუალურ მომხმარებლებთან პირდაპირ კავშირს, უმეტესად პირისპირ და ინტერაქციულად. პირდაპირი მარკეტინგის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ტელემარკეტინგი. იგი არის მარკეტინგის სტრატეგია, რომელიც ტრადიციულად გულისხმობს მომხმარებლებთან დაკავშირებას ტელეფონით, ხოლო ბოლო პერიოდში ინტერნეტით დამყარებული ვიდეო კონფერენციის საშუალებითაც. ტელემარკეტინგი მთელ მსოფლიოში ბიზნესის ერთ-ერთი შემოსავლიანი მიმართულებაა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ყველაზე აშკარა ფორმა მოიცავს პროდუქციის გასაყიდად კომპანიის მიერ კერძო პირებთან სახლში ან მობილურ ტელეფონზე დარეკვას, ის ასევე არის მნიშვნელოვანი სტრატეგია ბიზნესი-ბიზნესი გაყიდვების, ღონისძიებების პოპულარიზაციის, პოლიტიკური კამპანიების, მარკეტინგული კვლევებისა და გაყიდვების უფრო დახვეწილი პროცედურებისთვის.

სიტყვები "ტელემარკეტინგი" და "ტელეგაყიდვები" ხშირად ურთიერთშენაცვლებადია, ისინი იმ საქმიანობების აღსაწერად შეიძლება გამოვიყენოთ, რომლებიც ხშირად გადაკვეთენ ერთმანეთს. [5] დღეს ინდუსტრიის მრავალი ექსპერტი იყენებს ტერმინს "ტელემარკეტინგი" ყველა იმ საქმიანობის აღსანიშნად, რომლებიც ტელეფონს იყენებს (პოტენციურ) მომხმარებლებთან დასაკავშირებლად. ეს მოიცავს მომხმარებელთ ინფორმირებას პროდუქტის ან მომსახურების შესახებ, პოტენციური კლიენტების აღმოჩენასა და დაინტერესებას, ახალი შესაძლებლობების შექმნას, არსებულ მომხმარებლებთან დაკავშირებასა და უკუკავშირის მიღებას, საჭიროების შემთხვევაში მომხმარებლებთან შეხვედრების დანიშვნას, ბაზრის კვლევის ჩატარებასა და ახალი ან არსებული მომხმარებლებისთვის პროდუქციის ან მომსახურების მიყიდვას. ამასთან ტელეგაყიდვები არის სერვისი, რომელიც ყიდის პროდუქციას ან მომსახურებას პირდაპირ მომხმარებელზე ტელეფონით. ამრიგად, ტელემარკეტინგი უფრო ფართომასშტაბიანია და თავის თავში მოიცავს ტელეგაყიდვებსაც.

ტელეგაყიდვების მიზანია განმეორებითი ბიზნესის შექმნა მომხმარებელთან შესანიშნავი ურთიერთობების დამყარებით. არსებობს ორი სახის ტელეგაყიდვები: შემომავალი და გამავალი. შემომავალი ტელეგაყიდვებისას აგენტები იღებენ ზარებს პოტენციური და არსებული მომხმარებლებისგან, ხოლო გამავალისას- ოპერატორები მათ პირდაპირ ტელეფონით უკავშირდებიან, რათა კომპანიის შეთავაზებების შეძენისაკენ უბიძგონ. ორივე შემთხვევაში ტელეგაყიდვების ოპერატორებს მოეთხოვებათ მოთმინება, დამაჯერებლობა და დაჟინება, კომუნიკაციისა და სატელეფონო უნარების განსაკუთრებული ცოდნა, გამოცდილება და საოფისე გარემოში განვითარების შესაძლებლობა. **მათ მოვალეობებს მიეკუთვნება: ინფორმაციის შეგროვება; პირდაპირი გაყიდვები; შეკვეთების მიღება და დამუშავება; კლიენტთა მომსახურების სერვისი; კონფლიქტის მოგვარება; აქტივობის ანგარიშების შექმნა და განახლება; გაყიდვების გეგმების შესრულება.** [6]

ტელევაჭრობის სფერო საქართველოში მეტნაკლებად განვითარებულია. 2015 წლიდან მოყოლებული ბაზარზე რამდენიმე კომპანია ლიდერობს, რომელთაც მოსახლეობა უკვე დიდი ხანია კარგად იცნობს. სწორედ ამ კომპანიათაგან ერთ-ერთში დასაქმებული ქოლ ცენტრის ოპერატორის საქმიანობას

დავაკვირდით. კვლევისათვის ავიღეთ თებერვლის თვის მონაცემები. ქოლ-ცენტრის ოპერატორის სამუშაო გრაფიკი ამგვარი იყო: სამუშაო დღეები ორშაბათი- შაბათი 10:00-დან 16:00-მდე.

თებერვლის თვეში, 24 სამუშაო დღის განმავლობაში ოპერატორის მიერ განხორციელებული ზარების რაოდენობამ 4364 შეადგინა, დღეში საშუალოდ იგი 181 ზარს ახორციელებდა. როგორც ვიცით, ტელემარკეტინგისას საკმაოდ მაღალია უპასუხო ზარების რიცხვი, ამ შემთხვევაში კი იგი 27%-ს შეადგენდა (1157), გამოდის საშუალოდ მომხმარებლები 48 ზარს არ პასუხობენ. რაც შეეხება კომპანიის სიახლეებითა და შეთავაზებით დაინტერესებულ მომხმარებლებს, რომლებიც თავს არ არიდებენ ოპერატორებთან გასაუბრებას, მათი რაოდენობა საკმაოდ მცირეა და 13%-ს შეადგენს (586). შესაბამისად საშუალოდ ყოველ დღე განხორციელებული ზარებიდან მხოლოდ 24 კაცი იჩენს ინტერესს და ეცნობა სიახლეებსა და შეთავაზებებს. რასაკვირველია, ამგვარი შედეგი არც თუ ისე გასაკვირია, რადგან ხალხის მოსმენაზე დაყოლიება შეიძლება რთული იყოს, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ დარწმუნებაში გააკეთონ შეკვეთა.

დაკვირვებამ გამოავლინა, რომ მომხმარებელთა 77 % (3375) მდედრობითი, ხოლო 23% (989) მამრობითი სქესის წარმომადგენელია. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საშუალოდ დღეში განხორციელებული 181 ზარიდან 140 ქალბატონებთან, ხოლო 41 მამაკაცებთან იყო განხორციელებული. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ტელევაჭრობა ძირითადად ქალბატონებს უფრო აინტერესებს, ისინი მამაკაცებთან შედარებით უფრო აქტიურად ეცნობიან კომპანიის სიახლეებსა და შეთავაზებებს, მოსმენილიდან გამომდინარე აფასებენ თავიანთ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს და სურვილის შემთხვევაში იძენენ კიდეც. მამაკაცებს უფრო მეტი დრო სჭირდებათ გადაწყვეტილების მისაღებად, შეთავაზების საიმედოობისა და ეფექტურობის შესაფასებლად, ისინი ნაკლებად ყიდულობენ რაიმეს მეუღლესთან ან ოჯახის წევრებთან შეთანხმების გარეშე. ხშირად მიაჩნიათ კიდეც, რომ „შესყიდვები მათი“ საქმე არ არის. თუმცა ყველა ასე როდი ფიქრობს: მომხმარებელთა ძალიან მცირე ნაწილს, დაახლოებით 4 %-ს შეადგენენ მარტოხელა მამაკაცები, რომლებიც დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებას როგორც პირადი მოხმარების, ასევე საოჯახო პროდუქციასთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში ისინი ჩართულები არიან შეძენის პროცესში, ეცნობიან შეთავაზებებს, აფასებენ ალტერნატივებს, ასევე ითვალისწინებენ ოპერატორთა რჩევებს და აფორმებენ შეკვეთას. მამრობითი სქესის წარმომადგენლებთან გაყიდვების პროცესის წარმატებით დასასრულებლად უმრავლეს შემთხვევაში საჭიროა 1 ზარზე მეტი. გამონაკლის წარმოადგენს ის შემთხვევები, როცა მათ კონკრეტული პროდუქტის შეძენის საჭიროება უკვე გაცნობიერებული აქვთ ან როცა შენაძენი მათი პირადი მოხმარებისათვის გამოიყენება.

ქალი მომხმარებლების შემთხვევაში ხშირად 1 ზარის განხორციელებაც საკმარისია, რადგან მათ წინასწარ იციან თავიანთი მოთხოვნილებები ან მალევე აცნობიერებენ საჭიროებენ თუ არა ოჯახისა ან/და საკუთარი თავისათვის ჩამოთვლილთაგან რომელიმე პროდუქტს. ამასთან უმეტესად ფლობენ კიდეც ინფორმაციას ბაზარზე არსებული ფასების შესახებ, რაც აადვილებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს. გამონაკლის წარმოადგენს შედარებით საშუალო ან მაღალფასიანი საოჯახო პროდუქციის შესყიდვის პროცესი, ამ შემთხვევაში მხოლოდ 1 ზარი საკმარისი არ არის. მომხმარებლები ხშირად ითხოვენ დროს, რათა ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით მეუღლეს, შვილებს, რძალს გაესაუბრონ და მხოლოდ მათთან შეთანხმებით გააკეთონ შეკვეთა. ტელეგაყიდვებით დაინტერესებულ ქალ მომხმარებელთა უმრავლესობა საშუალო ასაკის, დასაქმებული, დაოჯახებულია, ჰყავს ერთი ან რამდენიმე შვილი და ძირითადად იძენენ საოჯახო მოხმარებისათვის განკუთვნილ პროდუქტებს. მათ საერთო დამახასიათებელ თვისებად შეგვიძლია დავასახელოთ დროის რესურსის შეზღუდულობა, ალბათ სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს მათი ტელევაჭრობით დაინტერესებასაც. შედარებით ნაკლებია ახალგაზრდა მომხმარებელთა რიცხვი, რადგან ისინი უპირატესობას ანიჭებენ ონლაინ გაყიდვას, მათთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის მოძიება, ალტერნატივების შეფასება, კარგად დაკვირვება და მხოლოდ ამის შემდეგ შეკვეთის გაკეთება. რაც შეეხება პენსიონერ ქალ მომხმარებლებს, რომლებიც ძირითადად იშვიათად გადიან სახლიდან, მათი რიცხვი თანდათან მცირდება. ისინი ამის მთავარ მიზეზებად ასაკს, წამლების სიძვირესა და პენსიის სიმცირეს, შვილების მხრიდან მათზე მზრუნველობას ასახელებენ.

ტელეგაყიდვებით დაინტერესებული მომხმარებლები არიან როგორც რაიონიდან, ასევე დიდი ქალაქებიდან. საქართველოს მხარეებიდან ლიდერობს აღმოსავლეთი, მაღალმთიანი რეგიონებიდან- მცხეთა-მთიანეთი (განსაკ. ყაზბეგი), სამეგრელო-ზემო სვანეთი (განსაკ. მესტია), აჭარა (განსაკ. შუახევი), რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი. დიდი ქალაქებიდან ლიდერობენ თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, თელავი, გორი, კასპი, ახალციხე, ბათუმი. შესაბამისად ამ ქალაქებში საკურიერო მომსახურებაც თითქმის მთელი თვის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობს.

კლიენტები ძირითადად შეკვეთებს იმ პერიოდისათვის აკეთებენ, როცა ელოდებიან ხელფასს: მაგალითად, თვის ბოლოსკენ დიდია ჯავშნების რიცხვი, რადგან უმრავლესობა სწორედ ამ პერიოდში

იღებს ხელფასს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო პერიოდში მომხმარებლები აქტიურად ითხოვენ განვადებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ ფასი 100 ლარს აღემატება;
როგორც ვიცით, დაბალი ან საშუალო ფასის მქონე პროდუქტის შესყიდვა გაცილებით იოლია, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა ინერციულიც კი იყოს. მომხმარებლები ნაკლებად (ტექნიკის შემთხვევაში) ან საერთოდ არ ითხოვენ გარანტიას. მაგალითად, ჩვენი ჩატარებული დაკვირვებისას ყველაზე ადვილად იჯავშნებოდა 30-35 ლარის ღირებულების მქონე პროდუქცია გარანტიის გარეშე. მომხმარებლები მათი შეძენისას არც კი კითხულობდნენ გარანტიის შესახებ, რადგან თვლიდნენ, რომ გადასახდელი თანხა ხელმისაწვდომი იყო და შეესაბამებოდა პროდუქციის ღირებულებას. მათი ჩაბარების მაჩვენებელი 78%-დან 85%-მდე მერყეობდა, რაც საკმაოდ მაღალია ტელეგაყიდვების შემთხვევაში. მაღალი ფასის მქონე (70-ლარიდან ზემოთ, განსაკუთრებით ტექნიკის შემ თხვევაში) პროდუქტების დაჯავშნისას, მომხმარებლები აუცილებლად ითხოვენ გარანტიას, რადგან ამ შემთხვევაში მაღალია გადასახდელი თანხა და შესაბამისად იმის რისკი, რომ ადგილზე ნახვის, გასინჯვის გარეშე შეძენილი პროდუქტი ვერ გაამართლებს მოლოდინს. აქედან გამომდინარე, მომხმარებლებს აშინებთ იმედგაცრუებისა და თანხის დაკარგვის რისკი. გასაკვირი არ არის ის, რომ მაღალფასიანი შეკვეთების ჩაბარების მაჩვენებელი დაბალ ან საშუალოფასიან პროდუქციასთან შედარებით შესამჩნევად დაბალია.
უნდა აღვნიშნოთ, რომ პანდემიამ გავლენა მოახდინა ტელეგაყიდვების მომხმარებელთა ქცევაზე: კლიენტები უპირატესობას ანიჭებენ დაბალფასიან ან სააქციო შეთავაზებებს. ისინი შედარებით ნაკლებად აკეთებენ არჩევანს საშუალო ან მაღალფასიან პროდუქციაზე, რადგან ცდილობენ თავიანთი ფინანსები უფრო ჭკვიანურად და ყაირათიანად გამოიყენონ. ამიტომაც ოპერატორები კლიენტებს ახლა ვიდრე არასდროს სასურველი პროდუქციის შეძენას სთავაზობენ ფინანსურად მეტად ხელმისაწვდომ პერიოდში, განვადების ან წინასწარი გადახდის შესაძლებლობებით. აგრეთვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პანდემიიდან გამომდინარე მომხმარებელთა დაახლოებით 30% უარს ამბობს ოპერატორთან გასაუბრებაზე, კომპანიის მხრიდან ნებისმიერი სიახლის გაცნობასა და შეთავაზებაზე.
იმ კომპანიებისათვის, რომლებიც ტელემარკეტინგს, განსაკუთრებით კი ტელეგაყიდვებს აქტიურად იყენებენ, გარკვეული რეკომენდაციების გაცემა შეიძლება:

1. **წინასწარ შეადგინეთ გეგმა -** გეგმის შედგენისას მნიშვნელოვანია ორგანიზაცია: კარგად იცნობდეს იმ პროდუქტსა და მომსახურებას , რომლის გაყიდვაც სურს; გამოყოს და გამოიკვლიოს მისი სამიზნე კონკრეტული დემოგრაფიული ჯგუფი; დაისახოს მკაფიო მიზნები- თუ რატომ უნდა განხორციელდეს ტელემარკეტინგის კამპანია; შექმნას რეალური მასალები, რომლებიც გამოიყენება სატელეფონო მარკეტინგის დროს- მრავალი ორგანიზაცია წერს სკრიპტებს, რომლებსაც თანამშრომლები, ოპერატორები იმახსოვრებენ და ახსენებენ ზარების დროს. სხვები უბრალოდ თავიანთ ოპერატორებს აცნობენ მიზნებს და აძლევენ საშუალებას ამ მიზნების მისაღწევად მომხმარებელთან თავადვე დაამყარონ უფრო ბუნებრივი ურთიერთობა. [3] კომპანიამ უნდა განსაზღვროს რამდენი და რა კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელი იყოს პასუხისმგებელი ტელეგაყიდვებზე ან საერთოდ უნდა გამოიყენოს თუ არა ეს სერვისი; ასევე უნდა გაითვალისწინოს იურიდიული საკითხები, მათ შორის რეგულაციები, რომლებიც მოიცავს არასასურველი გაყიდვების ზარებსა და მომხმარებელთა გაუქმების უფლებებს.

2. **შექმენით სწორი მიდგომა "ცივი" გაყიდვების ზარებისადმი -** ზოგიერთი თანამშრომელი მუდმივად თავს არიდებს ცივი ზარის განხორციელებას და ურჩევნია კონცენტრირება მოახდინოს სხვა საქმეებზე, რომელთა შესრულებაც მათთვის უფრო კომფორტულია. "ცივი დარეკვა" სწორი მიდგომის დახმარებით შესაძლოა გამარტივდეს: მაგალითად, თუ თანამშრომლების მხირდან "ცივი ზარი" განხილება, როგორც გაყიდვებისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვების ნაწილი - გაყიდვების პერსპექტივების დადგენა -და არა დაუყოვნებელი გაყიდვის მოლოდინი. [7]

3. **იზრუნეთ თანამშრომლების განვითარებაზე-** ტელეგაყიდვების ტრენინგით თანამშრომლებს შეუძლიათ განავითარონ სწორი უნარები და დამოკიდებულება. არ დაგავიწყდეთ, წარმატების მისაღწევად თქვენს ოპერატორებს სჭირდებათ: იმის გაგება, თუ როგორ უნდა გასცდნენ "მეკარეებს" სწორ ადამიანთან სასაუბროდ; იმის ცოდნა, თუ როგორ გასცენ დადებითი პასუხი; შეძენისაკენ მუდმივი ბიძგის ნაცვლად ურთიერთთანამშრომლობა და იმის გაგება , თუ რა სურთ მომხმარებლებს; კითხვებთან და წინააღმდეგობებთან გამკლავება; იმის ამოცნობა, როდის უნდა დასრულდეს გაყიდვა და როგორ უნდა გაკეთდეს ეს. ინდუსტრიის წარმომადგენელი ბევრი კომპანია ხვდება, რომ ნიჭიერ ტელემარკეტოლოგს ნამდვილად შეუძლია მათი დახმარება პროდუქტის ან მომსახურების ბაზარზე გატანის დროს და რომ პერსონალური გამყიდველისაგან განსხვავებით ის ამას უფრო ეფექტიანად და ნაკლები დანახარჯებით გააკეთებს. [8]

4. **აქციეთ ინტერნეტი თქვენი სტრატეგიის ნაწილად - თანამედროვე მსოფლიოში ძირითადი საქმიანობა ციფრული ქსელებით** მიმდინარეობს. ინტერნეტმა ძირეულად შეცვალა მომხმარებელთა მიერ მოხერხებულობის, სიჩქარის, ფასის, პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და

მომსახურების აღქმა. ინტერნეტკომპანიების წარმატებამ ჩვეულებრივი კომპანიები მათ მიერ ბაზრის მომსახურების მეთოდებსა და მიდგომებზე დააფიქრა. ამჟამად თითქმის ყველა ტრადიციულმა კომპანიამ შექმნა საკუთარი ონლაინგაყიდვებისა და კომუნიკაციის არხები და ისეთ კომპანიებად გადაიქცა, რომლებიც საქმიანობენ როგორც ინტერნეტით, ისე ტრადიციული მეთოდებით. ტელემარკეტინგის შემთხვევაში ინტერნეტისა და ციფრული ქსელების დახმარებით შესაძლებელია პოტენციურ და არსებულ კლიენტებთან უფრო მობილური კავშირი, შესაძლებელია გაყიდვების რიცხვის ზრდა, დანახარჯების შემცირება და შესაბამისად მოგების ზრდაც. რეალურად, დღეს ის კომპანიები, რომლებიც როგორც ტრადიციული, ისე ინტერნეტმეთოდით ვაჭრობენ, უფრო მეტად წარმატებულები არიან ონლაინსივრცეში, ვიდრე მხოლოდ ვირტუალური კომპანიები. [8]

5. დაიცავით კონფიდენციალურობა და მორალურ-ეთიკური ნორმები - ტელემარკეტინგის განხორციელებისას კომპანიებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და მორალურ- ეთიკური ნორმების დაცვა პირდაპირი მარკეტინგის ინდუსტრიისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. ჰაიამი „მარკეტინგი მარტივად“ , ლურჯი ოკეანე, გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი 2020 წელი, გვ. 437
2. გ. არმსტრონგი, ფ. კოტლერი „მარკეტინგის საფუძვლები“ მე-14 გამოცემა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2015 წელი , გვ 746.
3. https://www.marketing-schools.org/types-of-marketing/telemarketing/#section-0
4. https://en.wikipedia.org/wiki/Telemarketing
5. https://www.virtual-sales.com/telemarketing-or-telesales/
6. https://www.indeed.com/career-advice/career-development/what-is-telesales
7. https://www.marketingdonut.co.uk/sales/telesales/telesales-overview
8. ტ. ჰოპკინსი „გაყიდვები მარტივად“, ლურჯი ოკეანე, გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი 2015 წელი, გვ. 364

21	თემის დასახელება	**მოტივაციის სისტემის უცხოური გამოცდილება**
	სტუდენტები	**სულამანიძე ეკა**
	საბაკალავრო პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება, III კურსი
	ხელმძღვანელი	**ქიქოძე ნუნუ,** აწსუ-ს ასოც. პროფესორი

საკვანძო სიტყვები:

კოვიდ 19, შრომითი ბაზარი, უმუშევრობა, სახელმწიფო პროგრამები,დაზღვევა.

ABSTRACT

Unemployment is one of the biggest problems in any country, including Georgia. High unemployment rate indicates that the country is not able to use its human resources efficiently and rationally. People want to work, but cannot do so due to many external and personal factors, as a result, they do not contribute to the production of goods and services, in developing your own family and country economy. It is true that in today's economy, a certain level of unemployment is inevitable. (Natural level of unemployment), because some people just do not want / do not need work. In the case of Georgia, unemployment is a problematic issue.

COVID-19, პრობლემა რომელმაც უამრავი გართულებები გამოიწვია და დღესაც არ კარგავს აქტუალობას. მან არამარტო საქართველოს არამედ მთელი ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრება შეცვალა და თითოეული ჩვენგანისთვის ერთგვარ გამოცდადაც იქცა.

პანდემიის გავლენის შესწავლას უდიდეს ყურადღებას უთმობენ სპეციალისტები და ისინი სხვადასხვა მიმართულებით აქვეყნებენ მეტად საყურადღებო შეფასებებსა და განმარტებებს იმ კონკრეტული ცვლილებების შესახებ, რომელიც განხორციელდა და ხორციელდება ცალკეულ ქვეყანასა თუ მსოფლიოში. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ვირუსს არანაირი შეზღუდვა არ გააჩნდა და შესაბამისად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ყველაზე მეტი დარტყმა იმ ქვეყნებმა მიიღო, რომლებიც გავრცელების ეპიცენტრში იმყოფებოდნენ. ასეთი ქვეყნები იყო: იტალია, აშშ, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი. ამ განვითარებულ ქვეყნებს დანაკლისით არც საქართველო ჩამოუვარდებოდა. ქვეყანა თავისი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე რთულად შეხვდა პანდემიის გავლენას და შესაბამისად ამან კიდევ უფრო დააზარალა ქვეყნის ეკონომიკა.

კორონავირუსი ჯერ კიდევ არაა დასრულებული და შესაბამისად საფრთხეს უქმნის, როგორც ადამიანების ჯანმრთელობას, ასევე უარყოფითად ზემოქმედებს ბიზნესზე და ზოგადად სურსათის მოთხოვნისა და მიწოდების ჯაჭვებზეც. კორონავირუსის პანდემიის პირობებში კომპანიები

პრობლემებს საქმიანობის ისეთ მიმართულებებში წააწყდნენ როგორიც არის, მაგალითად, კრიზისის მართვა და რეაგირება, ადამიანური რესურსები და სხვა. აქედან გამომდინარე, ცხადია კორონა ვირუსით გამოწვეულმა პანდემიამ გავლენა იქონია უმუშევრობის მთელ რიგ საკითხებზე.

საქართველოში და არამარტო ჩვენს ქვეყანაში გლობალური პანდემია უმუშევრობის ახალ ტალღას ქმნის. სოციალური დაცვის სისტემები ინტენსიური წნეხის ქვეშ აღმოჩნდნენ, მათი მოუმზადებლობა კი შესაძლოა მასშტაბური სოციალური კრიზისის წინაპირობა გახდეს. სხვა გამოწვევებთან ერთად პრობლემად რჩება უმუშევრობის შემწეობისა და დაზღვევის სისტემების არარსებობა, ისე როგორც ზედაპირული და არაზუსტი საარსებო მინიმუმის დადგენის მეთოდოლოგია.

უმუშევრობა საქართველოს მოსახლეობის მიერ უკვე არაერთი წელია მთავარ ეკონომიკურ პრობლემად სახელდება. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მონაცემებით, საქართველო უმუშევრობის დონით მსოფლიოში მე-10 ადგილზეა. ადრე საქართველოში უმუშევრობის ოფიციალური რიცხვები რეალობას იყო მოწყვეტილი, რასაც მისი დათვლის მოძველებული მეთოდოლოგია განაპირობებდა. 2020 წლის დეკემბერში დაინერგა ახალი მეთოდოლოგია, რომელიც ავტომატურად თვითდასაქმებულებად აღარ აღრიცხავს იმ ადამიანებს, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ და პროდუქტები მხოლოდ საკუთარი თავის რჩენისთვის მოჰყავთ. ამ ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით, 2019 წლის უმუშევრობის დონე, რაც იქამდე 11.6% იყო, 17.6% გახდა. გადაითვალა წინა წლების შედეგებიც და გაირკვა, რომ 2012 წელს უმუშევრობა, 17.2%-ის ნაცვლად, სინამდვილეში 26.7%-ია. უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი ახალგაზრდებშია. საქსტატის მონაცემებით 2020 წელს საქართველოში უმუშევრობის დონემ 18.5% შეადგინა.15- 24 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში უმუშევრობა 27.8%-ია, 25-34 წლების ჯგუფში კი 21.3%. 2021 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით უმუშევრობის დონე არის 21.9%, უმუშევართა რაოდენობა კი 317.5 ათასი კაცი.



[15]

უმუშევრობის დონე მამაკაცებში უფრო მაღალია ვიდრე ქალბატონებში. 2020 წლის მონაცემებით უმუშევრობის დონე მამრობითი სქესის წარმომადგენლებში იყო 20.2% ,ქალებში კი 16.2%. ბოლო მონაცემებით საქართველოში 105,8 ათასი უმუშევარი ქალია და 176,1 ათასი უმუშევარი კაცი. ნახაზიდან და არსებული ეკონომიკის მდგომარეობიდან შეგვიძლია ვთქვათ ,რომ უმუშევართა რაოდენობა მომავალში შეიძლება უფრო გაიზარდოს. ზოგადად კაცებში უფრო მაღალია უმუშევრობა , ამის მიზეზი ჩემი აზრით არის ის ,რომ კაცების უმეტესობა პირობით 300-400 ლარიან სამსახურზე უარს ამბობს ქალებისგან განსხვავებით. ანუ ქალები უფრო თანხმდებიან დაბალანაზღაურებად სამუშაოზე, მაგალითად, როგორიცაა კონსულტაციის გაწევა მაღაზიებში. ასევე ბევრი ქალი უბრალოდ დიასახლისია, რომლებიც არ შედიან სამუშაო ძალაში.

[15] https://forbes.ge/umushevrobith-msophlioshi-gamorcheuli-qveqhana/



[16]

პანდემიამ, განსაკუთრებით საქართველოში, ფარდა ახადა, რომ უმუშევრობის შემწეობის და დაზღვევის არარსებობა დასაქმებულს კრიზისული სიტუაციის წინაშე მარტოდ დარჩენილს დაუცველს ხდის. გასათვალისწინებელია ის გარემოება რომ ქვეყნის 88%-ს დანაზოგი არ აქვს, შესაბამისად უმუშევრობის დაზღვევისა და შემწეობის გარეშე დასაქმებულები შემოსავლების დაკარგვის შემთხვევაში პირველადი მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის რისკის ქვეშ ექცევიან. ასეთ კრიტიკულ შემთხვევებში უმუშევრობის დაზღვევის/ შემწეობის სოციალური ველის შექმნა შეუძლიათ, რაც მათ საშუალებას მისცემს კრიტიკულ სიტუაციებში მინიმალური საარსებო საშუალებები ჰქონდეს.
„კორონავირუსი იმ უამრავი შესაძლო რყევის ერთი მაგალითია, რომელსაც მშრომელებისგან სრულიად დამოუკიდებელი მიზეზებით მათი სამუშაო პირობებისა და შემოსავლის, ისევე როგორც მთლიანად შრომის ბაზრის მოულოდნელად და უმართავად შეცვლა შეუძლია. ასეთივე რყევებია ფინანსურ და სავალუტო კრიზისებთან, ომთან და მასობრივ მიგრაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური შოკები.“

პანდემიურ ფონზე საქართველოსთვის კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა უკრაინაში მიმდინარე პროცესები. უკრაინის გარშემო შექმნილი ვითარება გავლენას ახდენს როგორც ქვეყნის შიგნით შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ასევე მის სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორებზე, მათ შორის, საქართველოზე. უკრაინის პოლიტიკური კრიზისის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე ორმაგია. ერთი მხრივ, გავლენას მოახდენს უკრაინის კრიზისი და, მეორე მხრივ, სავარაუდოდ, რუსეთის კრიზისი. ჯამში კი, ამ ორ ქვეყანაზე საქართველოს ექსპორტის, დაახლოებით, 20 პროცენტი მოდის. ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს ფაქტორი ამ ვითარებაში, რადგან საქართველოდან უკრაინაში მნიშვნელოვანწილად გაედინება ისეთი ტიპის პროდუქტები, როგორიც არის ღვინო და მინერალური წყლები, ე.წ. ელასტიური პროდუქტები, რაც ნიშნავს იმას, რომ მათზე ფასების მცირედი ზრდა მათზე მოთხოვნას შეამცირებს.

იმისთვის, რომ საქართველოში შემცირდეს უმუშევრობის დონე, მნიშვნელოვანია რიგი ღონისძიებების გატარება: მოთხოვნის სტიმულირება სამუშაო ძალაზე; კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის მიწოდების ხელშეწყობა; შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გაძლიერება; მიზნობრივი სოციალური და ინკლუზიური დასაქმების პოლიტიკით შრომის ბაზარზე ქალების და მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის ხელშეწყობა და სხვა.
მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს შესაბამისი სწავლების ცენტრები უმჯობესი იქნება უფრო მეტი ხელშეწყობა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან და ასევე რეგიონებში არსებული ბაზის გამოკვლევა მოხდეს და ამის მიხედვით მოხდეს შესაბამისი სწავლების ჩატარება.

ჩვენი ამ პოზიციის გასამყარებლად ჩავატარეთ კვლევა, რითაც კიდევ უფრო ცხადი გახდა არსებული პრობლემის აქტუალურობა. გამოკითხვის პროცესში, ჩვენ ხაზი გავუსვით რესპონდენტის სქეს, ასაკს და

[16] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

შესაბამისად განათლებას. გამოკითხულთა შორის უმრავლესობას მამაკაცები წარმოადგენდნენ, რომელთა უმეტესობა 20-30 წლამდე იყვნენ და შესაბამისად უმაღლესი განათლების მქონენი არიან. პასუხები მივიღეთ მნიშვნელოვან კითხვებზე, როგორიც იყო მაგალითად: „შეიცვალა თუ არა უმუშევრობის დონე ბოლო პერიოდში“, „რა არის მიზეზი უმუშევრობის“ და ა.შ. გამოკითხვამ აჩვენა რომ გამოკითხულთა დაახლოებით 78% პროცენტი ფიქრობს რომ მამაკაცებში უმუშევრობის დონე უფრო მაღალია ვიდრე ქალებში:



ასევე მნიშვნელოვანი იყო მათგან მოგვესმინა თუ რა მიაჩნდათ უმუშევრობის ძირითად პრობლემას და აღმოჩნდა რომ გამოკითხულთა უმეტესობა უმუშევრობის პრობლემად დაბალ ხელფასს და შრომის პირობების არ არსებობას ასახელებს



ნაშრომის სრული დატვირთვა დაკავშირებული იყო მსოფლიოს ძირითად პრობლემაზე და თამამად შეიძლება ითქვას უკვე წარსულ მოვლენაზე, კორონა ვირუსის პანდემიაზე. ამ ნაშრომში ხაზი გავუსვით მასთან დაკავშირებულ მძიმე შედეგებს, როგორც ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ფენისთვის საზოგადოებისთვის, ისე ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა საკითხების მხრივ. გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტი რაც ამ ხსენებულმა პანდემიამ დამართა ისეთ განვითარებულ ქვეყნებს როგორიცაა, მაგალითად: აშშ, ჩინეთი და სხვა. პანდემიამ განვითარებული ქვეყნები დააზარალა, რთული წარმოსადგენი არაა განვითარებადი ქვეყნების მდგომარეობა ასეთ ვითარებაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ საქართველო თავისი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ამ ვითარებას მძიმედ შეხვდა და სათანადო შედეგებიც გამოიღო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ნათელი წარმოდგენა მოგვცა არსებულ მდგომარეობაზე ქვეყანაში, რაც პირველ რიგში ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე უმუშევრობის საკითხთან ასოცირდებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უმუშევრობის დაზღვევა ევროპაში და საქართველოს პერსპექტივა, ებერტის ფონდი, 2018
2. შრომისა და დასაქმების პოლიტიკა საქართველოში - ფასადური ინსტიტუტები, საერთაშორისო აქტორები და იდეების ბრძოლა“ ანა დიაკონიძე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2018.
3. უმუშევრობის დაზღვევა ევროპაში და საქართველოს პერსპექტივა, ებერტის ფონდი, 2018
4. „ეკონომიკის პრინციპები“ (2007) -გრეგორი მენქიუ.
5. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba
6. https://forbes.ge/umushevrobith-msophlioshi-gamorcheuli-qveqhana/

სექცია II: „თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობები“

ხელმძღვანელი: **ლომინაშვილი შოთა,** ასოცირებული პროფესორი
თანახელმძღვანელი: **სვანიძე ანა**

საბაკალავრო პროგრამა: „სოციალური მეცნიებები“, IV კურსი

1	თემის დასახელება	**კომპანია "ჰერბიას" საქმიანობა და განვითარების შესაძლებლობები**
	სტუდენტები	**სულწაძე ალექსანდრე, ყურაშვილი რომანი**
	საბაკალავრო პროგრამა	ეკონომიკა, IV კურსი
	ხელმძღვანელი	**მედეა ლომინაშვილი-ფრუიძე**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი

აბსტრაქტი

Herbia is a grower, packer, and shipper of Global Gap - certified culinary herbs and vegetavles with no chemical fertilizers or insecticides. Since commencing produqcion in early 2006, Herbia has quickly become one of Georgia's leading producers of premium-quality, greenhouse-grown culinary herbs and vegetables and a pioneer in the field of packaged herbs offered to local consumers it operates some 3 ha of greenhouse and a modern refrigerated warehouse with 2 packing lines in Tskaltubo,Georgia. Herbia provides its customers with reliable, year-round, local supply of produce grown under the highest standards of food safety and environmental sustainability.

მემწვანილეობის დარგს საქართველოში მრავალხნიანი ისტორია აქვს, მაგრამ განსაკუთრებით აქტიურად სასათბურე მეურნეობით იმერეთის რეგიონის მოსახლეობაა დაკავებული. მემწვანილეობა განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, რაც განპირობებულია მისი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით. ასეთ ბუნებრივ პირობებში გაჩნდა იდეა შექმნილიყო კომპანია, რომელსაც დღეს ჩვენ „ჰერბიას“ სახელით ვიცნობთ.

ჰერბია Global Gap[17] სერთიფიკატის მქონე კომპანიაა. მას მწვანილი და ბოსტნეული მოჰყავს სასუქის გამოყენების გარეშე. კომპანია ახორციელებს წარმოებული პროდუქციის დაფასოებას და შემდეგ დისტრიბუციას საქართველოს სხვადასხვა სავაჭრო ქსელში.

კომპანია „ჰერბია“ 2006 წელს დაარსდა და პირველი იყო საქართველოში, რომელმაც მიიღო გლობალური GAP სერთიფიკატი მწვანილის წარმოებისთვის. კომპანიის სათბური წყალტუბოს რაიონში 10 ჰექტარზეა განთავსებული, აქედან 5 ჰექტარი ისრაელის და ჰოლანდიური ტექნოლოგიების გამოყენებით, აღჭურვილია სათბურებით დახურული გრუნტისთვის, სადაც მოსავლის ბრუნვის შესაბამისად დარგეს მწვანილი და ბოსტნეული. დანარჩენი 5 ჰექტარი გამოიყენება ღია გრუნტში გამწვანებისთვის. მოზრდილ კულტურებს შორისაა: იისფერი რეჰანი, cilantro (ქინძი), ოხრახუში, ნიახური, კამა, სალათის ფოთოლი (სალათი), პომიდორი, მათ შორის ალუბალი, კიტრი, ტკბილი წიწაკა, ცხელი წითელი წიწაკა და ა.შ. მიწის გვერდით მდებარეობს სამაცივრე შენახვისა და შეფუთვის საწარმოც. კომპანიამ დანერგა HACCP[18]-ის სისტემა.

შპს „ჰერბიამ“ სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით, ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სასათბურე მეურნეობა შექმნა. პროექტის ღირებულებამ 3,000,000 ლარი შეადგინა, საიდანაც 592,000 ლარი არის გრანტი, ხოლო 1,050,000 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტი. „ჰერბიას“ აქვს საკუთარი სამაცივრო სატვირთო მანქანები და სადისტრიბუციო მომსახურება.[19]

კომპანია შეიქმნა იმისათვის, რომ საექსპორტო ბაზარზე ყოფილიყო ორიენტირებული, მაგრამ სამწუხაროდ მას არ აღმოაჩნდა საკმარისი რესურსი, რათა ევროპის ბაზარზე მყარად მოეკიდა ფეხი.მიუხედავად იმისა, რომ წყალტუბოში 5000-მდე ფერმერია, მათ არ აქვთ საექსპორტო პროდუქციისთვის საჭირო სერთიფიკატი. ამიტომ

---

[17] Global Gap (Good agricultural practices) - სასოფლო-სამეურნეო წარმოების სანიმუშო სტანდარტია. სტანდარტი მოიცავს სასოფლო-სამეურნეო და აკვაპროდუქტის წარმოების სრულ ციკლს - ადგილის შერჩევიდან და ნიადაგის დამუშავებიდან დაწყებული, პროდუქტის დამზადებით, დაფასოებით და შეფუთვით დამთავრებული.

[18] HACCP - არის მართვის სისტემა, რომელშიც სურსათის უვნებლობა განიხილება ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური საფრთხის ანალიზისა და კონტროლის გზით. ნედლეულის წარმოებიდან, შესყიდვით და დამუშავებიდან, მზა პროდუქტის წარმოებამდე, განაწილებამდე და მოხმარებამდე.

[19] https://programs.gov.ge/ka;
მწვანილის მწარმოებელი კომპანია ჰერბია; 18.12.2021

ჰერბია იძულებული გახდა ფუნქციონირება გაეგრძელებინა ადგილობრივ ბაზარზე, სადაც მის პროდუქციაზე მოთხოვნა მკვეთრად გაიზარდა, მაგრამ კომპანიას უჭირდა მათი დროული უზრუნველყოფა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად კომპანიამ თანამშრომლობა დაიწყო 500 ფერმერთან. შესაბამისად ამან ფერმერებს სტიმული მისცა ადგილობრივი ბაზრის მოთხივნილების შესაბამისი ხარისხის და სტანდარტის პროდუქცია ეწარმოებინათ. ამ ფერმერებს რეგულარულად უტარდებათ ტრენინგები.

„ჰერბიას“განვითარების მოკლე ისტორია:

2006 წელი - ჰერბია ხსნის საკონსოლიდაციო ცენტრს სოფელ ტყაჩირში (იმერეთში);

2008 წელი - ჰერბია ხსნის 3 ჰექტარ სათფურს წყალტუბოში;

2009 წელი - ჰერბია ხდება პირველი Global Gap ის სერთიფიკატის მქონე კომპანია საქართველოში;

2013 წელი - ჰერბია ხდება პირველი კომპანია საქართველოში რომელმაც დანერგა დაფაფსოებული მწვანილი ლოკალურ მარკეტებში;[20]

2014 წელი - აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის ფარგლებში ჰერბიამ განახორრციელა რებრედინგი და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი შესაფუთი საწარმო შექმნა ასევე განახლდა Global Gap ის სტანდარტი. მას შემდეგ ძალიან მალე გახდა მწვანილის და ბოსტნეულის ერთ-ერთი წამყვანი მწარმოებელი და პირველი კომპანიაა საქართველოში, რომელმაც დაიწყო პროდუქციის დაფასოება.

2019 წელი - ჰერბიამ აიღო 2 000 000 კრედიტი და განახორციელა წარმოების გაფართოება. ევროკავშირი მწვანილის ერთ-ერთი უდიდესი მომხმარებელია, სადაც იმპორტის მოცულობა ყოველწლიურად 4%-ით იზრდება, ხოლო ფასი 8 %-ით. შესაბამისად მწვანილის მწარმოებლების ერთ-ერთი უმნიშნელოვანესი ამოცანა ევროპის ბაზარზე გასვლაა. ამჟამად ევროპის ბაზრის ყველაზე დიდი მიმწოდებელი არის ჩინეთი. Eurostat-ის პროგნოზით მწვანილზე მოთხოვნა მომავალშიც გაიზრდება. ამიტომ საქართველოს მწარმოებლებს ევროპის ბაზარზე გასვლის კარგი შანსი აქვთ.

ამ ეტაპზე კი „ჰერბია” ერთადერთი ქართული მწვანილის მწარმოებელია ევროპის ბაზარზე. ერთადერთი საექსპორტო ბაზარი ბულგარეთია. სხვა ანალოგიური პროფილის კომპანიებს ევროპაში ექსპორტში ხელს არაერთი დაბრკოლება უშლის.

განვიხილოთ „ჰერბიას“ მიერ ბოლო 3 წლის განმავლობაში პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები, თვითღირებულება და მოგება.

ცხრილი N1.

წლები	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ამონაგები, ლარი	2 370 075	4 692 280	5 748 178
თვითღრებულება, ლარი	1 506 147	2 506 644	2 620 086
საერთო მოგება, ლარი	**863 928**	**2 185 636**	**3 128 092**
სხვა შემოსავლები, ლარი	301 334	401 228	180 238
სხვა ხარჯები - (დასაქმებულთა ანაზღაურება / ცვეთა და ამორტიზაცია / იჯარის ხარჯი და სხვა), ლარი	451 673	1 106 947	1 585 220
საოპერაციო მოგება, ლარი	**713 589**	**1 479 918**	**1 542 872**
ფინანსური ხარჯი, ლარი	11 829	48 095	52 371

[20] https://www.herbia.ge/?lang_id=ge; ჰერბია(ვებგვერდი); 12.12.2021

მოგება დაბეგვრამდე, ლარი	**701 760**	**1 431 823**	**1 490 501**
მოგების გადასახადი, ლარი	45 310	105 882	71 131
წმინდა მოგება, ლარი	**656 450**	**1 325 941**	**1 419 370**

თუ შევადარებთ 2018-2020 წლის მონაცემებს ერთმანეთს დავინახავთ,რომ კომპანია პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს ზრდის ყოველწლიურად. 2018 წელს ის შეადგენდა 2 370 075 ლარს, მაგრამ 2019 წელს ის თითქმის გაორმაგდა და შეადგინა 4 692 280ლარი. ზრდა შეინიშნება ასევე 2020 წელსაც, მან შეადგინა 5 748 178, მაგრამ არა ისეთი ტემპით როგორც 2019 წელს. ამონაგების ზრდასთან ერთად გაიზარდა პროდუქციის თვითღირებულებაც, მაგრამ შედარებით ნაკლები ტემპით რამაც გამოიწვია საერთო მოგების ზრდა. რაც შეეხება სხვა მაჩვენებლებს (სხვა ხარჯი, ფინანსური ხარჯი, მოგების გადასახადი) ის პროპორციულად იზრდება პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ზრდასთან ერთად, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა წმინდა მოგების პროპორციული ზრდა.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პანდემიას ჰერბიას საქმიანობაზე ნეგატიური გავლენა არ მოუხდენია. კორონავირუსის მიუხედავად ჰერბიას სასათბურე მეურნეობაში სამუშაო პროცესი გაორმაგებულად მიმდინარეობს. მოთხოვნა გაზრდილია მწვანილზე, ხოლო მეურნეობა დიდი მოთხოვნის პირობებშიც მოსახლოების დაკმაყოფილებას ახერხებს . ჰერბიას სასათბურე მეურნეობის ხელმძღვანელი ზურაბ ჯანელიძის თქმით, საწარმო ჩვეულ რეჟიმში მუშაობს და თანამშრომლების რაოდენობაც უცვლელია.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ 2019 წელს პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები გაორმაგდა წინა წელთან შედარებით, ამიტომ საინტერესოა უფრო დეტალრუად განვიხილოთ ეს წლები და განვსაზღვროთ,თუ რომელი პროდუქტების ხარჯზე მოხდა ამონაგების გაორმაგება.

დიგრამა N1



დიაგრამა N2



დიაგრამაზე ვხედავთ 2018-2019 წელს თითოეულ პროდუქციას როგორი ხვედრითი წილი ეჭირა საერთო ამონაგებში. ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უჭირავს მწვანე ხახვს. 2018 წელს საერთო ამონაგები შეადგენდა 2 370 075 ლარს, საიდანაც მწვანე ხახვზე მოდიოდა 711 022 ლარი (30%). ასევე მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი უჭირავს მწვანილს, კიტრს და პომიდორს. კიტრის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები შეადგენს 426 613 ლარს, პომიდორის 379 212 ლარს, ხოლო მწვანილის 521 416 ლარს.

რაც შეეხება 2019 წელს, აქ როგორც ზემოთ ვახსენეთ გაიზარდა ამონაგები და შეადგინა 4 692 280 ლარი . აქ 2018 წლისგან განსხვავებით უდიდესი ხვედრითი წილი უკვე მწვანილს უჭირავს. მწვანილის რეალიზაციიდან მიღებულმა ამონაგებმა 2019 წელს შეადგინა 1 642 298 ლარი.თუ გავავლებთ პარალელს 2018 წელთან დავინახავთ, რომ მწვანილის ამონაგები გასამმაგდა. ეს დიდწილად გამოწვეულია იმით რომ 2019 წელს მწვანილზე მოთხოვნა გაიზარდა როგორც ადგილობრივ ბაზარზე ასევე საექსპორტო ქვეყანაში(ბულგარეთში). რაც შეეხება მწვანე ხახვს, მისმა რეალიზაციამ წინა წელთან შედარებით მოიმატა 555 894 ლარით(78%ით). მიუხედავად იმისა რომ მწვანე ხახვის ხვედრითი წილი შემცირდა წინა წელთან შედარებით გაყიდვების ზრდა და შესაბამისად ამონაგების გაორმაგება მეტწილად მწვანილის გარდა მწვანე ხახვის რეალიზაციის ზრდასთანაც არის დაკავშირებული. და ეს ზრდა უკავშირდება როგორც ადგილობრივ ბაზარს, ასევე საექსპორტო ბაზარსაც. რაც შეეხება კიტრს და პომიდორს, მათი რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები 2019 წელს არის შესაბამისად 563 073 ლარი(პომიდორი) და 797 687ლარი (კიტრი). აქაც შეგვიძლია გავავლოთ პარალელი 2018 წლის მონაცემებთან. კიტრის რეალიზაციამ 371 074 ლარით მოიმატა(ანუ თითქმის გაორმაგდა, ხოლო პომიდორის 183 861(48%-ით). ჰერბიას პროდუქციაზე მოთხოვნა თითოეულ წელს მკვეთრად იზრდება მაგრამ ის მხოლოდ ნაწილს აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნის 2019 წლამდე. 2019 წელს კი კომპანიამ აიღო 2 000 000 კრედიტი და შეძლო გაეზარდა საწარმოო სიმძლავრეები (შეიძინა მიწები, გაზარდა თანამშრომელთა რაოდენობა, დანერგა ახალი ტექნოლოგიები), რამაც გამოიწვია პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების გაორმაგება. მაგრამ ყურადღებადსაქცევია ისიც, რომ ის მაინც ვერ აკმაყოფილებს სრულად, როგორც ადგილობრივ ისე საექსპორტო ბაზარზე, თავის პროდუქციაზე მოთხოვნას.

ზემოთხსენებული ინფორმაციის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ „ჰერბიას“ SWOT ანალიზი და გამოვყოთ კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები:

ცხრილი N2

შიდა ფაქტორები (კონტროლირებადი)	
S - ძლიერი მხარეები	W - სუსტი მხარეები

• მაღალი ხარისხი • ხარისხის მუდმივი კონტროლი • პროდუქციის ფასების ცვლის შესაძლებლობა • ფართო ასორტიმენტი • პროდუქციის დაფასოება • ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია • პროდუქცია იყიდება ქსელურ მარკეტებში	• ხელმისაწვდომობა • ექსპორტზე მოთხოვნის რაოდენობრივი დაუკმაყოფილებლობა; • არ ამარაგებს ბევრს სავაჭრო ქსელს პროდუქციით
გარე ფაქტორები (არაკონტროლირებადი)	
O - შესაძლებლობები	**T - საფრთხეები**
• პერსონალის ზრდა • თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება • წარმოების მოცულობის გაზრდა • სავაჭრო ქსელის გაფართოება	• ახალი კონკურენტების გამოჩენა ბაზარზე • მყიდველთა მოთხოვნების გამკაცრება(ხარისხზე;შეფუთვაზე) • ეკოლოგიური კატასტროფები • ეკონომიკური კრიზისები

კომპანია უკვე დაახლოებით 15 წელიწადია მომხმარებელს სთავაზობს ბოსტნეულის და მწვანილის ფართო ასორტიმენტს. ადგილობრივ ბაზარზე უჭირავს უდიდესი ადგილი, რაც განპირობებულია პროდუქციის მაღალი ხარისხით და მისი მუდმივი კონტროლით. პროდუქცია მზადდება ეკოლოგიურად სუფთა გარემოში. კომპანიამ ბოლო პერიოდში შეძლო და თავისი პროდუქცია სატესტო რეჟიმით გაიტანა საზღვარგარეთ (რამდენიმე ევროპის ქვეყნებში). ამის შესაბამისად გაიზარდა ჰერბიას პროდუქციაზე მოთხოვნა მაგრამ, კომპანიას ჯერ კიდევ არ აქვს იმის რესურსი, რომ ევროკავშირის ბაზარი დააკმაყოფილოს.ამიტომ დღესდღეობით მისი საექსპორტო ბაზარი მხოლოდ ბულგარეთია. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას ადგილობრივი ბაზრის დიდი ნაწილი უჭირავს, ის ყველგან ხელმისაწვდომი არარის, მისი შეძენა შესაძლებელია მხოლოდ დიდ სუპერმარკეტებში, (გუდვილი, კარფური და ა.შ) რაც გარკვეულწილად მომხმარებელთა უკმაყოფილებას იწვევს.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ აუცილებლად აგროტურიზმზეც და ჰერბიას როლზე ამ სფეროში. ამის თვალსაჩინოდ მოვიშვეილოთ გრაფიკი, სადაც წარმოდგენილია აგროტურიზმით დაინტერესებული საწარმოების რაოდენობა რეგიონების მიხედვით.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, აგროტურიზმით[21] ყველაზე მეტად იმერეთში მდებარე საწარმოებია დაინტერესებული (29 საწარმო), რაშიც თავის მხრივ მოიაზრება „ჰერბიას“ კომპანიაც.

კომპანიას გეგმაში აქვს „სოფლის ევოლუციის მუზეუმის“ გახსნა. პროექტის განხორციელების იდეა 2 წლის წინ გაჩნდა და მუზეუმს კლიენტები 2021 წელის სეტემბერში უნდა მიეღო მაგრამ მოცემული ვითარებიდან გამომდინარე გახსნა გადაიდო.

მოცემულ მუზეუმში წარმოდგეინლი იქნება დაახლოებით 300 წლის ისტორია, როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები სოფელში და როგორ ვცხოვრობთ დღეს. მთელი ეს ევოლუციური ხაზი თვალსაჩინო და ხელმისაწვდომი იქნება სტუმრებისთვის. ჰერბია ასევე აპირებს მომხამრებელს შესთავაზოს ღვინოები. ამ კუთხით მას წარმოდგენილი ექნება როგორც საკუთარი საფირმო ბიოღვინო ასევე სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი იშვიათი ღვინოები. [22]კომპანიას უკვე გაშენებული აქვს ვენახები, საიდანაც 2022 წელს უკვე შეეძლებათ 20 ტონა ყურძნის მოკრეფა.

[21] აგროტურიზმი - როგორც დასვენებისა და განვითარების ფორმა, მსოფლიოში აღიარებული მიმართულებაა, რომელიც სულ უფრო პოპულარული ხდება. გადაღლილი ადამიანი თავს სულ უფრო ხშირად აფარებს ბუნებას, სოფელს, ეფლობა პასტორალურ ცხოვრებაში – მონაწილეობს სოფლის მეურნეობაში, უვლის შინაურ ცხოველებს, მუშაობს მიწაზე, ინტერესდებიან სოფლად შემორჩენილი უძველესი წეს-ჩვეულებებითა და რიტუალებით.

[22] Business-Partner.ge ; სოფლის ევოლუციის მუზეუმი ; 21.12.2021

აგროტურისტულ სივრცეში დაახლოებით 20 ადამიანი დასაქმდება. მხოლოდ მარნის მოწყობისთვის „ჰერბია“ 1 მლნ-მდე ლარის ინვესტიციას განახორციელებს.

ამ მიმართულებით საქართველოს ფერმერთა ასოციაციას უკვე დაწყებული აქვს სამუშაოები. შექმნილია პლათფორმა agrogate.world[23], რომელიც საშუალებას აძლევს ტურისტებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიიღონ ინფორმაცია და დაინტერესდნენ საქართველოთი, რაც ნამდვიალდ ხელს შეუწყობს საქართველოში ტურიზმის განვითარებას.

გრაფიკი 1. აგროტურიზმით დაინეტერესებული საწარმოების რაოდენობა რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2020 წ.

ტურიზმის ეს სახე საქართველოში განვითარების საწყის ეტაპზეა. მაგრამ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ მხრივ საქართველოს თითოეული რეგიონს დიდი პოტენციალი გააჩნია. იგი ორიენტირებულია საშუალო და საშუალოზე დაბალი ფინანსური შესაძლებლობების მქონე ადამიანების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან გამოირჩევა იმით, რომ დასვენება შეიძლება შედარებით მცირე დანახარჯებით.[24]

ზემოთხსენებული ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ"ჰერბიას" აქვს შესაძლებლობა მოთხოვნის შესაბამისად გაზარდოს თავისი საწარმოო სიმძლავრეები, რაც კომპანიას შესაძლებლობას მისცემს უფრო აამაღლოს თავისი მოგება. აქ რათქმაუნდა გასათვალისწინებელია გარკვეული რისკები, რის წინაშეც შეიძლება დადგეს კომპანია სიმძლავრეების ზრდის შემთხვევაში. კომპანიას ასევე აქვს რესურსი თანამშრომლებს აუმაღლოს კვალიფიკაცია და მოახდინოს მათი გადამზადება, რაც შემდგომში კომპანიის სწორი განვითარების ერთ-ერთი საწინდარია. ამის შესაბამისად, კომპანიამ უნდა მოახდინოს თავის წარმოებაში უახლესი ტექნოლოგიის დანერგვა, რის შედეგაც მას აქვს შესაძლებლობა მინიმალური დანახარჯებით მიიღოს მაქსიმალური მოგება.

კომპანიამ დღის წესრიგში უნდა დააყენოს კონკურენტი ფირმების ქცევის შესწავლა, რაც შესაძლებლობას მისცემს აირიდოს საფრთხეები როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. მან უდიდესი ყურადღება უნდა გაამახვილოს ხარისხის შენარჩუნებაზე, რათა გარკვეულწილად თავიდან აირიდოს მომხმარებელთა უკმაყოფილება. მან უნდა მოახდინოს ბიზნეს გარემოს სწორი შეფასება, რათამიღებულ იქნას ადეკვატური გადაწყვეტილებები საფრთხეების თავიდან ასაცილებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- https://www.herbia.ge; 12.12.2021
- https://gfa.org.ge; 18.12.2021

[23] Agrogate world – ახალი ონლაინ პლატფორმა, რომელიც საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ შექმნა. ის აერთიანებს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის აგროტურისტულ ობიექტებს.

[24] https://agrokavkaz.ge/agroplus/agroturizmis
აგროტურიზმის განვითარების გზები და პერსპექტივები საქართველოში; 22.12.2021

- http://eugeorgia.info/ka
- http://pmag.ge/ka/home/100-herbia-ltd.html; 16.12.2021
- https://saras.gov.ge/; 20.12.2021
- https://business-partner.ge; 21.12.2021
- https://programs.gov.ge 18.12.2021
- https://agrokavka 22.12.2021
- http://www.economy.ge 19.12.2021

2	თემის დასახელება	**მოსახლეობის სოციალურ-ეკონომი-კური უთანასწორობა და სიღარიბე საქართველოში**
	სტუდენტი	**ნიქაბაძე ანა**
	საბაკალავრო პროგრამა	სოციალური მეცნიერებები, IV კურსი
	ხელმძღვანელი	**ვირსალაძე ნაირა**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი

3	თემის დასახელება	**დღევანდელობის რთული გამოწვევა - უმუშევრობა**
	სტუდენტები	**სირბილაძე გიორგი, ლანჩავა მარიამი**
	საბაკალავრო პროგრამა	ეკონომიკა, I კურსი
	ხელმძღვანელი	**შონია ქეთო**, აწსუ-ს მოწვეული სპეციალისტი

As we know, unemployment is a complex problem today, which consists of small but difficult components, therefore, this topic discusses unemployment in general, how / what groups the unemployed are divided into, the main types of unemployment and what are its socio-economic consequences. Various organizations, such as the Bureau of Statistics of Georgia (Geostat) and the State Agency for Employment Promotion are also discussed. The purpose of this topic is to understand how unemployment affects the current economy and how the problems of today affect it.
საკვანძო სიტყვები: უმუშევრობა; საქსტატი; ომი; კოვიდი; სოციალურ ეკონომიკური შედეგი; სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო.

რა არის უმუშევრობა? - უმუშევრობა არის მოვლენა, რომლის დროსაც მოსახლეობის ცალკეული ნაწილი ვერ შოულობს სამუშაოს, უმუშევრობა არის ეკონომიკური მაჩვენებელი და ჩვეულებრივ წარმოდგენილია უმუშევრობის მაჩვენებლით. უმუშევრობა არის მდგომარეობა, როდესაც ზოგიერთი ადამიანი არ სწავლობს და არ არის ანაზღაურებად სამუშაოზე და როდესაც ეს იგივე პირები აქტიურად ეძებენ სამუშაოს. გარდა ამისა უმუშევრობა პოპულარული ეკონომიკური მაჩვენებელია. უმუშევრობა მიუთითებს მშრომელთა მზაობაზე, მიიღონ შემოსავლიანი სამუშაო. როგორც ვხედავთ უმუშევრობა არც თუ ისე მარტივი პრობლემაა, რადგან ის უამრავ, ჩახლართულ საკითხებთან არის დაკავშირებული.

ადამიანთა სამი ჯგუფი უმუშევრობის მიხედვით - დღესდღეობით შრომის სტატისტიკის ბიურო (შსბ) აქვეყნებს სხვადასხვა თემებზე მონაცემებს, როგორებიცაა: უმუშერობის ტიპები, შრომათადღეების საშუალო რაოდენობა კვირაში და უმუშევრობის ხანგრძლივობა. ეს მონაცემები 60,000 ოჯახის გამოკითხვის მიხედვითაა მიღებული. შსბ თითოეულ ოჯახში გამოკითხავს ადამიანებს, რომელთაც შრომის უფლება აქვს ანუ ადამიანებს, რომლების 16 წელზე ზემოთ არიან და ამ გამოკითხვის მიხედვით, შემდეგ შსბ ამ ადამიანთა ჯგუფს გადაანაწილებს ძირითადად სამ კატეგორიაში.

- დასაქმებულნი - ამ კატეგორიაში შედიან პირები, რომლებმაც წინა კვირის უდიდესი ნაწილი გაატარეს სამსახურში, სადაც ხელფასს იღებდნენ. ასევე ამ კატეგორიაში შედიან პირები, რომელთაც აქვთ საკუთარი ბიზნესი, ან პირები, რომელთაც უხელფასოდ იმუშავეს ოჯახის წევრის საწარმოში. ასევე, ეს კატეგორია მოიცავს მათ, ვისაც ჰქონდა სამუშაო, მაგრამ დროებით არ მუშაობდა შვებულებაში ყოფნის, ავადმყოფობის, ან უამინდობის გამო.
- უმუშევარი - ამ კატეგორიში შედის ადამიანთა ის ჯგუფი, რომელთაც შეეძლოთ მუშაობა, სცადეს მუშაობის დაწყება გასული 4 კვირის განმავლობაში, მაგრამ ვერ იშოვეს სამსახური. ეს კატეგორია მოიცევს იმ პირებსაც, რომლებიც დროებით დაითხოვეს სამსახურიდან ან ახალი სამსახურის დაწყების მოლოდინში არიან.
- სამუშაო ძალას არ მიკუთვნილები - ამ კატეგორიაში შედიან ადამიანები, რომლებიც ზემოთ აღნიშნული ორი კატეგორიიდან არ განეკუთვნებიან არცერთს, მაგალითად სტუდენტები, დიასახლისები ან პენსიონრები.

უმუშევრობის ძირითადი სახეები - როგორც ზემოთ აღვნიშნე არსებობს ადამიანთა სამი ძირითადი კატეგორია, შესაბამისად, არც გასაკვირი არ იქნება, რომ ვთქვა, რომ არსებობს უმუშევრობის ძირითადი სახეებიც, რადგან, როგორც ვიცით, უმუშევრობის გარკვეული დონე ყოველთვის არსებობდა, არსებობს და ყოველთვის იარსებებს ანუ მარტივად, რომ ვთქვათ დღევანდელობაში ყველთვის არსებობს ვიღაც ვინც უმუშევარია, ეს ეკონომიკის გარდაუვალი ნაწილია. ასეთი უმუშევრობის ახსნა კი ძირითადად 4 გზით არის შესაძლებელი. პირელი ისაა, რომ ადამიანს ხშირად შესაფერისი ან სასურველი სამუშაოს საპოვნელად დიდი დრო სჭირდება, ამ პირობებში კი წარმოიქმნება უმუშევრობის პირველი სახე - ფრიქციული უმუშევრობა, ანუ მარტივად, რომ ვთქვათ ესაა მოკლევადიანი უმუშევრობა, რომელიც წარმოიშობა მომუშავის ერთი სამუშაო ადგილიდან მეორეზე გადასვლისას, როცა იგი „ორ სამუშაოს“ შორის მდგომარეობაში იმყოფება. უმუშევრობის ასახსნელი შემდეგი 3 გზა მიუთითებს იმაზე, რომ სამუშაოზე ხშირად არის მოთხოვნა მიწოდებაზე მეტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემულ სამსახურს აქვს მხოლოდ ერთი თანამდებობა ვაკანტური, ამ თანამდებობის დაკავების მსურველები კი უამრავია, შესაბამისად, სამუშაო ადგილების რაოდენობა საკმარისი არ არის სამუშაოს ყველა მსურველის დასაკმაყოფილებლად. ამის შედეგად კი წარმოიშვება უმუშევრობის მეორე სახე - სტრუქტურულ უმუშევრობა. ანუ ესაა დროში უფრო მეტ ხანს გაწელილი პროცესი, რომელიც განპირობებულია სამუშაო ადგილებისა და მომუშავეთა პროფესიულ-კვალიფიციურ სტრუქტურაში არსებული განსხვავებით. გარდა ამ ყველაფრისა ასევე არსებობს ციკლური უმუშევრობა, რაც გამოწვეულია ეკონომიკური ციკლის იმ სტადიით, რომელიც ხასიათდება ერთობლივი დანახარჯების დაბალი დონით, როცა საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა მცირდება, მნიშვნელოვნად ეცემა წარმოების და დასაქმების დონე, იზრდება მომუშავეების გამოთავისუფლების მასშტაბები, შესაბამისად უმუშევრობის დონე მკვეთრად იზრდება. გარდა ამ ყველაფრის ასევე არსებობს სხვადასხვა არაძირითადი სახის უმუშევრობა, მაგალითად სეზონური და ტექნოლოგიური. სეზონურია უმუშევრობა, როდესაც ისინი სეზონურად უმუშევრბი არიან, ეს ძირითადად ეხება სხვადასხვა კურორტებზე არსებულ ბიზნესებს, ხოლო ტექნოლოგიურია უმუშევრობა, როდესაც ჩვეულებრივ მომუშავე პირს ანაცვლებს ტექნოლოგია, მაგალითად ტრაქტორი.

უმუშევრობის დადებითი და უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები - როგორც ვიცით უმუშევრობა ძალიან დიდი კომპლექსური პრობლემაა, რომლების მცირე პრობლემებით შედგება, მაგრამ მასაც აქვს რაღაც დადებითი და უარყოფითი შედეგი, ამიტომაც ძალიან კარგი იქნება თუ ერთმანეთისგან განვაცალკევებთ ამ შედეგებს სოციალურ-ეკონომიკური ჭრილში. უმუშევრობას რამდენიმე დადებითი შედეგი აქვს ეკონომიკურ ჭრილში, მაგალითად სამუშაო ძალის რეზერვის შექმნა ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნებისთვის, კონკურენცია მომუშავეებს შორის, როგორც შრომის სტიმულის, უნარის გაუმჯობესების საშუალება, შრომის მწარმოებლურობისა და ინტენსივობის ზრდის სტიმულირება , ხოლო რაც შეეხება მის უარყოფით შედეგს ეკონომიკაში: მთლიანი სამამულო პროდუქტის დანაკარგები, წარმოების მასშტაბების შემცირება, მომზადებაზე გაწეული ხარჯების არაეფექტიანობა, უმუშევრებზე გაწეული შემწეობების ხარჯების ზრდა, შემოსავლების შემცირება და ას.შ.

რაც შეეხება უმუშევრობის დადებით მხარეს სოციალურ ჭრილში, ის უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის, სოციალური სტატუსისა და დატვირთვის ამაღლებას, სამუშაო ადგილის არჩევანის თავისუფლებას და ასევე შრომის სოციალური მნიშვნელობისა და როლის ამაღლებას. ხოლო მისი უარყოფითი მხარი ამავე ჭრილში შეიძლება იყოს: საზოგადოების მთავარი მწარმოებლური ძალის ფუნქციონირების ეფექტიანობის შემცირება, მოსახლეობის ძირითადი ფენების ცხოვრების დონის დაქვეითება, სოციალური დაძაბულობა და პოლიტიკური დესტაბილიზაცია, კრიმინალური მდგომარეობის გაუარესება, შრომითი აქტივობის დაქვეითება, ფიზიკური და სულიერი დაავადებების ზრდა და სოციალური დიფერენციაციის ზრდა.

საქსტატი - საქსტატი ანუ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით შექმნილი უწყებაა.

საქსტატის ძირითადი ფუნქციებია:

1. სტატისტიკის სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება და ტერიტორიულ და სტატისტიკის მწარმოებელ სხვა ორგანოებთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა.
2. სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამის შემუშავება.
3. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული სტატისტიკური საქმიანობა წარმოება, რომელიც მოიცავს:
    - სტატისტიკური კვლევების ჩატარებას.
    - ადმინისტრაციულ მონაცემთა დამუშავებას ექსკლუზიურად, სტატისტიკური მიზნით.
    - დაკვირვების ერთეულის შესახებ მონაცემთა დამუშავებას.
    - სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული გრაფიკის შემუშავებას და მისი საჯაროობის უზრუნველყოფას.
    - გამოქვეყნებული გრაფიკის მიხედვით სტატისტიკური მონაცემების გავრცელებას და ყველა მომხმარებლისათვის მათი თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

- საერთაშორისო ანალოგების შესაბამისი სტატისტიკური მეთოდოლოგიისა და სტანდარტების შემუშავებას და მათი დანერგვის ხელშეწყობას.

4. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარება.
5. ყოველწლიური საქმიანობის ანგარიშის მომზადება.
6. სტატისტიკის ტერიტორიული ორგანოების შექმნა და მათი სამოქმედო არეალების განსაზღვრა.

თანამედროვე პრობლემები უმუშევრობაზე (დაპირისპირება რუსეთსა და უკრაინას შორის, Covid-19) - როგორც ზემოთ აღვნიშნეთ უმუშევრობა კომპლექსური პრობლემაა, რომელიც სხვა მცირე, მაგრამ რთულ პრობლემებს იწვევს. ამიტომაც მნიშვნელოვანი იქნება თუ განვიხილავთ რა იწვევს უმუშევრობას დღევანდელობაში და რა გავლენას ახდენს ის სწრაფად მავალ მსოფლიოზე. შესაბამისად, კარგი იქნება თუ განვიხილავთ რამ მოახდინა გავლენა უმუშევრობაზე, დღეს კი განვიხილავ „ომს“ რუსეთ-უკრაინას შორის და ყველასათვის აწ უკვე სამულველ ვირუსს - Covid-19.

რა გავლენა იქონია კოვიდ ვირუსმა უმუშევრობაზე:

საზოგადოება ამა თუ იმ ქვეყნის ცხოვრების დონისა და ეკონომიკური მდგომარეობის განხილვისას იყენებს ისეთ მაკროეკონომიკურ ცნებებს, როგორიცაა: მთლიანი შიდა პროდუქტი, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, უმუშევრობის დონე და ასე შემდეგ. მათ შორის, უმუშევრობის საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, რომელიც ქვეყნაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე ბევრს მეტყველებს. როგორც ცნობილია, განვითარებული ქვეყნები უმუშევრობის დაბალი დონით ხასიათდებიან, ხოლო, რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, როგორიც საქართველოა, ისინი უმუშევრობის მაღალი დონით ხასიათდებიან. ბოლო ორი წლის განმავლობაში არსებულმა პანდემიურმა მდგომარეობამ დიდი გავლენა იქონია როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში არსებულ უმუშევრობაზე.

უმუშევრობა ისეთი მაკროეკონომიკური მოვლენაა, რომელიც გამოხატავს ქვეყანაში არსებული განვითარების კონკრეტულ დონეს. ახლა კი გადავიდეთ საკითხზე თუ რა გავლენა იქონია პანდემიამ უმუშევრობის დონეზე საქართველოში, პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ საქართველოში ყოველთვის ბევრად მაღალი იყო უმუშევრობის დონე სხვა ქვეყნებთან შედარებით, რაც ყველა განვითარებად ქვეყანას ახასიათებს. რაც შეეხება კონკრეტულ ციფრებს, უმუშევრობის დონე პანდემიამდე 17.6% იყო 2019 წლის ბოლო მონაცემების მიხედვით. პანდემიის გავლენის შედეგად კი ეს მაჩვენებელი 2020 წლის ბოლოს 18.5% გახდა. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ყველაზე დიდი ცვლილება უმუშევრობის დონის ზრდაში არა 2020 წელს დაფიქსირდა, როდესაც დაიწყო პანდემია, არამედ 2021 წელს, როდესაც როგორც მთლიანად მსოფლიო, ისე საქართველო მეტ-ნაკლებად იცნობდა პანდემიისგან გამოწვეულ მდგომარეობას და ჰქონდა დრო რომ სხვადასხვა ღონისძიებები გაეტარებინა. 2020 წლიდან უმუშევრობა 3.6%-ით გაიზარდა და 22.1%-ს გაუტოლდა, რაც ნამდვილად შემაშფოთებელი ცვლილებაა. თუმცა უახლესი ინფორმაციის მიხედვით აღსანიშნავია ისიც, რომ 2021 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა და 19.5%-ს გაუტოლდა. საბოლოო ჯამში, როგორც ზემოთ დავინახეთ, პანდემიამ უარყოფითი გავლენა იქონია როგორც განვითარებული ქვეყნის, ისე – განვითარებადის უმუშევრობის დონეზე. შესაბამისად, საქართველო სუსტი ქვეყანა აღმოჩნდა იმისათვის, რომ აღმოეფხვრა პანდემიით მიყენებული დარტყმის უარყოფითი შედეგი უმუშევრობის დონეზე.

როგორი გავლენა იქონია ომმა უმუშევრობაზე:

როგორც უკვე ვიცით უმუშევრობის გამოწვევა ნებისმიერ რამეს შეუძლია, მათ შორის ომსაც. ომი დღევანდელობის აქტუალური თემაა, რომელმაც არა მხოლოდ უმუშევრობა გამოიწვია, არამედ უამრავი ადამიანიც დააზარალა. რომ ვისაუბროთ იმაზე თუ როგორი გავლენა იქონია ომმა უმუშევრობაზე, განვიხილოთ რუსეთისათვის დაწესებული სანქციები და რა გავლენა აქვს ომს უკრაინაზე. როგორც უკვე ვიცით რუსეთს სხვადასხვა ქვეყანამ დაუწესა სანქციები, რაც წარმოუდგენლად დიდ ზიანს აყენებს რუსეთის ეკონომიკას. ეკონომიკური რყევა რუსეთში შრომის ბაზრის გავლით ხდება. უმუშევრობა რუსეთში თითოეულ თვეს თანდათან ძლიერდება და ახალი სირთულეები მოაქვს ერისთვის, რომელებიც მთელი რიგი შოკებით უკვე დაზარალდა. გამოკითხვის მიხედვით, ქვეყანაში მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უმუშევრობა, სავარაუდოდ, 9%-ს გადააჭარბებს. გარდა ამისა, შრომის სამინისტრო ვარაუდობს, რომ მარტის ბოლოს თითქმის 100,000 დასაქმებული გათავისუფლდა სამსახურიდან და მხოლოდ 14,000-ს მოუწია აუნაზღაურებელ შვებულებაში გასვლა. რაც შეეხება უკრაინას, ამ ომმა უკრაინას დიდი ზიანი მიაყენა არა მხოლოდ ეკონომიკის განხრით. უკრაინაში მიმდინარე ომი მესამე ასიმეტრიული შოკია, როგორც ამას ეკონომისტები უწოდებენ, რომელიც ევროკავშირმა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში განიცადა. ასიმეტრიული შოკი არის ეკონომიკური პირობების უეცარი ცვლილება, რომელიც ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაზე, სხვებთან შედარებით, უფრო მეტ ზემოქმედებას ახდენს. უკრაინის ომი ბევრად ძლიერ ზემოქმედებას მეზობელ ქვეყნებზე ახდენს ლტოლვილების გაზრდილი ნაკადებისა და რუსეთის გაზზე მათი დამოკიდებულების გამო, რაც საბოლოოდ იმას ნიშნავს, რომ უკრაინის ეკონომიკა ჩამოშლის ზღვარზეა. შესაბამისად, ომმა არა მხოლოდ რუსეთი და უკრაინა, არამედ მთელი მსოფლიო დააზარალა.

სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო შეიქმნა 2019 წლის 31 ოქტომბერს და ფუნქციონირებს 2020 წლის პირველი იანვრიდან. ამ სააგენტოს მიზანია მოსახლეობის შრომისა და დასაქმების ხელშეწყობა.

- სააგენტო სამუშაოს მაძიებლებს სთავაზობს სხვადასხვა მომსახურებებს:
  - სამუშაო მაძიებელთა კონსულტირება მათი კარიერული განვითარებისა და სამუშაო ბაზარზე წარმატებული ინტეგრაციის მიზნით;
  - საშუამავლო საქმიანობა დამსაქმებლებისა და სამუშაო მაძიებლების ერთმანეთთან დაკავშირების მიზნით;
  - ცირკულარული შრომითი მიგრაციის სახელმწიფოთა შორისი შეთანხმებების იმპლემენტაცია;
- სააგენტო შრომის ბაზრის აქტიურ პოლიტიკას ახორციელებს შემდეგი პროგრამების მეშვეობით:
  - პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიანი კურსები;
  - სტაჟირება;
  - ხელფასის / დაცული სამუშაო ადგილების სუბსიდირება;
  - საკვანძო კომპეტენციების ტრენინგი;
  - დასაქმების ფორუმები;

ახლად შექმნილი სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს სააგენტოს სწრაფი ინსტიტუციური განვითარება, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების გაუმჯობესება.

კორონა ვირუსით გამოწვეული ინფექციის შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისი N286 დადგენილების თანახმად, დასაქმების სახელმწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად.

სააგენტო ჩაერთო პანდემიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის კომპენსაციების გაცემის ადმინისტრირების პროცესში. კერძოდ, სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა და იმ დაქირავებით დასაქმებულებისთვის ფორმალური და არაფორმალური თვითდასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური და შემოსავალი პანდემიის შედეგად.

წარმოქმნილი სირთულეების საპასუხოდ მიკრო თვითდასაქმებული საწარმოების 55%-ზე მეტმა შეაჩერა ბიზნეს საქმიანობა, კვლევის მიხედვით, ყოველ მე-10 კომპანიაზე მეტს მოუწია დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება, ხოლო ყოველ მე-5 კომპანიას თანამშრომლების უხელფასო შვებულებაში გაშვება.

სტატისტიკური მონაცემები;

2020-2021 წელს 200 ლარიანი 6 თვიანი კომპენსაციის პროცესი ორ ეტაპად წარიმართა, ჯამში გადაირიცხა 280 432 700 ლარი.

2020-2021 წელს 300 ლარიანი ერთჯერადი კომპენსაციის პროცესიც ორ ეტაპად წარმართა, ჯამში გადაირიცხა 111 343 100 ლარი.

სააგენტო გეგმავს დამატებითი რეგიონულ ცენტრის გახსნას დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში იგეგმება; ახალი შტატგარეშე თანამშრომლის დამატება თბილისის საქალაქო ცენტრებში, ასევე რეგიონალური ოფისები უნდა გაიხსნას მცხეთაში, ახალციხესა და ამბროლაურში, გარდა ამისა, გაფართოვდება და განვითარდება სააგენტოს რეგიონული ცენტრები დანარჩენ 7 რეგიონში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გრეგორი მენქიუს „ეკონომიკის პრინციპები“ (“Principles of Economics” N. Gregory Mankiw)
2. https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/ad.res.martva.pdf
3. https://www.statista.com/topics
4. https://sgp.fas.org/crs/misc/R46554.pdf
5. https://www.geostat.ge/ka#
6. https://www.statista.com/statistics
7. https://www.radiotavisupleba.ge/
8. https://geoeconomics.ge/
9. https://www.bloomberg.com/
10. https://www.moh.gov.ge/ka/743/

4	თემის დასახელება	**ომის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე**
	სტუდენტები	**უკლება ანასტასია, ახვლედიანი ანა**
	საბაკალავრო პროგრამა	ეკონომიკა, I კურსი
	ხელმძღვანელი	**გორგასლიძე მეგი**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი

Abstract

When people mention the word "Economics" in most cases they imagine some formulas, numbers, tables but in reali it is much more easier concept. The word "Economics" come from Ancient Greek and it is a social science which mea housekeeping. Nowadays this term is widely used and reflects everything that is happening in firms. It can also demonstra the bussines relationship and different activities among firms. Economics implies various factors such as: wealth, incom expense, effectiveness, trade, exchange, division of labour, alternative expense, the country's economy inflation and gro domestic products. When we mention economics we mean economic safety. As it is widely known the war is raging in Ukrai and of course this fact raises the quetion how the world economy will be handled. The war destroys not only civilians a territory but also collapses the country's economy and what is more progress is grinding to a halt. Mentioning the word w makes us think about Russia-Ukraine war and is causing the worldwide concern. The strict sanctions are being imposed agair Russia which affects not only the worldwide economy but Russian economy itself too.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, ეკონომიკური სანქციები,ვაჭრობა,მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკურ უსაფრთხოება.

ადამიანები ხშირად იყენებენ სიტყვა “ეკონომიკას” , ეს ტერმინი “ეკონომიკა” ბერძნული ენიდან მოდის, ი სოციალური მეცნიერებაა და ნიშნავს საოჯახო მეურნეობის მართვას. დღესდღეობით ის ფართო მასშტაბი გამოიყენება და ასახავს ყველაფერს, რაც ფირმებში ხდება, ასევე ორი ან რამდენიმე ფირმის საქმიან ურთიერთობ და სხვა აქტივობებს. ეკონომიკა მოიცავს სხვადასხვა ფაქტორებს როგორებიცაა: სიმდიდრე; სარგებელი, დანახარჯ და ეფექტიანობა; ვაჭრობა ანუ გაცვლა; შრომის დანაწილება; ალტერნატიული დანახარჯი; ქვეყნის ეკონომიკა (მთლიანი შიდა პროდუქტი; ინფლაცია. როდესაც ეკონომიკას ვახსენებთ, აქვე მოიაზრება ეკონომიკურ უსაფრთხოება, როგორც მოგეხსენებათ დღეს უკრაინაში მიმდინარეობს ომი და რა თქმა უნდა გვიჩნდება კითხ თუ როგორ წარიმართება მსოფლიოში ეკონომიკური მდგომარეობა. ომი, როგორც ტერიტორიებს და ადამიანე ანადგურებს,ისე ანგრევს ქვეყნების ეკონომიკას, ასევე აფერხებს მათ წინსვლას და განვითარებას. დღეს ომ ხსენებაზე ყველა რუსეთ-უკრაინის ომზე ფიქრობს, რამაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია მთელს მსოფლიოში, აქედ გამომდინარე ისმის კითხვა რა არის ომის ეკონომიკა? ომის ეკონომიკა არის ქვეყნის წარმოების სიმძლავრის (განაწილების ორგანიზაცია კონფლიქტის დროს. ომის ეკონომიკამ უნდა შეიტანოს არსებითი კორექტირე სამომხმარებლო წარმოებაში, რათა დაკმაყოფილდეს თავდაცვის წარმოების საჭიროებები. ამისათვის სხვადასხ ქვეყნის მთავრობა უნდა აირჩიოს, როგორ გაანაწილონ თავიანთი ქვეყნების რესურსები ძალიან ფრთხილად, რა მიაღწიონ სამხედრო გამარჯვებას და ასევე დააკმაყოფილონ სასიცოცხლო შიდა სამომხმარებლო მოთხოვნები.

პუტინის ომი უკრაინის წინააღმდეგ მასიურად აზიანებს რუსეთის ეკონომიკას. მეცნიერული მონაცემები მშპ სავარაუდოდ 7-დან 15 პროცენტამდე შემცირდება, ინფლაცია კი შესაძლოა 30 პროცენტამდე გაიზარდოს. [მისი შეტევა უკრაინაზე, სავარაუდოდ, აგრესორს ძვირად დაუჯდება ეკონომიურად.მაღალი ინფლაც სავარაუდოდ, გამოიწვევს შინამეურნეობების რეალური შემოსავლების და, შესაბამისად, კერძო, მოხმარების მასიუ კოლაფსს რუსეთში. ვასილი ასტროვის, რუსეთის ექსპერტის ვენის საერთაშორისო ეკონომიკური შედარებ ინსტიტუტის თქმით, სამრეწველო პროდუქცია მძიმედ დაზარალდა მიწოდების ჯაჭვის პრობლემებით სანქციებ და მრავალი დასავლური კომპანიის გაყვანის გამო. მთავრობის მიერ კრიზისის დასაძლევად გამოცხადებულ ეკონომიკური სტიმულირების პაკეტი ამ პრობლემებს ძნელად გადაჭრის.ყველამ ვიცით, რომ რუსეთი ყველა დიდი ექსპორტიორია მთელს მსოფლიოში, ხოლო ამ სანქციებმა კი ყველაზე დიდი დარტყმა მიაყენა მას. აშ რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური ომი გამოაცხადა . პრეზიდენტმა ბაიდენმა აკრძალა რუსული იმპორტ ამერიკაში, რომელიც დიდ გავლენას იქონიებს რუსეთის ეკონომიკაზე. ასევე რუსეთის ცენტრალურ ბან ევროკავშირმა შეუწყვიტა პირდაპირი და არაპირდაპირი ვაჭრობის საშუალება. შეუწყდა წვდომა დოლარ ნომინირებულ აქტივებზე. მონაცემების თანხმად, დოლარებსა და ევროებშია რუსეთის ცენტრალური ბანკ სავალუტო რეზერვების დაახლოებით ნახევარი. ამ ყველაფრის ფონზე დაეცა რუბლის კურსიც. მას შემდეგ, რ. რუსეთმა მიიღო გადაწყვეტილება ოფიციალურად აღიაროს აღმოსავლეთ უკრაინაში მდებარე პრორუს სეპარატისტების ე.წ. დამოუკიდებელი ადმინისტრაციები, იაპონიამაც მიიღო ეკონომიკური სანქციების პაკეტი. ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა პრესკონფერენციაზე კიდევ ერთხელ დაგმო რუსეთის ნაბიჯები, რომლებითაც (არღვევს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას. ასევე ხაზი გაუსვა, რომ ამ სანქციების ფარგლებში ხსენებულ რეგიონების ოფიციალური პირებისთვის ვიზების გაცემა შეჩერდება და მათი აქტივებიც გაიყინება, ხოლო ამ პარალელურად ამ რეგიონებთან იმპორტ-ექსპორტი შეჩერდება. სწორედ ზემოთ ჩამოთვლილმა მიზეზებმა ხელ შეუწყო რუსეთის ეკონომიკის სწრაფ ვარდნას.[2]

უკრაინის ომი არის „კატასტროფა“ მსოფლიოსთვის, რომელიც შეაფერხებს გლობალურ ეკონომიკურ ზრდ განუცხადა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა BBC-ს. „უკრაინის ომი მსოფლიოსთვის ცუდ დროს ხდება, რადგ ინფლაცია უკვე იზრდებოდა“, - თქვა დევიდ მალპასმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ყველაზე დიდი საზრუნა არის "ადამიანის სიცოცხლის სუფთა დანაკარგვის შესახებ", რომელიც ხდება. ვარაუდობენ, რომ ათასობ მშვიდობიანი მოქალაქე და ჯარისკაცი დაიღუპა ბრძოლების შედეგად. რუსეთის შეჭრამ უკრაინაში გამოიწვ სეისმური შედეგები: ლტოლვილთა სწრაფი კრიზისი, უპრეცედენტო სანქციები ძირითადი ეკონომიკის წინააღმდ და გლობალური ურთიერთობების რყევა, მათ შორის განახლებული ნატო. ყველაზე მეტად დაზარალდა საკვებ

პროდუქტები და ენერგია. არის ხორბლის მარცვლეულის კრიზისი, რომელიც იწყებს თავის ფორმას.
განსაკუთრებით იგრძნობა სუბსაჰარის აფრიკაში, რომელიც ხორბლის მთლიანი იმპორტის 85 პროცენტის მესამედ
შემოაქვს რუსეთიდან ან უკრაინიდან. რუსეთის მიერ დაწყებული ომი უკრაინას არა მხოლოდ ფიზიკურად, არამე
ეკონომიკურადაც უტევს. მსოფლიო ბანკის მონაცემებით უკრაინის ეკონომიკა, 2022 წელს, შესაძლოა 45%-ი
შემცირდეს. როგორც ზემოთ ვთქვი, ომი ადანადგურებს ყველას და ყველაფერს.მსოფლიო ბანკის ახალი ანგარიში
უკრაინის ომის გავლენა გლობალურ ვაჭრობასა და ინვესტიციებზე აჩვენებს, რომ მსოფლიო ვაჭრობა ერი
პროცენტით შემცირდება, რაც გლობალურ მშპ-ს ერთი პროცენტით შემცირებას გამოიწვევს. წარმოებ
ექსპორტიორები, როგორიცაა ვიეტნამი, ტაილანდი და მექსიკა, მკვეთრ კლებას ხედავენ, განსაკუთრებით ენერგო
ინტენსიურ სექტორებში. მოგეხსენებათ, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს და ჯერ კიდევ არავინ იცის როგორ
მდგომარეობა იქნება ქვეყანაში . [4]

როგორც ვიცით, 24 თებერვალს რუსეთმა უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომი დაიწყო, რაც მალევე აისა
როგორც რუსულ რუბლსა და რუსული კომპანიების აქციებზე, ასევე ქართულ ლარზე. პირველივე დღეს ლარ
დოლარის მიმართ 11 თეთრით გაუფასურდა. [5] გრძელვადიან პერიოდში რუსეთის აგრესიას უკრაინა
საქართველოს ეკონომიკაზე სამი მიმართულებით ექნება უარყოფითი გავლენა:

1. რუსეთი და უკრაინა არიან საქართველოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორები, განსაკუთრები
ვაჭრობის, ტურიზმისა და ფულადი გზავნილების კუთხით და აქედან გამომდინარე საქართველო შემოსავალ
დაკარგავს;
2. დაპირისპირება არის საქართველოს რეგიონში, განსაკუთრებით შავი ზღვის მხრიდან. საომარ მდგომარეობა
მყოფი რეგიონი ინვესტიციებისთვის მიმზიდველი არ არის. რასაც ემატება რუსეთის მიერ დასავლეთზე წაყენებუ
ულტიმატუმებში უკრაინასთან ერთად საქართველოც მოხსენიება;
3. ფართომასშტაბიან ომს და რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს მთლიანად მსოფლიო ეკონომიკაზე ექნე
უარყოფითი გავლენა, რაც, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკასაც დააზარალებს.

რადგან რუსეთ-უკრაინის ომის საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას რამდენიმე მიმართულება აქვს,
ეტაპზე შეუძლებელია იმის ზუსტად პროგნოზირება, თუ რამდენად დაზარალდება ჩვენი ეკონომიკა. ზარალ
ზუსტად აღრიცხვა ,,პოსტფაქტუმ'' იქნება შესაძლებელი, როდესაც განვლილი პერიოდის ეკონომიკურ
მაჩვენებლების სტატისტიკა გვექნება. თუმცა შეგვიძლია ვნახოთ, დღეს რა ეკონომიკური კავშირებია საქართველ
რუსეთსა და საქართველო-უკრაინას შორის და რა ზარალი შეიძლება მიიღოს საქართველ
ეკონომიკამ.საქართველო პატარა ქვეყნაა, ამიტომ ის ეკონომიკურად რუსეთზე გაცილებით მეტად არ
დამოკიდებული, ვიდრე უკრაინაზე.როგორც მოგეხსენებათ, ორი წლის წინ დაწყებულმა კოვიდ-19-ის პანდემი
ქვეყნებს შორის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები მნიშვნელოვნად შეამცირა, განსაკუთრებით – ტურიზმ
კუთხით. არც საქართველო იყო გამონაკლისი. მისი საგარეო ვაჭრობის ბრუნვა და მომსახურების ექსპორტიდან (მ
შორის, ტურიზმიდან) შემოსავლები 2020 წელს 4.8 მლრდ დოლარით შემცირდა. [7]

განსაკუთრებულია ომის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე, რაც შემდეგში გამოიხატება.რუსეთი და უკრაი
საქონლის ძირითადი მწარმოებლები არიან და შეფერხებებმა გამოიწვია გლობალური ფასების ზრდ
განსაკუთრებით ნავთობისა და ბუნებრივი აირის მხრივ. საკვების ხარჯები გაიზარდა, ხორბალი, რომლისთვის
უკრაინა და რუსეთი გლობალური ექსპორტის 30 პროცენტს შეადგენს და რეკორდს მიაღწია.ასევე გლობალურ
ინფლაციური ზეწოლის ისედაც მშფოთვარე ფონზე სურსათისა და ენერგიის ფასების ზრდისა და კოროვირუსულ
პანდემიის შემდეგ მიწოდების ჯაჭვების შეფერხების ფონზე, რუსეთსა და უკრაინას შორის ომი ამძაფრე
მიწოდებისა და მოთხოვნის დაძაბულობას, აზიანებს მომხმარებელთა განწყობას და საფრთხეს უქმნის გლობალურ
ეკონომიკურ ზრდას.უკრაინაში ომი სასურსათო და საწვავის კრიზისს იწვევს. „მცირე მარაგი და საკვების უფრ
მაღალი ფასები ნიშნავს იმას, რომ მსოფლიოს ღარიბები შეიძლება აიძულონ ამის გარეშე“, - თქვა VTO-ს
გენერალურმა დირექტორმა ნგოზი ოკონჯო-ივეალამ.[3] საქონლის ფასების მკვეთრი ზრდა უკრაინის კონფლიქტ
ყველაზე მყისიერი ეკონომიკური გავლენა იყო, ამბობს VTO სურათის შედეგი ბევრი ფიქრობს, რომ გლობალურ
ეკონომიკას აკონტროლებენ მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკის მთავრობები, მაგრამ ეს ჩვეულებრივი მცდარ
წარმოდგენაა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობები ფლობენ ძალაუფლებას ქვეყნების ეკონომიკაზე, ეს არის დიდ
ბანკები და მსხვილი კორპორაციები, რომლებიც აკონტროლებენ და არსებითად აფინანსებენ ამ მთავრობებს. მაგ
დაფინანსების შეწყვეტა და მსოფლიო ეკონომიკის ვარდნას გამოიწვევს. ჯოზეფ ბორელის ბლოგი – პუტინის ომ
უკრაინის წინააღმდეგ უკვე იმსხვერპლა ათასობით ადამიანი და დიდი ეკონომიკური ზიანი მიაყენა მთე
მსოფლიოს. ამ მესამე ასიმეტრიული შოკის ზემოქმედებას როგორც საკუთარ ქვეყნებში, ასევე მათ ფარგლებს გარე
15 წელიწადში უნდა გავუმკლავდეთ. ვერსალში გამართულ არაფორმალურ სამიტზე ევროკავშირის ლიდერებ
შეთანხმდნენ, გააძლიერონ ევროპის ეკონომიკური მდგრადობა, რადიკალურად შეამცირონ ენერგომატარებლებ
იმპორტი რუსეთიდან და გააგრძელონ ევროპული თავდაცვის სერიოზული გაძლიერება.დღეს რაც მონაცემებ
მოგვეპოვება მხოლოდ ამის თქმა შეგვიძლია , ხოლო როდესაც ომი დამთავრდება უფრო კონკრეტულა
გვეცოდინება თუ როგორ იმოქმედა ომმა მსოფლიო ეკონომიკაზე.

ჩვენ ბევრი რამ წაგვიკითხავს ომებზე, ვიცით, რა კვალი დაატყო ნგრევამ, სიკვდილმა, წამებამ და შიმშილ
ადამიანების ფსიქიკას. ომში გამარჯვებული დამარცხებულიცაა, რადგან მან გამარჯვებას მსხვერპლად უამრა

სიცოცხლე შესწირა, ხოლო ვინც გადარჩა, ისიც ტანჯვისთვის არის განწირული - მათ საყვარელი ადამიანებ
დაკარგეს.ომი ანადგურებს თემებს და ოჯახებს და ხშირად არღვევს ერების სოციალური და ეკონომიკურ
ქსოვილის განვითარებას. მისი შედეგები მოიცავს გრძელვადიან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზიანს ბავშვებსა ე
მოზრდილებში, ასევე მატერიალური და ადამიანური კაპიტალის შემცირებას. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომ
შედეგებზე არაერთი დოკუმენტური ფილმი გვინახავს, რომლებშიც საკონცენტრაციო ბანაკს გადარჩენილები
სასაკლაოს იხსენებდნენ, რაც ჰიტლერმა მოაწყო, გვინახავს განადგურებული, დამშეული ფაშისტური გერმანიის ო
საბჭოთა მოქალაქე, რომელიც ბელადთა ამბიციებმა გასრისა. ვიცით ნამდვილი ჯოჯოხეთის - აუშვიც
საკონცენტრაციო ბანაკის, გაზის კამერებისა და საერთო სასაფლაოების შესახებ. ეს ყველაფერი დღეს ისტორია
რომელიც უკან მოვიტოვეთ და თითქოს აღარ გვეხება. წარსული საშუალებაა იმისა, ისწავლო, მომავალში როგო
მოიქცე, რა აღარ უნდა დაუშვა, ამიტომ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ომის შედეგები და მისგან თავ
ასარიდებლად ძალა არ უნდა დავიშუროთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1.https://ka.wikipedia.org/wiki/(2022)
რუსეთის შეჭრა უკრაინაში (2022) - ვიკიპედია.
2.https://formulanews.ge/News/65021
დასავლეთის სანქციები რუსეთს - რას მოიცავს და რა გავლენა ექნება ქვეყნის ეკონომიკაზე.
3.https://forbes.ge/ra-gavlenas-moakhdens-ruseth-ukrainis-omi-saqarthvelos-ekonomikaze/
რა გავლენას მოახდენს რუსეთ-უკრაინის ომი
4.https://www.amerikiskhma.com/a/6595564.html
უკრაინა ეკონომიკური გამოწვევების წინაშე.
5.https://www.ghn.ge/news/282337-sakartvelos-ekonomikuri-zrda-sheneldeba-ukrainashi-mimdinare-omis-zemokmedebis
gamo-msoflio-banki
საქართველოს ეკონომიკური ზრდა შენელდება.
6.www.mof.ge
7.www.geostat.ge

5	თემის დასახელება	**საბიუჯეტო დეფიციტი და თანამედროვე საქართველოს რეალობა**
	სტუდენტები	**რიჟამაძე ლანა, ჩოგოვაძე ნინო**
	საბაკალავრო პროგრამა	ეკონომიკა, III კურსი
	ხელმძღვანელი	**იფშირაძე აზა**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი

The budget deficit ratio is one of the important factors,as it is used to assess the main directions of fiscal measures implemented by governments and the impact on the economic environment.

Therefore,its research and further analysis is of great importance for the purpose of public finance statistics.It provides an opportunity to focus on the current negative developments in the country for a certain year and identify ways to eliminate them.

Covid-19 had a negative impact and,like other countries,further increased Georgia's budget deficit.Therefore,more time should be devoted to the study of this issue than before.

საკვანძო სიტყვები: ფისკალური დეფიციტი/ პროფიციტი; საოპერაციო სალდო, საოპერაციო ბალანსი, სახელმწიფო ვალი.

ბიუჯეტის დეფიციტი,მისი წარმოშობის მიზეზები,დაფინანსების წყაროები, დაძლევის გზები,დღესდღეობითდა არა მხოლოდ დღესდღეობით, ყოველთვის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია.როგორც ყველა სახელმწიფოსთვის, ისე საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტია ეკონომიკური მაჩვენებლების დაბალანსება,დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის მართვის სწორი გზების არჩევა და სწორი პროგნოზების გაკეთება.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად:“ბიუჯეტი არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფუნქციონირების განხორციელებისთვის საჭირო ფულადი სახსრების მობილიზაციისა და გამოყენების ძირითადი ფინანსური გეგმა“.რაც შეეხება ბიუჯეტის დეფიციტს,მისი მაჩვენებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ყურადსაღები ფაქტორია,რადგან მთავრობების მიერ განხორციელებული ფისკალური ღონისძიებების მთავარი მიმართულებებისა და ეკონომიკურ გარემოზე გავლენის შესაფასებლად გამოიყენება.აქედან

გამომდინარე,მის გამოკვლევასა და შემდგომ გაანალიზებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკური ანალიზისათვის.

ბიუჯეტის დეფიციტი არ გახლავთ საგანგაშო ფინანსური მოვლენა,თუ მისი დონე ერთნიშნა ციფრს არ აღემატება.ყველა ქვეყანას სხვადასხვა დონით აქვს ბიუჯეტის დეფიციტი.ისიც უნდა აღინიშნოს,რომ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე მისი გავლენა სხვადასხვა ზომით გამოიხატება.აღსანიშნავია ისიც,რომ ბიუჯეტის დეფიციტი იძლევა იმის შესაძლებლობას,რომ გარკვეული წლის განმავლობაში ქვეყანაში მიმდინარე ნეგატიურ მოვლენებზე გამახვილდეს ყურადღება და გამოიკვეთოს მათი აღმოფხვრისთვის საჭირო გზები.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიურმა პროცესებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა დასხვა ქვეყნების მსგავსად,კიდევ უფრო გაზარდა საქართველოს ბიუჯეტის დეფიციტი.ამიტომ ამ საკითხის შესწავლას კიდევ უფრო მეტი დრო უნდა დაეთმოს,ვიდრე აქამდე.ასევე უნდა გამოიკვეთოს მისი დაფინანსების წყაროები და დაძლევის გზები.

ბიუჯეტის დეფიციტი გავლენას ახდენს საწარმოო კაპიტალის ინვესტირებაზე.ბუნებრივია,როცა ადგილი აქვს ბიუჯეტის დეფიციტს,ინვესტიციების რაოდენობა მცირდება.ეს,თავის მხრივ,ამცირებს წარმოებას და ბოლოს ვიღებთ იმას,რომ ცხოვრების დონის ზრდა თანდათან ნელდება.ამის ერთ-ერთი გარემოება კი გახლავთ სახელმწიფო ხარჯების შემცირება და შიდა/გარე ვალის ზრდა.მაშასადამე,მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედებების ერთობლიობა,რომლებიც დაკავშირებულია სასესხო კაპიტალის ბაზრის კონიუნქტურის შესწავლასთან,ძველი სესხების დაფარვასთან და ახლის გამოშვებასთან და საერთო ჯამში სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან.მთავარია,რომ პროცესი დაიწყოს დროულად და იყოს მიზანმიმართული.წინააღმდეგ შემთხვევაში მდგომარეობა რეგრესირდება და მისი გამოსწორება შემდეგ მოითხოვს ბევრად მეტ რესურსსა და დანახარჯებს.

ბიუჯეტის დეფიციტი განმარტებულია კანონით „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“.მუხლი 15-სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტი და დეფიციტი.“1.სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა არის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო,ხოლო საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებს შორის სხვაობა-ბიუჯეტის მთლიანი სალდო.2.დადებითი მთლიანი სალდო არის სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტი,ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო-დეფიციტი“.ამგვარად,როცა საბიუჯეტო ხარჯები აჭარბებს საბიუჯეტო შემოსავლებს,ადგილი აქვს ბიუჯეტის დეფიციტს.როცა ბიუჯეტის თანხა საკმარისი აღარაა ხარჯების დაფარვისათვის,მთავრობა იძულებული ხდება ისესხოს ფული.ვალის ზრდა კი გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული .ამასთანავე,უცხოური საფინანსო ინსტიტუტებიდან სესხების აღება დიდი ხნით ვერ გაგრძელდება.როცა ვალის მოცულობა იმდენად იზრდება,რომ ქვეყანა მას ვეღარ იხდის,ასეთ შემთხვევაში ცხადდება დეფოლტი,რომელიც ნიშნავს ვალების არ/ვერ დაბრუნებას.მართალია ქვეყანას საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები ვალებს ჩამოაწერენ,მაგრამ ასეთ ქვეყანაში ინვესტორებს აღარ უჩნდებათ შესვლის სურვილი,ასევე ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი მინიმუმამდე ეცემა,კაპიტალი შემოდინების ნაცვლად,იწყებს გადინებას.ქვეყანას ბუნებრივია უჭირს ახალი ვალების აღება.მას აღარ აძლევენ სესხს,ან თუ აძლევენ ბევრად ამაღლებული საპროცენტო განაკვეთით.

იმისთვის,რომ ქვეყნის მთავრობამ შეძლოს ვალების აღების კონტროლი,საქართველოში 2011 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“.სხვა შეზღუდვებთან ერთად ადგილი ეთმობა ბიუჯეტის დეფიციტსაც.სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს,ხოლო საქართველოს მთავრობის ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება უნდა იყოს არაუმეტეს 60%-სა“.

აღსანიშნავია ისიც,რომ ფისკალური დეფიციტი/პროფიციტი წარმოადგენს ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების,კაპიტალური ხარჯების,შემოსავლებისადა წმინდა დაკრედიტების სხვაობას.შემოსავლებს(გრანტები,გადასახადები და სხვა არასაგადასახადო შემოსავლები)-მიმდინარე ხარჯები=საოპერაციო ბალანსს.ხოლო საოპერაციო ბალანსს-კაპიტალური ხარჯები და წმ.დაკრედიტება =დეფიციტს/პროფიციტს.

ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტის წარმოქმნა შეიძლება დაკავშირებული იყოს სხვადასხვა ფაქტორებთან:1)ციკლურ რყევებთან,ეკონომიკური კრიზისის გამწვავებასთან და სხვა გარე მასშტაბურ შემთხვევებთან,2)ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის მსხვილი ინვესტიციების გამოყოფასთან,3)კონფლიქტებთან,4)წარმოების ეფექტიანობის დაცემასთან,5)სტიქიურ უბედურებებთან,6)არაეფექტურ საბიუჯეტო მექანიზმთან,7)კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავებასთან,8)სახელმწიფო ხარჯთა არარაციონალურ სტრუქტურასთან,9)გაზრდილ მიზნობრივ ხარჯებთან.დავამატებთ იმასაც,რომ განვითარებად ქვეყნებში ამ ჩამოთვლილ მიზეზებს ასევე ემატება არაეფექტიანი წარმოების სუბსიდირება.

თუ შევეხებით სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის სიდიდესაც,ვიტყვით,რომ იგი დამოკიდებულია სახელმწიფო ხარჯებისა და საგადასახადო დაბეგვრის განაკვეთის დონეებზე.მათ შეიძლება დიდი გავლენა მოახდინონ თავიდან ერთობლივ მოთხოვნაზე და აქედან გამომდინარე ეროვნული პროდუქტის მთლიან

მოცულობაზე.რაც შეეხება შემოსავლების დონესა და გადასახადების საერთო მოცულობას,მათ ზრდის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების მზარდი მოცულობა.ამ პროცესს ჯაჭვური სახე აქვს.კერძოდ,სახელმწიფო შესყიდვები იწვევს შემოსავლების დონის გადიდებას,შემდგომ კი გაზრდილი შემოსავლები საშემოსავლო გადასახადების რაოდენობას ზრდის,რითაც ბიუჯეტის დეფიციტი მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურდება.

როგორც ცნობილია, განასხვავებენ 2 სახის დეფიციტს: ციკლური და სტრუქტურული.ციკლურ დეფიციტს ვიღებთ წარმოების ციკლური დაცემის შედეგად,ხოლო სტრუქტურულ დეფიციტი მიიღება სახელმიწფო ხელისუფლების მიერ შეგნებულად ხარჯების გაზრდითა და გადასახადების შემცირებით,რათა ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემა არ მოხდეს.

ნებისმიერი ქვეყნისთვის, იქნება ეს საქართველო თუ სხვა ქვეყანა, უმძიმესი პრობლემაა ბიუჯეტის დეფიციტის ნორმალურ დონემდედაყვანა/შენარჩუნება. დეფიციტის წარმოქმნისას უპირველესად ფინანსდება ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები და მტკიცდება ბიუჯეტის ზღვრული სიდიდე, რომ მოხდეს ბიუჯეტის დაბალანსება. თუ ბიუჯეტის შესრულების პროცესში სახეზეა ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრულ სიდიდეზე გადაჭარბება, ან მნიშვნელოვნად მცირდება ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა, გამოიყენება:ადგილობრივი თუ საგარეო კრედიტი,ბიუჯეტის ხარჯების სეკვესტრის მექანიზმი,რეზერვები,საინვესტიციო კრედიტები,წინა წელს გამოუყენებელი სახსრები (თუ არსებობს),პრივატიზაცია,დეპოზიტების კლება,ფასიანი ქაღალდების გამოშვება,ქვეყნის ფულადი ერთეულის ემისია,თავისუფალი საბრუნავი სახსრები და სხვა.

ბოლო წლებში საქართველოში,ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებში,ბიუჯეტის დეფიციტის მნიშვნელოვნად ზრდა პანდემიამ განაპირობა.პანდემიის შედეგად ბიუჯეტის შემოსავლები შემცირდა,ხარჯები კი პირიქით-გაიზარდა.შეიძლება ითქვას,რომ საქართველოში ბიუჯეტის დეფიციტმა 2020 წელს რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.ეკონომიკის ექსპერტები ამ მიმართულებით დიდწილად ამახვილებენ ყურადღებას და ხელისუფლებას მოუწოდებენ,რომ პასუხისმგებლობით მოეკიდონ ბიუჯეტის დეფიციტის მუდმივად გაუარესების ტენდენციას.

ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვენებული 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან ჩანს,რომ ბიუჯეტის დეფიციტმა 4,264.377 მლრდ ლარი შეადგინა.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით კი 2020 წლს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში 49,07.300 მლრდ ლარია.შესაბამისად,მონაცემების მიხედვით,ბიუჯეტის დეფიციტი აჭარბებს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდების ნორმას-3%-ს და გახლავთ 8%-ზე მეტი.(9.1%).

2020 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 14 მლრდ ლარი იყო, რაც 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობებზე 1.2 მლრდ ლარით (9.1%-ით) მეტია. შემოსავლები 150 მლნ ლარით შემცირდა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტებისშემცირებისხარჯზე. 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 14.2 მლრდ ლარი იყო, რაც 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელებზე 1.1 მლრდ ლარით (8%-ით) მეტია.

მიმოვიხილოთ 2019 წლის ვითარება.ამ წლის დეფიციტურობას ხელი შეუწყო შემდეგმა ფაქტორებმა: 148 მლნ ლარით საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მისაღები გრანტების მოცულობის შემცირება, 130 მლნ ლარით თბილისში ახალი ავტობუსების შემოყვანის დაფინანსება.ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შრომის ანაზღაურების ხარჯის 1.4 მლნ ლარით გაზრდა, დამატებით 225 მლნ ლარი აკომპენსირებს 2019 წლის იანვრიდან პენსიის 20 ლარით ზრდას, ხოლო 50 მლნ ლარი - საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსებას.ყველაგადასახდელის დასაფინანსებლად მთლიანობაში მთავრობამ 2 160 მლნ ლარისვალი აიღო, რომელთაგან 500 მლნ ლარი საშინაო, ხოლო 1 660 მლნ ლარი კი საგარეო ვალი იყო.

განვიხილოთ 2021 წლის მდგომარეობაც.საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 2021 წლის 12 ოქტომბერს გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით,ბიუჯეტის დეფიციტით საქართველო 190 ქვეყანას შორის 72-ე ადგილზეა.2020 წელს საქართველო რეიტინგში 45-ე ადგილზე იყო,ანუ 2021 წელს ქვეყნის პოზიცია გაუმჯობესდა.ეკონომიკამ ნელი გამოცოცხლება დაიწყო და ბიუჯეტშიც ამ წლის პირველ 6 თვეში იმაზე მეტი თანხა შევიდა,ვიდრე დაგეგმილი იყო.ბიუჯეტის დეფიციტი დაშვებულ 3%-თან შედარებით ბევრად მეტი გახლდათ და 7%-ს გადასცდა.თუმცა,პანდემიის დროს ბიუჯეტის დეფიციტი ლოგიკურია და შეშფოთების საფუძველი არ გახდება,თუ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა 2022 წლიდან კლებას დაიწყებს.ასეთ დროს მთავრობის მთავარი ამოცანა ხარჯების შემცირება გახლავთ.

ბიუჯეტის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით ფინანსთა სამინისტროს მიერ შედგენილ დოკუმენტებში,გარკვეულწილად 2022-2025 წლების ძირითადი ტენდენციების სცენარია ასახული და აღნიშნულია,რომ დეფიციტი კლებას 2022 წლიდან იწყებს.

გრაფიკი1. „ბიუჯეტის დეფიციტის ფაქტობრივი და პროგნოზირებული მაჩვენებლები წლების მიხედვით.“



მოკლედ შევეხებით მიმდინარე,2022 წლის ბიუჯეტს.საქართველოს პარლამენტმა იგი 2021 წლის 17 დეკემბერს გამართულ პლენარულ სხდომაზე დაამტკიცა.ამ წლის ბიუჯეტში შემოსულობები 19.36 მლრდ ლარით არის განსაზღვრული,საერთო ხარჯები კი-19.17 მლრდ ლარს შეადგენს.ასევე მთავრობა გადასახადებიდან 13.2 მლრდ ლარის,გრანტებიდან 341.8 მლრდ ლარის მიღებას გეგმავს,სხვა შემოსავლები კი - 795 მლნ ლარი იქნება.ამასთანავე მთავრობა 2022 წელს 4.4 მლრდ ლარის ოდენობის სესხის აღებას გეგმავს.ასევე საქართველოს მთავრობა ამ წელს პროგნოზირებს 6%-იან ეკონომიკურ ზრდას.ამასთან,წლიური ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი იქნება 8.9%,რაც მიზნობრივ 3%-იან მაჩვენებელზე მაღალია.

საყურადღებოა ის საკითხიც,რომ მას შემდეგ,რაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა,გვსურს ევროკავშირის წევრობა.რატომაც აღვნიშნეთ ეს ფაქტი მიზეზი ისაა,რომ 1992 წელს ევროკავშირის დამფუძნებელმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს ე.წ.„მაასტრიხტის ხელშეკრულებას“,რომელიც განსაზღვრავს შესაბამის მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს.იმისთვის,რომ წევრობის კანდიდატმა სახელმწიფომ შეძლოს აქ გაწევრიანება,სხვა რიგი კრიტერიუმების გარდა,ასევე მოუწევს დააკმაყოფილოს აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული ნორმები.კერძოდ,გაწევრიანების მსურველ ქვეყანაში შენარჩუნებული უნდა იყოს სტაბილურობა და ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი,შემოწმებამდე 1 წლის განმავლობაში მაინც.ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი 1.5%-ზე მეტით არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმუმ იმ 3 წვერი სახელმწიფოს ინფლაციის საშუალო ტემპებს,რომლებმაც ფასების სტაბილურობის სფეროში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს.ამასთანავე,ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 3%-ს,ხოლო სახელმწიფოს ვალი მშპ-ს 60 პროცენტს.ამგვარად,რაც უფრო გაიზრდება სახელმწიფოს ბიუჯეტის დეფიციტი,მით უფრო მცირდება შანსი ევროკავშირის წევრობისა.

ჩვენი აზრით, საჭიროა სახელმწიფოს მიერ ხარჯების განაწილებისას, განისაზღვროს გარკვეული პრიორიტეტები და ამ პრიორიტეტების მიხედვით მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების განაწილება, ამასთანავე მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სოციალურ სფეროს, რათა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ქვეყანაში სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

თანამედროვე პერიოდში ქვეყანაში რაციონალური ფინანსური სისტემის ფორმირება-რეალიზება, ეკონომიკის სტაბილური განვითარება, ეფექტიანი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გატარება, ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა, ინფლაციის მინიმალურ დონემდე დაყვანა, უმუშევრობის შემცირება და მთლიანობაში ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბლიზაციის მიღწევა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ, მისი ეკონომიკური ფუნქციების ეფექტიანად რეალიზაციის გზით არის შესაძლებელი.

არასასურველი მოვლენა, რასაც ბიუჯეტის დეფიციტი ჰქვია, ყველა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია წლის ფინანსური გეგმის შედგენა-დამტკიცების პროცესში. ფაქტს, რომ დეფიციტის ნიშნული უმართავ დონემდე არ გაიზარდოს, აქტიური ზედამხედველობა და დროული კონტროლი სჭირდება, ხოლო გაზრდილ დეფიციტს კი შესაბამისი სახსრების მოძიება და დაფინანსება. დეფიციტი აუცილებელია გადახდილ იქნას. თუ ეს ასე არ არის, მაშინ ის დავალიანებას ზრდის. დავალიანების ზრდა თითქოს უსასრულოდ შეგვიძლია, თუმცა მსოფლიო ბანკის განცხადებით, აქაც არსებობს გარდამტეხი მომენტი, როდესაც ქვეყნის სესხი მთლიანი შიდა პროდუქტის 77% ან მეტია, ყოველივე ძალზე დიდ რისკებთან მიდის. თვით ვალის ზრდა კიდეფიციტს ზრდის ორი გზით. პირველი, სესხის პროცენტი ყოველწლიურადაა გადასახდელი, რაც ავტომატურად ზრდის სამომავლო ხარჯვას, არ იძლევა რაიმე სარგებელს. მეორეც, სესხის მაღალმა დონემ

შეიძლება გაართულოს თანხების მობილიზება.კრედიტორები დაეჭვდებიან მსესხებლის მიერ დავალიანების დაფარვის შესაძლებლობით. როდესაც ეს ხდება, კრედიტორები ითხოვენ უფრო მაღალ პროცენტს, რათა დააკომპენსირონ ეს ამაღლებული დონის რისკი.

ბიუჯეტის დეფიციტი, ერთი მოსაზრებით, პირდაპირ მიუთითებს ქვეყნის ცუდ ეკონომიკურ პოლიტიკაზე,მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. გადაჭარბებული ხარჯვა ცხადია, შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ ქვეყნის მთავრობას სურს ხელი შეუწყოს ეკონომიკურ გამოცოცხლებასა და ზრდას, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ხარჯები გაწეულია ინფრასტრუქტურის, სამუშაო ადგილების ზრდის და სხვა შემდგომ შედეგიანპროცესთა სტიმულირებისათვის. ამგვარ ქცევას არ შეიძლება ცუდი ვუწოდოთ მხოლოდ იმ არგუმენტით, რომ დეფიციტს ვზრდით. აქ მთავარი ყურადღება სტრატეგიაზეა გასამახვილებელი, რომელშიც მკაფიოდ იქნება გამოხატული სამომავლო გაზრდილი უკუგება და სარგებელი, რითაც დღევანდელ, ერთი შეხედვითარახელსაყრელ ნაბიჯებს გადავწონით.

ბოლო წლების საქართველოს დეფიციტის სტატისტიკას თუ გადავხედავთ ვნახავთ, რომ დეფიციტის მართვა საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს. გათვალისწინებულია ქვეყანათა გამოცდილება, აქტიურად განიხილება მითითებები და რჩევები მეგობარი ორგანიზაციებიდან. მისასალმებელია, რომ მთავრობა წლის განმავლობაში შემოსული საგარეო დახმარებების საშუალებით საგარეო კრედიტისდაფარვას მოიაზრებს, რაც სამომავალოდ ვალის სიმძიმეს შეამცირებს. სასურველ ნაბიჯებად მიგვაჩნია ჩვენმა ქვეყანამ ინფლაციური პროცესების დაინვესტიციების კლების საფრთხეები გაითვალისწინოს და ბიუჯეტში ეკონომიკური ზრდის მეტად დაბალიმაჩვენებლი შეიტანოს.

როგორც ვნახეთ,პანდემიამ ისევე როგორც თითქმის ყველა სახელმწიფოზე,ასევე საქართველოზეც მოახდინა გავლენა.თუმცა პანდემიის დროს ბიუჯეტის დეფიციტი ლოგიკურია და შეშფოთების საფუძველი არ გახდება,თუ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა 2022 წლიდან კლებას დაიწყებს.ასეთ დროს მთავრობის მთავარი ამოცანა ხარჯებისშემცირება გახლავთ.როგორც პროგნოზი აჩვენებს 2023 წელს დაუბრუნდება ზღვრულ ნორმას და შემდეგ წლებში თანდათან შემცირებას დაიწყებს.

პანდემიისგან გამოწვეულმა კრიზისმა ამოატივტივა ის ნაკლოვანებები,რაც გააჩნია ეკონომიკას თავისი სტუქტურული მოწყობით,ფინანსურ სისტემას,სოციალურ პოლიტიკას და ა.შ. თუ კონკრეტულად ვალუტის სტაბილურობაზე,ფასების ცვლილებაზე და ეროვნული ბანკის პოლიტიკაზე ვისაუბრებთ,აქაც გამოჩნდა ის საფრთხეები,რაც დაკავშირებულია ლარის კურსის გაუფასურებასთან,ინფლაციის ზრდასთან და ქვეყნის სარეზერვო თანხების არ არსებობასთან.ოფიციალური პროგრამების დაფინანსებისთვის საჭირო გახდა საგარეო ვალის აღება,რომელიც უცხოურ ვალუტაშია.აღმოჩნდა,რომ ეკონომიკა დამოკიდებულია უცხოეთიდან გზავნილებზე,ტურიზმის სექტორიდან შემოდინებულ უცხოურ ვალუტაზე და არ გააჩნია თვითმყოფადობის თუ მდგრადობის რესურსი.ეს კი,თავის მხრივ,გავლენას ახდენს ლარის სტაბილურობაზე და ფასების ზრდაზეც.

ვფიქრობთ, რომ საჭიროა სახელმწიფოს მიერ ხარჯების განაწილებისას, განისაზღვროს გარკვეული პრიორიტეტები და ამ პრიორიტეტების მიხედვით მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების განაწილება, ამასთანავე მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სოციალურ სფეროს, რათა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ქვეყანაში სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მიგვაჩნია,რომ თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის უმთავრესი მიზანი საჭიროა გახდეს ბიუჯეტის შემოსავლების მიღების მყარი საფუძვლების შექმნა, საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად განაწილება-გადანაწილების უზრუნველყოფა და მთლიანობაში საბიუჯეტო პროცესის სრულყოფა, რათა საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანმა ფუნქციონირებამ საბოლოო ანგარიშით უზრუნველყოს ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ეფექტიანად შესრულება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) ა. ჯიბუტი, რ. კაკულია, ლ. ბახტაძე - „საჯარო ფინანსები“, გამომცემლობა „თბილისი“, 2009 წელი .
2) მ. ვანიშვილი, ნ. ვანიშვილი - ”საჯარო ფინანსები“, ევროპის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017 წელი.
3) https://www.mof.ge/makroekonomikuri_machveneblebi
4) https://matsne.gov.ge/ka/document/view/3938064?publication=3
5) https://www.mof.ge/images/File/ministris%20aparati/2021/06-01-2021/budget2021.pdf
6) https://www.mof.ge/saxelmwifo_biujeti
7) https://www.mof.ge/biujetis_deficiti
8) http://geoeconomics.ge/
9) https://forbes.ge/blogs/biujetis-dephitsitis-sididith-saqarthvelo-msophlioshi-72-e-adgilzea/
10) https://sputnik-georgia.com/amp/20210421/biujetis-deficitis-zrda-251521873.html
11) http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi_economics/nino_qavtaradze.pdf
12) https://openscience.ge/bitstream/1/356/1/Samagistro%20Nana%20Bokhashvili.pdf

13) https://dspace.tsu.ge/handle/123456789/563?locale-attribute=en
14) https://transparency.ge/ge/blog/2020-clis-saxelmcipo-biujetis-6-tvis-shesrulebis-mokle-analizi
15) https://socialjustice.org.ge/ka

6	თემის დასახელება	**თანამედროვე საინვესტიციო გარემო და მისი პრობლემები**
	სტუდენტი	**ჯანაშია მარიამი, კოხრეიძე მარიამი**
	საბაკალავრო პროგრამა	ეკონომიკა, I კურსი
	ხელმძღვანელი	**გორგასლიძე მეგი**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია, საინვესტიციო გარემო, გეოპოლიტიკა, კაპიტალი, აქტივები.

დღესდღეობით მსოფლიო გამოწვევათა ქარცეცხლს უმკლავდება, მიუხედავად მათი მრავალმხრივი ბუნებისა, ჩვენთვის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია თანამედროვე საინვესტიციო გარემოს შექმნა და პრობლემების აღმოფხვრა ინვესტიციების მოზიდვის საკითხში.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება მრავალფეროვან ჯგუფებად არის დაყოფილი, კულტურული, ეთნიკური, ისტორიული თუ სახელმწიფოებრივი ინდივიდუალიზმის გათვალისწინებით, მაინც არსებობს საყოველთაო ღირებულებანი, რომლებიც სხვადასხვა გეოგრაფიული მდებარეობისა და უშორესი დისტანციის მიუხედავად ერთნაირად აღიქმება. როდესაც ვსაუბრობთ თანამედროვე საინვესტიციო გარემოზე, ამ დროს გონებაში მრავალი პრობლემა იჩენს თავს, ეს დამოკიდებულია როგორც მიკრო, ისე მაკრო ეკონომიკაზე. აქ არსებული პრობლემები საბოლოოდ თავს იჩენს, რაც ხელს უშლის თანამედროვე საინვესტიციო გარემოებების გაუმჯობესებას. ამ საკითხის მარტივად გადაჭრა ძალიან რთულია, აქ ბევრი ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ, როგორიცაა ფინანსური რესურსები, ეკონომიკური პოტენციალი, ეკონომიკური მდგომარეობა, ტერიტორიულად უსაფრთხო რეგიონი, პოლიტიკური .და ასე შემდეგ.

ინვესტიციებს შეუძლიათ ეკონომიკის განვითარება. ისინი ამაღლებენ საწარმოო პოტენციალს. ეკონომიკაში ინვესტიციებს აქვს მრავალი ფუნქცია შესასრულებელი, როგორიცაა სამრეწველო ფონდების გაუმჯობესება, კაპიტალის გადადინების და აქტივების ყიდვა-გაყიდვის ფუნქცია, კაპიტალის შევსების პროცესი და ა.შ.

Nowadays, the world is coping with the storm of challenges, despite their versatile nature, one of the creation of a modern investment environment and the elimination of problems in attracting investment. When we talk about the modern investment environment at this time there are many problems in the mind, it depends on both the macro and micro economy. Problems in the micro and macro economy eventually arise, preventing investment circumstances. It is very difficult to solve this issue easily, here we need to take into account many factors such as financial resources, economic potential, economic situation, territorially safe region, political environment, etc.

Investment can develop the economy. They increase production capacity. Investments in the economy have ever more to do, for example, the improvement of capital increases and activities, the process of raising capital, and so on.

ინვესტიციები ბიზნესში უმთავრეს მიზნად ისახავს მოგების მიღებას, რისთვისაც ხდება საწარმოო აქტივების შეძენა და გამოყენება. ფიზიკური პირი თუ ორგანიზაცია იმ მოლოდინით ახორციელებს ინვესტიციას, რომ მომავალში, შემოსავალს ან მოგებას მოუტანს. საინვესტიციო პროექტები საშვალებას იძლევა გაზარდონ კაპიტალი.საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირება მნიშვნელოვანია სქართველოში,რადგან ის იქცეს ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების მიზეზი. ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანია მოქნილი საგადასახადო სისტემა, თუ სახელმწიფო შეიმუშავებს კარგ საგადასახადო სისტემას, ეს იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკური პოლიტიკის გაუმჯობესების მხრივ, მნიშვნელოვანია ქვეყანამ შეიმუშაოს ისეთი საგადასახადო სისტემა , რომელიც სტიმულს მიცემს ინვესტორებბა და უბიძგებს ახალი და უფრო დიდი პროექტების განხორციელებისკენ. ეს ყოველივე კი მიმართული იქნება საინვესტიციო პროექტების გააქტიურებისკენ.

ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა საქართველოში არის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და რაციონალური გამოყენება. ამ პრობლემის გადაჭრას კი იფრო და უფრო ართულებს ქართულ ეკონომიკაში შექმნილი პრობლემები მაგალითად, მაღალი უმუშევრობა, საგარეო ვალები, ცხოვრების დაბალი დონე და სხვა. საქართველოში უცხოური ინვესტორი ინვესტიციის ჩადების დროს რითაც შეიძლება დაინტერესდეს, პირველი ეს შეიძლება იყოს რეალურზე უფრო დაბალი ღირებულების რესურსები, ვიდრე მის ქვეყანაში შეიძლება მოიპოვოს , მეორე შეიძლება იყოს ის ფაქტი რომ უცხოელმა საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან დადოს გარიგება, რითაც უზრულნველყოფს მეზობელი ქვეყნების ბაზრების მომარაგებას და შეძლებს საქართველოში ნაწარმოები პროდუქტის რეალიზებას მეზობელ ქვეყნებში, მესამე რამაც შეიძლება მოიზიდოს უცხოელი ინვესტორები ეს არის შესაძლებლობა, რომ განახორციელონ გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნები და შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა

2019 წელს საქართველოში არსებული ეპიდვითარების გამო, თანამედროვე საინვესტიციო გარემოს განვითარება შეჩერდა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას და შექმნილმა გარემოებებმა გამოიწვია

მსხვილი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროექტის შეჩერება, როგორიც იყო ანაკლიის პორტი. სამთავრობო პოლიტიკა გავლენას ახდენს თანამედროვე საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით რომ დავყოთ, შემდეგნაირად გადანაწილდება:

1.სოფლის მეურნეობა, თევზჭერა;
2. სამთომოპოვებითი მრეწველობა;
3.დამამუშავებელი მრეწველობა;
4.ენერგეტიკა;
5.მშენებლობა;
6.სასტუმროები და რესტორნები;
7. ტრამსპორტი და კავშირგაბმულობა;
8.ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება;
9.უძრავი ქონება;
10. საფინანსო სექტორი;
11. დანარჩენი სექტორები.

სხვადასხვა ფაქტორები წარმოადგენენ ქვეყანაში ინვესტირების უპირატესობებს, როგორიცაა: დაბალი გადასახადები, ბიზნესის მხარდამჭერი და არა კორუმპირებული მთავრობა, მარტივი და სამართლიანი საგადასახადო ადმინისტრირება, ვაჭრობა, სტაბილური და კარგად მართული საბანკო სექტორი, მოქნილი შრომითი კანონმდებლობა, საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო წვდომით, ლოჯისტიკისა და წარმოებისთვის სტაბილური ენერგო მიწოდება, კრიმინალის დაბალი დონე და სხვა.

იმისთვის რომ ინვესტორებისთვის მეტად მიმზიდველი გახდეს ჩვენი ქვეყანა, საჭიროა საკანონმდებლო და სასამართლო სისტემების მოწესრიგება.ქვეყანაში ეროვნული ვალუტის სტაბილურობა ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

მსოფლიო რეიტინგებში, საქართველო გარკვეულ პოზიციას ინარჩუნებს. რეინვესტიციის მაჩვენებლის გაზრდამ, საქართველოში 2021 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 1.4 %-ით გაზარდა 2020 წლის მაჩვენებელთან შედარებით:

წყარო: საქსტატის მონაცემები.

2021 წელს ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 87.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციის 29.1% . მეორე ადგილს იკავებს ენერგეტიკის სექტორი 69.3 მლნ აშშ დოლარით(23.2%). ხოლო მესამე- დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი 54.8 მლნ აშშ დოლარი (118.3 %). სექტორების მიხედვით ეს მონაცემები შენდეგნაირად ნაწილდება:

1)საფინანსო სექტორი 29.1%;
2)ენერგეტიკა 23.1%;
3) გადამამუშავებელი მრეწველობა 18.3%;
4) ტრანსპორტი 9.3% ;
5) მშენებლობა 5.5 %;
6) კავშირგაბმულობა 4.9%;
7) ჯანდაცვა და სოციალური დახმარება 2.5%;

8) სასტუმროები და რესტორნები 2.3%;
9) სოფლის მეურნეობა და თევზჭერა 0.8%;

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით, 2019-2021 წლებში

(მლნ. აშშ დოლარი)

	2019					2020					2021*		
	I	II	III	IV	სულ	I	II	III	IV	სულ	I	II	III
სულ	**317.2**	**241.2**	**403.6**	**373.8**	**1 335.8**	**171.0**	**240.3**	**294.8**	**-134.2**	**572.0**	**131.7**	**297.7**	**299.0**
მათ შორის:													
საფინანსო სექტორი	48.1	-24.3	106.5	141.8	**272.1**	96.6	79.5	129.8	98.4	**404.4**	98.0	139.3	87.1
ენერგეტიკა	71.2	87.9	49.4	52.9	**261.4**	-23.4	31.4	34.4	-50.1	**-7.8**	40.8	65.5	69.3
დამამუშავებელი მრეწველობა	25.3	41.3	50.8	0.0	**117.3**	5.3	15.9	29.0	-14.6	**35.5**	26.3	50.2	54.8
ტრანსპორტი	27.9	17.6	14.7	-5.2	**55.0**	7.9	3.7	-4.8	6.1	**12.8**	-5.1	-18.2	27.9
შშენებლობა	4.9	7.8	-11.5	44.8	**46.0**	-0.5	22.9	-12.7	23.6	**33.3**	2.1	-3.0	16.5
კავშირგაბმულობა	16.2	4.8	17.3	33.7	**72.1**	13.2	11.2	15.4	10.1	**49.9**	-68.7	-5.0	14.5
ჯანდაცვა და სოციალური დახმარება	2.0	7.7	1.8	7.2	**18.8**	6.3	-1.1	1.6	3.7	**10.6**	12.0	5.4	7.5
სასტუმროები და რესტორნები	57.8	21.8	36.7	7.0	**123.4**	7.4	-6.1	1.5	-252.4	**-249.5**	-0.9	-1.5	6.9
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	1.5	1.2	1.2	2.3	**6.3**	-3.7	5.0	-1.3	-1.8	**-1.8**	0.8	2.2	2.3
დანარჩენი სექტორები	62.3	75.3	136.6	89.3	**363.4**	62.0	77.9	101.9	42.9	**284.6**	26.3	62.8	12.1

წყარო: საქსტატის მონაცემები.

საქართველოს უმსხვილესი პირდაპირი ინვესტირები 2021 წლის მონაცემებით ასეთია : გაერთიანებული სამეფო, ნიდერლანდები, ჩინეთი, აშშ, თურქეთი ,მალტა, საფრანგეთი, სეიშელები, რუსეთი და დანარჩენი ქვეყნები.

წყარო: საქსტატის მონაცემები.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს კარგი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, შეუძლია თანამედროვე საინვესტიციო გარემოს შექმნა. ჩვენს ქვეყანას აქვს რეალური პოტენციალი მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები და ამ გზით ხელი შეუწყოს ეროვნული ვალუტის სტაბილურობას, უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი, ამასთან ინვესტორებს ჭირდებათ მყარი გარანტიები, რათა მოახდინონ გრძელვადიანი ინვესტირება ქვეყანაში და ეს გარანტიები თავის მხრივ მოიცავს, საკანონმდებლო და სასამართლო სისტემის მოწესრიგებას, სახელმწიფო რეგულაციების შერბილებას,

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, საექსტორტო პოტენციალის ზრდას, სამუშაო ძალის ხარისხის გაუნჯობესებას, და ფინანსური ბაზრების გაუნჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1.ლია პიტიურიშვილი „საინვესტიციო კლიმატის შექმნის თანამედროვე პრობლემები“. 17.11.2017.

2.თეა მაზარიშვილი „საინვესტიციო გარემო და მისი თავისებურებანი საქართველოში“ 2017წ. თსუ კონფერენცია.

3. თია ჯიჯია „ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკაში და სამთავრობლო პოლიტიკა“. 2019წ სამაგისტრო დისერტაცია.

7	თემის დასახელება	**საბიუჯეტო შემოსავლების ფორმირების პრობლემები საქართველოში**
	სტუდენტები	**ჭეიშვილი ნიკოლოზი, კვინიკაძე ია, თავბერიძე ბერდია**
	საბაკალავრო პროგრამა	ეკონომიკა, III კურსი
	ხელმძღვანელი	**იფშირაძე აზა**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი

Anotation

Budget revenues have the most significant economic burden through which the state manages to perform its economic functions effectively. Which is manifested in the formation and realization of a rational financial system in the country, stable economic development, effective budget and tax policy, achieving high rates of economic growth in the country, reducing unemployment to a minimum level of inflation and overall macroeconomic stabilization.

The analysis of state budget revenues gives us information on how to study the country. How well its tax system is regulated, how much it depends on foreign grants, whether it has the ability to sell financial assets, whether it sells part of its national size and other non-financial assets to supplement its budget, and so on. Simply put, through the structure of budget revenues, we understand how strong the state is and how sound its domestic economy is.

The transition of the economy on the path of progressive development is linked to the establishment of a highly efficient market economy, which, among other parameters, imposes strict requirements on the country's financial system and its domestic policies. For the proper functioning of the financial sector, it is necessary to ensure a sound system of receiving budget revenues.

Keywords: tax revenues; Financial and non-financial assets; Budget and tax policy; Economic stabilization.

საქართველოში თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს, ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა. ეკონომიკის გარდაქმნა და გადაყვანა პროგრესული განვითარების გზაზე უკავშირდება მაღალეფექტიანი საბაზრო მეურნეობის ჩამოყალიბებას, რაც სხვა პარამეტრებთან ერთად მკაცრ მოთხოვნებს უყენებს ქვეყნის საფინანსო სისტემასა და მის საშინაო პოლიტიკას.

დღეს თითქმის არავინ დავობს იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო წარმოადგენს ბაზრის ნეგატიური შედეგების აღმომფხვრელ ინსტრუმენტს, რომელმაც აქტიური როლი უნდა შეასრულოს ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში. ,,თუ ეკონომიკას თავის ნებაზე მივუშვებთ, ის რყევებს განიცდის”[25] რაც შემდგომ პერიოდში შესაძლებელია კრიზისის გამომწვევ მიზეზადაც კი გადაიქცეს, ამიტომ საბაზრო მექანიზმისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებების, აღმოსაფხვრელად სახელმწიფო იყენებს თავის ეკონომიკურ ბერკეტებს, რითაც იგი უზრუნველყოფს საბაზრო მექანიზმის გაძლიერებას და მისი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებას.

ბიუჯეტის შემოსავლებს უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური დატვირთვა აქვს სწორედ შემოსავლების დახმარებით ახერხებს სახელმწიფო თავისი ეკონომიკური ფუნქციების ეფექტიანად შესრულებას. შემოსავლების დახმარებით უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ ქვეყნაში რაციონალური ფინანსური სისტემის ფორმირება-რეალიზება, ეკონომიკის სტაბილური განვითარება, ეფექტიანი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გატარება, ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა, ინფლაციის მინიმალურ დონემდე დაყვანა,უმუშევრობის შემცირება და მთლიანობაში ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბლიზაციის მიღწევა. აღსანიშნავია, რომ შემოსავლების დახმრებით ხდება ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების დაფინანსება, დოტაცია და სუბსიდირება, რომლის დახმარებითაც ადგილობრივი ხელისუფლება ახერხებს შიდა საქალაქო თუ რაიონული პრობლემების გადაჭრას: მოსახლეობის წყალმომარაგებას, ქალაქის გასუფთვებს და სანიტარულ გაწმენდას, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარებას,აეროპორტებისა და საზოგადოებრივი შენობების რეკონსტრუქციას.

[25] [25] გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები (თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“, 2000)

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: გადასახადები, სოციალური შენატანები, გრანტები და სხვა შემოსავლები. (ჩვენს ქვეყანაში სოციალური შენატანები 2008 წლიდან აღარ აღირიცხება). დღესდღეობით საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია ექვსი ძირითადი გადასახადი: საშემოსავლო, მოგების, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზის, იმპორტის გადასახადი და ქონების გადასახადი, რომლებსაც გადასახადის შინაარსიდან გამომდინარე იხდის როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. მათ გარდა მნიშვნელოვანია როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ისე სახელმწიფო მთავრობებიდან მიღებული გრანტები და სხვა შემოსავლები, რომლებიც ერთიანობაში ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის შემავსებელ ძირითად წყاროებს წარმოადგენენ.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზი გვაძლევს ინფორმაციას თუ რა ტიპის ქვეყანასან გვაქვს საქმე. რამდენად არის მისი საგადასახადო სისტემა მოწესრიგებული, რამდენად არის დამოკიდებული გრანტებსა და დახმარებებზე, აქვს თუ არა ფინანსური აქტივების გაყიდვის შესაძლებლობა, ხშირად ყიდის თუ არა ეროვნული სიდიდის ნაწილსა და სხვა არაფინანსურ აქტივებს ბიუჯეტის შესავსებად და ა.შ. მარტივად, რომ ვთქვათ ბიუჯეტის შემოსავლების კლასიფიკაციით, ვიგებთ რამდენად ძლიერია სახელმწიფო და რამდენად არის გამართული მისი შიდა ეკონომიკა.

დიაგრამა: 1[26]



დიაგრამა 1-ზე გამოსახულია ბიუჯეტის შემოსავლების რაოდენობა მილიარდ ლარებსა და დოლარებში 2015 წლიდან 2021 წლამდე. ადვილია იმის შემჩნევა, რომ ბიუჯეტის შემოსავლების რაოდენობა ეროვნული ვალუტის შემთხვევაში ყოველწლიურად იზრდებოდა გარდა 2019-სა და 2020 წლებს შორის ინტერვალისა, ხოლო 2018 წლიდან 2020 წლის ჩათვლით დოლარების მიხედვით მცირდებოდა. მსგავსი სიტუაცია აიხსენება იმით, რომ ჩვენი ვალუტა დოლართან მიმართებაში მსყიდველობით უნარს კარგადვდა. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზი წარმოგვედგინა დოლარებში და არა ლარებში იმ მიზეზით, რომ ეს ვალუტა შედარებით სტაბილურია. 2021 წელს როგორც საქართველოში ისე მსოფლიო ეკონომიკაც გაჯანსაღების პროცესში იყო, რაც აიხსნება ქვეყანათაშორისო საზღვრების გახსნით და სასაქონლო ნაკადების ზრდით, დასაქმების რაოდენობის ზრდითა და სამეურნეო სუბიექტების გაჯანსაღებით.

ცხრილი: 1 საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლები 2017-2021 ფაქტები[27]

დასახელება	2017წ. ფაქტი	2018წ. ფაქტი	2019წ. ფაქტი	2020წ. ფაქტი	2021წ. ფაქტი
შემოსავლები (ათასი $)	3886760.34	4180567.92 7.56%	3786548.56 -9.43%	3373434.74 -10.91%	3958605.58 17.35%
გადასახადები (ათასი $)	3584193.37	3825591.71 6.74%	3428478.89 -10.38%	3011473.58 -12.16%	3551643.52 17.93%
გრანტები (ათასი $)	139760.15	159406.08 14.06%	173678.81 8.95%	147779.91 -14.91%	151233.16 2.34%
სხვა შემოსავლები (ათასი $)	162806.78	195570.13 20.12%	184390.89 -5.72%	214181.24 16.16%	255728.86 19.40%

[26] დიაგრამა: 1 - აგებულია ავტორის მიერ შემდეგი მასალის გამოყენებით: - საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსხური https://www.geostat.ge/ka/modules/categories/91/sakhelmtsifo-finansebis-statistika

[27] ცხრილი: 1 - აგებულია ავტორის მიერ შემდეგი მასალის გამოყენებით: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო https://www.mof.ge/5259

როგორც ამ ცხრილიდან იკვეთება 2018 წლის მთლიანი შემოსავლები აღემატება 2017 წლისას 7.56%-ით. აქ გაზრდილია სამივე წყაროს მოცულობები. მომდევნო 2019 წელი მხოლოდ გრანტების ზრდით შემოიფარგლებოდა. 2020 წელი კოვიდ პანდემიის მძიმე პერიოდი იყო და შესაბამისად შემოსავლები გადასახადებიდან და გრანტებიდან მკვეთრად შემცირდა, მხოლოდ სხვა შემოსავლები გაიზარდა. რაც შეეხება 2021 წელს კი აქ ზრდა ყველა წყაროში შეინიშნება.

გადასახადები ბიუჯეტის შემავსებლებს შორის, როგორც ავღნიშნეთ უმნიშვნელოვანესია. სწორედ მისი სიდიდე მიუთითებს თუ როგორ არის და რა დონეზე განვითარებული ქვეყნის შიგნით საოჯახო მეურნეობებისა და სამეურნეო სუბიექტების გადახდისუნარიანობა. გადახდისუნარიანობა კი შესაბამისად მეტ წარმოებას და მეტი ეროვნული პროდუქტის შექმნას ნიშნავს. 2018 წლის ფაქტობრივი მთლიანი გადასახადებისგან მიღებული შემოსავალი წინა წელთან შედარებით 6.74%-ით მეტია, რაც უმეტეს წილად განპირობებულია ფიზიკურ პირთა გადასახდზე (ანუ საშემოსავლო გადასახადზე დაახლოებით 12.77%), ასევე მკვეთრი ზრდა შეიმჩნევა დღგ-ით მიღებულ ბიუჯეტის შემოსავალზე (6.28 %). აღსანიშნავია ასევე სხვა გადასახადები, რომლებიც წინა წელთან შედარებით თითქმის 79.5 %მეტია. 2019 წლის გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები 9.43%-ით შემცირდა. ამ წელს შეინიშნება მხოლოდ მოგების გადასახადის ზრდა (5.73%). 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლების სხვა ტიპის გადასახადებმა მკვეთრი კლება განიცადა რაც ერთ-ერთი დიდი უარყოფითი მაჩვენებელია (-81701.30 ათასი $) რაც ნიშნავს, რომ საბიუჯეტო გეგმაში გათვალისწინებლს არსებული მაჩვენებელი ამდენითვე ჩამორჩა. 2020 წელი საკმაოდ რთული აღმოჩნდა როგორც საქართველოსთვის, ასევე მთელი მსოფლიოს ეკონომიკისთვის. ჩაიკეტა საერთაშორისო საზღვრები, დაიხურა და ჩავარდა მომსახურებისა და საქონლის მწარმოებელთა ბიზნესები, ბაზრებზე შეინიშნებოდა გარკვეული საქონლის დეფიციტი იმპორტშემოდინების ნაკლუვანების გამო. იმპორტი შემცირდა დაახლოებით 15.4% -ით, ხოლო ექსპორტი 11.8%-ით. შესაბამისად, ყველაზე მეტად კლება განიცადა იმპორტის გადასახადმა და ფიზიკური პირების - საშემოსავლო გადასხადმა. 2021 წელს კი გადასახადებისგან მიღებული შემოსავლები 17.93%-ით გაიზარდა.

ცხრილი 3 საქართველოს ექსპორტ-იმპორტი 2019-2020წ. ათასი $[28]

2019 წლის X	3,798,394.4
2019 წლის M	9,519,166.5
2020 წლის X	3,343,442.9
2020 წლის M	8,052,882.1

გარდა გადასახადებისა გრანტებსა და სხვა შემოსავლებს ჯამურად დაახლოებით 11-12% წილი აქვთ 2021 წლის საბიუჯეტო შემოსავლებში. ჩვენს ქვეყანაში ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებისგან გაცემულ გრანტებს ვღებულობთ, ხოლო მცირე წილი აქვთ ცენტრალური სსიპ-ებიდან/ა(ა)იპ-ებიდან შემოსულ გრანტებს. გრანტების ფულად სახსრების მოცულობა იზრდებოდა წლიდან წლამდე, გარდა 2020 წლის შემთხვევისა, როდესაც კოვიდ-19-მა უამრავი ქვეყნას ეკონომიკური ზარალი მიაყენა. უდიდესი წილი უჭირავს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღბულ გრანტებს, ამ მხრივ გამოირჩევა EU, (ევროკავშირი), რომელმაც 2020 წელს საერთო ჯამში 92314.72 $ გადმოგვცა, რაც მთლიანი ამ წლის გრანტების ნახევარსაც კი აღემატება. უცხოური სახელმწიფოს მთავრობებისგან მიღებულ გრანტებში წლიდან წლამდე შეინიშნება აშკარა კლება, ამავე დროს 2021 წლის საბიუჯეტო გეგმაში კიდევ უფრო მცირე მაჩვენებელია ვიდრე წინა წელს. აღსანიშნავია ასევე, ისიც რომ 2021 წლის საბიუჯეტო გეგმის მიხედვით გრანტებს 119978.89 ათასი $ უნდა შეედგინად, თუმცა ეს მაჩვენებელი ფაქტობრივად უფრო მეტი 151233.16 ათასი $ აღმოჩნდა.

2017 წლიდან 2021 წლამდე სხვა შემოსავლების რაოდენობრივი ზრდამ, გადაუსწრო წილობითი მოცულობით გრანტებსაც კი. სხვა შემოსავლებიდან გამოირჩევა შემოსავლები საკუთრებიდან, კერძოდ დივიდენდები, რომელიც მოიცავს როგორც სახელმწიფოს მონაწილეობრივ საწრმოო მოგებას ისე სებ-ის შემოსავლიდან მიღებულ მოგებას. იზრდება ასევე ჯარიმებით და საურავებით მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი. აღნიშნულ 5 წლიან მონაცემებში საკმაოდ ცვალებადია ტრანსფერები, რომელმაც 2020 წელს კოვიდ პანდემიის სხვა შემოსავლებიდან მიღებულ ბიუჯეტის შევსებაში უპრეცენდენტოდ მაღალი ადგილი დაიკავა.

ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირების პროცესში არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფინანსური ვალდებულებები. ზოგადად, შიდა ვალი იმდენად საშიში არ არის, როგორც საგარეო ვალი, რადგან სახელმწიფოს აქვს შიდა სესხის რეფინანსირების, გადასახადების გადიდების და საჭიროზე მეტი რაოდენობის ფულის მასის ბეჭვდისა და მიმოქცევაში გადასროლის შესაძლებლობები. საკუთარი ფინანსური ვალდებილების დასაფარად კი სახელმწიფო საჭიროებისდა მიხედვით იყენებს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე ღონისძიებას.

[28] ცხრილი N 3 აგებულია ავტორის მიერ შემდეგი მასალის გამოყენებით: საქსტატი/საგარეო ვაჭრობა https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

სახელმწიფო ვალების ირგვლივ მის ნეგატიურობაზე და პოზიტიურობაზე არაერთგზის ყოფილა აზრთა დაპირისპირება. ზოგი მიიჩნევს, რომ მათი ზრდა (განსაკუთრებით საგარეო ვალისა) ანგრევს ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. ზოგი კი მიიჩნევს, რომ ისინი ერთგვარი სტიმულატორები არიან ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის - იმ შემთხვევაში თუ მათი გამოყენება სწორად მოხდება. მაგალითად: უილიამ გრინის მოსაზრებებით სახელმწიფო ვალს პოზიტიური შედეგი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი გამოიყენება სტაბილიზაციის მიზნებისათვის, კერძოდ კრიზისების (მაგალითად ახლახანს, Covid- პანდემიის პირობებში) ომებისა და პოლიტიკური არეულობისა და დესტაბილიზაციის დროს, რათა გვქონდეს შესაძლებლობა თავიდან ავიცილოთ შემოსავლების მოსალოდნელი შემცირების უარყოფითი შედეგები. აქედან გამომდინარე, განვითარებადმა ეკონომიკებმა საგარეო რესურსები პროდუქტიულობის ზრდაზე უნდა მიმართონ, ისე რომ იგი მოხმარდეს ინვესტირების ახალი შესაძლებლობების შექმნასა, მეტი ინვესტორის მოზიდვას და სხვა გრძელვადიან მიზნებს. ჩვენი ქვეყანა ძირითადად იღებს გრძელვადიან დაბალ საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალებს. სამწუხაროდ, აღებული ვალები მთელ რიგ შემთხვევებში იხარჯება მიმდინარე ვალდებულებების გასასტუმრებლად და არსებული პრობლემების მოსაგვარებლად და არა გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტის მისაღებად.

ცხრილი 6: საქართველოს სახელმწიფო საგარეო და საშინაო ვალი[29]

	სახელმწიფო საგარეო ვალი დოლარებში(მილიარდი$)	სახელმწიფო საგარეო ვალი ლარებში (მლრდ ₾)	სახელმწიფო საშინაო ვალი (მილიარდი₾)
2017	5, 177390	13, 420829	2, 898268
2018	5, 434092	14, 544890	3, 265868
2019	5, 741014	16, 463505	4, 206787
2020	7, 535168	24, 689731	6, 201177
2021	8, 205345	25, 416875	5, 837901
2022 მარტი	8, 082065	25, 064910	6, 238256

საქართველოს სახელმწიფო ვალმა 8 მილიარდ დოლარს პირველად გადააჭარბა 2021 წლის აპრილში, რაც დაახლოებით 25 მილიარდ ლარზე მეტია. იმავე წლის იანვრის მონაცემებთან შედარებით სახელმწიფო საგარეო ვალი 215 მილიონი დოლარით გაიზარდა(ეროვნულ ვალუტაში - 1,89 მილიარდი ლარით). თუ დავაჯამებდით საქართველოს შიდა და საგარეო ვალის მოცულობას ჯამში 33,49 მილიარდ ლარი იქნებოდა. ამ მდგომარეობით სახელმწიფო ვალი მშპ-ს 60%-ს აღემატება და 2021 წლის მოსალოდნელი მშპ-ის, ანუ 53,4 მილიარდი ლარის 62.7%-ს შეადგენდა. 2022 წლის მარტის მონაცემებით კი 8 მილიარდი $ კვლავ რჩება. ჩვენს სახელმწიფოს საგარეო ვალის გარდა შიდა ვალიც აქვს, რომელიც სრულად ლარში არის ნომინირებული, რომელსაც მთავრობა იღებს სახაზინო ობლიგაციებისა და ვალდებულებების გამოშვების გზით. მთლიანად 2022 წლის სახელმწიფო ვალი 31 მილიარდ ლარსაც კი აჭარბებს. საგარეო ვალი ყველაზე დიდი რაოდენობით გვაქვს: მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკიდან; აზიის განვითარების ბანკიდან (ADB0); ევროპის საინვესტიციო ბანკიდან (EIB); გერმანიიდან (KFW) და საფრანგეთიდან(AFD). რაც შეეხება შიდა ვალს აქ ყველაზე მეტად სახაზინო ფასიანი ქაღალდები სჭარბობს. საქართველოს მდგომარეობა სახელმწიფო ვალებთან მიმართებაში, საკმაოდ დამძიმდა კოვიდ პანდემიის დროს. რომ შევხედოთ 2020 წელს ნოემბერში, კორონავირუსის ფონზე, 1 წელში, საქართველოს საგარეო ვალი $1,571 მილიარდით გაიზარდა. როგორც ექსპერტები ამბობდნენ, საგარეო ვალის ზრდის ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდებოდა, და ეს ასეც მოხდა. დადებითად შეგვიძლია შევაფასოთ 2022 წლის მარტის საგარეო ვალის შემცირება, თუმცა შიდა ვალის ზრდის გამო საერთო სახელმწიფო ვალების შედაებისას იკვეთება, რომ 2022 წლის მარტს მთლიანი სახელმწიფო ვალი მაინც აღემატება 2021 წლის ბოლოს მონაცემს.

საბოლოო ანალიზის დროს არ უნდა ვუარყოთ ის ტენდეცია, რომ გრანტებს უფრო და უფრო ფარავს სხვა შემოსავლები, რაც კიდევ ერთხელ მუთითებს იმას, რომ საქართველოს ბიუჯეტის შემოსავალი უფრო დამოუკიდებელი ხდება უცხოური გრანტების კუთხით. შეგვიძლია არსებული ტენდეცია დადებითად აღვიქვათ, ვინაიდან გრანტებზე საციცოხლოდ დამოკიდებულება დამახასიათებელია ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოებისთვის. უპრეცენდენტოდ მნიშვნელოვანია საბიუჯეტო ხარჯების დაფარვის დროს გამოყენებული სესხების მნიშვნელობა, რომელსაც სახელმწიფო იღებს როგორც საერთაშორისო პარტნიორებიდან ასევე მისი ქვეყნის შიგნით.

უნდა გვახსოვდეს, რომ გადასახადების ზრდის გზით ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება სერიოზულ ზიანს აყენებს და ძირს უთხრის ქვეყანაში შრომისა და მეწარმეობის სტიმულებს, რაც კიდევ უფრო აფერხებს ეკონომიკურ ზრდას, ხოლო ფულის დამატებითმა ემისიამ შეიძლება ეკონომიკაზე მძლავრი ინფლაციური

[29] ცხრილი 6 - აგებულია ავტორის მიერ შემდეგი მასალის გამოყენებით: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო https://mof.ge/saxelmwifo_sagareo_valis_statistika

ზეწოლა მოახდინოს. ამრიგად, რჩება მხოლოდ ერთი - ვალის აღება და ალბათ არც არის გასაკვირი, რომ სამთავრობო ხარჯების დასაფინანსებლად ამ გზას მიმართავენ.

ვფიქრობთ, რომ საქართველო უახლოეს მომავალში მსგავსი ოდენობის ვალდებულებას ვეღარ აიღებს. დონორებმა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა შესაძლოა შეწყვიტონ დაფინასება, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგებში საპროგნოზო მაჩვენებელი სტაბილურიდან უარყოფითისკენ შეიცვალა. რაც უფრო მაღალია საკრედიტო რისკი და უარყოფითია პროგნოზი, მით მაღალია საპროცენტო განაკვეთი ქვეყნისთვის გაცემულ სესხებზე. რეიტინგის გაუარესება ინვესტიციების შემცირებასა და უცხოეთიდან მოზიდული კაპიტალის გაძვირებაში აისახება, რაც, თავის მხრივ, ქვეყანაში ფულის გაძვირებას იწვევს და შედეგად თითოეული ადამიანისთვის სესხებზე საპროცენტო განაკვეთის ზრდას. საქართველო განვითარებად ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება. იმისთვის, რომ ქვეყანამ უზრუნველყოს ახალი პროექტები და ამ პროექტების წარმატებული განვითარება, ხშირად საჭიროა გარკვეული გზებით სახსრების მოზიდვა. სამწუხაროდ, ძალიან ბევრ შემთხვევაში, სხვა გზა არ რჩება და ქვეყანას უწევს ახალი ვალების აღება. ამ სიტუაციის კარგი მაგალითია გახლავთ კორონავირუსის პანდემიის პერიოდი. მთელი წლის განმავლობაში ქვეყანაში ინდუსტრიების დიდი ნაწილის მუშაობა შეჩერებული იყო. შესაბამისად, არსებულ გამოწვევებთან გამკლავებისთვის ქვეყანას მოუწია ახალი ვალების აღება.

როგორც ვახსენეთ - "სახელმწიფო წარმოადგენს ბაზრის ნეგატიური შედეგების აღმომფხვრელ ინსტრუმენტს". საბაზრო ეკონომიკას დამოუკიდებლად არ შეუძლია მსგავსი ღონისძიებების გატარება. ქვეყნის ბიუჯეტის სიდიდის სტრუქტურიზაცია დამოკიდებულია მთლიანი შიდა პროდუქტის სიდიდეზე - ანუ პირდაპირ მიმბულია ეკონომიკურ აქტიურობაზე. სწორედ ამიტომ ახალი საგარეო ვალების აღების საპირისპიროდ საქართველომ უნდა შეძლოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რომლებიც ქვეყანაში ახალ შესაძლებლობებს აჩენს. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და ფინანსური სექტორის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია, რომ უზრუნველყოფილი იყოს ბიუჯეტის შემოსავალების მიღების გამართული სისტემა. ქვეყანას პრიორიტეტულად განსაზრვრული უნდა ჰქონდეს საგადასახადო სისტემის გამართული ფუნქციონირება. იმისათვის, რომ საქართველო ერთ-ერთი ძლიერი იყოს დახვეწილი საგადასახადო სისტემით, საჭიროა უფრო მეტი ცვლილებები გატარდეს, რომლებიც გადასახადების გადამხდელებს უფრო მეტ სტიმულს მიცემს ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულობაში. ანუ გადასახადები უნდა იყოს დიფერენცირებული - გადამხდელებზე მორგებული.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. „საჯარო ფინანსები" - ამირან ჯიბუტი, რევაზ კაკულია, ლელა ბახტაძე. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი 2009
2. „საჯარო ფინანსების ადმინისტრირება ლექციების კურსი" - პაატა კლდიაშვილი, გიგა გიორგაძე - გამოცემა ქუთაისი 2014
3. „ეკონომიკის პრინციპები" -გრეგორი მენქიუ (თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე", 2000)
4. William H. Greene – (Econometrics analysis, New York University, 2012წ)
5. https://old.rs.ge/4771
6. https://www.finedu.gov.ge/ge/sakartveloshi-mokmedi-gadasakhadebi-1
7. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp
8. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba
9. https://www.mof.ge/5259
10. http://geoeconomics.ge/?p=13587

8	თემის დასახელება	**საბალანსო და კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდები საბაჟო სტატისტიკაში**
	სტუდენტი	**გელაშვილი მარიამი**
	საბაკალავრო პროგრამა	ეკონომიკა, IV კურსი
	ხელმძღვანელი	**ახვლედიანი ნონა**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი

9	თემის დასახელება	**საქონელ მოძრაობის მაკრო მაჩვენებლები, საქონელ ბრუნვა და სასაქონლო მაჩვენებლები**
	სტუდენტი	**წიქორიძე დავითი**
	საბაკალავრო პროგრამა	ეკონომიკა, IV კურსი
	ხელმძღვანელი	**ახვლედიანი ნონა**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი

შესავალი

სავაჭრო საქმიანობას, რომელიც მთლიანად მოიცავს საქონელმოძრაობასა და საქონელბრუნვასთან დაკავშირებულ პროცესებს, მაჩვენებელთა საერთო სისტემა გააჩნია, რომელშიც გაერთიანებულია როგორც მაკრო, ისე მიკრომაჩვენებლები. ისინი დაკავშირებულია ერთმანეთთან და ქმნიან მაჩვენებელთა იერარქიულ სისტემას.

სავაჭრო საქმიანობისა და საერთოდ, ბაზრის სტატისტიკის მთავარ მაჩვენებელს საქონელბრუნვა წარმოადგენს.

საქონელბრუნვის მაჩვენებელი გამოიყენება ბაზრის კონიუნქტურის შესაფასებლად, სასაქონლო მასის მოცულობის გასაზომად, სავაჭრო ფირმის ზომის განსაზღვრისათვის, სავაჭრო ფირმის ფულადი ამონაგების მაჩვენებლად და მისი ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის დასადგენად.

ის გვიჩვენებს მყიდველების მიერ საქონლის შეძენაზე დახარჯული ფულის ზომას და მოხმარებული სასაქონლო მასის მოცულობას. გარდა ამისა, საქონლის გაყიდვის მაჩვენებლები გამოიყენება წონებად ფასების ინდექსების გაანგარიშებისას.

ამრიგად, საქონელბრუნვა წარმოადგენს მრავალმხრივ მაჩვენებელს, რომელსაც მაკროეკონომიკურ დონეზე, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური მნიშვნელობა აქვს.

ასევე შეიძლება ითქვას, რომ საქონელბრუნვა რეალიზებული ფასების ჯამობრივი მაჩვენებელია, რომელსაც საფუძვლად უდევს სამი ძირითადი ფასწარმომქმნელი ელემენტი: საქონლის წარმოების დანახარჯები, მიმოქცევის სფეროში (გაყიდვაზე) გაწეული დანახარჯები და საქონელმოძრაობის ყველა დონეზე მიღებული მოგება.

რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში, ყველა ამ დანახარჯის გადახდა ხდება მომხმარებლის მიერ, ამიტომ საქონელბრუნვის მოცულობა შეიძლება მიჩნეულ იქნეს დაკმაყოფილებული მოთხოვნის მოცულობად.

საქონელბრუნვა ძირითადად იზომება ღირებულებით ერთეულებში, რაც არ გამორიცხავს მის გაზომვას ნატურალურ ან პირობით-ნატურალურ ერთეულებში.

წმინდა საქონელბრუნვა

საქონელბრუნვის რეალური მოცულობის დასადგენად, რომელიც გაივლის მთლიან გზას მწარმოებლიდან მომხმარებლამდე, გაიანგარიშებენ მაჩვენებელს. რომელიც გამორიცხვას განმეორებით აღრიცხვას და მას უწოდებენ **წმინდა საქონელბრუნვას.**

წმინდა საქონელბრუნვაში იგულისხმება საქონლის საბოლოო, განუმეორებადი (განუახლებადი) გაყიდვა.

საბოლოო გაყიდვა ნიშნავს, რომ საქონლის მოცემული პარტია მეტად აღარ გაიყიდება. იმის გამო, რომ წმინდა საქონელბრუნვა გათავისუფლებულია განმეორებითი აღრიცხვისაგან, ის წარმადგენს საქონელბრუნვის სტატისტიკის მთავარ შეფასებით და საბაზო მაჩვენებელს.

წმინდა საქონელბრუნვა გამოიყენება სავაჭრო (გამსაღებელი) ფირმის (ორგანიზაციის) კომერციული საქმიანობის შედეგების შესაფასებლად, მისი ზომის დასადგენად, მიმოქცევის დანახარჯების გასაანგარიშებლად და რენტაბელობის დონის განსაზღვრისათვის.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ფირმების მიერ ერთმანეთისათვის საქონლის მიყიდვა თითოეულისათვის იქნება წმინდა საქონელბრუნვა, მაგრამ ფირმების მთელი ერთობლიობისათვის იგი მთლიანი (საბითუმო) საქონელბრუნვაა.

გაყიდვების ასეთი საერთო ჯამი განმეორებითი აღრიცხვის შედეგადაა მიღებული, ამიტომ მონაცემების შეკრებისას იგი უნდა გამოირიცხოს.

ყოველივე აღნიშნული შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სქემის სახით გაანგარიშებათა გაადვილების მიზნით, მხედველობაში არ მიიღება შესაძლო დანაკარგების მოცულობა, საქონლის ფასის ცვლილება და ეროვნული ვალუტის ინფლაცია.

საქონელმოძრაობის რგოლურობის კოეფიციენტი



როგორც სქემიდან ჩანს, საქონელმოძრაობის მთელი სისტემისათვის საქონელბრუნვის მოცულობა შეადგენს 300 მლნ ლარს. პირველ არხზე მთლიანი საქონელბრუნვა უდრის 180 მლნ ლარს (60+60+60=180), ხოლო წმინდა საქონელბრუნვა შეადგენს 60 მლნ ლარს.

მეორე არხზე მთლიანი საქონელბრუნვა უდრის 120 მლნ ლარის ტოლია (80+20+20=120), ხოლო წმინდა საქონელბრუნვა უდრის 20 მლნ ლარს.

ამასთან, მთლიანი წმინდა საქონელბრუნვის მოცულობა არ არის ტოლი საქონელმოძრაობის ცალკეული არხის (ორი არხი) წმინდა საქონელბრუნვის მოცულობის ჯამის, ანუ 140 მლნ ლარის (80+60=140), რადგან საბითუმო საშუამავლო ფირმის მიერ წვრილ საბითუმო ფირმაზე მიყიდული საქონელი 60 მლნ ლარის მოცულობით სისტემაში მოცემული მთელი ვაჭრობისათვის წარმოადგენს შიდა საქონელბრუნვას და განმეორებითაა აღრიცხული, წმინდა საქონელბრუნვა კი უდრის საბოლოო გაყიდვას (რომელიც ამ შემთხვევაში მოსახლეობის მიერ მოიხმარება) და შეადგენს 80 მლნ ლარს (20+60=80).

ამავე შედეგს მივიღებთ, თუ ზემოთ გაანგარიშებულ ორივე არხის წმინდა საქონელბრუნვათა ჯამიდან გამოვრიცხავთ განმეორებით აღრიცხვას. კერძოდ, 140-60=80 მლნ ლარს.

მაშასადამე, რეალური ან წმინდა საქონელბრუნვის მოცულობის დასადგენად მთავარია საქონლის ხელახალი გაყიდვის რიცხვის დადგენა, ანუ საქონელმოძრაობის რგოლურობის კოეფიციენტის გაანგარიშება.

საქონელმოძრაობის რგოლურობის კოეფიციენტი განისაზღვრება მთლიანი საქონელბრუნვის შეფასებით წმინდა საქონელბრუნვასთან.

ეს დამოკიდებულება შეიძლება გამოისახოს შემდეგი ფორმულით:

$$C_{\text{რგ.}} = \frac{Q_{\text{მთ.}}}{Q_{\text{წმ.}}},$$

სადაც C -არის საქონელმოძრაობის რგოლურობის კოეფიციენტი;

$Q_{\text{მთ.}}$ - მთლიანი საქონელბრუნვის მოცულობა;

$Q_{\text{ჯმ.}}$ - წმინდა საქონელბრუნვის მოცულობა.

ჩვენს მაგალითში საქონელბრუნვის რგოლურობის კოეფიციენტი პირველი არხისათვის უდრის:

$$C_{\text{რგ.}} = \frac{180}{80} = 2{,}25 \text{ რგოლს.}$$

მეორე არხისათვის რგოლურობის კოეფიციენტი ტოლია:

$$C_{\text{რგ.}} = \frac{120}{80} = 1{,}5 \text{ რგოლს.}$$

მთელი სისტემისათვის (ორივე არხისათვის0 საქონელმოძრაობის რგოლურობის საშუალო კოეფიციენტი შეადგენს:

$$C_{\text{საშ}} = \frac{180+120}{80} = \frac{300}{80} = 3{,}75 \text{ რგოლს.}$$

სასაქონლო მარაგის ცვლილება

პრაქტიკული მიზნებისათვის, საქონელმოძრაობის რგოლურობის კოეფიციენტის გაანგარიშებისას, აუცილებელია **სასაქონლო მარაგის ცვლილების გათვალისწინება.** კერძოდ, სასაქონლო მარაგის გადიდების შემთხვევაში მატების მოცულობა (თანხა) ემატება რგოლურობის კოეფიციენტის მრიცხველს და მნიშვნელს, ხოლო სასაქონლო მარაგის შემცირებისას - შემცირების მოცულობა (თანხა) გამოაკლდება აღნიშნული კოეფიციენტის მრიცხველსა და მნიშვნელს. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ თუ მარაგის ცვლილება მოხდა არა საცალო, არამედ საბითუმო რგოლში, მაშინ შესწორება შეტანილ უნდა იქნეს კოეფიციენტის მხოლოდ მრიცხველში.

სავაჭრო საქმიანობის ანალიზისას არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ხარისხობრივი მიკრომაჩვენებლის გაანგარიშებას, როგორიცაა: **საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურა,** რომლის დროსაც ჯერ გაიანგარიშება, ხოლო შემდეგ ანალიზდება ცალკეპული საქონლის ან სასაქონლო ჯგუფის (ერთგვაროვნების მიხედვით) ხვედრითი წონა გაყიდვის მთლიან მოცულობაში,

საქონელბრუნვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია **საქონელბრუნვის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე.** ის გაიანგარიშება მოცემულ პერიოდში (ჩვეულებრივ წელიწადში) საქონელბრუნვის მოცულობის შეფარდებით ქვეყნის (რეგიონის) მოსახლეობის საშუალო (საშუალოწლიურ) რაოდენობასთან. ეს დამოკიდებულება შეიძლება გამოისახოს ფორმულით:

$$Q_{\text{მცხ.}} = \frac{Q_{\text{საც.}}}{N_{\text{მ.}}},$$

სადაც $Q_{\text{მცხ.}}$ არის საქონელბრუნვის მოცულობა ერთ მცხოვრებზე;

$Q_{\text{საც.}}$ - საცალო საქონელბრუნვის მოცულობა;

$N_{\text{მ.}}$ - მოსახლეობის საშუალოწლიური რაოდენობა.

საქონელბრუნვადობა

სავაჭრო საწარმოში, მართალია, განუწყვეტლივ ხდება საქონლის წრებრუნვა, მაგრამ ეს პროცესი ხორციელდება ისე, რომ კომერციულ (სავაჭრო) ფირმაში მუდმივადაა შენარჩუნებული საქონლის განსაზღვრული გარდამავალი მარაგი, რომლის მოცულობაც შეიძლება მერყეობდეს სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედების გამო. სწორედ ამ პროცესს ეწოდება **საქონელბრუნვადობა,** რომლის შეფასებაც შეიძლება მოხდეს ორი ძირითადი მაჩენებლის მიხედვით.

პირველი მაჩვენებელია **საქონელბრუნვადობის სიჩქარე,** რომელიც გვიჩვენებს, თუ მოცემულ პერიოდში რამდენჯერ ხდება სასაქონლო რესურსების განახლება, ანუ რამდენი ბრუნვაა შესრულებული ამ პერიოდის მანძილზე. ის გაიანგარიშება განსაზღვრულ პერიოდში წმინდა საქონელბრუნვის მოცულობის შეფარდებით ამავე პერიოდში საშუალო სასაქონლო მარაგის მოცულობასთან:

$$W = \frac{Q}{Z_{\text{საშ.}}}$$

საქონელბრუნვის მეორე მაჩვენებელია **ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში,** ანუ დღეების ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა (დაიხარჯა) ერთი ბრუნვის გაკეთებაზე. ის გაიანგარიშება მოცემულ პერიოდში საქონელბრუნვის მოცულობის გაყოფით საქონელბრუნვის სიჩქარეზე, ანუ ბრუნვათა რიცხვზე:

$$V = \frac{Q}{W}$$

სადაც V არის ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში (მოცემულ პერიოდში);

Q - საქონელბრუნვის მოცულობა მოცემულ პერიოდში (ლარი);

W - ბრუნვათა რიცხვი მოცემულ პერიოდში.

სხვანაირად, მეორე მაჩვენებელს ეწოდება **სასაქონლო მიმოქცევის დრო, ანუ საქონლის მიმოქცევის დრო** (V). ის აღნიშნავს დღეთა იმ რაოდენობას, რომლის განმავლობაშიც საქონელი იმყოფება სასაქონლო მიმოქცევის სფეროში და გაიანგარიშება მოცემული პერიოდის სასაქონლო მარაგის საშუალო მოცულობის შეფარდებით ამავე პერიოდის ერთდღიური საქონელბრუნვის მოცულობასთან:

$$V = \frac{\overline{Z}}{q} = \frac{\overline{Z}}{Q} t$$

დასკვნა

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქონელბრუნვა ყიდვა-გაყიდვის აქტების ერთობლიობაა.

იმის გამო, რომ საქონელბრუნვა წარმოადგენს სინთეზურ მაჩვენებელს, მისი ანალიზი შეიძლება გაკეთდეს შემადგენელი სტრუქტურული ერთეულების მიხედვით. კერძოდ, ქვეყნის მასშტაბით საქონელბრუნვა შეიძლება გაანალიზდეს ტერიტორიულ ჭრილში - მსხვილი რეგიონების, ქალაქებისა და რაიონების, ასევე გაყიდული საქონლის დანიშნულების ან სხვა ნიშნის მიხედვით.

ამ მხრივ გამოყოფენ წარმოების საშუალებათა საქონელბრუნვას, მოხმარების საგნების საქონელბრუნვასა და მომსახურების გაყიდვას. ასევე გამოიყოფა სახელმწიფო და მუნიციპალური ფირმებისა (ორგანიზაციების) და ეკონომიკის კერძო სექტორის ფირმების საქონელბრუნვა ცალკე შეიძლება გაანალიზდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვასა და კერძო გაყიდვის მოცულობა და ა.შ.

10	თემის დასახელება	**საჯარო ფინანსების მართვის გამოწვევები საქართველოში**
	სტუდენტები	**ბენიძე ნათია, ბენიძე მაია**
	საბაკალავრო პროგრამა	ეკონომიკა, III კურსი
	ხელმძღვანელი	**ღავთაძე გიორგი**, აწსუ-ს პროფესორი

In modern conditions, the importance of public finance management is immeasurably high, as it has a direct impact on the life of each citizen and the economic stability of the country as a whole. Therefore, the management of public finances is ensured by the state in order to increase the priority areas and social expenditures with the budget, as well as to stimulate the country's economy and maintain the country's fiscal stability.

თანამედროვე პირობებში განუზომლად მაღალია საჯარო ფინანსების მართვის მნიშვნელობა, ვინაიდან ის უშუალო გავლენას ახდენს თითოეული მოქალაქის ყოფაცხოვრბაზე და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზე. გამომდინარე აქედან, მუდმივად ვითარდება და უმჯობესდება საჯარო ფინანსების ეფექტური მართვისთვის გამოყენებული მეთოდები და სულ უფრო და უფრო ფართოდ გამოიყენება მართვის პროცესში აპრობირებული მიდგომები, რათა მიღწეული იქნეს საჯარო ფინანსების მართვის ეფექტურობის უფრო მაღალი დონე. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ მუდმივად იზრდება იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც ინტერესდებიან საჯარო ფინანსების, მათ შორის საბიუჯეტო საკითხებით, ცდილობენ მათში გარკვევას და გამოთქვამენ სურვილს ჩაერთონ საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც უთუოდ მისასალმებელი ტენდენციაა.

საჯარო ფინანსების მართვას სახელმწიფო იმისთვის უზრუნველყოფს, რომ ბიუჯეტით ხორციელდებოდეს პრიორიტეტული სფეროებისა და სოციალური ხარჯების ზრდა, ასევე ხელი შეეწყოს ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებას და შენარჩუნდეს ქვეყნის ფისკალური სტაბილურობა.

ფინანსები ეს არის ორგანიზებული ფულადი ურთიერთობა, რომელის მეშვეობითაც ხდება ეკონომიკის სექტორებს შორის ეროვნული შემოსავლის განაწილება და გადანაწილება. ფინანსების ეფექტური მართვა უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიზნებისა და ვალდებულებების რეალიზებასა და ეკონომიკის სტაბილურ ზრდას. შესაბამისად, ქვეყნის ეროვნული შემოსავალის განაწილება-გადანაწილება ეკონომიკის სუბიექტებს შორის სწორედ ფინანსების გამოყენებით ხდება.

საჯარო ფინანსების მართვა ძალიან რთული ამოცანაა, თუმცა თანამედროვე პირობებში ფინანსების მართვის საფუძვლიანი შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის რომ მოხდეს: ფულადი სახსრების ეფექტიანი მართვა; ბიზნესსში წარმატებული საქმიანობის უზრუნველყოფა; სახელმწიფო მმართველობაში ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებას და ეკონომიკურ ზრდას.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, საჯარო ფინანსების მართვა ეს არის სახელმწიფოს მიზანმიმართული საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების ეფექტიან მობილიზაციასა და გამოყენებას. საჯარო ფინანსების მართვა კი სპეციალური ორგანიზაციული სტრუქტურების მიერ ხორციელდება.

საჯარო ფინანსების მართვა ძირითადად მოიცავს 4 ფუნქციონალურ ელემენტს. (იხ.დიაგრამა N1)

დიაგრამა N1

საჯარო ფინანსების მართვის ფუნქციონალური ელემენტები



საჯარო ფინანსების მართვა მოიცავს ისეთი საქმიანობის განხორციელებას როგორიცაა:

- *სახელმწიფოს მიერ საერთო ფინანსური პოლიტიკის განსაზღვრა და გატარება;*
- *ფინანსური დაგეგმვა და კოორდინაცია;*
- *ფინანსების გამოყენება ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ინტერესების შესაბამისად;*
- *ფინანსური კანონმდებლობის დამუშავება, ბიუჯეტის შედგენა-შესრულება;*
- *გადასახადების ამოღება, სახელმწიფო სესხების გამოშვება;*
- *სახელმწიფო ვალების მართვა.*

საჯარო ფინანსების მართვა ხორციელდება სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული ფინანსური კანონმდებლობის მიერ და მოიცავს:

- *ქვეყნის ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცების, შესრულებისა და შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშის მოსმენა-დამტკიცების პროცესებს;*
- *საგადასახადო პოლიტიკისა და გადასახადების შეცვლას ან ახლის შემოღებას;*
- *სახელმწიფო ვალის ზრდის ზღვრის დადგენას და სხვა სახელმწიფო ფინანსური ურთიერთობების მოწესრიგებას.*

ქვეყნის ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების ფინანსთა სამინისტროსთან ერთად საჯარო ფინანსების მართვის მნიშვნელოვანი ორგანიზაციული სტრუქტურებია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამინისტროები.

საჯარო ფინანსების მართვა სისტემურ სრულყოფას განიცდის, იგი დიდად არის დამოკიდებული საფინანსო აპარატის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე; საფინანსო მუშაკების კვალიფიკაციაზე, პასუხისმგებლობასა და დისციპლინაზე; იმ ფორმებსა და მეთოდებზე რომლებიც გამოიყენება საჯარო ფინანსების მართვის პროცესში.

რეფორმები საჯარო ფინანსების მართვის სფეროში მოიცავს შემდეგ 5 პრიორიტეტულ მიმართულებებას. (იხ.დიაგრამა N2)

დიაგრამა N2

რეფორმები საჯარო ფინანსების მართვის სფეროში

სახელმწიფოს საჯარო ფინანსების მართვის სრულყოფისათვის 2021 წლისთვის არსებული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები მდგომარეობს შემდეგში და ფინანსთა სამინისტროს და სხვა ფიზიკური ერთეულების სტრატეგიული ჩარჩო მოიცავს:

⇒ *პოლიტიკის თითოეული სფეროს სტრატეგიული მიმართულებებსა და ამოცანებს;*
⇒ *2021 წლისთვის დასახულ მიზნებს;*
⇒ *დოკუმენტებს საერთაშორისო პრაქტიკიდან, როგორიცაა PEFA, TATAD, PIMA და ა.შ.*
⇒ *საბაზისო მაჩვენებელებს;*
⇒ *მიზნობრივ მაჩვენებელებს 2021 წლისთვის;*
⇒ *შესაძლო რისკების განსაზღვრას;*
⇒ *დადასტურების წყაროს;*
⇒ *შენიშვნებს.*

ფინანსთა სამინისტროს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია მოიცავს რვა თემატურ მიმართულებას:

1) *ბიუჯეტირება;*
2) *მთავრობის ვალის მართვა;*
3) *ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება;*
4) *საგადასახადო და საბაჟო საკითხები;*
5) *მაკროეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკა;*
6) *ფისკალური რისკები;*
7) *სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი;*
8) *ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობა.*

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2021-2024 წლებისთვის“ თანახმად საჯარო ფინანსების მართვის სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის დაგეგმილია ისეთი პროგრამების შემუშავება და განხორციელება როგორიცაა:

• მაკროეკონომიკური პროგნოზირების მეთოდოლოგიის დახვეწა;
○ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება;
⇒ სახელმწიფო ფინანსების მართვა და ფისკალური წესების შემდგომი რეგულირება სტაბილური ფისკალური პარამეტრების მიღწევისთვის საერთაშორისო დონეზე აღიარებული საუკეთესო გამოცდილების შესაბამისად;
• საჯარო ფინანსების მართვის რეფორმების შემდგომი ეტაპების დაგეგმვა საბიუჯეტო პროცესის, ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების განვითარებისთვის;
→ საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის სრულყოფილად განხორციელება განახლებული გზამკვლევისა და მეთოდოლოგიის შესაბამისად;
➢ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად ელექტრონული სისტემის – ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და საზოგადოების ჩართულობის სისტემის (ebtps.mof.ge – Budget Transparency and Participation System) დანერგვა;
▪ ფისკალური რისკების შეფასებისა და ანალიზის სისტემის დანერგვა;
✚ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა, შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება; ✚ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაცია;

- ❖ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის სრულყოფა, შიდა აუდიტის სუბიექტების საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირება;

- ➲ დამატებითი საინვესტიციო რესურსების მოზიდვის პარალელურად, მთავრობის ვალის მდგრადობის შენარჩუნება როგორც საშუალოვადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში;
- ➲ ინტეგრირებული, საინფორმაციო სისტემის – სახელმწიფო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის (PFMS) შემუშავება.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია ეფუძნება საჯარო ფინანსების მართვაში მანამდე უკვე განხორციელებულ წარმატებულ ცვლილებებს, რომელიც ადგენს საბიუჯეტო პროცესის მართვის კუთხით დაგეგმილ ძირითად რეფორმებს.

საქართველოში საჯარო ფინანსების მართვის რეფორმების ფარგლებში დღემდე გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები შეჯამებულია შემდეგნაირად:

- ➢ *მნიშნელოვანი პროგრესი აღინიშნება შემოსავლების ადმინისტრირებისა და ბუღალტრული აღრიცხვის თვალსაზრისით.*
- ➢ *მნიშვნელოვანი პროგრესია საჯარო ფინანსების გამჭვირვალობის თვალსაზრისით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;*
- ➢ *დამკვიდრდა ფისკალური დისციპლინა და ფისკალური წესები;*
- ➢ *განხორციელდა საგადასახადო პოლიტიკის შთამბეჭდავი რეფორმა;*
- ➢ *განვითარდა საწარმოების აგრეგირებული ფისკალური რისკის შეფასების შესაძლებლობები და გაუმჯობესდა საჯარო სექტორის ფინანსური ზედამხედველობა.*
- ➢ *მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე*

ყოველივე ზემოაღნიშნულს ადასტურებს სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების შედეგები. საქართველოს შეფასება 24 ქვეყნის საშუალო შეფასებასთან შედარებით უფრო მაღალია 31 ინდიკატორიდან 29 ინდიკატორის შემთხვევაში.

ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში მომზადებული საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების ანგარიშში ფისკალური გამჭვირვალობის კოდექსის საფუძველზე სამი ძირითადი მიმართულებით - ანგარიშგება, ფისკალური პროგნოზირება და ბიუჯეტირება და ფისკალური რისკების ანალიზი და მართვა - შეფასდა 36 ინდიკატორი, საიდანაც 18 ინდიკატორი შეფასდა როგორც საუკეთესო ან კარგი.

გატარებული რეფორმების შედეგად, „ბიუჯეტის „გამჭვირვალობის კვლევა 2019“-ის შედეგებით, საქართველომ 81 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 117 ქვეყანას შორის. აღნიშნული პოზიციით, საქართველო მოექცა სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში 2017 წელს განხორციელებული კვლევის შედეგებთან შედარებით ეს მონაცემი გაზრდილია 74 ქულიდან 81 ქულამდე.

მიუხედავად წინა რეფორმების შთამბეჭდავი მიღწევებისა, სისტემის სტაბილური და ეფექტური ფუნქციონირების თვალსაზრისით ჯერ კიდევ არის გადასადგმელი ნაბიჯები, არსებობს სუსტი მხარეები, რომლებიც 2018 წლის ცენტრალური მთავრობის და მუნიციპალიტეტების PEFA-ს შეფასებებით გამოვლინდა.

გამოიკვეთა მიმართულებები, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ გაუმჯობესებას:

- → *სახელმწიფო აქტივების მართვა;*
- → *სახელმწიფო ინვესტიციების მართვა;*
- → *წლიური ფინანსური ანგარიშები;*
- → *ხარჯების ბიუჯეტირება საშუალოვადიან პერსპექტივაში;*
- → *ანგარიშგება ფისკალური რისკების შესახებ.*

ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე გამოვლენილი სუსტი მხარეებია:

ვალის მართვა; აუდიტის ანგარიშების საკანონმდებლო შეფასება, როგორც პარლამენტში, ისე საკრებულოში; შესყიდვები;

მხოლოდ ცენტრალური მთავრობის დონეზე გამოვლენილი სუსტი მხარეებია:

შემოსავლების ადმინისტრირება: შემოსავლების დავალიანების მონიტორინგი და ისტორიული დავალიანება.

მხოლოდ ადგილობრივი მთავრობის დონეზე გამოვლენილი სუსტი მხარეებია:

→ *სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემული ტრანსფერები:*

→ *ბიუჯეტის მომზადების პროცესი:*

→ *გარე აუდიტი:*

→ *ინფორმაცია სერვისების გაწევის ეფექტიანობის შესახებ:*

→ *ვალების მართვა:*

→ *შემოსავლების შესრულება:*

→ *ხარჯების შესრულების სტრუქტურა:*

საბოლოო სახით საჯარო ფინასების მართვის სისტემის გაუმჯობესება მიზნად უნდა ისახავდეს ისეთ პრიორიტეტული მიმართულებების სრულყოფასა და გაუმჯობესებას როგორიცაა: (იხ. დიაგრამა N3)

დიაგრამა N3

საჯარო ფინანსების მართვის პრიორიტეტული მიმართულებები



დასკვნის სახით რომ ვთქვათ, საჯარო ფინანსების მართვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, საჭიროა, რომ იმ ღონისძიებებმა რომელიც მიმართულია ბიუჯეტირების სრულყოფაზე, უზრუნველყონ სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანი მართვა და მათი ხარჯვის მეტი გამჭირვალობა, საჭირო რესურსების მობილიზება სხვადასხვა სექტორის განვითარებისა და ფისკალური მდგრადობის შენარჩუნების მიზნით და სოციალური ვალდებულებების დაფარვის პარალელურად, ეკონომიკის ზრდის ხელშემწყობი ფისკალური პოლიტიკის გატარება. ყოველივე ეს კი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც ეფექტიანი ინსტრუმენტი ფისკალური სტაბილურობის მისაღწევად.

არსებული ვითარების გათვალისწინებით, აუცილებელია, ასევე, რომ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ვალის პორტფელის მდგრადობა სახელმწიფო ვალის ფორმირებისას. საგარეო ვალის მოცულობის რეგულირების მიზნით, სასურველია გააქტიურდეს მაჩვენებელთა მრავალფეროვანი სისტემა, რომელიც ვალის ზღვრული მოცულობის კონტროლის საშუალებას მოგვცემს, მაგალითად: მოსახლეობის 1 სულზე ვალის მოცულობა, ბიუჯეტის შემოსავლებში ვალით მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი, ვალის მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი ხარჯების მთალინ მოცულობაში და ა.შ.

არსებითი მნიშვნელობის მატარებელია ძირეულ რგოლებში სიახლეების დანერგვაც. მიზნაშეწონილია შემუშავდეს მეთოდოლოგიური მითითებები მხარჯავი დაწესებულებებისათის, რაც დაეხმარება პროგრამული ბიუჯეტის მომზადებაში ეფექტიანი მართვის უზრუნველაყოფად და ამ მიდგომების სრულად დასანერგად.

აუცილებელია გაგრელდეს მუშაობა ბიუჯეტის გამჭირვალობისა და ინფორმაციულობის გაზრდის კუთხით და საქართველოს მოქალაქეებისათვის ყველა საინტერესო და საჭირო ინფორმაციის მარტივი ფორმით მიწოდება.

ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ როგორც შიდა, ისე გარე კონტროლისა და აუდიტის მექანიზმების დახვეწა, ჯერ კიდევ რჩება საჯარო ფინანსების მართვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად. აუცილებელია შემუშავდეს და დაინერგოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმები, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს პასუხისმგებლობას საჯარო ფინანსების მართვის მთლიან სისტემაში.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები:

1. ა. ჯიბუტი, რ. კაკულია, ლ. ბახტაძე - საჯარო ფინანსები თბილისი 2009 წელი
2. ი.ქედელიძე - თანამედროვე საქართველოს ფინანსური პოლიტიკა, ხიჭაური 2020 წელი
3. მ.ვანიშვილი, ლ.ლემონჯავა - საჯარო ფიანსების მართვის სისტემა თანამედროვე საქართველოში 2018 წელი
4. მ.ვანიშვილი, ნ. ვანიშვილი - საჯარო ფინანსები, თბილისი 2017 წელი

5. მ.ჩიკვილაძე ი.არჩვაძე - საჯარო ფინანსები 2021 წელი
6. პ.კლდიაშვილი, გ.გიორგაძე - საჯარო ფინანსების ადმინისტრირება ქუთაისი 2014 წელი
7. https://mof.ge/News/8759#
8. https://mof.ge/images/File/Georgia-National-PEFA-Assessment-Report-with-PEFA-CHECK-Ge-(2)-Final-vO.pdf
9. https://mof.ge/images/File/public%20finances%20in%20Geo/georgiafiscal%20rules%20report%202018.pdf
10. https://www.mof.ge/News/9391
11. https://mof.ge/images/File/strategia/2022/15-03-2022/2022,%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90.pdf
12. https://mof.ge/images/File/strategia/2018/PFMRS-2018-2021-2606-final.pdf
13. https://mof.ge/dziritadi_monacemebi_mimartulebebi_2018_2021
14. https://mof.ge/dziritadi_monacemebi_mimartulebebi_2021_2024

11	თემის დასახელება	**საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა და განვითარების პერსპექტივები**
	სტუდენტი	**ბენიძე ნათია, ბენიძე მაია**
	საბაკალავრო პროგრამა	ეკონომიკა, III კურსი
	ხელმძღვანელი	**ძოწენიძე ციცინო**, აწსუ-ს მოწვეული სპეციალისტი, ე.ა.დ.

Today, all countries of the world are involved in international trade, because none of them can be self-sufficient and provide its own production and population only with its own production products.

The study of the essence and peculiarities of foreign trade relations is especially important in determining the level, dynamics and development trends of foreign trade events and processes, as well as in the analysis and evaluation of the current situation, both for any country and for Georgia.

საგარეო სავაჭრო ურთიერთობების არსისა და თავისებურებების შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგარეო სავაჭრო მოვლენებისა და პროცესების დონის, დინამიკისა და განვითარების ტენდენციების დადგენაში, ასევე არსებული მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საკითხებში. მოცემულ ნაშრომში განხილულია საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, გაანალიზებულია სტატისტიკური მონაცემები, შეფასებულია COVID-19 -ის გავლენა საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე.

დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში მსოფლიოს ყველა ქვეყანაა ჩართული, რადგან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ თავისი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს საკუთარი წარმოება და მოსახლეობა.

საქართველოს აქტიური ჩართულობა საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში, ჩვენი ქვეყნის წინაშე აქტიურად აყენებს ჰარმონიზაციის საკითხს ეროვნული სტანდარტების საერთაშორისო სტანდარტებთან.

დღეისათვის საქართველოში განსაკუთრებით მწვავედ დგას მთელი რიგი ეკონომიკური პრობლემები, რაც ქვეყანაში მძიმე სოციალურ ფონს ქმნის. ესენია: ინფლაცია, ფასების ზრდა, ლარის კურსის ვარდნა და ა.შ. ამ და სხვა პრობლემების მოგვარების გზების საძიებლად საჭიროა გავაანალიზოთ, რა ახდენდა გავლენას საქართველოში დოლარის კურსის მოცულობაზე. რა თქმა უნდა, დოლარზე პირველ რიგში გავლენას ახდენს ექსპორტ-იმპორტის ბალანსი.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მრავალწლიანი დინამიკა გვიჩვენებს, რომ იმპორტი რამდენჯერმე სჭარბობს ექსპორტს, რის გამოც ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობა უარყოფითი სავაჭრო სალდოთი ხასიათდება.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სხვაობა ანუ სავაჭრო დეფიციტი საგრძნობლად გაიზარდა, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახა ლარის კურსზე და ზოგადად ქვეყნის ყოველდღიურობაზე.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი ევროკავშირში ინტეგრაციაა. საქართველოს ეროვნული და სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები ქვეყანას ევროპული ინტეგრაციისაკენ უბიძგებს. საერთაშორისო ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში სტრატეგიული თვალსაზრისით საქართველოსათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ექსპორტის გაზრდისა და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის ერთ-ერთი მთავარი პირობაა, ასე რომ, საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაზრდა და ევროკავშირის ქვეყნებიდან ინვესტიციების მოზიდვაა.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება, ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით განსაზღვრული, ოთხი მიმართულების გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს უსაფრთხოებასა და თავდაცვას; ეკონომიკას,

ვაჭრობასა და ენერგეტიკას; დემოკრატიულ მმართველობასა და სამოქალაქო საზოგადოებას; ხალხთაშორის და კულტურულ კონტაქტებს.

საქართველოსათვის ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარება და განმტკიცება, რაც რათქმაუნდა ხელს შეუწყობს რეგიონში ორმხრივ ინტერესებზე დამყარებულ სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკური თანამშრომლობის გაუმჯობესებას, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამყარებას, ასევე, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში ურთიერთობების გაღრმავებას.

საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თავის სტრატეგიულ პარტნიორთან – აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელებას, პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და კულტურის სფეროებში. ქვეყნის წინაშე არსებული მიზნების მისაღწევად, მნიშვნელოვანი იქნება მხარეებს შორის ვიზიტების ურთიერთგაცვლის არსებული აქტიური დინამიკის შენარჩუნება და ძალისხმევის გააქტიურება სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის დასრულების მიზნით.

მნიშვნელოვანია მჭიდრო პარტნიორობის გაგრძელება შავი ზღვის რეგიონში საქართველოს მოსაზღვრე ბულგარეთის რესპუბლიკასთან და რუმინეთთან. მათთან ურთიერთობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რეგიონული სტაბილურობისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და სავაჭროეკონომიკურ სფეროებში თანამშრომლობას, მათ შორის სატრანსპორტო ენერგეტიკული სატრანზიტო დერეფნის განვითარებასა და ერთობლივი ეკონომიკური და საინვესტიციო პროექტების განხორციელებას.

საქართველოს მიზანი წარმოადგენს **რუსეთის ფედერაციასთან** დაძაბული ურთიერთობების დეესკალაცია და საქართველოს სუვერენიტეტის, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვეობის პატივისცემის საფუძველზე ურთიერთობების ნორმალიზაცია, რისი საწინდარიც რათქმაუნდა უნდა გახდეს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის დეოკუპაცია და მის მიერ საქართველოს ოკუპირებული რეგიონების აღიარების გაუქმება.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია კეთილმეზობლური ურთიერთობების გაგრძელება ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან, რომლის როლი ძალზედ მნიშვნელოვანია, რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონი დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური კვანძია – ამ რეგიონში განვითარებული პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები გავლენას ახდენს მთელ მსოფლიოზე. საქართველო სასიცოცხლოდაა დაინტერესებული მის უშუალო სამეზობლოში არასტაბილურობის აღმოფხვრით და მხარს უჭერს საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას გადადგას ეფექტური ნაბიჯები კონფლიქტის მოგვარებისთვის, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ძალადობის შეწყვეტისა და ადამიანთა ღირსების, უსაფრთხოების და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

საქართველო ესწრაფვის ტრადიციულად მეგობრული ურთიერთობების გაღრმავებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, რომელიც მსოფლიოს ნომერ მეორე ეკონომიკას წარმოადგენს და შედის საქართველოს სავაჭრო პარტნიორთა ხუთეულში.

ურთიერთობების პრიორიტეტული მიმართულებაა ასევე თანამშრომლობა „ახალი აბრეშუმის გზის“ პროექტის აღორძინების კუთხით, რათა სრულად იქნას გამოყენებული საქართველოს, როგორც აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი ტრადიციული სატრანზიტო დერეფნის პოტენციალი.

დიაგრამა N1-ზე კარგად ჩანს რომ 2022 წლის იანვარ-აპრილში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 5 252.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 33.4 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 1 587.5 მლნ. აშშ დოლარი იყო (32.8 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 3 665.4 მლნ. აშშ დოლარი (33.7 პროცენტით მეტი). უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2022 წლის იანვარ-აპრილში 2 077.9 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 39.6 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა N1



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka

დიაგრამა N2-ზე ჩანს რომ 2022 წლის იანვარ-თებერვალში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 78.0 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ჩინეთი (95.4 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (92.9 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (92.3 მლნ. აშშ დოლარი).

დიაგრამა N2



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka

დიაგრამა N3-ზე ჩანს 2022 წლის იანვარ-თებერვალში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 64.0 პროცენტი შეადგინა. თურქეთი (295.5 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (181.8 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (156.5 მლნ. აშშ დოლარი).

დიაგრამა N3



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka

COVID-19-მა როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო ეკონომიკაზე დიდი გავლენა მოახდინა, შესაბამისად ქვეყნის სავაჭრო ტენდენციები წინა წლებთან შედარებით საკმაოდ განსხვავებული იყო. სტატისტიკურ მონაცემებს თუ დავეყრდნობით 2019 წელთან შედარებით 2020 წლის საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდო შემცირდა, ვინადაინ პანდეემის გამო საზღვრები ჩაკეტილი იყო და შესაბამისად ვერ ხერხდებოდა დიდი რაოდენობით პროდუქტების როგორც იმპორტი, ასევე ექსპორტი, თუმცა 2021 წელს შედარებით გაუმჯობესდა პანდეემის პირობები და საზღვრებიც გაიხსნა, ამიტომ ქვეყანაში საკმაოდ დიდი რაოდენობით იმპორტი შემოვიდა რამაც უარყოფითი საგარეო ვაჭრობის სალდო, კიდევ უფრო გაზარდა.

ცხრილი N1

საქართველოს ექსპორტ-იმპორტი 2019-2022* წლის იანვარ-აპრილი მონაცემებით

(მილიონი აშშ დოლარი)

	2019	2020	2021	2022 იანვარ-აპრილი
საქონლით რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	3 798,4	3 343,4	4 242,3	1 587,5
საქონლით რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	9 519,2	8 052,9	10 104,0	3 665,4
საგარეო ვაჭრობის სალდო	***-5 720,8***	***-4 709,4***	***-5 961,7***	***-2 077,9***

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka

ცხრილი N1 ასახავს საქართველოს ექსპორტ-იმპორტის მონაცემებს 2019-2022* წლის იანვარ-აპრილის მონაცემებით, როგორც კორონავირუსის ფონზე, საზღვრების ჩაკეტვის გამო 2020 წელს იმპორტი არის შემცირებული და საგარეო ვაჭრობის სალდოც უფრო მეტია, ვიდრე 2019 წელს, თუმცა 2021 წელს ეს მდგომარეობა უფრო უარესდება და კვლავ სალდო უფრო მეტად უარყოფითი ხდება. 2022 წლის წინასწარ მონაცემებს თუ დავუჯერებთ იმპორტი საკმაოდ მეტია ექსპორტზე, იმედია, რომ ეს სხვაობა შემცირდება და საგარეო ვაჭრობის სალდო დადებითი მიმართულებისკენ დაიწყებს სვლას.

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE-ს) მიერ მიმდინარე წლის იანვარი-აპრილში ჩატარდა კვლევა და მომზადდა ანგარიში „COVID -19-ის გავლენა საქართველოს ვაჭრობასა და სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე.“ კვლევაში დადებითადაა შეფასებული საქართველოს მთავრობის მიერ პანდემიის შედეგების შესამსუბუქებლად განხორციელებული ღონისძიებები.

კვლევაში აღნიშნულია, რომ საქართველოს უჭირავს წამყვანი ადგილი რეგიონში სავაჭრო რეფორმატორთა შორის, ხოლო შეფასებამ აჩვენა, რომ „მთავრობამ გადააჭარბა მოლოდინს მიწოდების ჯაჭვის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მხრივ. მან მინიმუმამდე დაიყვანა სავაჭრო შეზღუდვები; სწრაფად გააფართოვა და ხელმისაწვდომი გახადა საწარმოებისთვის ვაჭრობის გამარტივებისთვის საჭირო ყველა ინსტრუმენტი და შეიმუშავა დახმარების ზომები მოსახლეობის დაუცველი ფენებისთვის, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებთათვის, და ასევე მძიმედ დაზარალებული სექტორების დასახმარებლად“.

ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისათვის. მასში ხაზგასმულია ვაჭრობის წვლილის გაზრდის მნიშვნელობა COVID-19 პანდემიის შემდეგ ძლიერი და მდგრადი ეკონომიკის მშენებლობაში.

კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული მთავრობის მიერ გატარებულ შემდეგ ზომებზე:

ვაჭრობაში გამჭვირვალობის ეფექტიანი უზრუნველყოფა, განსაკუთრებით სავაჭრო საქმიანობასთან დაკავშირებული ახალი მარეგულირებელი და პროცედურული ზომების გამოქვეყნებით.

სავაჭრო დოკუმენტების ონლაინ გაცემა;

შესაბამისმა უწყებებმა გაზარდეს ძალისხმევა ვაჭრობაში ჩართული სუბიექტებისთვის სხვადასხვა სახის საჭირო დოკუმენტების დაჩქარებულ რეჟიმში გასაცემად;

სასაზღვრო კონტროლი ხორციელდებოდა ეფექტიანი რისკზე დაფუძნებული ინტეგრირებული საზღვრის მართვის სისტემით.

სასაზღვრო კონტროლის პუნქტების განტვირთვის მიზნით განხორციელდა ტვირთების ფიზიკური ინსპექტირების რეალოკაცია.

საბაჟო და გადასახადების გადახდა გაგრძელდა ონლაინ რეჟიმში, რასაც დაემატა გადასახადის დაბრუნების გამარტივებული პროცედურა.

ტრანზიტული მოძრაობა კვლავ ეფუძნებოდა რეგიონული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ პირობებს და მეზობელ ქვეყნებთან მონაცემთა ელექტრონულ მიმოცვლას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: საქართველოსათვის მნიშვნელოვანია რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარება და განმტკიცება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ურთიერთ ინტერესებზე დამყარებული სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის გაუმჯობესებას, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამყარებას, ასევე, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში ურთიერთობების გაღრმავებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ COVID-19-მა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე. პანდემიის შედეგების შესამსუბუქებლად საქართველოს მთავრობამ განახორციელა გარკვეული ღონისძიებები, რომლებიც განხილულია მოცემულ ნაშრომში. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით საქართველოს უჭირავს წამყვანი ადგილი რეგიონში სავაჭრო რეფორმატორთა შორის. მნიშვნელოვანია ვაჭრობის წვლილის გაზრდა COVID-19 პანდემიის შემდეგ ძლიერი და მდგრადი ეკონომიკის მშენებლობაში.

საქართველო წარმოადგენს ქვეყანას მცირე ეკონომიკით და ორიენტირებულს ექსპორტზე. საქართველოს ადგილობრივი ექსპორტის მოცულობების გაზრდისა და სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის საჭიროა განვითარდეს საქონლის წარმოება მაღალი დამატებითი ღირებულებით. ნაშრომში მოცემული სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2022 წლის იანვარ-თებერვლის მონაცემებით როგორც ადგილობრივი ექსპორტის რაოდენობა, ასევე მთლიანად საქართველოს ექსპორტის მზარდი ტენდენციით ხასიათდება, რაც ძალიან კარგი არის საქართველოს ეკონომიკური ზრდისთვის და მოსალოდნელია, რომ მსგავსი, დადებითი მიმართულება, შენარჩუნებდება მომავალში.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები

1. ხ. დოლიძე. ,, საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობები'', სამაგისტრო ნაშრომი 2019 წელი
2. http://geoeconomics.ge/?p=14385
3. http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12
4. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba
5. http://www.economy.ge/?page=news&nw=1580
6. https://www.geostat.ge/ka
7. https://www.geostat.ge
8. https://mfa.gov.gelRelations.aspx
9. https://www.gov.ge
10. https://parliament.ge/media/news/category

სტუდენტი	**ახვლედიანი მარიამი**
საბაკალავრო პროგრამა	ეკონომიკა, III კურსი
ხელმძღვანელი	**ონიანი ივლია**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი

Abstract: The National Accounting System (NSA) is a logically, consistently, internationally agreed system of accounts and spreadsheets of production, revenue generation, distribution, distribution and utilization, flow and balance rates in the national economy. It includes the recording of rates of economic transactions between institutional sectors. The system of national accounts reflects the major operations of the national economy between sectors of the economy. As well as economic transactions with the rest of the world, the results of production, revenues and their use in the country's econom in the form of a system of relevant tables and macroeconomic indicators. The National Accounting System is the main information tool for developing the country's economic policy, monitoring and evaluating its development.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული შემოსავალი, ეროვნული ანგარიშები, ეროვნული ანგარიშწარმოება, მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, მთლიანი შიდა პროდუქტი, ეროვნული სიმდიდრე.

ეროვნული ანგარიშების სისტემა (ეას) ეროვნულ ეკონომიკაში წარმოების, შემოსავლების ფორმირების, მის განაწილების, გადანაწილებისა და გამოყენების, ნაკადებისა და ბალანსების მაჩვენებელთა ლოგიკურად თანმიმდევრულ, საერთაშორისო დონეზე შეთანხმებულ ანგარიშებისა და ცხრილების ორგანიზებულ სისტემა წარმოადგენს. იგი მოიცავს ინსტიტუციურ სექტორებს შორის ეკონომიკური ოპერაციების მაჩვენებელთ აღრიცხვას.
ამრიფად, ეას ასახავს ეროვნული ეკონომიკის უმთავრეს ოპერაციებს ეკონომიკის სექტორებს შორის. აგრეთვ დანარჩენ მსოფლიოსთან ეკონომიკურ ოპერაციებს, ქვეყნის ეკონომიკაში წარმოების, შემოსავლებისა და მათ გამოყენების შედეგებე შესაბამისი ცხრილებისა და მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სისტემის სახით. ეა მთავარი ინფორმაციული ინსტრუმენტია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად, მისი განვითარები მონიტორინგისა და შეფასებისთვის.
ეროვნულ ანგარიშთა სისტემა წარმოგვიდგენს ქვეყნის ეკონომიკას, რომელიც დანარჩენ მსოფლიო მრავალფეროვანი საერთაშორისო ოპერაციებით უკავშირდება.
ეას-ეს არის ეკონომიკის საინფორმაციო სისტემა ანუ მაკროეკონომიკის ენა.
საქართველოს ეროვნული ანგარიშების მეთოდურ საფუძველს წარმოადგენს გაერთიანებული ერები ორგანიზაციის, ევროგაერთიანების სტატისტიკური კომისიის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარები ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და საეთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემის სტანდარტული მეთოდოლოგია.
ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, როცა ეკონომიკური მეცნიერება, როგორც დისციპლინა საერთოდ არ არსებობდ ეკონომიკური პოლიტიკისა და ზრდის მაჩვენებლების შესახებ შეხედულებები ფართოდ იყო გავრცელებულ სხვადასხვა ტიპის ლიტერატურაში.
საზოგადოებრივი მეცნიერებების განვითარება და ფიქრი სახელმწიფოს მოწყობაზე ეკონომიკუეი თეორიი განვითარებას და დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბებას განაპირობებდა.
ეკონომიკური ზრდის ყველაზე ადრეული აღწერა 1377 წელს ეკუთვნის არაბ მოაზროვნეს იბნ ხალდამს. ის ყველაზ ცნობილი მუსლიმანი მკვლევარი იყო, რომელმაც დაწერა ეკონომიკის შესახებ 9ტუნისია (1332-1406), იგ განიხილება, როგორც თანამედროვე ეკონომიკის ფუნდამენტური დეების პირველი აღმწერი, თავის მრავალმხრი ცნობილ ნაშრომში ,,უქადდიმაჰ-ი“, რომელიც ცნობილია, როგორც პრომელოგმენა.
,,მერკანტილიზმის“ სახელით დამკვიდრდა XVI-XVII საუკუნეების ევროპაში გაბატონებული იდეოლოგია ინგლისურად ,,მერცანტე“ ნიშნავს ვაჭარს. თავდაპირველად ეს ირონიულ დატვირთვას ატარებდა და გამოხატავდ შუა საუკუნის მოაზროვნეთა გარკვეული წრის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ვაჭრობა ერთგვარ სათაკილ საქმიანობად ითვლებოდა. თანამედროვე ლიტერატურაში ,,მერკანტილიზმი“ გულისხმობს პირველ მეტ ნაკლებად სისტემატიზირებული, ეკონომიკური მსოფლმხედველობის ფორმირებას. ის განსაკუთრები გამოკვეთილად გამოვლინდა ლუდვიგ XIV-ისა და ფინანსთა მინისტრ ქოლბერთის დროს. ამ სისტემის უმაღლეს მიზანი იყო აბსოლუტისტი მბრძანებლის სახელმწიფოებრივი ძალაუფლების განმტკიცება.

გასული საუკუნის დასაწყისში ამერიკელმა, ინგლისელმა და გერმანელმა ეკონომისტებმა სცადე გაეანგარიშებინათ ეროვნული შემოსავალი საბალანსო მეთოდის გამოყენებით. ამ საკითხს მიეძღვნა შრომებ კერძოდ **ს. კუზნეცის „**აშშ ეროვნული შემოსავალი და კაპიტალური დაბანდებები 1919-1935 წწ», **ა. ბოულის და ჯ სტემპის** „ეროვნული შემოსავალი» (1929 წ.), კ. კლარკის ეროვნული შემოსავლები და გასავლებით» (1937 წ.); და სხვ ეროვნული შემოსავლის შესახებ სისტემატური პუბლიკაციების გამოცემა დაიწყო II მსოფლიო ომის წლებშ რომლებიც 40-იანი წლების II ნახევარში შევსებული იქნენ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის პირველ გაანგარიშებებით.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ეროვნული შემოსავლის ანალიზში სრულიად ახალი მიდგომა ჩამოაყალიბ
ინგლისელმა ეკონომისტმა **ჯონ მეინარდ კეინზმა**. მან 1936 წელს გამოქვეყნებულ შრომაში –„დასაქმების
სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია» წარმოადგინა მაკროეკონომიკური ანალიზისა და სახელმწიფ
მმართველობის ორგანოების მიერ ეკონომიკის რეგულირებისთვის საჭირო ურთიერთდაკავშირებულ
მაკროეკონომიკური ცვლადების ინფორმაციული სისტემა. ჩამოაყალიბა ეროვნული შემოსავლის ცალკეულ
კომპონენტების სხვა მაკროეკონომიკურ ცვლადებთან ურთიერთდაკავშირებული ანალიზის იდეა. კეინზ
ანალიზის ცენტრში მოაქცია ეროვნული შემოსვლის ცალკეული კომპონენტები: მოხმარება, დანაზოგები დ
ინვესტიციები, დაუკავშირა ისინი ფულის რაოდენობის, სარგებლის განაკვეთების, სახელმწიფო ხარჯებისა დ
გადასახადების მაჩვენებლებს; აჩვენა, რომ ქვეყნისთვის დიდმნიშვნელოვანი საკითხი – დასაქმების მასშტაბებ
ნებისმიერ მომენტში დამოკიდებულია ურთიერთქმედებებზე, რომლებიც სახეზეა ან მომავალში უნდა მოხდე
აღნიშნული ცვლადების ოდენობასა და მიმართულებებში ცვლილების შედეგად; დაასაბუთა, რომ სახელმწიფ
ზემოქმედებს რა ერთ-ერთ ცვლადზე, ამით შეიძლება მიაღწიოს საჭირო მიმართულებით სხვა ცვლადები
შეცვლასაც.
ამგვარად, სხვადასხვა მაკროეოკნომიკურ ცვლადებს შორის კავშირურთიერთობის შესწავლის კეინზური იდ
ერთ-ერთი ფუძემდებლურია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ფორმირებაში.
ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებასა და ანალიზს მიუძღვნა თავისი სტატია ამერიკელმა მეცნიერმა **საიმო
კუზნეცმა. მან XX ს. 30**-იანი წლების დასაწყისში ჩამოაყალიბა ეროვნული შემოსავლის ოფიციალურ გაანგარიშები
ძირითადი პრინციპები. ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა განვასხვაოთ ეროვნული შემოსავლის სამი კატეგორი
წარმოებული, განაწილებული და გამოყენებული, რომ საჭიროა ეროვნული შემოსავლის ანალიზი კომპლექსურად
მისი მთავარი დამსახურებაა აშშ-ს სტატისტიკური მუშაობის პრაქტიკაში ეროვნული შემოსავლის საბოლო
გამოყენების მეთოდით გაანგარიშების დანერგვა.
საქართველოში ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებები ცნობილია XX ს-ის პირველი ნახევრიდან. მათ შორი
პირველი გაანგარიშება **1922-1923 წლებზე ჩატარდა ამიერკავკასიის ფედერაციის საგეგმო კომისიაში.** შემდგომ 6
იან წლების შუახანებში 1922-1923 წლების საქართველოს ეროვნული შემოსავლის განსაზღვრის მეთოდიკასა დ
სხვა ანალიზურ მასალებზე დაყრდნობით პროფესორმა **ვ. მელქაძემ** მოახდინა საქართველოს ეროვნულ
შემოსავლის გაანგარიშება 1913 წელზე. ცნობილია ასევე 1929-1932 წლების საქართველოს ეროვნული შემოსავლი
დინამიკისა და სტრუქტურის გაანგარიშებათა შედეგების ანალიზი პროფესორ **ა. კაკაბაძის შრომაში** „საქართველო
სახალხო შემოსავლის შესწავლისთვის».
მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობისთვი
თანდათანობით ნათელი გახდა ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირები
მიზანშეწონილობა. სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ საქმიანობაში ეკონომიკურ დონეზე უზრუნველყოფ
შეარბილოს კრიზისული მოვლენების ნეგატიური ზემოქმედება, უფრო ეფექტურად და რაციონალურად იქნ
გამოყენებული ქვეყანაში არსებული შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსები.
ეროვნულ ანგარიშთა სისტემა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში წარმოიშვა 30-იანი წლების ბოლოს და 4
იანი წლების დასაწყისში. აღრიცხვიანობის ეროვნული სისტემის შექმნას სერიოზული ბიძგი 1929-1933 წლები
დიდმა ეკონომიკურმა დეპრესიამ მისცა, რომელიც განსაკუთრებული სიმძლავრით ბობოქრობდა ამერიკი
შეერთებულ შტატებში.
ეროვნულ ანგარიშთა სისტემის განვითარების ისტორიაში განიხილება ორი ძირითადი ეტაპი. **I ეტაპი - მეორ
მსოფლიო ომამდე.** ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია სახელმწიფო მართვის ორგანოების ინტერესები
გაძლიერება ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებისადმი. პირველ ეტაპზე გადაიდგა ნაბიჯი სხვადასხ
მეთოდებით გაანგარიშებული ეროვნული პროდუქტის (შემოსავლის) ინფორმაციის ერთიან ბლოკშ
ინტეგრაციისათვის.
II ეტაპი დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ომის დამთავრება სტიმულს აძლევდა ეროვნული ანგარიშიანობი
შემდგომ განვითარებას, რადგან განვითარებული კაპიტალისტურ ქვეყნების მთავრობებს საჭირო იყო მიეცა
ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანებისა და მიმართულებების ფორმულირება ახალ, ომისშემდგომ პირობებში დ
ამასთან დაკავშირებით კი გაძლიერდა მოთხოვნა მაკროეკონმიკური გაანგარიშებებისადმი, რომელი
უზრუნველყოფდა ეკონომიკური პროცესების სხვადასხვა ასპექტების შეფანხმებულ აღწერას. დაიწყო გაშლილ
მუშაობა ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიის განვითარებისა და მისი პრაქტიკაში დანერგვი
მიმართულებით.
საერთაშორისო სტანდარტების ერა ეროვნულ ანგარიშების სფეროში დაიწყო **1947 წელს**, როდესაც გამოქვეყნდ
გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის მოხსენება, რომლის დიდი ნაწილიც დაწერა **რიჩარდ სტოუნმა**, კეინსი
მოსწავლემ და მიმდევარმა. გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის ეროვნულ ანგარიშთა სისტემის **I ვერსი
დამუშავდა 1952 წელს** (ოფიციალური დოკუმენტი გამოქვეყნდა 1953 წელს). სისტემა, რომელიც შედგებოდა ექვს
ანგარიშისაგან (სამი კრებსითი და სამი სექტორული ანგარიში ქვეანგარიშებით), ახასიათებდა ეკონომიკაშ
ძირითადი პროცესების მსვლელობასა და შედეგებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის **მიერ 1968 წელს** მიღებულ იქნა ეროვნულ ანგარიშთა სისტემი
საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დამუშავებული **ახალი II ვერსია,** რომელიც არსებობდა 1993 წლამდე. ე
დოკუმენტი, რომელიც მოგვიანებით სპეციალისტებს შორის ცნობილი გახდა, როგორც «ცისფერი წიგნი
მომზადდა რ. სტოუნის მიერ ამერიკელ ეკონომისტთან **ნ. აიდინოვთან** თანამშრომლობით. აღნიშნული დოკუმენტ
წინა გადადგმული ნაბიჯი იყო, 1953 წელს დამუშავებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემასთან შედარებით, რადგა
ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული შემოსავალი ტრადიციულ ანგარიშებთან ერთად მოიცავდ
დარგთაშორისი კავშირების ბალანსს, ეროვნული სიმდიდრის ბალანსს, ფინანსური რესურსების მოძრაობი
მაჩვენებელთა სისტემას და სხვა. ამის გარდა, ანგარიშები დამუშავებულ იქნა არა მარტო მთლიანად ქვეყნი
ეკონომიკისათვის, არამედ აგრეთვე ხუთი სექტორის მიხედვითაც. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავდა აგრეთვ
განვითარებად ქვეყნებში ეროვნულ ანგარიშების შედეგების რეკომენდაციების დამოუკიდებელ თავს.
1993 წლიდან მოქმედებს ეროვნული ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების სისტემის III მოდიფიკაცი
რომელიც წარმოადგენს ცალკეულ ქვეყნებში ეროვნული ანგარიშიანობის თეორიასა და პრაქტიკაში უკანასკნე
მიღწევებს.
ეროვნულ ანგარიშთა სისტემის გადასინჯვის მიზანი 1993 წელს იყო მეტი ჰარმონიზაცია და ინტეგრირები
მაღალი ხარისხი ეკონომიკური სტატისტიკის მომიჯნავე, მონათესავე ნაწილებთან, აგრეთვე, რათა ანგარიშები
სტრუქტურა გამხდარიყო უფრო ნათელი, ლოგიკური და თანმიმდევრული, დაზუსტებულიყო შემოსავლებისა დ
გასავლების ცალკეული მუხლების განმარტება. ეროვნული ანგარიშიანობის ახალ სისტემაში განსაკუთრებულ
ყურადღება ექცევა მაჩვენებლების ბლოკს, რომლებიც ახასიათებენ აქტივებისა და პასივების მოძრაობას. სწორე
იმიტომ, რომ ახალ სისტემაში აქცენტი კეთდება ეკონომიკის სექტორებზე, ამიტომ იყო მცდელობა, რო
გადაესინჯათ ტერმინი ,,ეროვნული ანგარიშიანობა", როემლიც შემოთავაზებული იქნა II მსოფლიო ომის წინ
პერიოდში ჰოლანდიელი ეკონომისტის ვან კლიფფის მიერ და რომლიც ნიშნავს ანგარიშებს მთლიანა
ერისათვის. მაგრამ ექსპერტებმა გადაწყვიტეს ისევ დაეტოვებინათ ძველი დასახელება.
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური ბიუროსა და ევროსტატის მეთოდოლოგიური მასალები
გაცნობის საფუძველზე **საქართველოში 90-იანი წლებიდან დაწყებული იქნა ეროვნულ ანგარიშთა სისტემი
შემუშავებისა და ფუნქციონირების უცხოური გამოცდილების შესწავლა.** ეროვნულ ანგარიშთა სისტემი
საფუძვლების დანერგვა ქვეყნის ეკონომიკური მუშაობის პრაქტიკაში უშუალოდ დაიწყო 1992 წლიდან. ამჟამად
მუშაობა მიმდინარეობს ორი მიმართულებით: შესაბამისი მეთოდოლოგიის ათვისებით და უშალო პრაქტიკულ
გაანგარიშებების ჩატარებით.
საქართველოში თავიდან ძირითადი ორიენტაცია აღებული იყო ევროპის თანამეგობრობის ქვეყნები
სტანდარტული სისტემის ჩვენეული ვერსიის შემუშავებაზე. ამჟამად, კი ეროვნული გაანგარიშებების მეთოდუ
საფუძველს წარმოადგენს გაეროს მიერ დამუშავებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სტანდარტულ
მეთოდოლოგიის მე-3 გამოცემა, რომელიც როგორც საერთაშორისო სტანდარტი მსოფლიოს სხვა ქვეყნებშ
შემოვიდა მოქმედებაში 1993 წლიდან.
თავის მხრივ, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური საქმიანობის კვალიფიციური, ეფექტიანი რეგულირებისთვი
საჭიროა საიმედო ეკონომიკურ-სტატისტიკური ინფორმაცია, რომელმაც ობიექტურად უნდა ასახო
კვლავწარმოებითი პროცესის წანამძღვრები, მიმდინარეობა და შედეგები. ამისათვის საჭიროა შეიქმნა
მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომლებიც ეროვნული ეკონომიკის განვითარების ძირითა
ტენდენციებს და უმნიშვნელოვანეს პროპორციებს ასახავს. მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ერთ სისტემა
ინტეგრირების მიზანშეწონილობიდან გამომდინარე შეიქმნა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას) და მათ
განსაზღვრის მეთოდოლოგია საერთაშორისო სტანდარტებს დაექვემდებარა.
ეროვნული ანგარიშების შედგენას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

- სისტემაში შემავალი თითეული ანგარიში შედგება ორი ნაწილისაგან: **რესურსები და გამოყენება.** ამასთა
  რესურსები (მათი შემადგენელი კომპონენტების მიხედვით) ნაჩვენებია მარჯვენა მხარეს, ხოლო მათი გამოყ
  ნება კი მარცხენა მხარეს;
- ანგარიშები აიგება **«ორმაგი ჩაწერის» პრინციპით** (ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპით), რაც გამოიხატ
  ბა ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში თითოეული ოპერაციის ორმაგ ასახვაში, ერთხელ, ერთი ანგარიშის «გამო
  ყენების» ნაწილში, მეორედ, მეორე ანგარიშის «რესურსების» ნაწილში. ეს უზრუნველყოფს ანგარიშებში ასახ
  ლი ინფორმაციის უტყუარობის დამატებით კონტროლს და ანგარიშების ურთიერთკავშირს;
- თითოეული ანგარიში წარმოადგენს **საბალანსო ცხრილს**, სადაც ამა თუ იმ ანგარიშის ყოველ მუხლს სხ
  ანგარიშში საკორესპოდენტო ანგარიში აქვს. გაანგარიშების გზით უზრუნველყოფილია ტოლობა (ბალანს
  «რესურსებსა» და «გამოყენების» ნაწილებს შორის;
- »ორმაგი ჩაწერის» პრინციპის შესაბამისად, თითოეულ ანგარიშის მარჯვენა და მარცხენა მხარეებს შორი
  წონასწორება (დაბალანსება) ხორციელდება **დამაბალანსებული მუხლის** დახმარებით, რომელიც გაიანგარიშ
  ბა, როგორც სხვაობა რესურსებსა და მათი გამოყენების მოცულობებს შორის და გამოიყენები შემდეგ ანგარ
  შ8ზე გადასვლისათვის;

- დამაბალანსებელი მუხლი განკუთვნილია, არა მარტო რესურსების მოცულობასა და მათი გამოყენებას შო
  რის შეწონასწორების უზრუნველსაყოფად, არამედ შესაბამისი ეკონომიკური პროცესების შედეგების დახასია
  თებისათვის.

ცნობილია, რომ ეს წარმოიშვა ორი, სრულიად სხვადასხვა მიმართულების გამოკვლევების შედეგები
გაერთიანების საფუძველზე. კერძოდ ეს იყო გამოკვლევები ეროვნული შემოსავლის სტატისტიკისა დ
ეკონომიკური ციკლების ანალიზის სფეროში.
ეროვნული შემოსავლის სტატისტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ
საქმიანობის საერთო შედეგების გაზომვა. ამ ამოცანას ისახავს ეას, მათ შორის მშპ-ის აღრიცხვა და ანალიზ
ეკონომიკური ციკლების თეორია კი , პირველ რიგში, მიმარტული იყო ეკონომიკურ
ურთიერთდამოკიდებულების ასახვისთვის კონიუნქტურული რყევების, უმუშევრობის და ა.შ. პირობებშ
თავისუფალი ბაზრის კონცეფციის დასაბუთებისთვის. ეას- გამოიყენება ეკონომიკური ციკლების ანალიზისთვის
ამდენად, პრაქტიკაში ეას ემსახურება, ერთი მხრივ, ეკონომიკური საქმიანობის შედეგების აღრიცხვა-გაზომვას დ
მეორე მხრივ, ეკონომიკური ციკლების გაანალიზებას.
ამრიგად ეროვნული ანგარიშწარმოების საფუძვლად ეკონომიკური წონასწორობის თეორია გვევლინება. კერძოდ
იმისთვის, რომ ეკონომიკურ საქმიანობაში მივაღწიოთ მაქსიმალურ შედეგებს, საჭიროა ყველა საწარმო ფაქტორ
ოპტიმალურად შეუერთდეს ერთმანეთს. ამ მიზნით აუცილებელია მივაღწიოთ წონასწორობას წარმოები
მოცულობასა და ფასების დონეს. წარმოების დანახარჯებსა და მიღებულ შედეგებს, მოთხოვნასა და მიწოდებას
შემოსავლებსა და ხარჯებს, ინვესტიციებსა და სარგებლის განაკვეთებს შორის.

ლიტერატურა

1. ი. ონიანი - ეროვნულ ანგარიშთა სისტემა- ლექციების კურსი-ქუთაისი 2021
2. ი. ონიანი-მთლიანი რეგიონული პროდუქციის გაანგარიშების მეთოდოლოგიური საკითხები. გამოცემა-ქუთაისი, 2006
3. ქ.მარშავა, მ.მინდორიშვილი-ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი-2008.
4. ფრანსუა ლოკიერი, დერეკ ბლეიდსი-ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, ქართულად ნათარგმნი-მ.მინდორიშვილი, ნ. აბესაძე-თსუ-2015
5. национальное счетоводство профессора Г.Д. Кулагиной. М. ,,Финансы и статистика" 1997

13	თემის დასახელება	**გადაზიდვების როლი საქართველოს ეკონომიკაში**
	სტუდენტი	**კვინიკაძე ია**
	საბაკალავრო პროგრამა	ეკონომიკა, III კურსი
	ხელმძღვანელი	**ძოწენიძე ციცინო**, აწსუ-ს მოწვეული სპეციალისტი, ე.ა.დ.

თემის აქტუალობა. მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ფონზე და საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე ქვეყნის ეკონომიკის განვითარება პირდაპირ კავშირშია გადაზიდვებთან, სატრანსპორტო სექტორების გამართულ ეფექტურ მუშაობაზე და ასევე განვითარებულ ლოგისტიკურ ბაზართან.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია განსაზღვროს რამდენად შესაძლებელია საქონლის საბოლოო ღირებულებაში ლოგისტიკური ხარჯების შემცირებასთან ერთად, ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ზრდა.

ჰიპოთეზა: ხელსაყრელი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობიდან გამომდინარე საქართველოს აქვს რეალური შანსი იმისა, რომ გაატაროს და გადაამუშაოს დამატებითი ტვირთები, რაც საგრძნობლად იმოქმედებს ჩვენი ქვეყნის შემოსავლების ზრდაზე, დასაქმების პრობლემაზე- შექმნის მეტ სამუშაო ადგილს, ხელისშემწყობი იქნება, როგორც ვაჭრობის განვითარებისთვის, ასევე წარმოებისთვის, ყოველივე ეს კი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სხვა დარგების განვითარებაზე, მაგალთად სოფლის მეურნეობაზე, ტურიზმზე, ვაჭრობაზე და ა.შ.

კვლევის მეთოდები: მონაცემთა ბაზების დამუშავება დინამიკაში. სინთეზური და ანალიზური მეთოდის გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემა, ტვირთბრუნვა, რკინიგზა, საავტომობილო ტრანსპორტი, საჰაერო ტრანსპორტი, საზღვაო ტრანსპორტი

Abstract

In this paper, I discuss the issues related to shipping and their problems. I am talking about the favorable location of Georgia, the importance of improving and developing the field of transport and logistics. I will also discuss legal issues about the importance of enforcing legal norms to ensure security for other countries. Finally, as a conclusion, I present the

problems, what are the ways to solve them, what can be done and changed to solve these problems and to use the location of Georgia wisely.

საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გააჩნია პოტენციალი, კავკასიისა და ცენტრალური აზიის მთავარ სატრანსპორტო დერეფნად და ლოგისტიკურ ჰაბად იქცეს. ბუნებრივია, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ გადაზიდვების როლზე საქართველოს ეკონომიკაში, უნდა განვიხილოთ, როგორც სატრანსპორტო გადაზიდვები, თითოეული სატრანსპორტო საშუალების მნიშვნელობა, მისი სამართლებრივი ნორმები და ასევე ლოგისტიკური პირბები და პრობლემები საქართველოში. კარგად განვითარებული სატრანსპორტო, ენერგო, ლოგისტიკური და სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის და სატრანზიტო პოტენციალის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამასთან, ლოგისტიკა, როგორც თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი დარგი, შესაძლებლობას უქმნის ქვეყანას, მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარი გეოგრაფიული მდებარეობა, სატრანზიტო და სავაჭრო პოტენციალი.

საქართველოს უძველესი დროიდან ასრულებდა სატრანსპორტო დერეფნის როლს ევროპასა და აზიას შორის და მის ამ ფუნქციას დღესაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო ვაჭრობის მოდელი ძირითადად გეოპოლიტიკური ფაქტორების გავლენით არის ჩამოყალიბებული და საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვან სატრანზიტო გზებს მოიცავს. ეს არის ტრასეკას (ევროპა-კავკასიაცენტრალური აზიის სატრანსპორტო დერეფნის) მთავარი გზა, რომელიც უძველეს აბრეშუმის გზას მიუყვება და რომლითაც კასპიის ზღვისპირა ქვეყნების ექსპორტი აზერბაიჯანის დასავლეთიდან საავტომობილო და სარკინიგზო გზებით შემოდის, შემდეგ კი თბილისი – ქუთაისი მაგისტრალისა და ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების გავლით შავი და ხმელთაშუა ზღვების რეგიონში მიემართება. თურქეთი ბათუმი-ქუთაისი- თბილისის მაგისტრალით აღმოსავლეთით აზერბაიჯანსა და კასპიის ზღვის სხვა ქვეყნებს უკავშირდება. საქართველოში ეს მაგისტრალი ტრასეკას გზას უერთდება. საქართველოს წარმოადგენს ერთადერთ სახმელეთო გზას, რომლითაც სომხეთის საგარეო სავაჭრო ტვირთების უდიდესი ნაწილის ტრანსპორტირება ხდება. ასევე დიდი პერსპექტივები აქვს საქართველოდან კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებას ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში. ამდენად, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, საქართველოზე გაივლის სამხრეთ კავკასიის მთავარი სატრანსპორტო არტერია, რომელიც ქვეყნისათვის დიდი მოგების წყაროდ შეიძლება იქცეს.

ტრანსპორტს, რომელიც გადაზიდვის წყაროს წარმოადგენს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიო ეკონომიკაში. როგორც ვიცით ბაზარი - ეს უპირველეს ყოვლისა გაცვლითი ორგანიზაციაა, ხოლო გაცვლისათვის კი ყოველთვის აუცილებელია ტრანსპორტი. ამიტომ ტრანსპორტი ალბათ, სწორედ რომ ბაზართან ერთად წარმოიშვა. ყოველწლიურად მსოფლიოში გადააქვთ დაახლოვებით 100 მლრდ ტ ტვირთი და გადაჰყავთ 1 ტრლნ მგზავრი. ახლა დედამიწის ყოველ მცხოვრებზე მოდის 15-16 ტ სხვადასხვაგვარი საქონელი, რომელიც აუცილებელია გადავიტანოთ საშუალოდ 850-900 კმ-ზე. გამომდინარე აქედან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ძირითად მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს საგზაო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი. რომლის დანიშნულებაა მსოფლიოს სხვადასხვა ბიზნეს-სტრუქტურებს შორის კავშირის დამყარება კოოპერაციის და კოორდინაციის, საერთაშორისო კონვენციებისა და სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების საფუძველზე. თითოეული ზემოაღნიშნული სატრანსპორტო საშუალებით განხორციელებული გადაზიდვა ხასიათდება გარკვეული სპეციფიკით და რეგულირდება შესაბამისი ნორმატიული აქტებით. ტვირთების გადაზიდვას ყოველთვის წინ უსწრებს შეთანხმების მიღწევა ხელშეკრულების ძირითად პირობებზე, როგორიცაა ვადები და ტვირთის გადაზიდვისათვის საჭირო სატრანსპორტო ერთეულების ოდენობა, ასევე ტვირთის მოცემულობა და მისი თვისებები.

ახალი რეალობა შესაძლებელს ხდის შეიქმნას ახალი სატრანსპორტო მარშუტები, რომლებიც ერთმანეთთან დააკავშირებს სხვადასხვა ეკონომიკურ რეგიონებს. ქვეყნებს შორის, რომლებზეც შესაძლო მარშუტებმა უნდა გაიაროს ერთგვარი შეჯიბრებაა. ისინი საერთაშორისო სატრანსპორტო კორიდორებს განიხილავენ როგორც საკუთარი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ერთგვარ გარანტიას, რადგან ისინი საერთაშორისო და რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ობიექტად გადაქცევის საშუალებას იძლევა.

სწორედ ამიტომ დღესდღეობით არსებობს სხვადასხვა კონვენცია გადაზდვებთან და დავებთან დაკავშირებით, ერთი-ერთი ასეთი კონვენციაა TIR კარნეტი – საერთაშორისო საბაჟო დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ყველა საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდის საერთაშორისო გარანტიის არსებობას და უზრუნველყოფს საბაჟო პროცედურების გამარტივებასა და დაჩქარებას საბაჟო ლუქების გამოყენებით ტვირთის გადაზიდვისას. TIR -კარნეტის მოქმედი კონვენცია მიღებულ იქნა 1975 წლის 14 ნოემბერს ჟენევაში, ხოლო საქართველო 1994 წლის 24 სექტემბრიდან შეუერთდა ამ კონვენციას (რატიფიცირების გარეშე). კონვენციის დებულებები აიოლებენ და ამარტივებენ საბაჟო გაფორმების პროცედურებს კონვენციის ხელმომწერ

ქვეყნებში საავტომობილო ტრანსპორტით საქონლით გადაზიდვების დროს. ეს ეხება როგორც საქონლის დათვალიერებას, დოკუმენტების შემოწმებას, ასევე, საბაჟო გადასახდელების გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფას.

ჩვენ აგრეთვე უნდა განვიხილოთ გასულ წლებში რომელ სატრანსპორტო საშუალებას ენიჭებოდა უპირატესობა და რა პოტენციალი აქვს თითოეულ მათგანს.

ცხრილი №1.

საქართველოს ექსპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით

(ათასი აშშ დოლარი)					
ტრანსპორტის სახეობა	2017	2018	2019	2020	2021
ექსპორტი - სულ	**2 745 743,8**	**3 379 732,4**	**3 798 394,4**	**3 343 442,9**	**4 242 323,8**
მათ შორის:					
საავტომობილო	1 258 650,4	1 662 547,0	1 890 141,1	1 392 850,9	1 836 643,3
სარკინიგზო	102 675,3	120 235,7	149 985,0	111 090,7	164 527,3
საჰაერო	203 703,9	217 351,9	261 997,5	261 388,9	223 827,5
საზღვაო	1 158 521,4	1 359 657,2	1 488 403,0	1 572 266,3	2 001 984,9
დანარჩენი**	22 192,9	19 940,6	7 867,8	5 846,0	15 340,7

წყარო: აგებულია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემების გამოყენებით
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti

ცხრილი №2.

საქართველოს იმპორტი ტრანსპორტირებისს სახეების მიხედვით

(ათასი აშშ დოლარი)					
ტრანსპორტის სახეობა	2017	2018	2019	2020	2021
იმპორტი - სულ	**8 057 160,5**	**9 361 812,3**	**9 519 166,5**	**8 052 882,1**	**10 104 803,3**
მათ შორის:					
საავტომობილო	3 343 222,3	3 889 212,3	4 025 850,9	3 481 725,2	4 704 529,6
სარკინიგზო	701 667,4	861 794,9	661 386,1	653 017,2	742 074,6
საჰაერო	782 485,5	885 170,9	741 367,6	606 832,7	874 078,3
საზღვაო	2 861 729,7	3 366 167,6	3 689 363,5	2 932 072,9	3 412 682,7
დანარჩენი**	368 055,6	359 466,6	401 198,4	379 234,1	371 438,1

წყარო: აგებულია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემების გამოყენებით
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/638/importi

მოცემული იმპორტ-ექსპორტის ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ თუ როგორ იცვლებოდა ტრანსპორტის გამოყენების წილი გადაზიდვებში. გასულ წელს, როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის წილში მნიშვენლოვანი წვლილი უჭირავს საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტს. 2020 წელს კოვიდ პანდემიამ თავისებური გავლენა იქონია ყველა სფეროზე, განსაკუთრებით კი იმპორტ-ექსპორტზე, რის შედეგადაც ფიქსირდება სატრანსპორტო საშუალებების მოხმარების კლება, რაც გამოწვეული იყო საზღვრების ჩაკეტვითა და მთელი რიგი რეგულაციებით. 2020 წელს ექსპორტში უმნიშვნელო მატება 2019 წელთან შედარებით შეინიშნებოდა მხოლოდ საზღვაო ტრანსპორტის წილში. 2021 წელს, მსოფლიო კვლავ ებრძვის პანდემიას, თუმცა ქვეყნებმა მაინც შეძლეს მნიშვნელოვანი რეგულაციების მოხსნა და ეს აისახება იმპორტ-ექსპორტის ზრდაში და ასევე სატრასპორტო საშუალების მოხმარებათა გაზრდილ კოეფიციენტში. მონაცემების გარკვეული რაოდენობა დაუბრუნდა პანდემიამდე ასრებულ ნიშნულს, ხოლო ზოგიერთ ტრანსპორტში შეინიშნება მნიშვნელოვანი მატება. ექსპორტში მოცემულ მონაცემებში შეგვიძლია გამოვყოთ საზღვაო ტრასპორტით გადაზიდული ტვირთი, აღნიშნულმა მაჩვენებელმა ბოლო 5 წლის განმავლობაში პირველად მიაღწია მის მაქსიმუმს, 4 მლნ დოლარს.

ცხრილი №3.

ტვირთბრუნვის მონაცემები

მილიონი ტონა-კმ				
	2017	2018	2019	2020
ტვირთბრუნვა სულ	3 796,1	3 519,8	3 905,9	4 076,0
მათ შორის:				
საგზაო ტრანსპორტი	18,0	19,7	18,0	17,5
რკინიგზის ტრანსპორტი	78,1	73,8	75,1	71,8
საჰაერო ტრანსპორტი	3,9	6,5	6,9	10,7

წყარო: ცხრილი №3 აგებულია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემების გამოყენებით

მოცემული ცხრილი გვიჩვენებს თუ როგორ იცვლებოდა ბოლო წლებში ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების რაოდენობა, ტვირთის გადაზიდვის ყველაზე დიდი მოცულობით ამ შემთხვევაში გამოირჩევა რკინიგზის ტრანსპორტი და მოიცავს 71,8 მილიონ ტონას. განსაკუთრებით გაიზარდა საჰაერო ტრანსპორტის მონაცემები, რაც სავარაუდოა, რომ გამოწვეული იყო კოვიდ პანდემიით და ასევე, უნდა აღვნიშნოთ, რომ სამდინარო და საზღვაო ტვირთბრუნვის მოცულობაზე ბოლო წლებში მონაცეები არ ფიქსირდება, თუმცა ექსპორტ-იმპორტის მონაცემების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზღვაო ტრანსპორტს ტვირთბრუნვაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, სატრანსპორტო გადაზიდვებთან ერთად საქართველოსთვის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ძლიერი ლოგისტიკური ბაზის შექმნა. ლოგისტიკის სექტორის განვითარება განაპირობებს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ ლოგისტიკურ ქსელში და მის ეფექტურ დაკავშირებას მსოფლიოს წამყვან ბაზრებთან. ლოგისტიკა რეგიონებისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მათ გლობალურ ბაზარზე წარმატებულ პოზიციონირებაზე. საქართველოს, გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობიდან გამომდინარე გააჩნია რეალური შანსი, გაატაროს და გადაამუშაოს დამატებითი ტვირთების ნაკადი, რაც განაპირობებს შემოსავლების ზრდას და გაუმჯობესებულ პირობებს წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებისთვის. საქართველოს ერთ-ერთი უმთავრეს ამოცანად შეიძლება დავსახოთ რომ ის გახდეს გლობალური ლოგისტიკური ქსელის ნაწილი და მოიზიდოს გლობალური ეკონომიკის უდიდესი ბაზრის მოთამაშეები. ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება თავის მხრივ უმნიშვნელოვანესია საქართველოს ყველაზე პერსპექტიული დარგების აღორძინებისთვის, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, წარმოება, ვაჭრობა და ტურიზმი. მაგალითად, საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტის დაახლოებით 50 პროცენტი ლპობას განიცდის, რაც განპირობებულია შესაბამისი სასაწყობო ინფრასტრუქტურის არარსებობითა და ამ მიმართულებით ტექნოლოგიური ჩამორჩენით. თანამედროვე სოფლის მეურნეობის მიწოდების ჯაჭვის ფასწარმოქმნის 70-80 პროცენტს ლოგისტიკა წარმოადგენს. მისი ეფექტური მართვაა სწორედ სოფლის მეურნეობის პროდუქტის ერთ-ერთი უმთავრესი ხარისხის განმსაზღვრელი ნიშანი საერთაშორისო ბაზარზე. ლოგისტიკური პროცესების გაუმჯობესება ამ დარგში მოღვაწე კომპანიებისთვის ერთ-ერთი მთავარი პირობაა მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებისთვის.

მსოფლიო ბანკი ორ წელიწადში ერთხელ აქვეყნებს ლოგისტიკის ინდექსს. აღნიშნული კვლევა ეფუძნება ლოგისტიკის სფეროში მოღვაწე კომპანიების მიერ შევსებულ კითხვარებს. შეფასება 5 ბალიან სკალაზე (1 ქულა არის ძალიან ცუდი, ხოლო 5 ქულა – ძალიან კარგი) ექვსი ძირითადი ინდიკატორის მიხედვით ხდება: 1) საბაჟო პროცედურებისა და საზღვრის მართვის ეფექტურობა; 2) სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხი; 3) კონკურენტუნარიანი საერთაშორისო გადაზიდვების წარმოების შესაძლებლობა; 4) ლოგისტიკური მომსახურებების შესაძლებლობები და ხარისხი; 5) ტვირთის თრექინგის შესაძლებლობა; 6) ტვირთის განრიგის მიხედვით დანიშნულების ადგილამდე დროულად მიწოდება.

მსოფლიო ბანკის 2018 წლის ლოგისტიკის შესრულების ინდექსის (LPI) მონაცემებით, საქართველოს ლოგისტიკური მაჩვენებლები გაუმჯობესდა და 130-ე ადგილიდან 11 ადგილით წინ გადაინაცვლა და 119-ე ადგილი დაიკავა. 2018 წლის ლოგისტიკის შესრულების ინდექსი აფასებს ქვეყნებს, თუ რამდენად ეფექტურად გადააქვთ მათ საქონელი საზღვრებს გარეთ და შიგნით. ინდექსში საქართველო მსოფლიოს 160 ქვეყანას შორის 2,44 ქულით 119 ადგილს იკავებს. (პირველ ადგილს კი იკავებს გერმანია 4, 20 ქულით.)

ლოგისტიკური მონაცემების გაუმჯობესების მიუხედავად უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველოს ლოგისტიკის ბაზარი მეტად ფრაგმენტულია. მის უმნიშვნელოვანეს ნაწილს ექსპედიტორული კომპანიები წარმოადგენენ, რომელთაც ხშირ შემთხვევაში არ გააჩნიათ საკუთარი სატრანსპორტო საშუალება და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა. ტვირთმფლობელებს, ექსპედიტორებსა და გადამზიდავებს შორის კოორდინირების დეფიციტია, რაც განაპირობებს არაოპტიმალურ მიწოდების ქსელს, მაღალ ფასებს და ტვირთის გადაზიდვის მაღალ ხანგრძლივობას. დღესდღეობით, ადგილობრივ ბაზარზე თითქმის არ არსებობს

კვალიფიციური ლოგისტიკური ოპერატორები, რომლებსაც კომპლექსური ლოგისტიკური სერვისის წარმოება შეუძლიათ. ქართული მწარმოებლები და მსხვილი დისტრიბუტორები ძირითადად თავისი ძალებით ცდილობენ გადაწყვიტონ ლოგისიტკური პრობლემები. მოცულობის სიმცირისა და მაღალი ფიქსირებული დანახარჯების გამო მათი ლოგისტიკური ხარჯები ძალიან მაღალია.

დასკვნა

საქართველოში სატრანსპორტო–ლოგისტიკური დარგის ძირითადი გამოწვევებისა და განვითარების პერსპექტივების კვლევა მიუთითებს ამ სფეროში ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიის და ერთიანი საკანონმდებლო რეგულირების შემუშავების საჭიროებაზე, რომლის ფარგლებში შესაძლებელი იქნება მთლიანი სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემის უფრო ქმედითად წარმოჩენა. რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ

საბაჟო შეზღუდვების შერბილება, უმოკლესი და უსწრაფესი გადაზიდვების სისტემა, მოწესრიგებიული და უნიფიცირებული საკანონმდებლო ბაზა არის ის ოპტიმალური ვარიანტი, რაც ხელს შეუწყობს და აამაღლებს როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო გადაზიდვების ხარისხს. ამასთანავე, ქვეყნის სატრანპორტო-ლოგისტიკური სისტემის მოდერნიზაციისა და განვითარების, მისი სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ საჭიროა საქართველოში ტრანსპორტისა და ლოგისტიკის გრძელვადიანი სახელმწიფო სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომლის უმთავრესი მიზანი იქნება საქართველოს, როგორც ხელსაყრელი ლოგისტიკური ადგილმდებარეობის მქონეს, კონკურენტუნარიანობის ზრდა და მისი გლობალურ ლოგისტიკურ ქსელში ინტეგრაცია; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სისტემური განვითარება, რომელიც გულისხმობს ეფექტური ინტერმოდალური ინფრასტრუქტურის შექმნას, რაც სატრანსპორტო სისტემას ქსელურ ეფექტს შესძენს და გაზრდის მისი ეფექტურობის ხარისხს; სწორი საკადრო პოლიტიკა ტრანსპორტის სფეროში, რაც ითვალისწინებს მაღალი რანგის პროფესიონალების დასაქმებას ხელმძღვანელ თანამდებობებზე; სათანადო გამჭვირვალე პირობების შექმნა ინვესტორებისა და კერძო სექტორის მოზიდვის მიზნით სატრანსპორტო ლოგისტიკურ მოღვაწეობაში; ლოგისტიკასა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტში მოწინავე აკადემიური პროგრამების განვითარება და ლოგისტიკაში უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა ადგილობრივ კომპანიებში; ტრანსპორტსა და ვაჭრობაში სამართლებლივი ბაზის სრულყოფა, რაც ხელს შეუწყობს ვაჭრობის გამარტივებას და უცხოური ინვესტიციების შემოდინებას და სხვა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/638/importi
2. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti
3. https://openscience.ge/bitstream/1/351/1/samagistro%20arveladze.pdf
4. https://agenda.ge/en/news/2018/1597
5. https://lpi.worldbank.org/international/scorecard/line/32/C/GEO/2018/C/DEU/2018
6. http://www.education.ge/index.php?do=definition/view&id=1142
7. https://openscience.ge/bitstream/1/2460/1/Samagistro%20Erashvili.pdf
8. https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00TH43.pdf
9. https://conferenceconomics.tsu.ge
10. http://mediapedia.ge

14	თემის დასახელება	**შინამეურნეობების შემოსავლების რაოდენობრივი შეფასების თეორიული საფუძვლები**
	სტუდენტები	**ცქიფურიშვილი ირაკლი, შვანგირაძე ლუკა**
	საბაკალავრო პროგრამა	ეკონომიკა, II კურსი
	ხელმძღვანელი	**ონიანი ივლია**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი

15	თემის დასახელება	**ნიკო ნიკოლაძე საქართველოს ადგილისა და როლის შესახებ გლობალურ მეურნეობაში**
	სტუდენტი	**რევიშვილი ვიკა**
	საბაკალავრო პროგრამა	საერთაშორისო ურთიერთობები, II კურსი
	ხელმძღვანელი	**ძოწენიძე ციცინო**, აწსუ-ს მოწვეული სპეციალისტი, ე.ა.დ.

16	თემის დასახელება	**ინფლაციის მიზეზები და დაძლევის შესაძლებლობები საქართველოში**
	სტუდენტები	**ჯანელიძე არჩილი, გელაშვილი შმაგი**
	საბაკალავრო პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება, I კურსი
	ხელმძღვანელი	**გაბადაძე იზოლდა**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი

17	თემის დასახელება	**ფასები და ინფლაცია საქართველოში კოვიდ 19-ის ფონზე**
	სტუდენტები	**ტყაბლაძე მარიამი, არაბიძე ანა**
	საბაკალავრო პროგრამა	ეკონომიკა, II კურსი
	ხელმძღვანელი	**ვირსალაძე ნაირა**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი

Abstract

Prices and inflation are in interrelationship and interdependence. Inflation may be very damaging to the economy of country and can cause its lower growth. For example, when prices are rising, customers are encouraged to delay purchasing in the hope prices will be cheaper in the future. A moderate inflation rate reduces the real value of debt. If there is deflation, the real value of debt increases. Moderate rates of inflation allow prices to adjust and goods to attain their real price. Moderate rates of wage inflation, allow relative wages to adjust. Nominal wages are sticky downwards with moderate inflation firms can freeze pay rises for less productive wokers to effectively give them a real pay cut. Moderate rates of inflation are a sign of a healthy economy with economic growth we usually get a degree of inflation.

The impact of the corova viurus on inflation is uncertain, as there are simultaneous supply and demand movements that can tilt the balance towards more inflation, disinflation, or even deflation. In the short term despite measurement problems and the closure of markets, disinflation has dominated.

The data available between February and May already give us an idea of the short-term impact that the coronavirus crisis is having on inflation. in February, when the Great Lockdown had not yet begun in European countries, there was a slight decline in inflation overall, although prices of industrial goods increased significantly due to disruptions in supply chains integrated with China, where many production plants had already closed at the time.

Headline inflation continued to decline rapidly, falling from 1.2% in February to 0.1% in May as lockdown measures were enforced in most European countries. The fall can be seen both in energy prices and in the set of goods that determine core inflation. In particular, inflation fell both among industrial goods and in the services sector. In contrast, non-processed food prices have risen rapidly.

To sum up prices and inflation are one of the most important indicators of the economic situation, which has a great impact on the well-being of the country.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მოგეხსენებათ საქართველოსა და ზოგადად მსოფლიოსთვის COVID-19-ით გამოწვეული პანდემია ერთგვარ გამოცდად იქცა, რომელმაც განსაკუთრებული მასშტაბი შეიძინა და სრულიად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური რიტმი. მან თითქმის ყველა სფეროზე იქონია ზეგავლენა. მათ შორის არც ეკონომიკის სფერო იყო გამონაკლისი. COVID-19-მა რადიკალურად შეცვალა მსოფლიოს ეკონომიკა მათ შორის საქართველოსიც. შესაბამისად ამ თემის მიზანიც ამას ემსახურება, რომ დავახასიათოთ ფასები და ინფლაცია საქართველოში კოვიდ 19-ის ფონზე.

ზოგადად, ფასი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური კატეგორიაა. მისით დაინტერესებული არიან არა მარტო სპეციალისტები, ეკონომისტები, ფინანსისტები, არამედ უბრალო ადამიანები, რომელთა ცხოვრების პირობებს, ოჯახის ფულად შემოსავლებთან ერთად, უმეტეს წილად ფასების დონე განსაზღვრავს.

იგი საქონლის ღირებულების ფულადი გამოხატულებაა, ე. ი. ფულის ერთეულის ის განსაზღვრული რაოდენობაა, რომლის მიხედვითაც ხდება საქონლის გაყიდვა.

ფასი - ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. იგი არის სასაქონლო - ფულადი ურთიერთობების განხორციელების ძირითადი ფორმა, რომლის გარეშე შრომის საზოგადოებრივი დანაწილების თანამედროვე ეტაპზე შეუძლებელია არსებობა. მასთან შეხებაშია არა მარტო სახელმწიფო და ცალკეული მეწარმე, არამედ ფაქტიურად ყველა მოქალაქე. ამიტომ ფასი და ფასწარმოქმნის მექანიზმი არის არა უბრალოდ აქტუალური საკითხი, არამედ მასშია თავმოყრილი მთელი საზოგადოების ინტერესები. ამიტომ ფასების შესწავლას და მის დახასიათებას ეკონომიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასის წინასწარ განსაზღვრა ძალზე რთულია, პრაქტიკულად შეუძლებელიც. იგი არ არის უბრალოდ პროდუქტზე გაწეულ დანახარჯებს დამატებული გარკვეული რაოდენობის მოგება. მისი სიდიდე განისაზღვრება მოთხოვნა-მიწოდების შედეგად.

ფასების შესწავლისას არ უნდა დავივიწყოთ, ერთის მხრივ, მშრომელთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებები და მეორეს მხრივ, მათი შემოსავლები. მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა დამოკიდებულია არა მარტო მათ შემოსავლებზე, არამედ ფასებზეც. შემოსავლებით მათ უნდა შეიძინონ კვების პროდუქტები, მოხმარების საგნები, მიიღონ გარკვეული მომსახურება და ა. შ. ამიტომ ფასზეა დამოკიდებული როგორც მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, ასევე ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის წარმოებული პროდუქციის გასაღების შესაძლებლობაც.

ფასები არის წარმოების მართვაში ყველაზე საჭირო ეკონომიკური კატეგორია და დასაყრდენი ინსტრუმენტი. მისი სიდიდე მიოცავს პროდუქციის ხარისხს, გასაღების შესაძლებლობას, წარმოების მოგებას, ხელფასს, პრემიას, გაფართოებული კვლავწარმოების შესაძლებლობას და ა. შ. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა უშუალოდ უკავშირდება ფასწარმოქმნის სისტემის რადიკალურ გარდაქმნას, ფასწარმოქმნის ახალი მექანიზმის (საბაზრო მექანიზმის) ამუშავებას და გამოყენებას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასების ცვლილება მნიშვნელოვნად უკავშირდება ინფლაციას (ინფლაცია ლათინურიდან _ ინფლატიო და ნიშნავს გაბერვას)[30]. ინფლაციისაგან არც ერთი ქვეყანა არ არის დაზღვეული. იგი იწვევს ფასების საერთო დონის ზრდას[31], მაგრამ ეს არ ნიშნავს ყველა სახის საქონელსა და მომსახურებაზე ფასების აუცილებლად მომატებას. ინფლაცის საკმაოდ სწრაფი ზრდის დროსაც კი ზოგიერთ საქონელზე ფასი შეიძლება სტაბილური იყოს, ხოლო სხვებზე შემცირდეს კიდევაც.

ინფლაცია საზოგადოებაში უარყოფით ემოციებს იწვევს, ვინაიდან იზრდება სამომხმარებლო ხარჯები, რაც აისახება ოჯახის ბიუჯეტზე და ძლიერ დარტყმას აყენებს ზოგადად საზოგადოებას და განსაკუთრებით კი დაბალშემოსავლიან ოჯახებს; ინფლაციის შედეგად მცირდება ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობა და ხდება ეროვნული ვალუტის გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში; მცირდება რეალური მოგება ბიზნესებში; ამავე დროს, თუ ინფლაციის დონე ქვეყანაში უფრო მაღალია, ვიდრე მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, პროდუქტების კონკურენტულობა ეცემა, რაც აფერხებს ეკონომიკის ზრდას.

ფასები და ინფლაცია ურთიერთკავშირში იმყოფებიან, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ეკონომიკაზე და მასში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე ფასებისა და ინფლაციის შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია და ვფიქრობ საკვლევი თემაც საკმაოდ საინტერესო და აქტუალურია.

ფასის დონისა და დინამიკის ანალიზი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კვლავწარმოების მთელი პროცესი რეგულირდება საქონლის ფასების მეშვეობით, აქ მოქმედებს თავისუფალი მეწარმეობისა და ფასების თავისუფლად დაწესების პრინციპი. ყველა ქვეყანაში, ასეთ პირობებშიც კი, ხელისუფლება ყოველთვის ცდილობს გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანეს კატეგორიაზე. სახელმწიფოს მიერ ფასებზე ზემოქმედება შეიძლება განხორციელდეს ფასების პირდაპირი რეგულირებით, ან ფასებზე კონტროლის დაწესებით. ორივე შემთხვევაში იგი უნდა ემსახურებოდეს როგორც მეწარმის, ისე მომხმარებლის ინტერესებს, საბოლოო ჯამში კი, ქვეყანაში ფასების სტაბილიზაციის მიღწევას.

საბაზრო ეკონომიკა ვერ ეგუება და გამორიცხავს ფასებზე ადმინისტრაციული წესებით დაწესების პრაქტიკას. საბაზრო ფასები არ წესდება წინასწარ. ისინი ყალიბდება ბაზარზე საქონლის მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის მიხედვით.

ფასების შესწავლა იწარმოება საშუალო სიდიდეებისა და საინდექსო მეთოდის გამოყენებით. საშუალოების დახმარებით ახდენენ ფასების დონის დადგენას.

ფასების დინამიკას ვახასიათებთ სამომხმარებლო ფასების ინდექსით (სფი), რომელიც ასახავს ფასების საშუალო ცვლილებას საქონლისა და მომსახურების სამომხმარებლო კალათაზე, რომელსაც მოხმარებისათვის შეიძენს მოსახლეობა. ამდენად, სამომხმარებლო კალათა სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოანგარიშების საფუძველია. კალათა ძირითადად მოიცავს იმ საქონელსა და მომსახურებას, რომლებსაც მოიხმარს მოსახლეობა.

სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოსათვლელად ინფორმაცია გროვდება საქართველოს ხუთი ქალაქის (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი და თელავი) 1300 -მდე საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებში - მაღაზიებში, ბაზრებში, ვაჭრობისა და მომსახურების სხვა ობექტებში. აღნიშნული გამოკვლევა მოიცავს ფასების რეგისტრაციას სამომხმარებლო კალათის 266 სასაქონლო პოზიციაზე, რომლებიც დაფიქსირებულია

[30] Словарь иностранных слов. М. 1983 с. 201

[31] პოლ ა. სამუელსონი, ვილიამ დ.ნორდჰაუსი, ეკონომიკა , 2000, გვ. 612.

შინამეურნეობების გამოკვლევებში. ფასების სტატისტიკის საშუალებით დგინდება ფასების ცვლილებები მთლიანად მოხმარებულ საქონელსა და მომსახურებაზე, მათ ცალკეულ ჯგუფებზე.

#1 ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან დასტურდება, რომ საქართველოში 2012-2020 წლებში საქონლისა და მომსახურების ფასების ზრდაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს ფასების ზრდა როგორც სასურსათო, ისე არასასურსათო საქონელზე, სასურსათო საქონელზე ფასების ზრდის უპირატესობით.

ცხრილი #1

სამომხმარებლო ფასების წლიური ინდექსები გამსხვილებული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით საქართველოში 2012-2020 წლებში.

(დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან)

	საქონელი და მომსახურება-სულ	სასურსათო საქონელი	არასასურსათო საქონელი	მომსახურება
2012	98.6	95.9	98.3	101.4
2013	102.4	106.3	98.4	103.4
2014	102.0	102.7	100.7	102.8
2015	104.9	103.6	106.4	104.1
2016	101.8	101.3	102.0	102.2
2017	106.7	107.7	108.6	103.1
2018	101.5	101.7	101.2	101.8
2019	107.0	107.0	105.0	104.4
2020	102.4	102.4	100.1	100.9

წყარო: ცხრილი შედგენილია სტატისტიკური წელიწდეული 2021, გვ. 246

ცხრილი #2

სამომხმარებლო ფასების ინდექსები საქონლისა და მომსახურების ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკატორის სასაქონლო ჯგუფების მიხედვით საქართველოში 2014-2020 წლებში

(დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან)

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
საქონელი და მომსახურება-სულ	102.0	104.9	101.8	106.7	101.5	107.0	102.4
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	102.5	103.8	101.6	107.3	101.7	112.3	106.8
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	102.5	111.0	113.1	117.5	104.9	115.6	108.6
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	94.5	101.6	94.3	98.0	93.4	95.8	99.1
ჯანმრთელობის დაცვა	106.7	110.5	102.1	108.1	102.9	103.5	109.6
ტრანსპორტი	98.4	95.8	102.2	114.9	101.7	102.9	97.7
კავშირგაბმულობა	99.2	100.1	104.3	99.3	97.4	98.6	100.0
დასვენება, გართობა, კულტურა	100.9	106.5	100.0	101.2	101.1	106.9	97.2
განათლება	101.9	103.8	101.4	101.3	101.9	103.2	100.6
რესტორნები, კაფეები და სასტუმროები	103.9	105.5	104.1	103.4	101.8	107.9	103.5

სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	100.8	108.9	100.3	103.7	100.6	105.8	108.4

წყარო: ცხრილი შედგენილია სტატისტიკური წელიწდეული 2021, გვ. 248

როგორც #2 ცხრილიდან ჩანს საანალიზო პერიოდის მანძილზე ფასები გაიზარდა ინდივიდუალური მოხმარების სასაქონლო ჯგუფების მიხედვითაც. კერძოდ, 2014-2017 წლებში 16.5 პროცენტით გაიზარდა ტრანსპორტის მომსახურება, 15 პროცენტით გაძვირდა ალკოჰოლიანი სასმელები და თამბაქო, კონკრეტული საქონლის მიხედვით ფასები გაიზარდა თითქმის ყველა საკვებ პროდუქტზე. თუმცა 2018-2020 წლებში (კოვიდ პანდემიის პერიოდი) აღინიშნება სატრანსპორტო მომსახურების კლება, შემცირდა ალკოჰოლური სასმელების და თამბქოს ფასებიც.

ფასების მკვეთრი ცვლილება მოხდა სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაში, რაზედაც მიგვანიშნებს სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსები (იხ. ცხრილი #3)

ცხრილი #3

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსები

ზოგიერთი საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოში

2012-2020 წლებში (დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან)

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
მრეწველობა-სულ	102.4	95.6	106.4	104.7	107.5	108.7	103.8	107.8
მათ შორის:								
სამთომომპოვებელი მრეწველობა	102.1	95.3	94.9	93.7	116.3	111.0	98.1	117.3
გადამამუშავებელი მრეწველობა	103.3	95.6	108.6	103.5	107.4	108.5	102.5	108.0
კვების პროდუქტები და სასმელები	108.7	98.0	110.9	104.8	106.8	108.2	102.8	109.4
ტანსაცმლის წარმოება	106.3	99.9	68.0	103.1	73.5	97.7	99.8	108.6

წყარო: ცხრილი შედგენილია სტატისტიკური წელიწდეული 2021, გვ. 249

როგორც #3 ცხრილიდან ჩანს მწარმოებელთა ფასების ინდექსების მიხედვით ფასების კოლოსალური ზრდა მოხდა, როგორც სამთომომპოვებელ მრეწველობაში, ასევე კვების და გადამამუშავებელ მრეწველობაში .

ინფლაციის ანალიზი.

ინფლაცია ფასების ზრდას ნიშნავს და მისგან არც ერთი ქვეყანა არ არის დაზღვეული. ეს ტერმინი ეკონომიკურ ლიტერატურაში მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან გავრცელდა, ხოლო ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ საბჭოთა პერიოდში გასული საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. ამჟამად ინფლაცია მრავალი ქვეყნის ქრონიკული დაავადებაა და იგი სხვადასხვა ტემპით ვლინდება.

ფასების ზრდის ტემპების მიხედვით განასხვავებენ:

- ზომიერ ინფლაციას,
- ჭენებად ინფლაციას,
- ჰიპერ ინფლაციას.

ზომიერი ინფლაციის დროს ფასები ნელა იზრდება, წელიწადში 10%-ზე ნაკლები. ასეთი ტიპის ინფლაცია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის არ წარმოადგენს რაიმე უჩვეულოს.

ჭენებადი ინფლაციის დროს ფასების ზრდა წლიურად 20-დან 200%-ს აღწევს.

ჰიპერინფლაციის დროს კი მიმოქცევაში გაშვებული ფულის რაოდენობა და ფასები კატასტროფულად შორდება ერთმანეთს. დიდი განსხვავება იჩენს თავს ფასებსა და ხელფასებს შორის, საზოგადოების

კეთილდღეობა ინგრევა, მსხვილი კომპანიები მოგება ჰიპერინფლაციის პირობებში პრაქტიკულად წარმოუდგენელია. ჰიპერინდლაციის დროს ფული ფაქტობრივად კარგავს თავის ფუნქციას და საზოგადოებაში საქონელგაცვლა მიმდინარეობს ნატურით და არა ფულის საშუალებით.

ინფლაციისა და ფასებს შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება არსებობს, იზრდება ინფლაცია და იზრდება ფასებიც, და პირიქით. მაგრამ ინფლაციის პერიოდში ყველა საქონელსა და მომსახურებაზე ერთდროულად როდი იზრდება ფასები. ინფლაციის სწრაფი ზრდის დროსაც კი ზოგიერთ საქონელზე ფასი შეიძლება სტაბილური დარჩეს, ხოლო ზოგიერთზე შემცირდეს კიდეც. ან კიდევ, ფასები იზრდება არათანაბარზომიერად: საქონლისა და მომსახურების ერთ ნაწილზე მატულობს ნახტომისებურად, მეორეზე - თანაბარი ტემპით, ხოლო მესამეზე საერთოდ არ მატულობს.

თვით ფასების ზრდაც ყოველთვის როდი გამოხატავს ინფლაციურ პროცესს. როგორც ვიცით, ფასების ზრდა დაკავშირებულია სამომხმარებლო საქონლის მოთხოვნის მიწოდებაზე გადამეტებასთან. მაგრამ ცალკეულ საქონლურ ბაზარზე ასეთი დისპროპორციით განპირობებული მაღალი ფასები ჯერ კიდევ არაა ინფლაცია. ინფლაციურ ხასიათს იგი ღებულობს მაშინ, როცა დისპროპორცია მოთხოვნის სასარგებლოდ ხანგრძლივი და საყოველთაო ხასიათის მატარებელია და მთელი ქვეყნის მასშტაბით მატულობს ფასების საერთო დონე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინფლაციური პროცესი იწყება მაშინ, როცა ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მიწოდებას შორის ნათლად გამოიკვეთება დისბალანსი.

ინფლაცია იწვევს ფასების საერთო დონის ზრდას, ფულის მსყიდველობითი უნარიანობის დაცემას, ფულის გაუფასურებას და გამოწვეულია მიმოქცევაში იმაზე მეტი ფულის მასის არსებობით, ვიდრე ეს სჭირდება ქვეყანაში არსებული საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას. ინფლაციის გარკვეული ,,ზომიერი'' დონე ყველა ქვეყანაში არსებობს, მაგრამ მისი დაჩქარება იწვევს უარყოფით მოვლენებს, რც გამოიხატება ფასების ზრდაში, ეკონომიკური ზრდის შენელებაში და მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემაში.

თუ საშუალოწლიური ინფლაცია ერთნიშნა ციფრით გამოისახება, მაშინ სახეზეა მცოცავი ინფლაცია, რომელიც ეკონომიკისათვის საშიშროებას არ წარმოადგენს. თუ მაჩვენებელი წლიურად აღწევს 20, 100, ან 200% და ამასთან ხდება სტაბილური , მაშინ ეკონომიკას ექმნება სერიოზული სირთულეები, ხოლო ინფლაცა იძენს ჭენებად ხასიათს. იმ შემთხვევაში, როდესაც ფასები წელიწადში იზრდება მილიონი და მეტი პროცენტით, სახეზეა ჰიპერინფლაცია, (ე.ი. ყოველგვარ ზღვარს გადასული ინფლაცია). სამუელსონსა და ნორდხაუსს მოჰყავთ შემდეგი ისტორია: გერმანიაში 1922 წლის იანვრიდან 1923 წლის ნოემბრამდე ფასების ინდექსი 1-დან გაიზარდა 10.000.000.000.-მდე. თუ 1922 წელს ადამიანს გააჩნდა 300 მილიონი დოლარის გერმანიის ობლიგაცია, ორი წლის შემდეგ ეს თანხა ისე ისე გაუფასურდა, რომ მისით ერთ კონფეტსაც ვეღარ იყიდდა. აშშ- ში 1860-1865 წლების სამოქალაქო ომის დროს არსებულ ინფლაციას ამერიკელები ასე ახასიათებდნენ: ადრე მაღაზიაში მივდიოდით ფულით ჯიბეში და ვბრუნდებოდით კალათაში პროდუქტებით, ახლა მივდივართ ფულით კალათაში და ვბრუნდრბით პროდუქტებით ჯიბეში.[32]

ჰიპერინფლაციის დროს ფული ფაქტობრივად კარგავს თავის ფუნქციებს (გაცვლის საშუალების შეფასების, ზომის ერთეულის, დაგროვების, შენახვის) და საზოგადოებაში საქონელგაცვლა მიმდინარეობს ნატურით და არა ფულის საშუალებით. ინფლაციის მაღალი დონით ხასიათდებოდა და ასეთი მდგომარეობას ადგილი ჰქონდა საქართველოში 1992-1995 წლებში, როდესაც ქვეყანაში მიმოიქცეოდა კუპონი, რომელიც ბოლოს ისე გაუფასურდა, რომ მისმა ქონამ ნებისმიერი ოდენობით აზრი დაკარგა, საქართველოში ამ დროს თითქმის ყველა ოჯახი მილიონერი იყო და ამ დროს მის 95%-ს არაფრის ყიდვა არ შეეძლო, ადამიანებს თავი გაჰქონდათ დაგროვილი ქონების რეალიზაციით და ნატურით გაცვლით, რომელსაც უმეტესად თურქეთის ბაზარზე ახდენდნენ. მდგომარეობამ გამოსწორება დაიწყო ახალი ქართული ვალუტის - ლარის შემოღების შემდეგ.

დღევანდელი მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ ინფლაცია გარკვეული ზომით ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს. მისი დაჩქარება იწვევს უარყოფით მოვლენებს, რაც გამოიხატება ფასების ზრდაში, ეკონომიკური ზრდის შენელებაში, უმუშევრობის ზრდაში და, შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემაში. ინფლაცია და, შესაბამისად, ფასების ზრდა თეორიულად შეიძლება გამოიწვიოს წარმოებული პროდუქციის ხარისხის ზრდამაც. მაგრამ ინფლაციის ძირითადი მიზეზია ფულის იმ მასის არსებობა, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი საქონლისა და მომსახურების შესაბამისი ოდენობთ. ე.ი. ფული გაცილებით მეტია საქონელსა და მომსახურებაზე, ამიტომ ის უფასურდება.

ინფლაციის დონეს ზომავენ ფასების ინდექსის მეშვეობით. ინფლაციას ახასიათებენ ასევე ფულის ერთეულის (ლარის) მსყიდველობითი უნარიანობის ინდექსით, რომელიც სამომხმარებლო ფასების ინდექსის შებრუნებული სიდიდეა.

---

[32] პოლ ა. სამუელსონი, ვილიამ დ.ნორდხაუსი, ეკონომიკა , 2000, გვ. 616-617.

სამომხმარებლო ფასების ინდექსის (სსფ) ითვლება მნიშვნელოვან ეკონომიკურ მაჩვენებლად, რომელიც ახასიათებს ინფლაციის დონეს და გამოიყენება ეკონომიკაში ფასების ცვლილების დონესთან დაკავშირებული პროცესების ანალიზისა და პროგნოზირებისათვის.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით მოგვაქვს შესაბამისი მაჩვენებლები:

ცხრილი #4

სამომხმარებლო ფასების ინდექსები და ინფლაცია საქართველოში

2012-2018 წლები (პროცენტულად დეკემბრის წინა წლის დეკემბერთან შედარებით)

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
სამომხმარებლო ფასების ინდექსი	99.1	99.5	103.1	104.0	102.1	106.7	102.6	104.9	105.2	109.6
წლიური ინფლაცია	-0.9	-0.5	3.1	4.0	2.1	6.7	2.6	7.0	3.8	13.9

წყარო: ცხრილი შედგენილია ოფიციალურ სტარტისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

2000-2020 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით აგებული სამომხმარებლო ფასების ინდექსი ასე გამოიყურება:

გრაფიკი#1



როგორც #4 ცხრილიდან ჩანს 2012 წლიდან 2014 წლამდე სამომხმარებლო ფასები თითქმის არ გაზრდილა, ხოლო 2014 წლიდან მოყოლებული იგი ყოველწლიურად განიცდის ზრდას და 2017 წელთან შედარებით 2018 წელს შეადგინა 102.6 %. წლიურმა ინფლაციამ 2.6%. თუმცა ინფლაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2021 წელს ფიქსირდება, როდესაც იგი შეადგენს 109.6-ს, რაზეც უდიდესი გავლენა მსოფლიოში მომხდარმა მოვლენებმა იქონია. ამ პერიოდში ლარი უკიდურესად გაუფასურდა.

ამჟამად საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ–ერთ ურთულეს ამოცანას წაროადგენს ინფლაციასთან გამკლავება: ერთი მხრივ ინფლაციის დაბალ ტემპებზე უნდა ვიზრუნოთ რათა შევინარჩუნოთ სტაბილურობა, ამასთან ერთად კი საჭიროა წარმოებისთვის სტიმულის მიცემა, რაც ხშირად პროდუქციაზე მაღალი ფასით მიიღწევა. მართვის ინსტრუმენტები, რომელსაც დასავლეთის ქვეყნები იყენებენ განსხვავებულია ერთმანეთისგან, რაც დამოკიდებულია ინფლაციის დონეზე, ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მექანიზმზე. ანტი-ინფლაციური პოლიტიკის შედეგები დამოკიდებულია მისი ეტაპების განხორციელების თანმიმდევრობასა დ სხვა მრავალ ფაქტორზე. ინფლაციის შემცირებისა და ფასების დარეგულირებიათვის საჭიროა შევიმუშაოთ გარკვეული ეკონომიკური პოლიტიკა, სადაც ნათლად იქნება წარმოდგენილი გასატარებელი ღონისზიებები და ის ბერკეტები რაც ხელს შეუწყობს არსებული მდგომარეობიდან გამოსვლას.

დ ა ს კ ვ ნ ა

ამრიგად, ფასი მნიშვნელოვანი ეკონომიკური კატეგორია და საქონლის ღირებულების ალტერნატიული ფულადი გამოხატულებაა. ფასის სიდიდის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი არის მოთხოვნა–მიწოდების თანაფარდობა. მოთხოვნა – გვიჩვენებს პროდუქციის რაოდენობას, რომლის შესაძენად მზადაა მომხმარებელი და შეუძლია შეიძინოს იგი. მოთხოვნას განსაზღვრავს შემოსავალი, ყიდვისუნარიანობა. საქონელზე ფასის შემცირება იწვევს მოთხოვნის ზრდას და, პირიქით, ფასის გადიდება იწვევს მოთხოვნის შემცირებას. ამგვარად, ფასსა და მოთხოვნას შორის არსებობს უკუპროპორციული დამოკიდებულება. ცვლილებები მოთხოვნა–მიწოდებაში გაპირობებულია როგორც ფასისმიერი, ისე არაფასისმიერი ფაქტორებით. ინფლაცია ნიშნავს ფულის გაუფასურებას, მიმოქცევის არხებში ფულის მასის ზრდას და ფასების გადიდებას.

ბოლო პერიოდში საქართველოში შექმნილი რთული სიტუაციის გამო ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ–ერთ ურთულეს ამოცანას წაროადგენს ინფლაციის შემცირება და ფასების დარეგულირება. ამისათვის კი საჭიროა შევიმუშაოთ ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, სადაც ნათლად იქნება წარმოდგენილი გასატარებელი ღონისძიებები და ის მნიშვნელოვანი ბერკეტები რაც ხელს შეუწყობს არსებული მდგომარეობიდან გამოსვლას. საჭიროა ქვეყანაში მოხდეს წარმოების მასშტაბების ზრდა, ბიზნესის წახალისება, რაც თავის მხრივ გაზრდის წარმოებული პროდუქციის მოცულობას, კონკურენციას, დაარეგულირებს ფასებს და შესაბამისად ინფლაციურ პროცესებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გურაბანიძე ვ. ლომინაშვილი შ. ყიფიანი მ. ლომინაშვილი მ. ეკონომიკური თეორია, ქუთაისი, 2008.
2. გაბიძაშვილი ბ. სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბ., 2007.
3. ეკონომიკური თეორია, სახელმძღვანელო მ. ადეიშვილისა და რ. ასათიანის რედაქტორობით, თბ., „სიახლე“ 1998.
4. ვირსალაძენ. ბაკურაძე ა. სტატრისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. ქუთაისი, 2008.
5. კბილაძე დ. აბესაძე ნ., მეტრეველი შ. ეკონომიკური სტატისტიკა, თბ., 2007.
6. კახნიაშვილი ჯ. მაკროეკონომიკა, სახელმძღვანელო, ნაწილი პირველი, 1996.
7. მენქიუ გრეგორი, ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა დიოგენე, 2008.
8. პოლ ა. სამუელსონი, ვილიამ დ.ნორდხაუსი, ეკონომიკა, 2000.
9. ჩიხლაძე ნ. ზოგადი ეკონომიკა, ქუთაისი, 2008.
10. ჩიქავა ლ. ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, „სიახლე“ თბ. 1997.
11. ხმალაძე მ. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, თბ., 2011.
12. ჯულაყიძე ე. ფასწარმოქმნის საფუძვლები. ქუთაისი, 1996.
13. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2017. თბ., 2018.
14. სამომხმარებლო ფასების ინდექსები,2008,თბ.,2009.
15. https://www.geostat.ge/ka

18	თემის დასახელება	**ეკოლოგიის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე**
	სტუდენტი	**კორძაძე ეთერი, ფცქიალაძე ნათია**
	საბაკალავრო პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება, I კურსი
	ხელმძღვანელი	**შონია ქეთო**, აწსუ-ს მოწვეული სპეციალისტი

დღეს ჩვენ გვინდა წარმოგიდგინოთ თემა იმის შესახებ თუ როგორ მოქმედებს ეკოლოგია ეკონომიკაზე. პირველ რიგში ვისაუბრებთ, ზოგადად რა არის ეკოლოგია, ეკოლოგიური ფაქტორები, როგორ რატომ მოქმედებენ ისინი ეკონომიკაზე. რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ამ ყოველივეს. შემდეგ ჩვენ განვიხილავთ მაგალითებს , რომელიც ნათლად ასახავს ამ გავლენას და გაგიზიარებთ ჩვენს მიერ მოძიებულ ინფორმაციას რომელიც უშუალოდ საქართველოს უკავშირდება. საბოლოოდ კი წარმოგიდგენთ მაგალითებს იმის დასტურად რომ სხვა ქვეყნები აქტიურად არიან ჩართულნი და ახერხებენ შეათავსონ ეს ორი განსხვავებული სფერო ერთმანეთს. ასევე გზებს რომლითაც ეს პრობლემა გადაიჭრება.

Today we want to introduce you to a topic about how ecology affects the economy. We will first talk about what ecology is in general, ecological factors, and how, why they affect the economy. What are the pros and cons of all this. Then we will then discuss examples that clearly illustrate this impact and share with you the information we have found that is directly related to Georgia. Finally, we present examples to prove that other countries are actively involved and manage to combine these two different areas. As well as how this problem will be solved.

ზოგადი განმარტებით ეკოლოგია ეს არის ბიოლოგიის ნაწილი, რომელიც ცოცხალ ორგანიზმებს შორის ურთიერთკავშირებს დ, ასევე ცოცხალ ორგანიზმებსა და მათ საცხოვრებელ გარემოს ურთიერთდამოკიდებულებას შეისწავლის. სიტყვა „ეკოლოგია“ აგრეთვე გარემოს დაცვის აღსანიშნავადაც აქტიურად გამოიყენება. სხვა განმარტებებზე დაყრდნობით კი შეგვიძია ვთქვათ რომ ეკოლოგია ბუნების ეკონომიკაა. როგორც მსოფლიოში ასევე საქართველოში დღესდღეობით ბევრი ეკოლოგიური პრობლემაა, რაც ადამიანის საქმიანობის შედეგია. დღეს მინდა წარმოგიდგინოთ თუ რა ზეგავლენას ახდენს ეკოლოგიური პრობლემები ქვეყნის ეკონომიკაზე. ეკოლოგია დიდ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის საერთო ეკონომიკურ ციკლზე, მასში შემავალ ელემენტებზე და იწვევს მათში გარკვეული სახის ცვლილებებს. მაგალითად, ამ ზემოქმედებას განიცდის ეკონომიკის სტრუქტურა, რესურსები, ადამიანური და ფიზიკური კაპიტალი და ა.შ.

საქართველოში ეკოლოგიური სიტუაცია დროთაგანმავლობაში უარესდება. ნედლეულის გამოყენებისა და წარმოების ზრდასთან ერთად იზრდება წყლის , ნიადაგის და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება. ნედლეულის წარმოება უშუალო კავშირშია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასთან იქედან გამომდინარე რომ საქართველოს ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი სწორედაც რომ ნედლეულის ტიპის პროდუქტია. ესენია : ჩაი, თამბაქო, სიმინდი , ხორბალი და ა.შ. ადამიანის მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობა უდიდეს ზეგავლენას ახდენს გარემოს დაბინძურებაზე. იმ აირების კონცენტრაციის მატება, რომლებიც იწვევენ სათბურის ეფექტის გაძლიერებას და თავის მხრივ კლიმატის ცვლილებასაც, დაკავშირებული არის ეკონომიკურ საქმიანობასთან და მის განვითარებასთან. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს 2016 წელს ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც გლობალური მასშტაბით გამოიკვეთა ის ეკონომიკური სექტორები, რომლებიც სათბურ აირებს გამოაფრქვევდნენ. ამ მონაცემებით დადგინდა, რომ ყველაზე დიდი პროცენტული წილი - 73,2 % - ენერგეტიკის სექტორზე მოდის, ამ უკანასკნელში კი თავის მხრივ მრეწველობას უკავია უდიდესი ადგილი - 24,2 % - ით. მეორე ადგილს იკავებს სოფლის მეურნეობა - 18,4 %- ით.

სტატისტიკის მიხედვით საქართველოში ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროდ ავტომანქანების გამონაბოლქვი რჩება, პროცენტულად კი ეს დაახლოვებით 85%-ია. გვაქვს. 2019 წლის დეკემბერში ჩატარდა კვლევა და GAHP-ის მიერ (გლობალური ალიანსი ჯანდაცვისა და დაბინძურების შესახებ) გამოქვეყნდა მონაცემები, რომლებიც ევროპის რეგიონში ადამიანთა ჯანმრთელობაზე საფრთხის შემქმნელ ერთ-ერთ ფაქტორზე- ჰაერის დაბინძურებაზე ამახვილებდა ყურადღებას. ამ უკანასკნელის მიხედვით გამოიკვეთა, რომ ევროპის რეგიონში საქართველო მეორე ადგილს იკავებს - 100 000 მოსახლეზე დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობის მიხედვით. 1999 წლიდან კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფები საქართველოს 1.2 მილიარდი აშშ დოლარი დაუჯდა. მომავალი 10 წლის განმავლობაში ეს ხარჯი შესაძლოა 10-ჯერ გაიზარდოს და 12 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინოს. ამიტომაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკოლოგიური პრობლემების გავლენათა უარყოფა მეტ ეკონომიკურ დანაკლისს და ხარჯს გამოიწვევს სახელმწიფოსთვის, ვიდრე მათი გათვალისწინება და ამ პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლა. ასევე ეკონომიკის განვითარებას დიდ ზიანს აყენებს ატმოსფეროში დაგროვილი ნახშირორჟანგიის გაზი, სითბური ეფექტები, რომელიც იწვევს კლიმატის ცვლილებებს, ამცირებს ბუნებრივი რესურსების გამოყენების შესაძლებლობებს, მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე და იწვევს უამრავ სტიქიურ კატაკლიზმებს. ხშირად არის დავა იმის შესახებ რომ შემოიღონ გარემოს დაცვის რეგულაციები რასაც ეკონომიკური არგუმენტებით ეწინააღმდეგებიან. გარემოსთვის მიყენებულ ზიანს ეკონომიკურ ზარალად წარმოაჩენენ. მსოფლიო ბანკის მონაცემებით ჰაერის დაბინძურებას საშუალოდ 225 მილიარდი დოლარის ზარალი მოჰყვება წლის განმავლობაში, რაშიც არ შედის ის სიკვდილიანობითა და ჯამრთელობის გაუარესებით მიყენებული ზიანი. ბევრი განვითარებადი ქვეყანა გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამო ყოველწლიურად მთლიანი შიდა პროდუქტის 7,5% კარგავს, რაც საბოლოოდ ძალიან დიდ ზიანს აყენებს ამავე ქვეყნის ეკონომიკას. გლობალური ორგანიზაციები და ფირმები აკეთებენ ყველაფერს, რომ შეიტანონ საკუთარი წვლილი გარემოს დაბინძურების შემცირებაში. მაგალითად, კომპანია ტესლა ცდილობს შეამციროს წიაღისეული საწვავის წვა ელექტროენერგიის წარმოებისთვის, გათბობისა და ტრანსპორტისთვის. ეს კი ხელს უწყობს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი შედეგის და ჰაერის დაბინძურების შემცირებას. ამას გარდა შეგვიძლია დავასახელოთ საინფორმაციო ტექნოლოგიების გიგანტი კომპანია HP, რომელიც ბოლო პერიოდში კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლას აქტიურად ეწევა. ამ ფირმამ აიღო ვალდებულება, რომ 2025 წლისთვის ერთჯერადი პლასტმასის შეფუთვის 75%- აღმოფხვრას 2018 წელთან შედარებით. თუ რამდენიმე ათეული წლით უკან დავბრუნდებით და საბჭოთა კავშირის პერიოდს გავიხსენებთ, მივხვდებით, რომ მაშინ ინდუსტრიული წარმოება არ იყო განვითარებული, თუმცა არსებობდა ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე სამრეწველო ქარხანა და ესენია: რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, კაუჩუკის ქარხანა, ქუთაისის ავტოქარხანა, თბილისის საავიაციო ქარხანა და აზოტის ქარხანა. თუ კი მათ გარემოზე ზემოქმედებას განვიხილავთ, ამ უკანასკნელთ არ ჰქონდათ დიდი რაოდენობით საწარმოო ნარჩენი და, შესაბამისად, ნაკლები იყო მათი მხრიდან ეკოლოგიურ გარემოზე გავლენა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ამ ქარხანათა უმრავლესობაში საწარმოო პროცესების უდიდესი ნაწილი, შემოსული, უკვე დამზადებული ნაწილების აწყობაში მდგომარეობდა. საუბედუროდ, ჯერ კიდევ მზარდი ნარჩენების გადამუშავება საქართველოში მწვავე

პრობლემას წარმოადგენს. სამწუხაროდ, არა გვაქვს ნარჩენების სორტირებისა და ნაგავსაყრელებზე მათი გადამუშავებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ის, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ ვართ ძალიან განვითარებულნი, ეკოლოგიური თვალსაზრისით თითქოს სასიხარულოა, იმიტომ, რომ ქვეყანა ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რადგანაც ნარჩენების დამარხვით ეს პრობლემა არ გვარდება, როგორც ეს ჩვენ სახელმწიფოში ხდება.ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე ჰაერის დაბინძურება , რომელიც ყოველდღიურად მანქანის თუ ფაბრიკა-ქარხნების გამონაბოლქვით ხდება, საბოლოოდ დიდ ეკონომიკურ კრიზისს მოგვიტანს.

ეკოლოგიასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემა არის გიგანტური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საკითხი. საქართველოს სხვადასხვა, ძირითადად კი მაღალმთიან რეგიონებში150-მდე უზარმაზარი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაა დაგეგმილი დღევანდელი მონაცემებით. ეს გულისხმობს ასობით ტყის წყლის ქვეშ მოქცევას, უამრავი დასახლებული პუნქტის ჩაძირვასა და შესაბამისად იქ მცხოვრები ადამიანების მიგრაციას. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც რომ ეს სადგურები ძირითადად მაღალმთიან რეგიონებში შენდება სადაც მოსახლეობა ისედაც მცირეა და მიგრაციული პრობლემები კიდევ უფრო ამძიმებს ამ სურათს.რაც შეეხება ტყეების განადგურებას , ბოლო პერიოდში გამწვანებული ტერიტორიები დღითიდღე უფრო მცირდება,განსაკუთრებით დიდ ქალაქებში. 1 ჰა ტყე წლიურად 50-70 ტონა მტვერს ფილტრავს, აჯანსაღებს ატმოსფერულ გარემოსა და იცავს წყლის რესურსებს. მიუხედავად იმისა რომ ჰიდროელექტროსადგურს დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია ეკონომიკისთვის ,არანაკლები პრობლემების გამოწვევაც თან ერთვის .

შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე მიზეზი, რომ გარემოს დაცვა და მასზე ზრუნვა კომპანიების მხრიდან მათივე ეკონომიკური საქმიანობის წარმატების საფუძველს წარმოადგენს. პირველი ეს არის - ხარჯების შემცირება – სიმართლეა ის, რომ ბიზნესის ,,გამწვანება“ კომპანიებისთვის თავდაპირველ ეტაპზე დაკავშირებულია ხარჯების ზრდასთან, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მომავალში ფირმას აქვს შესაძლებლობა, რომ დაზოგოს ფული. მაგალითად, მზის ენერგიაზე გადასვლა საკმაოდ დიდი თანხის ინვესტირებასთანაა დაკავშირებული, თუმცა მისი გამოყენებით საშუალო კომერციული ქონების მფლობელს შეუძლია თვეში 500$-ის დაზოგვა ელექტროენერგიაზე. მეორე მიზეზი ესაა- ახალი მომხმარებლების შეძენა – თანამედროვე პერიოდში დრო და დრო ეკოლოგიურ პროდუქტებზე მოთხოვნა კიდევ უფრო იზრდება, რაც თავისმხრივ მოიაზრებს იმას, რომ ეკოლოგიური პროდუქციის წარმოებით კომპანიას შეუძლია კონკურენტული უპირატესობის მოპოვება ანუ იგი შეძლებს მეტად მიმზიდველი გახადოს მის მიერ წარმოებული პროდუქცია და მოიზიდოს უფრო მეტი ახალი მომხმარებელი. მესამე მიზეზი არის - რეპუტაციის ამაღლება – ზოგადად მიჩნეულია, რომ ორგანიზაციის თუ ფირმის ეკონომიკური საქმიანობის წარმატებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს მისივე რეპუტაცია, რომელიც დამკვიდრებულია საზოგადოებაში. მნიშვნელოვანია თუ როგორი სახის იმიჯი დაიმკვიდრა მან და თუ როგორ აღიქვამს მის საქმიანობას მომხმარებელი. ეკოლოგიური ეფექტებისა და ბუნებისდაცვითი საკითხების გათვალისწინება კი ხელს უწყობს კომპანიის რეპუტაციის ამაღლებას. ამის ნათელ და კარგ მაგალითს წარმოადგენს კომპანია Lego, რომელმაც მსოფლიოს ყველაზე რეპუტაციულ კომპანიებს შორის დაიკავა მესამე ადგილი, მხოლოდ მას შემდეგ, რაც გადაწყვიტა, რომ წარმოებაში გამოეყენებინა მცენარეული რესურსები. ბოლო მიზეზი კი არის - კონკურენტული უპირატესობის უზრუნველყოფა – აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში უფრო მეტი კორპორაციები ითვალისწინებენ მდგრად განვითარებასა და გარემოსდაცვით მოთხოვნებს, რის შედეგადაც მათ გააჩნიათ 18%-ით მაღალი ინვესტიციების დაბრუნების მაჩვენებელი. იმის გათვალისწინებით, რომ მათ შესწევთ ძალა. რომ თავიანთი ქცევები ბიზნეს კლიმატის ცვლილების მიხედვით შეცვალონ, ეს თავის მხრივ იძლევა ფინანსების უკეთ მართვის საფუძველს, რაც კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასაც უწყობს ხელს.

დასკვნის სახით კი გვინდა გითხრათ რომ არაერთ ქვეყანაში შემუშავებულია გეგმა, რომელიც არც ეკოლოგიას და არც ეკონომიკას არ აზიანებს. ეს არის ეკოლოგიური ეკონომიკა რომელიც გულისხმობს რესურსების ეფექტიიან განაწილების მნიშვნელიბას , მაგრამ დცილობს უფრო ღრმად გაიგოს ურთიერთობა ეკონომიკურ განვითარებასა და ეკოლოგიის დაცვას შორის. მარტივად რომ ვთქვათ ეკოლოგიური ეკონომიკა ეს არის ხიდი ეკოლოგიასა და ეკონომიკას შორის. იმის თქმა, რომ ეკონომიკური განვითარებისათვის საჭიროა ბუნებისდაცვითი მოთხოვნების უგულებელყოფა, აღიქმება ისე, რომ ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისა და განვითარებისათვის საჭიროა ადამიანთა ჯანმრთელობის უგულებელყოფა, რაც მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკურ აზრს. საჭიროა, რომ სახელმწიფოებმა ეკონომიკური საქმიანობა და ბუნებისდაცვითი მოთხოვნები შესაბამისობაში მოიყვანონ და შეუთანხმონ ეს ორი ერთმანეთს. რადგანაც ინვესტორების ინტერესებში ნაკლებად შედის ის, რომ გაითვალისწინონ ეკოლოგიური პროცესები, მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი მოთხოვნები და ამისთვის გასწიონ კიდევ დამატებითი ხარჯები, საჭიროა, რომ თავად ქვეყნის მთავრობამ გაატაროს გონივრული საკანონმდებლო რეგულაციები უარყოფითი ეკოლოგიური ეფექტების შესამცირებლად, ეკონომიკის გასავითარებლად, ინვესტორების და მეწარმეთა მოტივაციის ასამაღლებლად და

წასახალისებლად. უნდა ჩამოყალიბდეს გარკვეული სახის ეკოლოგიური სტანდარტები და მხოლოდ მას შემდეგ მიეცეთ წარმოების უფლება, როდესაც ისინი შეძლებენ ამ სტანდარტებს მოერგონ და დააკმაყოფილონ. თუმცა როცა საუბარია მსგავსი სტანდარტების დაწესებაზე, ფირმების თუ ცალკეული პიროვნებებიდან ისმის არგუმენტი, რომ მათი შემოღება გამოიწვევს წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდის შემცირებას. თუ კი ამ მხრივ ვიმსჯელებთ გამოდის, რომ გარემოს დაბინძურება ეკონომიკურად მიზანშეწონილი ანუ მოგებიანია. თუმცა უნდა ითქვას, რომ ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარება, კონკურენტუნარიანი პროდუქტებისა და სერვისების წარმოება- მიწოდება გარემოს დაბინძურების ხარჯზე არ უნდა მიმდინარეობდეს. არსებობს ბევრი და ამავედროს წარმატებული გამოცდილება იმისა, თუ როგორ შეიძლება სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარება გარემოზე მინიმალური ნეგატიური ზემოქმედებით მოხდეს. უმეტეს შემთხვევაში ეს მიზანი მიღწეულ იქნა ინვესტიციების მასტიმულირებელი მექანიზმების დანერგვით. სწორედ მსგავსი სახის ფინანსური სტიმულები აბათილებს გარემოზე ზემოქმედების რეგულაციებით გამოწვეულ ფასების ზრდას. სახელმწიფო დონეზე შესაძლებელია ამ ფინანსური სტიმულების შემუშავება და დანერგვა, მაღალი ეკოლოგიური სტანდარტების კომპანიებისათვის და ნარჩენების გადამმუშავებელი საწარმოებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესების გზით. ეს საგადასახადო შეღავათებები კი თავის მხრივ იქნება ხელშემწყობი ფაქტორი კერძო ინვესტიციების მოზიდვისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://mastsavlebeli.ge
2. https://forbes.ge
3. https://geoeconomics.ge
4. ka.wikipedia.org.
5. researchgate.net
6. tsu.ge

19	თემის დასახელება	**ინოვაციის არსი, ციფრული ფული**
	სტუდენტი	**შვანგირაძე ლუკა, ცქიფურიშვილი ირაკლი**
	საბაკალავრო პროგრამა	**ეკონომიკა, II კურსი**
	ხელმძღვანელი	**თამარ ნადირაძე- გოგოლაძე, ე.ა.დ.**

დღეისათვის მსოფლიოში ყველაფერი სწრაფად იცვლება, ბიზნესები, რომლებიც ათი წლის წინ შეიძლება საერთოდ არ არსებობდა, ახლა არსებობს და თან დიდი შემოსავალიც მოაქვს. ცვლილებებს თითქმის ყველა სფეროში ერთი ძირითადი მახასიათებელი აქვს : ეს არის დიჯიტალიზაცია.

კარგად მოგვეხსენება, რომ დიდი ძვრები მოხდა ტექნოლოგიებში. ტექნოლოგიები სულ უფრო და უფრო დაიხვეწა, რამაც განვავითარა სამეწარმეო აქტიურობა. ისმის კითხვა თუ რით უწყობს ეს დახვეწილი ტექნოლოგიები ხელს მეწარმეობას, დღესდღეობით კომპანიები ხშირად მოიხმარენ ინტერნეტს, სოციალურ ქსელებს, რადგან ელექტრონულ ინფორმაციებს, ელექტრონულ საკომუნიკაციო სისტემას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება აი თუნდაც მარკეტოლოგებისთვის სოციალური ქსელი, ინტერნეტი და ელექტრონული ინფორმაციები, ძალიან დიდ როლს თამაშობს მასში.

ადამიანები სოციალურ ქსელში ერთმანეთს უზიარებენ ამა თუ იმ პროდუქტის შესახებ ინფორმაციებს და ამით მარკეტოლოგებს საშუალება ეძლევათ გაიგონ თუ რას სურს მომხმარებელს რა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უნდა მას. განვითარებულმა ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა ინტერნეტმა, მობილურმა, ინტერექტუალურმა ტელევიზიამ ხელი შეუწყო განვითარებულიყო ინტერნეტ ეკონომიკა რაშიც მოიაზრება ელექტრონული ბიზნესი. ელექტრონული კომერცია სწორედ ამ ინტერნეტ ეკონომიკამ და ელექტრონულმა ბიზნესმა წარმოშვა. მასში მოიაზრება. ელექტრონული შესყიდვა, ელექტრონული მაღაზიები, ელექტრონული ბაზარი. ონლაინ გაყიდვები და ა.შ

კარგად მოგვეხსენება, რომ ელექტრონული ფული პოპულარიზაცია მდგომარეობს იამში, რომ მას აქვს ის უპირატესობები როგორიცაა მოხერხებულობა, სისწრაფე, ფულადი ოპერაციების მაღალი სისწრაფე.

პირველი ციფრული ფული და მისგან ფულადი სარგებლის მიღება

კრიპტოვალუტების ისტორია იწყება 2008 წლის ბოლოს, ეს იყო წელი, როდესაც ხალხმა პირველად მოისმინა სიტყვა ბიტკოინი. კრიპტოვალუტის ისტორია, იმ თანამედროვე ფორმით როგორც ახლა არის, იწყება სწორედ ბიტკოინით. რომელზეც ფიქრობენ რომ ადამიანმა ან ადამინათა ჯგუფმა შექმნა , ფსევდონიმით სატოში ნაკამოტო. პირველი ბლოკი დაგენერდა 2009 წლის 3 იანვარს, 12 იანვარს განხორციელდა პირველი ტრანზაქცია

რომლის მოცულობა იყო 10 ბიტკოინი. ბიტკოინის საშუალებით რეალური საქონლისა და მომსახურების გაცვლა განხორციელდა 2010 წლის მაისში

კრიპტოვალუტებს გამომუშავების ძირითადი ხერხი ,,მაინინგია''. ეს ტერმინი ინგლისური სიტყვა მოპოვებიდან მომდინარეობს. ყველაზე პოპულარული კრიპტოვალუტის მაგალითზე რომ ვთქვათ ბიტკოინის ფლობა შესაძლებელია ყიდვით ან გამომუშავებით. ყიდვა ონლაინ არის შესაძლებელი, ხოლო გამომუშავება შესაძლებელია შემდეგნაირად : პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით შესაძლებელია კომპიუტერ ან სხვა მოწყობილობა ჩაერთოს რთული მათემატიკური ალგორითმების ამოხსნაში და მისი წარმატებით დასრულების შემთხვევაში თქვენ მიიღებთ შესაბამის ბიტკოინს.ბიტკოინის გამომუშავება შეიძლება როგორც საკუთრებაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით, ასევე აპარატურის ქირაობა და მისი დახმარებით მაინინგი.იმისათვის რომ ბიტკოინი გამომუშავოთ, საჭიროა რამდენიმე დეტალი გავითვალისწინოთ:

- კომპიუტერი (ძლიერი ვიდეო ბარათით)
- ელექტროენერგია
- ინტერნეტი
- მაინინგის პროგრამა
- ბიტკოინის საფულე

მაინინგი და მაინერები

კრიპტოვალუტების ბაზარი განსხვავდება ნებისმიერი სხვა ბაზრისაგან შემდეგი მახასიათებლებით : პირველი მას არ ჰყავს რაიმე კონკრეტული მაკონტროლებელი ორგანო, ის კონტროლდება ბლოკჩეინში არსებული მომხმარებელების მიერ. რაც განაპირობებს თუნდაც იმას რომ ფასი ხშირად მერყეობს.
მაინინგი არის კრიპტოვალუტების მოპოვების გზა, იმისათვის რომ განხორციელდეს მაინინგი საჭიროა დრო და ელექტოენერგია. მაინინგის პროცესის დასრულების შემდეგ ბლოკჩეინში ხდება ახალი ჩანაწერები, მათი რეგისტრაცია და მათი სამუდამოდ შენახვა, თუ ამ მონაცემის შეცვლა მოხდება, ის აუცილებლად აისახება ბლოკჩეინში არსებულ სქემაში.

ტრანზაქციების ბლოკებში მოთავსებას ახორციელებენ მაინერები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სისტემის ფუნქციონირებაზე. მაინერებს გააჩნიათ ბიტკოინის ქსელში განხორციელებული ყველა ტრანზაქციის ვალიდაციის ფუნქცია. გაწეული შრომის სანაცვლოდ ისინი შესაბამისად ჯილდოვდებიან სისტემისგან ახლად დაბეჭდილი ბიტკოინების სახით. ბიტკოინის მთელი არქიტექტურა აგებულია მოტივაციის სისტემაზე, რომ ყველა მოთამაშის პატიოსანი ქცევა იყოს წახალისებული.

10 ყველაზე გავრცელებული კრიპტო ვალუტები

ბოლო ათწლეულია მსოფლიო სავალუტო სფეროში ტექნოლოგიური ცვლილებებია, ბაზარზე კრიპტოვალუტები გამოჩნდა. შინაარსით კრიპტოვალუტები ციფრული ვალუტაა, რომლის საშუალებითაც შესაძლოა გარკვეული საქონლის და მომსახურების შეძენა, ასევე არსებულ ვალუტაში შესაბამისი კურსით გადაცვლა.
მსოფლიოში სხვადასხვა ტიპის კრიპტოვალუტა არსებობს, რომლებიც ერთმანეთისაგან შექმნის, გამოყენების და ფუნქციების მიხედვით განსხვავდებიან.
ბოლო წლებში კრიპტოვალუტები საქართველოშიც პოპულარული გახდა, კრიპტოვალუტები 2009 წლიდან გამოჩნდა, შესამჩნევი ზრდა კი 2017-2018 წლებში განიცადა, როდესაც საბაზრო კაპიტალიზაცია 2017 წლის იანვარში 18 მილიარდიდან 2018 წლის იანვარში 800 მილიარდი გახდა.
მსოფლიოში არსებობს სხვადასხვა კრიპტოვალუტა, მიმოვიხილავ ყველაზე პოპულარულ კრიპტოვალუტებს, მათ დადებით და უარყოფით მხარეებს, ისტორიულ ღირებულებას, ეს ვალუტებია:
1. ბიტკოინი (BTC) 2. ეთერიუმი (Ether) 3. რიპლი (XRP) 4. ბიტკოინ cash (BCH) 5. EOS
6. Cardano (ADA) 7. Litecoin (LTC) 8. Stellar (XLM) 9. IOTA 10. NEO

ბიტკოინი

ბიტკოინი (ინგლ. Bitcoin, bit — „ბიტი“ და coin — „მონეტა“) — მსოფლიო მასშტაბის კრიპტოვალუტა და ელექტრონული გადახდის საშუალება. ის არის პირველი დეცენტრალიზებული ციფრული ვალუტა. მისი გამოგონება უკავშირდება ადამიანს ან ადამიანების ჯგუფს, ცნობილს, როგორც სატოში ნაკამოტო , (თუმცა ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მსგავსი ადამიანი არ ფიქსირდება იაპონიაში და შესაძლოა უცხო სახელით გაეცნო ის საზოგადოებას) რომელმაც 2008 წელის მიწურულს საჯაროდ განაცხადა საკუთარი გამოგონების შესახებ და გამოაქვეყნა ამის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო 2009 წლიდან კომპიუტერულ ქსელში ჩაუშვა. სისტემა აგებულია P2P პრინციპზე, რაც გულისხმობს იმას, რომ ორ კომპიუტერულ სისტემას შეუძლია ერთმანეთს შორის

ინფორმაცია გაცვალოს ან ერთმა კომპიუტერმა მეორეს ინფორმაცია მიაწოდოს პირდაპირ, ყოველგვარი მესამე მხარის მონაწილეობის გარეშე, მთავარი სერვერის გვერდის ავლით; ტრანზაქციები მოწმდება ციფრული ქსელების შესაბამის სისტემებში და ინახება საჯაროდ დამოუკიდებელ მონაცემთა ბაზაში, რომელსაც ეწოდება ბლოკჩეინი.

ჩატარებული კვლევა: კემბრიჯის უნივერსიტეტის 2017 წლის კვლევის მიხედვით, კრიპტოვალუტის საფულის უნიკალურ და აქტიურ მომხმარებელთა რაოდენობა 2013 წლიდან 2017 წლამდე 2.9 მილიონიდან 5.8 მილიონამდე გაიზარდა. მომხმარებელთა უმეტესობა ბიტკოინის მომხმარებელია

ეთერიუმი

ეთერიუმის შექმნას სათავე **ვიტალიკ ბუტერინმა** დაუდო და 2014 წელს წარუდგინა კიდეც სამყაროს. მისი თქმით ეთერიუმი არის დეცენტრალიზებული პლატფორმა, რომელიც დამყარებულია ბლოქჩეინ სისტემაზე და მისი საშუალებით შესაძლებელია ჭკვიანი კონტრაქტების შექმნა.

გამოშვებისთანავე ეთერიუმი დიდი ყურადღების ცენტრში მოექცა. კრიპტომოვაჭრეები მას ყველაზე მეტად ბითქოინს ადარებენ, რეალურად კი რამდენადაც ეს ორი კრიპტოვალუტა ერთმანეთს გავს იმდენად განსხვავდება კიდეც, გამომდინარე იქიდან რომ ეთერიუმი რეალურ ცხოვრებაში უამრავი პრობლემის გადაწყვეტის საშუალებაა.

ვიტალიკი ეთერიუმის დაფუძნებამდე ერთ-ერთი ონლიან საგანმანათლებლო ჟურნალის შემქნელი იყო, რომელიც ბლოქჩეინზე, ბითქოინზე და კრიპტოგრაფიაზე აქვეყნებდა ნაშრომებს და სტატიებს. იქიდან გამომდინარე, რომ ის სწავლობდა კომპიუტერულ ინჟინერიას.

მარტივად რომ აღვიქვათ და გავარჩიოთ ბითქოინისა და ეთერიუმი შესაძლებლობები, მოდით შევადაროთ ინტერნეტს: როდესაც ეს უკანსაკნელი შეიქმნა, პირველი სასარგებლო და მნიშვნელოვანი პროდუქტი იყო იმეილი, რომელმაც რევოლუცია გამოიწვია, ინტერნეტ მომხმარებლებს შორის, სწორედ მისი ისტორია ჰგავს ბითქოინს, რადგან იგი არის ბლოქჩეინის ერთ-ერთი აპლიკაციათაგანი, ხოლო ეთერიუმი დღევანდელი "ინტერნეტია" რომელიც იძლევა უამრავ შესაძლებლობებს.

რატომ არის საქართველო საინტერესო ქვეყანა

კრიპტოვალუტის ბაზრის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ეკომინიკური მხარე. ევრაზიაში ჩინეთის შემდეგ საქართველო მაინინგისათვის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი ქვეყანაა, ამას ძირითადად ორი ფაქტორი განაპირობებს:

• ელექტროენერგიის სიიაფე
• ნაკლები რეგულაცია

ელექტროენერგიის სიიაფე - დღეს საქართველოში ელექტოენერგია საკმაოდ მისაწვდომია. იმისათვის რომ მაინინგი მოხდეს საჭიროა ძლიერი ტექნიკური მხარე და რესურსების სიიაფე, ელექტროენერგიის სიიაფე მაინერებისათვის იმის ნიშანია, რომ მათ მეტი მოგება დარჩებათ. ეს კი მაინერებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია.

დამატებით, საქართველოში არის ეკონომიკური ზონები, სადაც ელექტროენერგია ჩვეულებრივზე უფრო იაფია.

რეგულაციები - არის ქვეყნები, რომლებიც ცდილობენ კრიპტოვალუტა გადახდის რომელიმე მეთოდს მიაკუთვნონ და შესაბამისად დაბეგრონ. მაგრამ რადგან შეუძლებელია კრიპტოვალუტებით განხორციელებული ოპერაციის დეტალების კონტროლი, შესაბამისად მათი დაბეგვრაც რთულია. საქართველოში ჯერჯერობით არ არის რაიმე კონკრეტული კანონი, რაც მაინერებისათვის ასევე მომხიბვლელია.

StepN

დღესდღეობით ყველას გვსმენია და შეიძლება ითქვას აქტუალურობის პიკს მიაღწია აპლიკაცია STEPN - მა, რომლის მეშვეუბით ყოველ ჩვენგანს შეგვიძლია ახლო ურთიერთობა გვქონდეს კრიპტო ვალუტასთან და ახლავე ჩავერთოთ მის გამომუშავებაში.

ზემოთ აღნიშნულ სტარტაპის მთავარი იდეა და კონცეფციაა, რომ უბიძგოს საზოგადოებას ჯანსაღი ცხოვრების წესისკენ, შეამციროს გარემოს დაბინძურება მავნე ნივთიერებებისგან, კერძოდ ტრანსპორტის გამონაბოლქვისგან, და გააუბჯობესოს ზოგადი ეკოლოგიური მდგომარეობა. ამ ყველაფრის სანაცვლოდ კი მომხმარებელი იღებს ანაზღაურებას კრიპტო ვალუტის სახით, რომლის დასახელებაც საზოგადოებისთვის შეიძლება ცნობილი იყოს GST - ის (Green Satoshi Token) sსახით.

თამაში მდგომარეობს შემდეგში. მომხმარებელებს StepN ის აპლიკაციაში შეუძლიათ შეიძინონ ვირტუალური NFT ბოტასი, ფეხსაცმელი, რომლის მინიმალური ფასი ამჟამად შეადგენს 1200 ამერიკულ

დოლარს, ქართულ ლარში დაახლოებით 3500 ლარს. მოთამაშის, თუ შეიძლება მომხმარებელს ასე ეწოდოს, მთავარი მიზანია გაიაროს რაც შეიძლება დიდი მანძილი, დუთმოს დიდი დრო ფეხით სიარულს და თან გამოიმუშავოს თანხა, რაც stepN ის იდეის თანახმად, აუმჯობესებს, როგორც მათი ჯანმრთელობას , ისევე გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას .მაშინ, როცა ჩვენს სმარტპონზე გააქტიურებული გვაქვს მობილური ინტერნეტი, სმარტფონი აღრიცხავს ჩვენს გადადგმულ ნაბიჯებს, ხოლო GPS - ი ჩვენს მიერ გავლილ მანძილს. შემდგომში ამ მონაცემების სტატისტიკურ ანალიზს ახდენს აპლიკაცია stepN - ი და მის შესაბამისად ვიღებთ ანაზღაურებას GST კრიპტო ვალუტის სახით, რომლის ღირებულებაც, ამჟამინდელი მონაცემებით, წარმოადგენს 1. 39 ამერიკულ დოლარ. მისი კურსი ისევე, როგორც კრიპტო ვალუტათა უმრავლესობის, საკმაოდ ცვალებადი და არა სტაბილურია.



ის 2022 წლის დასაწყისში შეადგენდა 1.49 აშშ დოლარს, შემდეგ პიკს მიაღწია ამავე წლის 29 აპრილს და შეადგინა 8.36 აშშ დოლარი, დღესდღეობით კი ერთი GST ის ფასია 1.39 ამერიკული დოლარი.

სტარტაპის შედეგების თვალსაცინოებისთვის, stepN ის web გვერდზე შეგვიძლია ლაივ რეჟიმში ვადევნოთ თვალი აპლიკაციის მომხმარებელთა მიერ გავლილი მანძილის ჯამურ ოდენობა (რომელიც 30 მაისის მონაცემებით 31 მილიონ კილომეტრს შეადგენს), მათ მიერ დამწვერი კალორიების რიცსვს და თავიდან არიდებული გამონაბულქვის რაოდენობას. ეს მაჩვენებლები კი ყოველ წამიერად იზრდება.



კონკრეტულად ზემოთ აღნიშნული stepN - ი და ზოგადად მსგავსი სტარტაპები ხელს უწყობს კრიპტო ვალურის როლისა და მისი რაოდენობის ზრდას მაკროეკონომიკაში. ასევე ის იწვევს ისეთი მაკროეკონომიკული მაჩვენებლის ზრდას, როგორიცაა ქვეყნებს შორის კაპიტალის, კერძოდ ფულადი რესურსების მოძრაობა.



დასკვნა

ბოლო წლებში მსოფლიოში ცვლილებებია გადახდის მეთოდების კუთხით, იცვლება ეკონომიკური გარემო, ვითარდება ციფრული სამყარო, ამის ფონზე ბოლო ათწლეულის მნიშვნელოვანი ეკონომიკური და არა მხოლოდ ეკონომიკური სიახლე არის კრიპტოვალუტების გამოჩენება ბაზარზე.
პირველი კრიპტოვალუტა ბიტკოინია, რომლის საფუძველზე შეიქმნა სხვა კრიპტოვალუტები და დღემდე იქმნება. ასევე ვითარდება მათი ფუნქციონალი, რომ იყოს არა მხოლოდ გადახდის ფუნქციის მქონე, არამედ შეეძლოს სხვა ფუნქციების შეთავსებაც.

ბევრ ქვეყანაში კრიპტოვალუტით ვაჭრობა აკრძალულია ბევრშიც არა მაგრამ არსებობს ისეთი ქვეყანა (მოლდოვა) სადაც კრიპტოვალუტის ვაჭრობა აკრძალული არ არის. უკრაინის კიბერუსაფრთხოების ნაციონალური საკოორდინაციო ცენტრის სხდომაზე გაკეთებულ იქნა განცხადება, რომ სახელმწიფომ იგნორირება არ უნდა მოახდინოს იმ მოვლენებზე, რაც ხდება კრიპტოვალუტის ბაზარზე და დასახელდა ის რისკები, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს კრიტოვალუტის გაუკონტროლებელი ბრუნვისას. მათ შორის განსაკუთრებით გამოიყო ფულის გათეთრების საფრთხე. აქვე დაისვა საკითხი უკრაინაში სახელმწიფოს მხრიდან კრიპტოვალუტის გამოშვების მიზანშეწონილობის შესახებ.

რაც შეეხება საქართველოს შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ამ კუთხით საკმაოდ მიმზიდველი ქვეყანაა და მსოფლიოს კვალდაკვალ საქართველოშიც, განსაკუთრებით ბოლო წლებში პოპულარულია კრიპტოვალუტები.
მთავარი ფაქტორები რაც განაპირობებს მათ პოპულარულობას ჩვენს ქვეყანაში, აქცევს მას მიმზიდველად ამ სფეროში ინვესტირებისათვის და უჩენს პოტენციალს, ძირითადად არის ორი : ელექტროენერგიის სიიაფე და რეგულაციები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://bm.ge/ka/article/kriptovaluta---finansebis-axali-etapi/39169
2. https://openscience.ge/bitstream/1/1638/1/Beka%20Salaridze%20Samagistro.pdf
3. https://coinmarketcap.com
4. https://forbes.ge/bitkoinis-bazris-motsulobam-1-trilions-gadaatcharba/

20	თემის დასახელება	**სოციალური ურთიერთობების გამოწვევები**
	სტუდენტი	**ჩომახიძე ნათია**
	სამაგისტრო პროგრამა	ფილოსოფია და ქრისტიანული ეთიკა, I კურსი
	ხელმძღვანელი	**ბანძელაძე მანანა**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი
21	თემის დასახელება	**რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი: თანამედროვე გეოპოლიტიკური ვითარება**
	სტუდენტი	**გაბრიაძე სანდრო**
	საბაკალავრო პროგრამა	ისტორია, II კურსი
	ხელმძღვანელი	**გოგბერაშვილი თამაზი**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი

The conflict between the Ukraine and Russia is the Ukraine's most long-standing and deadly crisis.

Today, the country is on the front lines of a renewed great-power rivalry that many analysts say will dominate international relations in decades ahead.

Russia's invasion of Ukraine has challenged NATO, the United States and the world order. Russia's invasion not only threatens the sovereignty of Ukraine, but has undermined the entire geopolitical order, according to security experts.

What is clear is that Russia's unprovoked invasion of Ukraine has changed the paradigm in ways that we are only just beginning to discern. The impacts will be long-term and potentially transformational.

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკური ინტერესები, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი.

დღესდღეობით მსოფლიოში უაღრესად რთული გეოპოლიტიკური ვითარებაა შექმნილი, აქტიურად მიმდინარეობს ახალი გეოპოლიტიკური წესრიგისა და რეალობის ჩამოყალიბების პროცესი, რასაც, ცხადია, როგორც წინა საუკუნეებში თან სდევს საზღვრების ცვლილებები. ყოველ ქვეყანას, განსაკუთრებით ზესახელმწიფოებს - აშშ-ს, რუსეთს, ევროპის დიდ ქვეყნებს - გერმანიას, საფრანგეთს, ინგლისს და სხვა, საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესები გააჩნიათ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის მთავარი მიზანი ყოველთვის იყო და არის აშშ-სა და ევროპის ქვეყნების ამბიციების მოთოკვა და საკუთარი გავლენის გაძლიერება მსოფლიოში; რადიკალურად საპირისპიროა, რასაკვირველია, აშშ-ს და დასავლეთის მიზნები. აშშ, თავის მხრივ, როგორც ზესახელმწიფო, ცდილობს საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილებას, მსოფლიოს ერთპოლუსიან სისტემაში მოქცევას, სადაც მთავარი მოთამაშე, მსოფლიოს გეოპოლიტიკური მესაჭე თავად იქნება. ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო), რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1949 წლის 4 აპრილს შეიქმნა და რომლის გაცხადებული, საყოველთაოდ ცნობილი მიზანიც მსოფლიოში მშვიდობის დამყარება, სისხლისმღვრელი, საშინელი ომების ერთხელ და სამუდამოდ წარსულისათვის ჩაბარება, ახალი კონფლიქტების თავიდან აცილება იყო, დღიდან მისი შექმნისა საკმაოდ აქტიურად ფართოვდება და საკუთარ რიგებში მუდმივად ახალ-ახალ სახელმწიფოებს იღებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც მსოფლიოში უდიდესი გეოპოლიტიკური ძვრა მოხდა, ნატოში გაწევრიანების გზა აირჩია სსრკ-ში შემავალმა ზოგიერთმა ქვეყანამაც, მათ შორის, ბალტიისპირეთის ქვეყნებმაც. ამავე გზას დაადგა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ზოგიერთი ქვეყანაც (მაგ., ჩეხეთი, პოლონეთი), რამაც, ცხადია, რუსეთის დიდი შეშფოთება და გაღიზიანება გამოიწვია. ნატოში გაწევრიანებას უკვე 2 ათწლეულზე მეტია აქტიურად ცდილობს ჩვენი ქვეყანა-საქართველო და მეზობელი უკრაინაც.

ამერიკელი გეოპოლიტიკოსი ზ. ბჟეზინსკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა უკრაინის გაერთიანებას ევროკავშირსა და ნატოში, იგი წერდა: ,,50-მილიონიანი სლავური სახელმწიფოს გარეშე რუსეთი გამოჩნდება უპირატესად აზიურ, ევროპიდან მოცილებულ ქვეყნად. უკრაინას რუსეთის გარეშე შეუძლია იყოს ევროპის ნაწილი, ხოლო მოსკოვს კი შეუძლია იყოს ასეთი მხოლოდ უკრაინის მეშვეობით, რომელიც განაპირობებს ამ ქვეყნის მნიშვნელობას ახალი ევროპის ფორმირებაში." უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანება აშკარად ეწინააღმდეგება მსოფლიოს ერთ-ერთი ზესახელმწიფოს-რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს, რომელიც მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით ცდილობს ხელი შეუშალოს ამ პროცესს. სწორედ ამის ნათელი, მკაფიო გამოხატულება იყო ჯერ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს 5-დღიანი ომი, შემდეგ - 2014 წლის ყირიმისა და დონეცკ-ლუგანსკის რეგიონების ანექსია, ხოლო დღესდღეობით რუსეთ-უკრაინის ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება, რომელიც ამა წლის 24 თებერვალს დაიწყო და დღემდე გრძელდება. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ყოფილი პირველი მოადგილე სტროუბ ტალბოტი წერდა: ,,რუსეთის ფედერაცია ვერ შეძლებს და არც უნდა შეძლოს ერთიანობის შენარჩუნება უხეში ძალის გამოყენებით. ტანკები, არტილერია, ბომბდამშენები არ წარმოადგენენ ლეგიტიმურ და საბოლოო ჯამში ეფექტურ ინსტრუმენტებს მმართველობისათვის." რუსეთ-უკრაინის დღევანდელი კონფლიქტი მარტივი სავარაუდო იყო. ანალიტიკოსთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, უკრაინაში მოვლენათა განვითარების 3 ძირითადი სცენარი არსებობდა: პირველი - რუსეთის მიერ გარკვეული ,,უსაფრთხოების გარანტიების" მიღება მშვიდობის სანაცვლოდ; მეორე - რუსეთის მიერ უკრაინისათვის მინსკის შეთანხმების შესრულების იძულება. ამ შეთანხმების მიხედვით უკრაინა უნდა ქცეულიყო დეცენტრალიზებულ და ფაქტობრივად ნეიტრალური სტატუსის მქონე ქვეყნად, რაც რუსეთისათვის შედარებით მისაღებ სცენარს წარმოადგენდა. მესამე ვარიანტი კი ყველაზე უარყოფითი და არასასურველი იყო - სრულმასშტაბიანი ომის დაწყება. სამწუხაროდ, მოვლენები სწორედ ამ უკანასკნელი, ყველაზე არასასურველი სცენარის მიხედვით განვითარდა. დეტალურად განვიხილოთ თუ რამ გამოიწვის ეს: მას შემდეგ, რაც 2013 წლის ბოლოს, 2014 წლის დასაწყისში უკრაინაში ცნობილი მაიდნის მოვლენები განვითარდა, უკრაინის მოსახლეობამ რევოლუციის, გადატრიალების გზით ხელისუფლებას ჩამოაშორა ქვეყნის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი, რომელიც რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად მზად იყო უარი ეთქვა უკრაინის ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებაზე; რევოლუციის შემდეგ კი ხელისუფლებაში პროდასავლური ორიენტაციის

ხელისუფლება და პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო მოვიდა, რომელმაც მისი წინამორბედისაგან განსხვავებით არჩია პოლიტიკური ორიენტაცია თამამად აეღო ევროპის მიმართულებით.

უკრაინაში განვითარებული მოვლენები, ცხადია, რუსეთს მხედველობის მიღმა არ დარჩენია - მან სიღრმისეულად შეაფასა შექმნილი ვითარება და საბოლოოდ დაასკვნა, რომ უშუალოდ მის მეზობლად, მის საზღვრებთან მყოფი უკრაინის აშშ-ს, ევროპის ორბიტაზე გადასვლა უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა მისთვის და მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა მის გეოპოლიტიკურ ინტერესებს. რუსეთი განსაკუთრებით აღაშფოთა იმ ფაქტმაც, რომ უკრაინაში ხელისუფლება, რომელიც მისთვის მეტ-ნაკლებად მისაღებ პოლიტიკას ატარებდა და არ უქმნიდა დიდ საფრთხეს მის ინტერესებს, ძალის გამოყენებით, რევოლუციის გზით იქნა შეცვლილი. ამასთან, ოფიციალურმა მოსკოვმა ამ პროცესში ევროპისა და აშშ-ს კვალიც შენიშნა. შექმნილ ვითარებაში რუსეთმა გადაწყვიტა სამხედრო ძალის გამოყენება და შედეგად მივიღეთ მის მიერ 2014 წელს ყირიმის, დონეცკისა და ლუგანსკის ანექსიას, რაშიც ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ს ხელი დიდად არ შეუშლიათ, თუ არ ჩავთვლით მცირე მასშტაბის სანქციებს, რომელთაც მხოლოდ უმნიშვნელო ზეგავლენა თუ მოახდინეს რუსეთის მძლავრ ეკონომიკაზე. რუსეთმა ამ შემთხვევაში მოახერხა საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესის მეტ-ნაკლებად დაცვა და დასავლეთს მკაფიოდ უჩვენა, რომ იგი, საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო ძალის გამოყენებასაც არ მოერიდებოდა. რუსეთ-უკრაინის დღევანდელი კონფლიქტი, რომელიც უკვე თითქმის 3 თვეა გრძელდება, გარკვეულწილად 2014 წლის კონფლიქტის გაგრძელებას წარმოადგენს. რუსეთ-უკრაინის ხსენებული ომის მიზეზი უკვე კარგად ცნობილი და საკმაოდ მარტივად მისახვედრია, საქმე კვლავაც რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებთან გვაქვს. 2019 წელს უკრაინის პრეზიდენტად ცნობილი მსახიობის - ვოლოდიმირ ზელენსკის არჩევის შემდგომ უკრაინამ კიდევ უფრო სწრაფი სვლითა და ნაბიჯებით აიღო ორიენტაცია დასავლეთზე. უკრაინის ევროსტრუქტურებში გაწევრიანების პერსპექტივა მოსკოვის გადმოსახედიდან ძალზე რეალური გახდა, ამ გარემოებამ კი, როგორც წინა შემთხვევებში, კვლავ გააღიზიანა რუსეთი, რომელმაც თავდაპირველად დასავლეთთან და უკრაინასთან მოლაპარაკებების გზით სცადა საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება, რაც უკრაინის პროდასავლური კურსის დამუხრუჭებას, შეჩერებას ითვალისწინებდა. დასავლეთ ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ (მაგ., გერმანიამ, საფრანგეთმა) ფარულ მოლაპარაკებებში ურჩიეს და გააფრთხილეს უკრაინა საკუთარი ორიენტაცია დროებით მაინც შეეჩერებინა, რათა რუსეთის აგრესია თავიდან აერიდებინათ, თუმცა, სამწუხაროდ, ამ მცდელობებმა უშედეგოდ ჩაიარა; ეს დაადასტურა თავად პრეზიდენტმა ზელენსკიმაც, რომელმაც გერმანიის ლიდერი, ოლაფ შოლცი ამის გამო მკაცრად გააკრიტიკა. შედეგად მივედით ომის გარდაუვალ საფრთხემდე. ამგვარად დაიწყო 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთ-უკრაინის ახალი ომი, რომელიც წინა შემთხვევებისაგან განსხვავებით ბევრად უფრო ფართომასშტაბიანი და სისხლისმღვრელი აღმოჩნდა. აშშ-მ და ევროპის ქვეყნებმა ამჯერადაც ეკონომიკური ბერკეტების, კერძოდ, სანქციების მეშვეობით სცადეს რუსეთის შეჩერება; ამასთან, ისინი დღესდღეობით აქტიურად აწვდიან თავიანთ შეიარაღებას უკრაინას. ამგვარად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ევროპის ერთ-ერთი უდიდესი, 43-მილიონიანი ქვეყანა - უკრაინა, დასავლეთისა და რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახების ადგილი გახდა. ორივე მხარე ყველანაირად ცდილობს საკუთარი გეოპოლიტიკური გავლენის გავრცელებას ამ ქვეყანაზე, ორივე მხარეს კარგად აქვს გათვითცნობიერებული უკრაინის მნიშვნელობა საერთაშორისო გეოპოლიტიკურ სტრუქტურულ მოდელში, შესაბამისად, არაა გასაკვირი, რომ არცერთი მხარე ძალას არ იშურებს, აქტიურად მიმდინარეობს მხარეების მიერ ერთმანეთის ბირთვული შანტაჟი, რასაც არაერთხელ ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მხრიდან. დღეს მსოფლიო ბირთვული ომის სერიოზული საფრთხის წინაშე დგას, ისევე როგორც გასულ საუკუნეში ,,ცივი ომის“ დროს. ასე რომ რუსეთ-უკრაინის დაპირისპირება არავითარ შემთხვევაში არ უნდა განვიხილოთ როგორც უბრალოდ ამ ორი ქვეყნის ვიწრომასშტაბიანი კონფლიქტი. უკრაინა არის მსოფლიოს 2 დიდი პოლუსის უშუალო შეჯახების ადგილი, როგორც თავის დროზე ჩვენი ქვეყანა, აგრეთვე სირია (სირიის სამოქალაქო ომი), ავღანეთი, იუგოსლავია და სხვ. ძნელი სათქმელია, საბოლოოდ ვისი გამარჯვებით დასრულდება ეს უდიდესი გეოპოლიტიკური კონფლიქტი, თუმცა ერთი რამ დღესავით ცხადი და ნათელია: არცერთი მხარე, არც რუსეთი, და არც - აშშ და ევროპა, მარტივად არ დათმობს თავის გეოპოლიტიკურ ინტერესებს. ამ ორი მხარის გეოპოლიტიკური ინტერესების კონფლიქტი, დიდი ალბათობით, მომდევნო წლებისა და, შესაძლოა, ათწლეულების მანძილზეც გაგრძელდეს, ეს მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. თუკი ამჟამად მსოფლიოს ამ 2 დიდი პოლუსის ინტერესების უშუალო შეჯახების ზონას უკრაინა წარმოადგენს, ხვალ სრულიად შესაძლებელია მის ადგილას ევროპის რომლიმე ქვეყანა, მათ შორის თუნდაც საქართველოც აღმოჩნდეს. ყველა შემთხვევაში, მოგვიწევს შეგუება იმ ფაქტთან, რომ მსოფლიოში საზღვრები ხშირად იცვლება, და, სამწუხაროდ, ზოგ ვითარებაში სამხედრო ძალის გამოყენებითა და დიდი მსხვერპლის ფასადაც, როგორც მაგალითად უკრაინაში. დიდი ალბათობით, გაგრძელდება და გაძლიერდება ბირთვული შანტაჟიც, რაც, შესაძლოა, მსოფლიოსათვის დამღუპველი შედეგებით დასრულდეს. ამგვარია თანამედროვე რეალური გეოპოლიტიკური ვითარება მსოფლიოში, რომელსაც, იძულებული ვართ, თვალი გავუსწოროთ, რამდენად მიუღებელიც არ უნდა იყოს იგი ჩვენთვის, და ობიექტურად, მიუკერძოებლად შევაფასოთ. შექმნილი ვითარების სწორი ანალიზის საფუძველზე, კომპეტენტური ადამიანების, დარგის ექსპერტების ცოდნის გათვალისწინებით ჩვენმა ქვეყანამ უნდა შეიმუშაოს მკაფიო გეოსტრატეგია, რომელიც ზუსტად უპასუხებს ქვეყნის დღევანდელ

რთულ გამოწვევებს და მორგებული იქნება დღეისათვის მსოფლიოში, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ფონზე შექმნილ გეოპოლიტიკურ რეალობას.

დღესდღეობით აგრეთვე საკმაოდაა გაძლიერებული ჩინეთისა და თურქეთის პოზიციები. ჩინეთმა, მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდმა ქვეყანამ, მოახერხა საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც მას საშუალებას აძლევს თამამად განაცხადოს პრეტენზია ზესახელმწიფოობაზე და გაზარდოს საკუთარი გეოპოლიტიკური ამბიციები არა მარტო აზიის კონტინენტზე, არამედ მსოფლიოში, გლობალური მასშტაბით. ჩინეთი დღეს უფრო მეტად საერთო ენას რუსეთთან პოულობს და გარკვეულწილად, ექსპერტთა ერთი ნაწილის შეფასებით, მის ბანაკშიც მოიაზრება, თუმცა მჭიდრო, განსაკუთრებით ეკონომიკური კუთხით, ურთიერთობები აკავშირებს აშშ-სთანაც, რაც მას საშუალებას არ აძლევს სრულად შეაქციოს ზურგი მსოფლიოს ამ პოლუსსაც. ასე რომ ჩინეთი შეგვიძლია ნეიტრალურ სახელმწიფოდ მივიჩნიოთ, რომელსაც საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესები და ამბიციები აქვს (განსაკუთრებით ტაივანთან, ჰონგ-კონგთან მიმართებაში).

რაც შეეხება თურქეთს, ისიც 21-ე საუკუნის დასაწყისიდან სულ უფრო მეტად ძლიერდება და მასაც საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესები გააჩნია. თურქეთი, როგორც წინარე ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, კავკასიის რეგიონში ყოველთვის რუსეთის მთავარ მეტოქედ გვევლინებოდა, რისი ნათელი დადასტურებაცაა ამ ორ ქვეყანას შორის რამდენიმე ფართომასშტაბიანი დაპირისპირება მე-19 საუკუნეში, რომელშიც საქართველოც იყო ჩართული. დღესდღეობით კი, განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები დასტაბილურდა და გაუმჯობესების ტენდენცია შეინიშნება. მაგრამ, ამის მიუხედავად, ისინი რასაკვირველია არ შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთ გეოპოლიტიკურ ნავში მყოფ ქვეყნებად, რამეთუ ორივე მათგანს საკუთარი ინტერესები აქვს. თურქეთის ურთიერთობებს მეორე ზესახელმწიფოსთან - აშშ-სთან ,,თბილს'' ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, განსაკუთრებით თურქეთში 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდგომ, რაშიც პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ამერიკაში მცხოვრები, სამშობლოდან დევნილი თურქი პოლიტიკოსის - ფეთჰულა გიულენის კვალი დაინახა. მას შემდეგ აშშ-თურქეთის ურთიერთობებში დიდად სასიკეთო ძვრები არ გვინახავს. თურქეთის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური როლი კარგად გამოჩნდა რუსეთ-უკრაინის მოლაპარაკებების პროცესში, როდესაც პრეზიდენტმა ერდოღანმა სცადა ურთულესი მისიის შესრულება-დაპირისპირებულ ქვეყნებს შორის შუამავლის როლის საკუთარ თავზე აღება, რასაც თავდაპირველად დადებითი ძვრები, იმედების გაჩენა მოჰყვა, თუმცა საბოლოო ჯამში, სამწუხაროდ დიდი გარდატეხა ამ კონფლიქტში არ მომხდარა. მოლაპარაკებების ამ ეტაპზე ნახსენები იყო უკრაინის ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ რუსეთის მიერ საომარი მოქმედებების შეწყვეტა, ნეიტრალიტეტის, უკრაინის უსაფრთხოების გარანტად კი ნატოს ქვეყნები გამოდიოდნენ, მაგრამ ამ საკითხზე მხარეებს შორის შეთანხმება ჯერჯერობით არ მომხდარა და შეიარაღებული დაპირისპირება ისევ გრძელდება. ამის მიუხედავად თურქეთი კვლავაც მზადაა მხარეები საკუთარ ქვეყანაში მოლაპარაკებებზე მიიწვიოს და დაეხმაროს მათ საერთო ენის გამონახვაში, რაც არაერთხელ დააფიქსირა თურქეთის პრეზიდენტმა. ეს საკმაოდ რთული პროცესია, რადგანაც მხარეების პოზიციები ისეა დაშორებული, რომ შეხების წერტილების მოძებნას სავარაუდოდ დიდი დრო და, შესაბამისად, შუამავალი ქვეყნის მხრიდან დიდი ძალისხმევაც დასჭირდება. ამასთან, ქვეყნებს შორის შეთანხმება უნდა პასუხობდეს ზესახელმწიფოების გეოპოლიტიკურ ინტერესებსაც, რადგან, როგორც არაერთხელ ვახსენეთ, უკრაინა მათი დაპირისპირების ველიცაა. სამწუხარო რეალობაა, რომ ამჟამად, ამ გადმოსახედიდან კონფლიქტის დასრულების, რუსეთ-უკრაინას შორის შეთანხმების მიღწევის თითქმის არანაირი რესურსი არ ჩანს, რაც ბუნებრივია, სამომავლოდ მეტად უარყოფით პერსპექტივებს გვიქადის. ამ პირობებში, როგორც ექსპერტთა ერთი ნაწილი ვარაუდობს, საბრძოლო მოქმედებები საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გაგრძელდება. ექსპერტთა მეორე ნაწილს კი კვლავაც აქვს იმედი, რომ რუსეთი და უკრაინა დიდი სირთულეების მიუხედავად, მაინც მოახერხებენ შეთანხმების მიღწევას, რაც წერტილს დაუსვამს სისხლისმღვრელ ომს. ჩვენც, მიუხედავად ვითარების სირთულისა, ვიტოვებთ იმის მტკიცე რწმენას, რომ რუსეთ-უკრაინის შეიარაღებული კონფლიქტი მოლაპარაკებების გზით უმოკლეს ვადაში დასრულდება, რაც შემდგომ მსხვერპლს და ნგრევას აგვაცილებს თავიდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თამაზ გოგბერაშვილი, ,,გეოპოლიტიკა“, ქუთაისი, 2018 წ.
2. ინტერნეტრესურსები.

21	თემის დასახელება	**ევროკავშირის როლი ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ ბრძოლაში**
	სტუდენტები	**ცირეკიძე თინიკო, კერესელიძე ანანო**
	საბაკალავრო პროგრამა	საერთაშორისო ურთიერთობები, III კურსი
	ხელმძღვანელი	**კოსტავა თინათინი**, აწსუ-ს ასისტ. პროფესორი

Abstract

In the 21st century, a new form of conflict has emerged in the world - the hybrid war called the "new generation war." Hybrid war involves the use of military force by states, as well as the use of non-military means, such as disinformation, financial influence, interference in electoral processes, cyber-attacks, and so on. Russia is increasingly actively using various methods to wage a hybrid war against EU members and partner countries as the EU threatens Russia's foreign policy goals, which include rebuilding the Soviet Union, changing the balance of power in Europe, and creating buffer zones.

In our paper, we have tried to describe the essence of hybrid war, the threat posed to the EU and European countries by the hybrid war waged by the Russian Federation. In this paper, we discuss in detail the various methods of hybrid war used by Russia against EU countries. We also focused on the EU partner countries, as Russia is actively using hybrid war against them to make these countries reject the European future and prevent the EU from expanding along Russia's borders. At the end of the paper, we talked about the various methods and tactics used by the EU and EU member states to combat hybrid war.

საკვანძო სიტყვები: ჰიბრიდული ომი, რუსეთის მიერ ევროკავშირის წინააღმდეგ წარმოებული ჰიბრიდული ომი, ევროკავშირი, ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ევროკავშირის პარტნიორი სახელმწიფოები, ჰიბრიდული ომის წარმოების მეთოდები, ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ ევროკავშირის მიერ შემუშავებული ბრძოლის სტრატეგიები.

მიუხედავად იმისა, რომ ჰიბრიდული ომის შესახებ უკანასკნელი წლების განმავლობაში ბევრს საუბრობენ, იქმნება სტატიები, სახელმღვანელოები თუ სამეცნიერო კვლევები, ერთი კონკრეტული დეფინიცია, განმარტება, რომელზეც მთელი საზოგადოება შეთანხმდება, არ არსებობს. ზოგადი განმარტებით, ჰიბრიდული ომი გულისხმობს სამხედრო და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სხვადასხვა საშუალებების გამოყენებას, მათ შორის სამხედრო, დიპლომატიური, ეკონომიკური საშუალებების, ასევე ტერორიზმისა და კიბერდანაშაულის ელემენტების ღია ან ფარულ გამოყენებას. ფაქტობრივად, ესაა კომბინირებული ელემენტების შემცველი ნაშაული. მიუხედავად იმისა, რომ ჰიბრიდული ომის მახასიათებლები ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გამოიკვეთა როცა სამხედრო შეტაკებების პარალელურად მიმდინარეობდა საინფორმაციო პროპაგანდისტული ომი, საკმაოდ ბევრი ავტორი მიიჩნევს, რომ ჰიბრიდული ომი არის ახალი ფენომენი, ახალი მიმართულება და მას ხშირად უწოდებენ „ახალი თაობის ომს“ ან „მომავლის ომს“. ჰიბრიდული ომის საინტერესო დეფინიციას გვთავაზობს ამერიკელი ვიცე-პოლკოვნიკი ფრენკ ჰოფმანი, რომელმაც 2009 წელს გამოაქვეყნა სტატია „ჰიბრიდული ომი და გამოწვევები“, სადაც აღნიშნა, რომ „ჰიბრიდული ომი წარმოადგენს სახელმწიფო კონფლიქტების ლეტალურობისა და ფანატიკური, გაწელილი არატრადიციული ომის წარმოების ნაზავს.“ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ასევე რამდენიმე ნიშანზე, რომლითაც ჰიბრიდული ომი ხასიათდება, ანუ იმ მახასიათებლებზე, რომლებითაც შეგვიძლია ჰიბრიდული ომი ამოვიცნოთ:

I. უმეტეს შემთხვევაში სამხედრო დაპირისპირებები მცირე მასშტაბისაა, სამხედრო შეტაკებები მაშინ იწყება, როცა ომი ოფიციალურად გამოცხადებული არ არის.

II. დაპირისპირებების მიმდინარეობისას ხშირ შემთხვევებში გამოიყენება სპეცდანიშნულების ქვედანაყოფები და შეიარაღებული სამოქალაქოები.

III. ძალიან ხშირად ამბობენ, რომ უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ომი ხუთგანზომილებიანი გახდა (სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო, კოსმოსური და ჰიბრიდული ომი) ეს უკანასკნელი კი გულისხმობს იმას, რომ დაპირისპირება ერთდროულად წარიმართოს ოთხი მიმართულებით: ხმელეთზე, ზღვაში, ჰაერში და საინფორმაციო ველზე.

მიუხედავად ევროკავშირის სიძლიერისა, ჰიბრიდული ომი და მისი ელემენტები კავშირში შემავალი ქვეყნების არცთუ ისე სახარბიელო გამოცდილებასაც ასახავს. დღესდღეობით აღარ არსებობს საბჭოთა კავშირი, მაგრამ არსებობს მისი მემკვიდრე რუსეთის ფედერაცია, რომელიც აგრძელებს ექსპანსიური პოლიტიკის წარმოებას. მისი საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის აღდგენა, ძალთა ბალანსის ცვლილება ევროპაში და ბუფერული ზონების ჩამოყალიბება, რაც იქნება გარე სამყაროსგან რუსეთის დაცვის გარანტია. რუსულ იმპერიალიზმს დიდ საფრთხეს უქმნის ევროკავშირი. შესაბამისად რუსეთი ევროკავშირის და მისი ინსტიტუტების გასადანგურებლად ცდილობს ევროპაში უკვე მივიწყებული კონფლიქტების გაღვივებას, ახალი კონფლიქტების შექმნას ხელოვნურად, რისთვისაც აწარმოებს ჰიბრიდულ ომს ევროკავშირის წევრი და მოკავშირე სახელმწიფოების წინააღმდეგ.

რუსეთის ფედერაცია ევროკავშირის წინააღმდეგ იყენებს ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ ყველაზე მეტად გავრცელებულ მეთოდს, ბრძოლას საინფორმაციო ველზე, რაც გულისხმობს ისეთი საშუალებების მოხმარებას როგორიც არის მაგალითად, ე.წ. fake news-ები, რუსული პროპაგანდისტული არხები, ინტერენტ-ტროლები, ინტერნეტ-ბოტები და ა.შ. მათი მეშვეობით იგი საკუთარი ინტერესების შესაბამისად ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ავრცელებს ცრუ ინფორმაციას ამა თუ იმ საკითხის შესახებ, რითაც ცდილობს საზოგადოებაში მტრული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას მთავრობის და ევროკავშირის მიმართ, დაპირისპირების გაჩენას ეთნიკურ ჯგუფებში, სამოქალაქო საზოგადოებაში და რაც მთავარია ადგილობრივი მოსახლეობის

რუსეთისადმი ნდობის ჩამოყალიბებას. რუსეთის ჰიბრიდულმა ომმა შეაღწია ისეთი ქვეყნის საზღვრებში, როგორებიცაა ფინეთი და პოლონეთი. ფინეთის წინააღმდეგ მის მიერ განხორციელებული თავდასხმები ადრეული, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან მომდინარეობს, ვინაიდან ხშირი იყო არასწორი, რეალობას მოკლებული დეზინფორმაციების გავრცელების შემთხვევები. შემდგომი პერიოდი უკვე 2015-2016 წლებში გამოიკვეთა და ყურადღება მიგრაციულ ფორმაზე გამახვილდა. როგორც აღვნიშნეთ, ჰიბრიდული ომი მრავალი ფორმით გამოიხატება. რუსეთის მიერ ფინეთზე განხორციელებული ჰიბრიდული ომი ამის მაგალითია და საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს. რუსეთმა გადაწყვიტა რუსეთ-ფინეთის საზღვრები გაეხსნა მესამე სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის. ეს უკანასკნელები ძირითადად თავშესაფრის მაძიებელი ადამიანები იყვნენ. ამით, რა თქმა უნდა, დაირღვა საზღვრის არსებული პრაქტიკა, მაგრამ რაიმე სახის ოფიციალური შეთანხმება არ დარღვეულა. საბოლოოდ 1700-ზე მეტმა ადამიანმა მოახერხა რუსეთიდან ფინეთში გადასვლა. ეს არ იყო საგანგაშო მაჩვენებლები, მაგრამ ფაქტია, აშკარა იყო რუსეთის მესიჯი, რომ ფინეთისადმი ნდობის დაკარგვის შემთხვევაში (რასაც რუსეთის საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარება გამოიწვევდა), რუსეთს შეეძლო მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინა ფინეთისათვის.

საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს თავის მხრივ ევროკავშირის კიდევ ერთ სახელმწიფოზე - პოლონეთზე წარმოებული ჰიბრიდული ომი, რომელიც სხვა ჩარჩოებში მოექცა და ჰიბრიდული ომის დამახასიათებელი სხვა ფორმით - კიბერთავდასხმით გამოიხატა. მიზეზი მომდინარეობდა იმ მოცემულობიდან, რომ პოლონეთმა როგორც საქართველოს 2008 წელს, ისე უკრაინას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში გამოუცხადა მხარდაჭერა, რამაც ოფიციალური რუსეთის გაღიზიანება გამოიწვია. თანდათან იმატა პოლონეთის სამთავრობო რესურსებზე განხორციელებულმა კიბერშეტევის ტენდეციებმა, რამაც თავის მაქსიმუმს მიაღწია 2014 წელს, როცა განხორციელთა ჰაკერული თავდასხმები პოლონეთის მთავარ როგორც სახელმწიფო, ისე ფინანსურ საიტებზე. ყირიმის ანექსიის შემდეგ პრორუსული ხასიათის ინფორმაციით პოლონური საიტების გაჯერების ტენდეციას, პოლონური საინფორმაციო გამოშვებები ცალსახად უწოდებენ რუსეთის ჰიბრიდულ ომს პოლონეთის წინააღმდეგ.

რუსეთი ჰიბრიდულ ომს ზემოთ ხსენებული მეთოდების გამოყენებით აწარმოებს საქართველოსა და უკრაინის მიმართაც, რადგან ისინი არიან ევროკავშირის მოკავშირე სახელმწიფოები, ნატოსა და ევროკავშირის მთავარი დასაყრდენები შავი ზღვის აუზში, რაც ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის რუსეთის საგარეო პოლიტიკურ მიზნებს და შესაბამისად ის ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ხელი შეუშალოს საქართველოსა და უკრაინის ევროპულ მომავალს.

რუსეთის ფედერაცია ჰიბრიდული ომის მეშვეობით ჩაერია 2013-2014 წლებში უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკურ კრიზისში და მოახდინა მალევე ყირიმის ოკუპაცია. რუსეთი აქტიურად იყენებდა საინფორმაციო პროპაგანდას, შენიღბულ სამხედრო ნაწილებს, რომლებსაც ეწოდებოდა ,,little green men" ანუ პატარა მწვანე კაცები და ისინი თავს წარმოაჩენდნენ ადგილობრივი უშიშროების წევრებად, მაგრამ რეალურად ისინი იყვნენ რუსეთის სამხედრო ნაწილები, რაც აღიარა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 2014 წელს. რუსეთი ასევე იყენებდა კიბერ შპიონაჟს, კიბერ შეტევებს უკრაინულ სამთავრობო საიტებზე, მედია საშუალებებზე, იყენებდა პრორუსულ დაჯგუფებებს, რითაც ის ცდილობდა უკრაინის შიგნით დაძაბულობისა და კონფლიქტის შექმნას. უკრაინას განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა კიბერშეტევებმა, რადგან მისი მეშვეობით,ფაქტობრივად,მოიშალა უკრაინის სახელმწიფო და სამხედრო ინსტიტუტების მართვა.

რუსეთის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომი საქართველოს წინააღმდეგ განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 1991-1993 წლებში, მაშინ, როდესაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე კონფლიქტებში რუსეთი აქტიურად უჭერდა მხარს იარაღით, ავიაციით, ლოჯისტიკით სეპარატისტებს. რუსეთი საქართველოსთან მიმართებაში ჰიბრიდული ომის წარმოებისას იყენებს როგორც სამხედრო საშუალებებს, ასევე იყენებს არასამხედრო საშუალებებსაც. არასამხედრო საშუალებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკონომიკური ზეგავლენა საქართველოზე, რამაც განსაკუთრებით თავი იჩინა 2015 წლიდან. საქართველოს ეკონომიკა დღეს დიდწილად დამოკიდებულია რუსეთზე, რასაც რუსეთი იყენებს საკუთარი მიზნებისთვის. რუსეთი ასევე აქტიურად იყენებს დეზინფორმაციას, რითაც ცდილობს საქართველოს მოსახლეობაში დასავლეთის მიმართ არასწორი წარმოდგენების ჩამოყალიბებას . დეზინფორმაცია განსაკუთრებით ევროკავშირს ეხება, რადგან საქართველოს და ევროკავშირის ურთიერთობა შეგვიძლია ვთქვათ რომ არის ძალიან წარმატებული და ის ყოველწლიურად სულ უფრო მეტად ვითარდება და წინ მიიწევს.

რაც შეეხება ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ ბრძოლას, ჰიბრიდული ომი არის კონფლიქტის ახალი ფორმა, რომლის დარეგულირება, შეკავება ვერ ხდება სამართლის მეშვეობით. ევროკავშირი აქტიურად ებრძვის მის წინააღმდეგ წარმოებულ ჰიბრიდულ ომს, რისთვისაც ქმნის ეფექტურ ტაქტიკებს, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰიბრიდული უჯრედების ქსელი, რომელიც ჩამოყალიბდა ჰიბრიდული ომის შესახებ ცნობიერების გაუმჯობესების მიზნით სადაზვერვო ანალიზის საფუძველზე. ევროკავშირმა ჰიბრიდული ომის შესახებ ინფორმაციის მოძიების და წევრი ქვეყნების, ევროკავშირის ინსტიტუტების ინფორმირების მიზნით ჩამოაყალიბა UE Hybrid Fusion Cell. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ 2016 წელი, რადგან ევროკავშირმა და ნატომ ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომელიც ითვალისწინებს მათი თანამშრომლობის

გაძლიერებას და განვითარებას მათ შორის ისეთ საკითხებში, რომელიც დაკავშირებულია ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ ბრძოლასთან. ევროპულმა კომისიამ 2020 წლის 24 ივლისს დაამტკიცა ,,ევროკავშირის უსაფრთხოების გაერთიანების სტრატეგია". ის მოიცავს ისეთ მეთოდებს, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია ევროპის უსაფრთხოებისთვის და ევროპის უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის. ჰიბრიდულ საფრთხეებთან დაკავშირებით ევროკავშირი აქტიურად თანამშრომლობს Hybrid COE-სთან. ასევე ევროპის პარლამენტმა შეიმუშავა სპეციალური კომიტეტი, რომელიც აქტიურად ებრძვის დეზინფორმაციის გავრცელებას ევროკავშირის წევრ და მოკავშირე სახელმწიფოებში.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიაცნობიერებენ რომ ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მნიშვნელოვანია პოლიტიკური პარტიების კორდინირებული ქმედებები, საინფორმაციო საშუალებების სწორი ჩართულობა, ონლაინ პლატფორმების გამოყენება, საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება ჰიბრიდულ ომთან დაკავშირებით, რისთვისაც იყენებენ საუბრებს, საჯარო დისკუსიებს, საჯარო ლექციებს და ა.შ. ევროკავშირის ყველა ქვეყანას აქვს ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ ბრძოლის განსხვავებული სტრატეგია. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ჩეხეთი, სადაც მთავრობამ შექმნა ეროვნული უსაფრთხოების აუდიტი. ეროვნული უსაფრთხოების აუდიტს აქვს შემუშავებული ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ ბრძოლისთვის როგორც მოკლევანდიანი, ასევე გრძელვადიანი გეგმები. 2017 წელს ჩეხეთის მთავრობამ ჩამოაყალიბა ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის ცენტრი. მის ფუნქციებში შედის მედიის კონტროლი და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა/სტატიები:

1) 1.გ.ანთაძე,ჰიბრიდული ომის გააზრებისათვის, იხ.https://www.geocase.ge „ნატო,ევროპა,უსაფრთხოება" - ელექტრონული ჟურნალი;ჰიბრიდული ომი - ახალი გამოწვევა ევროპის უსაფრთხოებისათვის იხ.http://articles.yata.ge/?p=390
2) თ.საკანდელია; ჰიბრიდული ომი პოლონეთის წინააღმდეგ. იხ.https://gsac.ge

22	თემის დასახელება	**მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა და აღწარმოების მნიშნელოვანი ასპექტები**
	სტუდენტები	**სვანიძე ანა, არსენიძე თამარი**
	საბაკალავრო პროგრამა	სოციალური მეცნიერებები, IV კურსი
	ხელმძღვანელი	**ვირსალაძე ნაირა**, აწსუ-ს ასოც. პროფესორი

Abstract

The socio-economic development and well-being of society in any country largely depends on the availability of an optimal ıman resource, population growth trends and its gender and age structure economic activity, the level of demographic aging, c. Based on the foregoing, it is very important to consider the problems related to the trends of the demographic development 'our country, in particular the age structure of the population and accounting for statistical data.

ıკვანძო სიტყვები: ასაკი, მოსახლეობა, შობადობა, მოკვდაობა, დემოგრაფიული ვითარება.

ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და საზოგადოების კეთილდღეობა ›იშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ოპტიმალურადაა იგი გაჯერებული ɔამიანური რესურსებით, როგორია მოსახლეობის ზრდის ტენდენცია, მისი სქესობრივ-ასაკობრივი ›რუქტურა, ეკონომიკური აქტიურობა, დემოგრაფიული დაბერების დონე და ა. შ. გამომდინარე აქედან, ღევანდელ პირობებში მეტად აქტუალურია ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების ტენდენციების, ırმოდ კი, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურისა და აღწარმოების საკითხებთან დაკავშირებული ›ობლემების განხილვა.

ოფიციალური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ დემოგრაფიული ვითარების გაუარესება ქართველოში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო და 90-იან წლებში წარმოქმნილი ›აორდინალური გარემოებების ფონზე კიდევ უფრო გართულდა. მკვეთრად შემცირდა შობადობა, ıიზარდა მოკვდაობა და, როგორც ამის ლოგიკური შედეგი, მოხდა მოსახლეობის რიცხოვნობის ›სოლუტური კლება, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქნა ქართველთა გენოფონდს. დემოგრაფიული ›თარება კიდევ უფრო გააუარესა კორონა ვირუსის პანდემიამ და მის ფონზე გაღრმავებულმა აკონომიკურმა ›იზისმა.

ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული ვითარების შესაფასებლად მეტად მნიშვნელოვანია ›ისახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შესწავლა, ვინაიდან ასაკი წარმოადგენს მნიშვნელოვან ›ემოგრაფიულ კატეგორიას, იგი არის ყველა ეკონომიკურ-დემოგრაფიული მოვლენის კოორდინატორი, ›	dრო კავშირშია როგორც მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმთან, ისე ქვეყნის ეკონომიკურ ›ნვითარებასთან. ასაკი არის პერიოდი ადამიანის დაბადებიდან მისი სიცოცხლის გარკვეულ მომენტამდე. ›ულხან-საბა ორბელიანი ასაკს განმარტავდა, როგორც „ჟამთა საზომი კაცთა".

ასაკი იზომება წლებით, თვეებით, კვირებით, დღეებით და საათებით. ვინაიდან ასაკი ემოგრაფიული პროცესების მნიშვნელოვანი მახასიათებელია, დემოგრაფია ადამიანთა სასიცოცხლო ციკლს ასაკის მიხედვით ასე წარმოადგენს:

ასაკის კლასიფიკაცია

კალენდარული ასაკი	**ადამიანის სიცოცხლის პერიოდი**
1-7დღე	ახალშობილი
7 დღიდან 1 წლამდე	ჩვილი
1-3 წელი	ადრეული ბავშვობა
4-7 წელი	ბავშვობის პირველი პერიოდი
8-12 წელი (ვაჟები) 8-11 წელი (გოგონები)	ბავშვობის მეორე პერიოდი
13-16 წელი (ვაჟები) 13-15 წელი (გოგონები)	მოზარდები
17-21 წელი	ყმაწვილები
16-20 წელი	გოგონები
22-35 წელი (მამაკაცები) 21-35 წელი (ქალები)	ზრდასრულობის პირველი პერიოდი
36-60 წელი (მამაკაცები) 36-55 წელი (ქალები)	ზრდასრულობის მეორე პერიოდი
61-74 წელი (მამაკაცები) 56-74 წელი (ქალები)	ხანდაზმულები
75-90 წელი	მოხუცები
90 და ზევით	დღეგრძელნი

ეკონომიკური და სოციოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანის ასაკი მთელი ცხოვრების ნძილზე ზოგადად სამ ეტაპად იყოფა: ბავშვობა, მოწიფულობა, სიბერე.

ბავშვობის პერიოდში ანუ არაშრომისუნარიან ასაკში ადამიანი საზოგადოებისგან იღებს ვალს ზრდისათვის, განათლებისათვის და ა.შ. შესაბამისად, ამ ეტაპზე ის მხოლოდ მომხმარებელია.

მოწიფულობის ანუ შრომის უნარიან ასაკში ის ქმნის მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს, რუნებს საზოგადოებისაგან მიღებულ ვალს და მოიხმარს კიდეც მას, მაგრამ მოიხმარს უფრო ნაკლებს, ვიდრე აწარმოებს.

სიბერეში ანუ ცხოვრების მესამე ეტაპზე ადამიანი ძირითადად ისევ მომხმარებელი ხდება, მაგრამ იხმარს იმაზე ნაკლებს, ვიდრე მან ახალგაზრდობაში შექმნა და დააგროვა. სხვადასხვა ასაკში პიროვნება ნსხვავებული ფასეულობების მატარებელია. როცა ის შრომას წყვეტს, მისი ეკონომიკური შესაძლებლობები კარგება, მაგრამ რჩება სოციალური. იგი კვლავ აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში, ოვრების მანძილზე მიღებულ გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდებს და დაკავებულია უმცროსი ობის აღზრდით.

ძველი ბერძენი მათემატიკოსი პითაგორა ადამიანის სიცოცხლეს განიხილავდა, როგორც ლიწადის ოთხ დროს: გაზაფხული - ბავშვობა, ზაფხული - ახალგაზრდობა, შემოდგომა - მოწიფულობა, ამთარი - სიბერე.

ასაკის განხილვა შესაძლებელია რამდენიმე პოზიციიდან: დემოგრაფიული, სოციალური, ონომიკური და იურიდიული. ეკონომიკური ნიშნით ასაკი იყოფა შემდეგნაირად:

შრომის ასაკამდელი პერიოდი: ბაგის ასაკი 3 წლამდე; ბაღის ასაკი 3-5 წელი; სასკოლო ასაკი 6-15;

ეკონომიკურად აქტიური პერიოდი: ახალგაზრდობა 16-24; მოწიფულობა 25-45; გვიანი მოწიფულობა 45-59;

სამუშაოს შემდგომი პერიოდი: ხანდაზმულობის ასაკი 60-69; ადრეული სიბერე 70-79; ღრმა სიბერე 80 და ზევით.

ასეთ ასაკობრივ დაყოფას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს შრომითი რესურსების ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზისას.

ახალგაზრდობის დემოგრაფიული ანალიზისათვის ამჟამად გამოყოფენ 16-29 წლის ასაკობრივ ჯგუფს, თუმცა საერთაშორისო სტატისტიკურ კრებულებში ამ სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის

ანალიზი 15-24 წლის ასაკობრივი ჯგუფის სახითაც წარმოებს. ამ ასაკობრივი ჯგუფის გარდა შრომით რესურსებში გამოყოფენ შუა ასაკს (25 ან 30-49 წელი) და წინასაპენსიო ასაკს (50 – 60 – 64 წელი). სოციოლოგებმა 50 წელს გადაცილებულებს „მესამე ასაკის“ ადამიანები უწოდეს, 80 წელს გადაცილებულებს კი - „მეოთხე ასაკი“.

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შესწავლას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს დემოგრაფიული გამოკვლევებისათვის. დემოგრაფიული პროცესების დეტალური ანალიზი ეყრდნობა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ბაზაზე აგებულ მაჩვენებლებს, რადგან ყველა დემოგრაფიული მოვლენა იცვლება ასაკის ზრდასთან ერთად.

მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურასა და მოსახლეობის აღწარმოებას შორის კავშირი პირველად XIX საუკუნის ბოლოს შენიშნა შვედმა მეცნიერმა გ. სუნდბერგმა. მან შემოიტანა პროგრესული, სტაციონარული და რეგრესული ასაკობრივი სტრუქტურის ცნებები. მისი კვლევის თანახმად, პროგრესული ასაკობრივი სტრუქტურის მოსახლეობა იზრდება სწრაფად, სტაციონარულის მოსახლეობა არ იზრდება, ხოლო რეგრესულის - მცირდება. ასაკობრივი სტრუქტურის ეს ტიპები ერთმანეთისაგან განსხვავდება ბავშვებისა და მოხუცების წილით მთელ მოსახლეობაში. სუნდბერგის მიხედვით, პროგრესულ ასაკობრივ სტრუქტურაში ბავშვთა წილი 40%-ია, მოხუცებისა - 10%. სტაციონარულში, შესაბამისად, 27% და 23%, რეგრესულში - 20% და 30%.

სუნდბერგის კლასიფიკაცია ხშირად გამოიყენება დემოგრაფიულ ანალიზსში. იგი საშუალებას იძლევა პასუხი გავცეთ კითხვას თუ როგორი ტიპისაა მოცემული საზოგადოების ასაკობრივი სტრუქტურა. მის საფუძველზე მიღებულია თეორიული კონცეფცია მოსახლეობიდან სამი თაობის ადამიანების გამოყოფის შესახებ: ბავშვები, მშობლები და მოხუცები. მათი თანაფარდობის მიხედვით, ხორციელდება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ტიპის ვიზუალური და გამოთვლითი იდენტიფიკაცია. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის კლასიფიკაცია სუნდბერგის მიხედვით მოცემულია #1ცხრილში.

ცხრილი #1

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ტიპები

სუნდბერგის მიდგომით თუ შევაფასებთ საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას 1970-2014 წლების

ასაკობრივი ჯგუფები, წელი	**მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა,%**		
	პროგრესული	სტაციონალური	რეგრესიული
0 -14 (ბავშვები)	40	27	20
15 – 49 (მშობლები)	50	50	50
50 და მეტი (მოხუცები)	10	23	30
ჯამი	100	100	100

აღწერების მონაცემებით დავინახავთ, რომ ის რეგრესულია. საქართველოს მოსახლეობის პროგრესული ასაკობრივი სტრუქტურიდან რეგრესულში გადასვლას დასჭირდა დაახლოებით 25-30 წელი და ეს გადასვლა დააჩქარა მეოცე საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ გამწვავებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რასაც თან მოჰყვა შობადობის მკვეთრი შემცირება და ახალგაზრდების დიდი ემიგრაციული ნაკადი. (იხ. ცხრილი 2)

ცხრილი #2.

საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა
(1970 – 2014 წწ. აღწერების მიხედვით)

ასაკობრივი ჯგუფები, წელი	1970	1979	1989	2002	2014
შვილები	30.5	26.0	24.8	21.0	18.6
მშობლები	49.3	50.8	48.8	51.3	52.7
წინაპრები	20.2	23.2	26.4	27.7	28.7

ასაკობრივი სტრუქტურის ტიპი	პროგრე-სული	სტაციონ-არული	სტაციონ-არული	სტაციონ-არული	რეგრეს-ული

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

რაც შეეხება 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზი ცხადყოფს, რომ 2015 წლის შემდეგ ის კიდევ უფრო რეგრესული გახდა. მართალია, მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 0-14 წლამდე ასაკის ხვედრითი წილი 2,2%-ით გაიზარდა , მაგრამ ეს გამოიწვია არა შობადობის ზრდამ (შობადობა, პირიქით, შემცირდა 13.9 ათასით), არამედ მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის შემცირებამ და მშობლების თაობის ხვედრითი წილის 52,7%-დან 44,4%-მდე შემცირებამ (შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობრივ მახასიათებლებზე დიდ გავლენას ახდენს მიგრაციული პროცესები). რაც შეეხება ხანდაზმულებს 2015 – 2021 წლებში მათი ხვედრითი წილი 28.7%-დან 43.8%-მდე გაიზარდა, რაც უდაოდ ნეგატიური ტენდენციაა და საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებაზე და მოსახლეობის აღწარმოების შეკვეცილ რეჟიმზე მიუთითებს (იხ. ცხრილი #3).

კლასიფიკაციის მიხედვით მოსახლეობის თაობებად დაყოფა განსაზღვრავს დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტებს. 2015-2022 წლების საანალიზო პერიოდში შრომისუნარიანი მოსახლეობის დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტი გაიზარდა 1.24%-ით.

ცხრილი #3

საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა
2022 წლის 1 იანვრის მიხედვით

წლები	მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა 2022 წლი 1 იანვრის მიხედვით	
	აბსოლუტურ მაჩვენებლებში	%
შვილები	767.0	20.8
მშობლები	1 638.3	44.4
წინაპრები	1 288.3	34.8
სულ მოსახლეობა	3 688.6	100.0

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამრიგად, მოსახლეობის აღწარმოების ესოდენ ნეგატიურ ტენდენციებს საქართველოში, თან სდევს მეტად საგულისხმო სოციალურ-ეკონომიკური შედეგები:

- მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაცია. საქართველოში 15 წლამდე ასაკის მოსახლეობა 20.8%-მდეა შემცირებული ხოლო მაღალი ასაკის მოსახლეობა 34.8%-მდეა გაზრდილი. სახეზეა მოსახლეობის რეგრესული აღწარმოების ტიპი.
- საქართველო მოსახლეობის მიხედვით მცირერიცხოვანი სახელმწიფოა, რომელსაც მომავალში მოსახლეობის დეპოპულაცია ემუქრება. საჭიროა დემოგრაფიული ოპტიმუმის მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს თაობათა ნორმალურ განახლებას. ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებას, მიგრაციული პროცესების შენელებას, შრომითი რესურსის რაციონალურ გამოყენებას, დოვლათის სიუხვის შექმნას და საზოგადოების კეთილდღეობის მაქსიმიზაციას.
- მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციასთან დაკავშირებით, სახეზეა შრომისუნარიანი მოსახლეობის დემოგრაფიული დატვირთვის მკვეთრი ზრდა, რაც თაობათაშორის დაპირისპირების საფუძველია.
- შრომისუნარიან ასაკში მიგრაციის ინტენსიური ზრდის გამო ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი არასრულად გამოიყენება და ვერ ხდება მთლიანი შიდა პროდუქტის სათანადო ოდენობით წარმოება.

აღნიშნული ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრის მიზნით ქვეყანაში უნდა გატარდეს აქტიური, თანმიმდევრული დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ნეგატიური დემოგრაფიული მოვლენების განმსაზღვრელი მიზეზების აღმოფხვრასა და ვითარების ნორმალიზაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

1.ვირსალაძე ნაირა, „ხალხთმოსახლეობის ეკონომიკა და ეკონომიკური დემოგრაფია“, ლექციების კურსი, ქუთაისი, აწსუ. 2021წ.

2.ვირსალაძე ნ. ყიფიანი მ. საქართველოს მოსახლეობის შრომითი სტრუქტურისა და შრომითი პოტენციალის თანამედროვე ასპექტები, თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, კონფერენციის მასალები, 2019. გვ. 231.

3.ხმალაძე მერაბ, „დემოგრაფია“, თბილისი. 2009.
4.შელია მ. მოსახლეობის ეკონომიკა. თსუ. 2019.
5.საქართველო სტატისტიკის ეროვნული სამსახური _ https://www.geostat.ge/ka

23	თემის დასახელება	**რუსეთ-უკრაინას შორის არსებული კონფლიქტის ასახვა საერთაშორისო ურთიერთობებში**
	სტუდენტი	**მესხი ლუკა**
	საბაკალავრო პროგრამა	საერთაშორისო ურთიერთობები, I კურსი
	ხელმძღვანელი	**კოსტავა თინათინი**, აწსუ-ს ასისტ. პროფესორი

აბსტრაქტი

2022 წლის ზამთარი მეტად ცხელი მოვლენებით დაიწყო. სამყაროს გადანაწილებისათვის წარმოებული იდეოლოგიური დაპირისპირება იდეოლოგიურ დონეს გასცდა და სამხედრო კონფრონტაციის ზღვრამდე მიაღწია. რუსეთმა საუკუნეების განმავლობაში გამოცდილ საშუალებას კიდევ ერთელ მიმართა, უკრაინის ორ რეგიონში სეპარატისტები გააქტიურა და მათ დასაცავად შეყვანილი ჯარები მთელი ქვეყნის ანექსირებისკენ მიმართა. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ეს კონფლიქტი მხოლოდ რეგიონალური მასშტაბის არ არის, მსოფლიო მისულია ახალი მსოფლიო ომის ზღვარზე. ჩვენს **მიზანს** წარმოადგენს ვისაუბროთ ასპექტებსა და გავლენაზე საერთაშორისო ურთიერთობებში. განვიხილოთ საიდან მოდის ამ მოვლენის საფუძველი, რომელსაც ძალიან დიდი ისტორია აქვს. ასევე, ჩვენი კვლევის **ობიექტს** წარმოადგენს საქართველო, მისი ასპექტებითა და როლით აღნიშნულ პროცესში. მოგესხენებათ, საქართველო არის ქვეყანა, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა რუსეთის იმპერიალური ზრახვა.

Abstract

The winter of 2022 started with very hot events. The ideological confrontation that started for the redistribution of the world went beyond the ideological level and reached the brink of military confrontation. Russia has once again resorted to a centuries-old tool, activating separatists in two regions of Ukraine and deploying troops to protect them to annex the entire country. We can boldly say that this conflict is not only on a regional scale, the world is on the brink of a new world war. Our goal is to talk about aspects and influences in international relations. Consider where the basis for this event, which has a very long history, comes from.

Also, the object of our research is Georgia, with its aspects and role in the mentioned process. As you know, Georgia is a country which has experienced Russia's imperial intent on itself.

საკვანძო სიტყვები: *რუსეთ-უკრაინის ომი, იდეოლოგიური დაპირისპირება, სამხედრო კონფრონტაცია, იმპერიალიზმი, ცივი ომი, რეალიზმი, ნეორეალიზმი, ეკონომიკური კრიზისი.*

თემა: მოგეხსენებათ, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები და საგარეო პოლიტიკა დღესდღეობით ახალი გამოწვევის წინაშე დგას. 2022 წლის ზამთარი მეტად ცხელი მოვლენებით დაიწყო. სამყაროს გადანაწილებისათვის წარმოებული იდეოლოგიური დაპირისპირება იდეოლოგიურ დონეს გასცდა და სამხედრო კონფრონტაციის ზღვრამდე მიაღწია. რუსეთმა საუკუნეების განმავლობაში გამოცდილ საშუალებას კიდევ ერთელ მიმართა, უკრაინის ორ რეგიონში სეპარატისტები გააქტიურა და მათ დასაცავად შეყვანილი ჯარები მთელი ქვეყნის ანექსირებისკენ მიმართა. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ეს კონფლიქტი მხოლოდ რეგიონალური მასშტაბის არ არის, მსოფლიო მისულია ახალი მსოფლიო ომის ზღვარზე. თუმცა სანამ მის ასპექტებსა და საერთაშორისო ურთიერთობებზე მის გავლენებზე ვისაუბრებდეთ, მანამდე განვიხილოთ თუ საიდან მოდის ის, რადგან ამ უდიდესი მოვლენის საფუძველი რამდენიმე თვის წინ არ არის ჩაყრილი.

1989 წელი. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირს ბერლინის კედელის მსგავსად უჩნდება ბზარი. გორბაჩოვის მცდელობა მოდერნიზება გაუკეთოს საბჭოთა კავშირს კრახით სრულდება. მსოფლიო 15 სუვერენულ, კომუნიზმ დამხობილ ქვეყანს, ხოლო თავად გორბაჩოვი ნობელის პრემიას იღებს. ცივი ომი დასრულდა, ყოველ შემთხვევაში იმ კონკრეტულ მომენტში, რუსეთს, „დიადი“ წითელი იმპერიის შემოქმედს, ყველაზე საშინელი კოშმარი რეალობად ექცა. ის კარგავდა სიმწრით, მოხვეჭილ გავლენებს ევროპაში. ვარშავის პაქტი დაიშალა, ნატო კი გამუდმებით განაგრძობდა აღმოსავლეთით გაფართოებას. ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა საერთაშორისო ურთიერთობის თეორიამ საკუთარი დამოკიდებულება გამოხატა. მაგალითად, ლიბერალებს სწამდათ, რომ ეს დადებითი მოვლენა იყო, ეს იყო ნაბიჯი, გადადგმული მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობისაკენ, მაგრამ ფაქტია ისინი გარკვეულწილად მართლები არ იყვნენ, რადგან ამ მოვლენამ არანაკლები ქაოსი მოუტანა მსოფლიოს. აღსანიშნავია, რომ რეალისტების შეხედულება უფრო შეესაბამება ჭეშმარიტებას. მათი აზრით, ნატოს ეს საქციელი მხოლოდ დასავლეთის მხრიდან გავლენების გაზრდის დემონსტრირებაა, მაშინ, როდესაც რუსეთი იყო სუსტი.

სწორედ ამ მოვლენებში უნდა ვეძიოთ ფესვები იმ კონფლიქტისა, რომელიც ახლა აღმოსავლეთ ევროპის ორ უდიდეს სახელმწიფოს შორის მიმდინარეობს. ზოგადად, საბჭოთა კავშირისთვის უკრაინა წარმოადგენდა

ეკონომიკის დასაყრდენს, მას „საბჭოეთის ბეღელსაც“ კი უწოდებდნენ, მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი მისი მდებარეობაა. უკრაინას აქვს შავ ზღვაზე გასასვლელი, უამრავი დიდი პორტი, ასევე გააჩნია ატომური ელექტროსადგურები და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, ის არ არის ნატოს წევრი. ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე, რევანშისტმა პუტინმა, გადაწყვიტა რუსული მესამე რაიხის შექმნა უკრაინიდან დაეწყო.

ცივი ომი არ დასრულებულა 1991 წელს. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი ამ გაყინული კონფრონტაციის ცხელი გამოვლინებაა.

ნახევარისაუკუნის განმავლობაში ორ დაპირისპირებულ ბანაკს შორის ერთი ტყვიაც არ გავარდნილა, იყო ცივი ომის კრიზისები, მაგრამ არა უშუალოდ ორ ზესახელმწიფოს შორის. დღეს კი რუსეთის პოლიტიკურმა ლიდერმა ჯარები შეიყვანა მეზობელ, პირდაპირი გაგებით, მომმე უკრაინაში. ამით კი განსაკუთრებულად დაძაბა მსოფლიოში ვითარება. ნატო კიდევ თავის ძველ პოზიციას ინარჩუნებს რუსეთის მიერ დაჩაგრულ ქვეყანას იარაღსა და ტექნიკას აწვდის. ვინ იცის მერამდენე ქვეყანაა უკრაინა, რომელიც ნატომ რუსეთის დასასუტებლად, სამაგიეროდ თავისი გავლენების გასზრდელად, გაწირა?!

ამ კონფლიქტმა თავისი კლანჭები 2014 წელსაც გამოავლინა, როდესაც რუსეთმა უკრაინის ნაწილის, ყირიმის ნახევარ-კუნძულის ანექსირება მოახდინა. ამით დამპყრობელმა რუსეთმა საუკუნეების განმავლობაში არსებული სურვილი დაიოკა და სავ ზღვაზე მომგებიანი და საკმაოდ ვრცელი გასასვლელი მოიპოვა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა ეს არ იყო საკმარისი პუტინისთვის. იდეური ჭიდილი, წვეთ-წვეთად გროვდებოდა და მიმდინარე წელს გარკვეული ფაქტორების გამო დაიწყო კონფლიქტი. მსოფლიო ახალი რეალობის, ახალი ატომური ომის წინაშე დააყენა.

ახლა მოკლედ გავიხსენოთ, როგორ დაიწყო ეს ყოველივე ქაოსი. პოლიტიკურ კულისებში, სადაც ჩვენნაირი მოკვდავის თვალი ვერასოდეს შეაღწევს, მეტად ჩახლართული საქმეები ტრიალებს, მაგრამ მოდით განვიხილოთ ომის გამომწვევი ის მიზეზები რომლებიც მსოფლიომ დაინახა.

პირველი, ყველაფერი იქედან დაიწყო, როდესაც უკრაინამ ახალი „ხალხის მსახური“ აირჩია. საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამ ფაქტს სკეპტიკურად შეხვდა, არავის წარმოედგინა, რომ ყოფილი კომიკოსი კარგი ლიდერი დადგებოდა ასეთი დიდი ქვეყნისა. ნატომ თავისი იდეოლოგია თავს მოახვია უკრაინას. მას დაჰპირდა, რომ დღითი დღე უახლოვდებოდა ნატოსა და ევროკავშირის გაღებულ კარებს, რომ როგორც კი შევიდოდა უკრაინა ნატოში ის სრულიად დაცული იქნებოდა რუსი აგრესორებისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მეზობლობა ის უდიდესი წყევლა თუ სასჯელია, რომელიც ჩვენნაირ უიღბლო ქვეყნებს სჭირს. ამიტომ უკრაინამ გადაწყვიტა, ნატოსა და დასავლეთისაკენ აეღო მტკიცე კურსი, მიუხედავად იმისა, რომ ნატოს არასოდეს იდეის დონემდეც არ გაუვლია თავის რიგებში უკრაინის მიღება.

მიგვაჩნია, რომ აქედან იწყება რუსეთ-უკრაინას შორის არსებული კონფლიქტის ესკალაცია და გამწვავება. უკრაინის ეს გადაწყვეტილება, რაღა თქმა უნდა, არ მოეწონა რუსეთს, რადგან თუ უკრაინა ნატოში შევიდოდა ეს ნიშნავდა, რომ ნატოს ბაზები და სამხედრო აღჭურვილობა განლაგდებოდა აქ. რუსეთის კუთხიდან რომ შევხედოთ, აშშ და ზოგადად ნატო მისი არაცხადი, არაპირდაპირი მეტოქეა. რუსეთის საზღვარზე, მოსკოვიდან არც თუ ის დაშორებით ნატოს ბაზების განლაგება ფაქტობრივად ნიშნავდა, რომ აშშ „თოფის ლულას ადებდა შუბლზე“ რუსეთს. უნდა ვაღიაროთ, რომ არავის უნდა საფეთქელზე იარაღი ქონდეს მიბჯენილი, თუნდაც გადაუტენავი. ასეთ შემთხვევაში რუსეთის გავლენები საოცრად კნინდებოდა, მას მომავალ გაფართოებასა და ახალი საბჭოთა კავშირის შექმნაზე საბოლოოდ უნდა ეთქვა უარი. ამიტომ მან გადაწყვიტა ემოქმედა მყისიერად. ამის შემდეგ მოვლენები სწრაფად განვითარდა რუსეთმა დომბასის და ლუგანსკის ავტონომიური რესპუბლიკების დამოუკიდებლობა აღიარა, მათ „დასავად“ ჯარები გადასხა უკრაინაში, რომლებიც შემდეგ კიევისა თუ სხვა დიდი ქალაქებისაკენ მიმართა. მსოფლიო შეშფოთდა. გროტესკულად ირონიულა ფაქტი, რომ გადატრიალებით მთავრობაში მოსულმა ავღანეთის ხელისუფლებამ ასევე ცნობილმა, როგორც თალიბანი, და ტოტალური სახელმწიფოს ლიდერმა კიმ ჩენ-ინმა, რუსეთსა და უკრაინას მშვიდობისაკენ მოუწოდა.

დასავლეთმა, ასე რომ ეიმედობადა უკრაინს, პირდაპირ დახმარებაზე უარი უთხრა, თუმცა გაუგზავნა სამხედრო ტექნიკა და ფული. უკრაინა აგრესორის პირისპირ მარტო, მაგრამ კარგად შეიარაღებული აღმოჩნდა, რომ არა დასავლური დახმარება, რუსული ტექნიკის გაუმართაობა და ანარქია ჯარში, შეიძლება დღეს უკრაინა სრულად „აღგვულიყო პირისაგან მიწისა.“

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს კონფლიქტი მხოლოდ ლოკალურ ხასიათს არ ატარებს. რუსეთ-უკრაინის კრიზისმა, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ დეადამიწა ახალ მსოფლიო ომამდე მიიყვანა, რომელიც დანარჩენ ორზე მეტად სასტიკი და ფართომასშტაბიანი იქნება. შეიძლება მისი მთელი სისასტიკის აღსაწერად გამოვიყენოთ ალბერტ ანიშტაინის სიტყვები: „მე არ ვიცი, რას გამოიყენებენ ადამიანები მესამე მსოფლიო ომში, მაგრამ მეოთხე მსოფლიო ომში ისინი აუცილებლად ჯოხებითა და ქვებით გამართავენ ბრძოლას“. უკრაინა, უნდა აღინიშნოს, იქცა ერთგვარ „თერმოპილეს ჭიშკრად“, რომელიც არ აძლევს საშუალებას რუსეთს გააფართოოს გავლენები აღმოსავლეთ ევროპაში.

ჩვენი დღევანდელობა არის გარდამავლი ეტაპი ბიპოლარული მსფლიო მოწყობიდან მონოპოლარულ მსოფლიო წესრიგამდე. აღსანიშნავია, რომ ისეთი დიდი მეცნიერები, როგორებიც ქენეთ უოლცი და ჯონ

მარშაიმერი იყვნენ, აღნიშნავდნენ, რომ უნიპოლარული სისტემა მეტად ქაოსურია, ის მიდრეკილი ანარქიისაკენ, ერთი ზე სახელმწიფო ზედმეტად ბევრს იღებს საკუთარ თავზე, რაც არ უნდა გაზომილად მოქმედებდეს მას მაინც კრახი უწერია. ეს კარგად იციან მსოფლიოს ლიდერებმა ამიტომ უფრო სავარაუდოა მათ არა უნიპოლარული მსოფლიოს ჩამოყალიბება, არამედ რუსეთის, როგორც მსოფლიოს აგრესიული დამბალანსებლის ჩანაცვლება უნდათ. ამაზე კარგად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ევროპის ქვეყნებმა აგრესიის დაწყებასთან ერთად, თითქმის მყისიერად, მიიღეს კარგად ორგანიზებული, მეტად მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, რაც მარტივად გათიშავს მას, როგორც მსოფლიო დონის მოთამაშეს. რუსეთის ადგილი შეიძლება თავად ევროკავშირმა ან მსოფლიოს ეკონომიკის საყრდენმა ჩინეთმა დაიკავოს. არ არის გამორიცხული მულტიპოლარული მსოფლიო წესრიგიც ვიხილოთ მომავალში, რომელიც მარშაიმერის თქმით არა ნაკლებ ქაოუსურობით ხასიათდება.

ბევრი პოლიტიკოსი და მეცნიერი ალაპარაკდა იმაზეც, რომ დასავლეთს საერთოდაც არ უნდა უკრაინაში ომის დასრულება, სწორედ ამიტომ აწვდის ის მხოლოდ იარაღს, ფულს და მოქმედებს ამ საკითხში საოცრად ნელა. ნატოს მხოლოდ უნდა რუსეთი რაც შეიძლება დაასუსტოს, ამისათვის კი მისი ომის ფაზაში დიდი ხნით გაჩერება საუკეთესო გამოსავლია. ცოტა ძვირი, მაგრამ ეფექტური.

ზოგადად ომი, მით უმეტეს ასეთი „პოპულარული“, ვგულისხმობ სოციალურ მედიაში გამორჩეულად აქტიურს, რომელიც ყველა ადამიანმდე მივიდა, მიუხედავად იმისა, რომ დეკადების წინ აზიაში, თუნდ საქართველოში მწვავე ომი მძვინვარებდა, ყური არავის შეუბერტყვას, საერთაშორისო ურთიერთობებზე უდიდეს როლს თამაშობს. მსოფლიო საშინლად ანტაგონისტურად განეწყო მთლიანი რუსეთის წინააღმდეგ. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასავლეთი უდიდეს ზიზღის ტალღებს უგზავნის რუსეთის თითოეულ რუს მოქალაქეს, ეს ყოველივე, რაღა თქმა უნდა, დასავლური პროპაგანდის მეოხებითაა. სანქციებით სასტიკად იჩაგრებიან უდანაშაულო რუსი ადამიანები, რომლებიც მართლა აპროტესტებენ თავიანთი ქვეყნის აგრესორულ საქციელს და ციხის სასჯელის ფასად აქციებზე მიდიან. ომის დროს ჯოხი ხომ სწორედ მსგავს ხალხზე ტყდება. იქედან გამომდინარე, რომ რუსები ცხოვრობენ ინფორმაციულ ვაკუუმში, სადაც მხოლოდ სახელმწიფო აკონტროლებს მედიას, დიდად სავარუდოა, რომ ყველა თავიანთ პრობლემებში რუსებმა ბრალი დასდონ დანარჩენ მსოფლიოს, ის ზიზღი უკან მიუბრუნონ მათ, სწორედ ისე, როგორც გერმანელები განაწყენდნენ პლანეტაზე პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. ისტორია მეორდება, 83 წლის წინ სასტიკი მეორე მსოფლიო ომი მივიღეთ, ამ სავარაუდო მომავლის შედეგები ბევრად უარესი იქნება.

ირონიულია ის ფაქტიც, რომ ჩემს მოხსენებაში ნახსენები თითოეული სიტყვა „ომი“ არასწორია, რადგან ოფიციალურად რუსეთს უკრაინასათვის ომი არ გამოუცხადებია. პუტინი თავის თავს და თავის ხალხს ატყუებს, რომ იქ რუსული „ძლევამოსილი“ არმია ნეო ნაცისტებს ებრძვის. იყო ჭორებიც, რომ ებრაელთა საიდუმლო გაერთიანებას უკრაინის ტერიტორიაზე „ახალი აღქმული მიწის“ ჩამოყალიბება სურდათ. თუმცა ზუსტად არავინ იცის ამ ფაქტების ჭეშმარიტება.

ამ „სპეცოპერაციის“ ნეგატიური გავლენები საოცრად ნათლად აღიბეჭდა ეკონომიკაზე, არა, მარტო რუსეთის ეკონომიკაზე, არა. ბევრმა ევროპულმა სახელმწიფომ იწვნია მკაცრი შედეგები. უკრაინა იყო ხორბლის მსხვილი იმპორტიორი მრავალ ქვეყანაში, ომის გამო მიწოდება შეიზღუდა. პოლონეთმა მილიონობით მიგრანტს გაუხსნა ქვეყნის კარები, რაც აუცილებლად დიდ დარტყმას მიაყენებს მის ეკონომიკას. უამრავმა ქვეყანამ უარი განაცხადა გაზის მიღებაზე აგრესორისაგან და ა.შ.

ახლა მოდით, ჩვენთვის უფრო მეტად საინტერესო, საქართველოს, ასპექტები და როლი განვიხილოთ ამ პროცესებში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მეცნიერი საერთაშორისო ურთიერთობების სრულფასოვან წევრად არ მიიჩნევს პატარა სახელმწიფოებს, ეს საკითხი ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია.

საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც მწარედ გამოცადა რუსეთის იმპერიალური ზრახვების შედეგები. ზუსტად იგივე სცენარს ახლა რუსეთი ახორციელებს უკრაინაში. ჩვენი მტკივნეული გამოცდილება მეტად გამოსადეგი აღმოჩნდა უკრაინელებისათვის, ისინი, ასე ვთქვათ, უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე ჩვენ თუნდ 2008 წელს ვიყავით, რადგან საქართველო ამ დროს სრულიად მარტო აღმოჩნდა რუსეთის წინააღმდეგ, უკრაინელებს კი ნატო და მთელი რიგი ქვეყნები ეხმარებიან, როგორც ტექნიკით, ასევე ფინანსურად. 2008 წელს მედიის ტექნოლოგიური განვითარება არ იყო ასეთი მაღალი დონის, ამიტომ უდიდესი სისასტიკე მრავლის მხედველობის მიღმა აღმოჩნდა. დღეს კი ყველაფერი სააშკარაოზეა გამოტანაილი, ასე რომ რუსეთი უწინდელ მრისხანებასა და ნამდვილ სახეს ასე გამოკვეთილად ვერ აჩენს.

უკრაინა და საქართველო მეგობარი და მოკავშირე სახელმწიფოები არიან. ჩვენ ერთმანეთში მტკიცე პოლიტიკური კავშირი და ვაჭრობა გვაქვს, ამიტომ ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი დარტყმა მიიღო ეკონომიკასა და პოლიტიკის ასპექტებზე. სიტყვების კონბინაციებზე დიდხნიანი დავის შემდეგ, ჩვენმა ქვეყანამ გამოსცა ოფიციალური დოკუმენტი უკრაინის მხარდასაჭერად, ასევე უდიდესი მოცულობის ჰუმანიტარული ტვირთი გაუგზავნეს უკრაინაში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თვითონ ძალიან გვიჭირს. ამით ტოპ 5 მხარდამჭერს შორის მოვხვდით. ბევრი ქართველი არაოფიციალურად იბრძვის იქ. ქართული შეგონების მიუხედავად, „ვინ მოგცა საქართველო შენ შვილი დასაკარგავი“ რამდენიმე ქართველი მებრძოლის სიცოცხლე უკვე შეეწირა ამ ომს. ანუ საქართველო აკეთებს ყველაფერს, რაც ხელეწიფება, რომ საკუთარი დამოკიდებულება ასე თუ ისე გამოხატოს

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტთან მიმართებაში. თუმცა ომის დაწყების მომენტიდან იყო იმის შეგრძნება, რომ საქართველოში მოღვაწე ზოგიერთ პოლიტიკოსსა და რადის ზოგიერთ, პატრიოტიზმის ლაბადაში გახვეულ რუსეთუმე, დეპუტატებს სურდათ აქ, ჩვენთან მეორე ფრონტი გახნილიყო, რაღა თქმა უნდა, ორ ფრონტზე ბრძოლა ისეთ დიდ ქვეყანასაც გაუჭირდებოდა, როგორც რუსეთია. თუ ეს გეგმა შესრულდებოდა და საქართველო ომში უკრაინის მხარეს ჩაებმებდა ომში, დარწმუნებლი უნდა ვიყოთ, რომ რუსეთიც შემოიყვანდა თავის მოკავშირეებს ამ კონფრონტაციაში. ჩვენი მსგავსი დაუფიქრებელი საქციელის შემდეგ „დომინოს პრინციპით“ სხვა ქვეყნებიც ომში ჩაებმებოდნენ. ისეთი შთბეჭდილება შეიქმნებოდა თითქოს დასავლეთს სურდა მესამე მსოფლიო ომი საქართველოს წამოეწყო. ომი სისასტიკეა, საერთაშორისო ურთიერთობებიც ხომ იმიტომ გამოეყო სხვა დაკავშირებულ დარგებს, რომ მოენახა გზები შეეჩერებინა ადამიანის რაციონალურ ბუნებას მოკლებული ეს მოვლენა?!

ამას მოჰყვა ზელენსკის მხრიდან ელჩის გაწვევა, ასევე უკრაინის მხრიდან იყო ბრალდებებიც, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან თანამშრომლობდა. აღსაღნიშანვია, რომ რამდენიმე დღის წინ დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო ორგანიზაციამ ეს ფაქტი უარყო. ამის შემდეგ კი ჩვენმა ქვეყანამ მხარდაჭერისთვი „მადლობა“ მიიღო.

და ბოლო, ომს საშინელი ქაოსი, არეულობა და დიდი გაურკვევლობა ახლავს თანს და მოდით უკრაინის მსგავსი სპონტანური საქციელები ამ ყოველივეს მივაწეროთ.

ნეორეალისტმა მეცნიერებმა უამრავი რამ „იწინასწარმეტყველეს“ და შეიძლება მომხდარიყო ცივი ომის დასრულების შემდეგ. ისინი, ასევე დარწმუნებულები იყვნენ, რომ ევროპაში მოხდებოდა ფართო მასშტაბიანი დაპირისპირება, თუმცა რადგანაც ბოლო 30 წლის განმავლობაში ეს არ მომხდარა, ამიტომ ნეორეალიზმი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაეხვა. ახლა მსოფლიო ყველაზე ახლოსაა ამ მოვლენასთნ და სავსებით შესაძლებელია ნეორეალისტების წინასწარმეტყველებანი ახდეს, რადგან არავინ იცის როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში, მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს რუსეთ უკრაინის კონფრონტაცია ამ ეტაპზე შეჩერდება და ის არ გადაიზრდება ისეთ ფართომასშტაბიან მოვლენაში, როგორიც მესამე მსოფლიო ომია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აკობია, ე., საერთაშორისო ურთიერთობათა თეორია, თბ. 2006, გვ.100.
2. მაგშტადტი, თ.მ., გავიგოთ პოლიტიკა, თბ. 2010, გვ. 733.
3. https://www.eeas.europa.eu
4. https://formulanews.ge
5. შეჭრისთვის ნიადაგის მომზადება - https://idfi.ge/ge